



ეროვნული ბიблиოთეკა
ქართული კულტურის

103.996
3

მუსიკური -
- კონცერტის ფოტოები
წერილები



კუსალიონ იუსალი
თამაზუთლი სახი

ისტორიულ-
იდეოზოგიული
წერილები

რ 103. 996
3



თამაზუთლი უნივერსიტეტის

გამოცემა

თამაზი — 1962



ბ. ნიერაძის „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“ დამხმა-
 რე მასალაა ქართული ადათობრივი სამართლის შესწავლისათვის.
 „წერილებში“ ასახულია აგრეთვე ქართველი ხალხის სიციალ-
 ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცალკეული
 მხარეები, კერძოდ, სკანდა მეურნეობრივი ყოფის თავისებურებანი,
 შმართველობის სისტემის ხასიათი, საადგილ-მამულო ურთიერთო-
 ბის ფორმები, შწავლა-განათლების მდგრადირეობა სკანდალი და სსვა.
 ამასთან „წერილებში“ წარმოდგენილია ქართველი ხალხის ცელთა-
 გან მომდინარე წეს-ჩეულებანი, ადრინდელი რწმენა-წარმოდგენები
 და თაობათა მანძილზე დაცული თქმულება-გადმოცემები, რომლებიც
 სკანდალი ამა თუ იმ სახით XIX ს-მდე შემოინახა.

გარდასულ დროთა ეს შორეული გადმონაშთები ქართველი ხალ-
 ხის ადრინდელი წარსულის შესწავლის ერთ-ერთი წყაროა: ცნობა-
 ლია, რომ „უძველესი მსოფლმხედველობისა და რწმენის შესასწავ-
 ლად და შეძლებისამებრ სრული სურათის წარმოსადგენად ხალხში
 დარჩენილ თქმულებებს, ხატობათა დღესასწაულების წესებს... დიდი
 მნიშვნელობა აქვს“ (ივ. გაგახიშვილი). ასევე უყურებს გადმონაშთე-
 ბის წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას თანამედროვე საბჭოთა
 ეთნოგრაფია.

დღიდან დასახელებული მასალის ჩაწერისა თითქმის ერთი სა-
 უკუნე გავიდა. ამ დროის მანძილზე ქართველი ხალხის ცხოვრებაში
 ისტორიული ძვრები მოხდა. ნიადაგი მოერდვა ძველ ყოფის და ში-
 სი იმდროინდელი აღწერილობა ამ ყოფის შესწავლის ერთადერთ
 წყაროდ იქცა.

ამ რიგის ეთნოგრაფიულ მასალას პრაქტიკული მნიშვნელობაც
 აქვს. ძველის გადმონაშთები აქა-იქ ჯერ კიდევ ელობება ახლის
 გშენებლობას. მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-
 ერთი წინაპირობა მათი საფუძვლიანი ცოდნაა.



გესაჩიონ ნიშანები

ინტერესი ხალხის კულტურისა და ყოფის თავისებურებათა მიმართ ადამიანს საკმაოდ აღრე გაეღვიძა, მაგრამ ეთნოგრაფია, როგორც ამ რიგის დაკვირვებათა გარკვეული სისტემა, გაცილებით გვიან გაჩნდა. ეთნოგრაფიის ცალკე სამეცნიერო დარგად ჩამოყალიბების პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს დაიწყო, თუმცა თითქმის ყველგან იგი ბურჟუაზიული საზოგადოების ჩასახვანვითარებას დაუკავშირდა.

როგორც იმდროინდელი ყველა მეცნიერება, ეთნოგრაფიაც აღმავალი ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა და იმისდა მიხედვით თუ რომელ ქვეყანაში რა კონკრეტული ამოცანები ხორციელდებოდა, ეთნოგრაფია სათანადო მიმართულებით იკაფავდა გზას. იმ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზიული ურთიერთობანი ნაციონალური ჩაგვრის პირობებში ყალიბდებოდა, ეთნოგრაფიის პირველი ნაბიჯებიც უპირატესად საკუთარი ხალხის კულტურისა და ყოფის თავისებურებათა გამოვლინებისაკენ, მათი ტრადიციულობის ჩვენებისაკენ იყო მიმართული. ამ შემთხვევაში ეთნოგრაფია ეროვნული ღირსების დაცვის კეთილშობილურ ამოცანას ემსახურებოდა. სხვა ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზიული საზოგადოება ვითარდებოდა კოლონიების მიტაცების პირობებში, ეთნოგრაფია პირველ ყოვლისა კოლონიური ხალხებით დაინტერესდა, ამ ხალხების კულტურისა და ყოფის შესწავლა მათი მმართველობის სისტემის გაუმჯობესების ამოცანას დაუკავშირა და კოლონიური ჩაგვრის იარაღიც იქცა¹.

¹ И. И. Потехин. Космополитизм в американской этнографии, кръгъдулъшо «Англо-американская этнография на службе империализма», Москва, 1951, 83. 20, Г. Ф. Дебец, Д. А. Ольдерогге, И. И. Потехин, 5-ый международный конгресс этнографов и антропологов, «Советская этнография», 1957, № 1, 83. 161.

საქართველოში ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის თავი-
სებურებებით დაინტერესებამ ადრე იჩინა თავი. მაგრამ ერთნოვგრაფი
ფიას, როგორც ცოდნის დამოუკიდებელ დარგს, საფუძველი არ ის
ის მეორე ნახევარში ჩაეყარა. საქართველოშიც ეთნოგრაფია ეროვ-
ნული თვითშეგნების განმტკიცებას ემსახურებოდა, ნაციონალურ-
გამათავისუფლებელ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული და ძირი-
თადად საკუთარი ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლის ნია-
დაგზე ვითარდებოდა, ისევე როგორც არქეოლოგია, ფოლკლორი,
საერთოდ ისტორია.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ილია ჭავჭავაძემ დასვა
ყველაზე მკვეთრად საკითხი „ხალხის ჩვეულებათა“ შესწავლის შე-
სახებ. მისი სიტყვით: „ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგ-
ნებული ქართველისათვის იცოდეს, — რაგვარ და რომელ ჩვეულე-
ბებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიურ და იურიდიულ ურ-
თიერთობის შესახებ. ეს სფერა ცხოვრებისა მთელს სურათს გადა-
უშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კი-
დევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულობას სამარ-
თალზედ, ერთურთს დამოკიდებულებაზედ და სხვა... სწორედ ამგ-
ვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი
ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლე-
ბა ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი
და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება“¹. აყავი წერეთელი ერთ-ერთი
ინიციატორი გახდა ფოლკლორული მასალის ორგანიზებული შეკ-
რებისა, რისთვისაც საგანგებო ფონდი იყო შექმნილი². ცნობილია
რ. ერისთავის ეთნოგრაფიული ნარკვევები, რომელთა შორის და-
რინდელი ნაშრომები მიძღვნილია ქორწინების (1847)³ და ყევნობის
(1849)⁴ საკითხებისადმი; მისი წერილები თუშ-ფშავ-ხევსურეთის
შესახებ (1854)⁵ დღესაც მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს
მთიანეთის მოსახლეობის ეთნოგრაფიის შესწავლისათვის. ამის

¹ ი. ჭავჭავაძე, ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ, თხზულებათა
სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV, თბილისი, 1955, გვ. 192.

² **Л. Асатiani.** Жизнь Акакия Церетели, Тбилиси, 1947, გვ. 259.

³ Р. Д. Эристов. Свадьба у грузин, «Кавказ», 1847, № 14.

⁴ Р. Д. Эристов. Маскарад грузинской черни (на масленице), «Кавказ», 1849, № 16.

⁵ Р. Д. Эристов. Записки о тушино-пшаво-хевсурском округе, «Кавказ», 1854, №№ 43, 45, 46, 47, 49, 50, 51, 52.

ვარდა, ცნობილია რომ რ. ერისთავი კავკასიის მუზეუმში პირველი ციულ მუშაობასაც ეწყოდა¹.

XIX ს-ის მანძილზე საქართველოში ისტორიულ-ეთნოგრაფიული აზრის განვითარების პროცესში დ. ბაქრაძის ნაშრომებს ერთ-ერთი პირველი აღილი უჭირავთ. საკუთრივ სვანეთის ეთნოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომის პირველი ნაწილი წარმოადგენს ისტორიულ ნარკვევს, რომელშიაც ხაზგასმულია სვანების ქართველობა და თავმოყრილია წერილობითი წყაროების მონაცემები სვანეთისა და საქართველოს ამ კუთხის აღგილის შესახებ ქართველი ხალხის ისტორიაში. ამ თავს მოსდევს სვანეთის ეთნოგრაფიული აღწერილობა, რომელშიაც განხილულია გზების და ხიდების, სახლისა და დასახლების, ეკლესიის და მატერიალური კულტურის სხვა ძეგლების, მეურნეობის, ტანსაცმელის, ოჯახის, წოდებრიობის, საზოგადოებრივი ყოფისა და სხვა მრავალი საკითხი.

სვანეთში არსებული ქართული წარწერების პირველი ამოკითხვა მასვე ეკუთვნის².

იგივე ითქმის დ. ბაქრაძის ნარკვევებზე გურია-აჭარის³, სამეგრელოს, სამურზაყანოს, აფხაზეთის⁴ და საქართველოს სხვა კუთხეების შესახებ.

ნ. ხიზანაშვილის (ნ. ურბნელი) ნარკვევებმა ასევე მნიშვნელოვანი ეტაპი შექმნეს XIX ს-ის ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში. ნ. ხიზანაშვილის ეთნოგრაფიული წერილების დიდი ნაწილი მიძღვნილია ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ურთიერთობისა, ჩვეულებითი სამართლის საკითხებისადმი, ე. ი. იმ საკითხებისადმი, რომლებიც ი. ჭავჭავაძის ზემოთ მოყვანილი სიტყვებით, ხალხური ჩვეულების შესწავლის უმთავრეს ამოცანებს წარმოადგენდა. ნ. ხიზანაშვილის ეთნოგრაფიული შრომები გამოირჩევა წერილობითი ძეგლების მონაცემების ფართო გამოყენებით, რამაც საშუალება მისცა ავტორს ძირითადად სწორად შეეფასებინა ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი განვითარების დონე. იმდროინდელ არაქართულ ლიტერატურაში საკმაოდ მოარცულ აზრს ქართველი

¹ გ. ურდანი ნიკოლ. კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბილისი, 1957, გვ. 6.

² დ. ვ. ბაკრაძე. სვანეთი, ვკორგი, VI, თიფლის, 1864.

³ დ. ვ. ბაკრაძე. კრატкий очерк Гурии, Чурук-су и Аджары, ИКОРГО, II, № 5, 1874.

⁴ დ. ვ. ბაკრაძე. Очерк Мингрелии, Самурзакани и Абхазии, «Кавказ», 1860, №№ 48, 49.

⁵ დ. ბაქრაძის შესახებ იხ. მ. დუმბაძე, ისტორიკოსი ღიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950.

მთიელების ვითომცდა „პირველყოფილობის“ შესახებ, ნ. ხიზანა-შვილმა დაუპირისპირა ეთნოგრაფიული მასალისა და წერილობრივი წყაროების შესწავლით მის მიერ მიღებული სრულიად საჭიროდ დეგო დებულება. ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის შესწავლის შედეგად ნ. ხიზანა-შვილი წერდა: „ეს გარემოება ცხადად გვიჩვენებს, რომ ქართლში როგორც ვახტანგის დროს, ისე აღრეც კერძო ოჯახს თავისი განცალკევებული საკუთრებით კავშირი აღარა ჰქონდა გვართან, გვარმა დაუთმო პირს, საზოგადომ კერძობას, ასე ვსთქვათ, იურიდიულმა „მე“-მ სძლია იურიდიული „ჩვენ“¹. ნ. ხიზანა-შვილი ამასთან ერთად მუდამ ხაზს უსვამდა იმ საყოფაცხოვრებო ნიშნებს, რომლითაც მთა გამოიჩინდა ბარისაგან, იგი ანგარიშს უწევდა საქართველოს მთიანეთში გვაროვნული ყოფის გადმონა-შოთების არსებობას, ითვალისწინებდა იმას, რომ „ეს კავშირი ოჯახსა-და გვარს შორის ეხლაც კი მტკიცედ არსებობს მთაში“²... მაგრამ გიორგი მეფის „ძეგლის დების“ ანალიზის შედეგად მან დაასკვნა: „...მთაში ფეოდალიზმი ისრე არაოდეს არა ყოფილა აღორძინებული, როგორც ვაკე ქართლში“-ო³. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ნ. ხიზანა-შვილი აღიარებს განუვითარებელი ფეოდალური ურთიერთობის არსებობას საქართველოს მთიანეთში ჯერ კიდევ XIV ს-ში (ნ. ხიზანა-შვილი „ძეგლის დებას“ 1321 წლით ათარიღებს) და მიიჩნევს, რომ ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარება საქართველოს მთიანეთში თემური წყობილების რღვევის ნიადაგზე მიმდინარეობდა.

ნ. ხიზანა-შვილის ამ დებულებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი მთიელების საზოგადოებრივი ყოფის შესწავლი-სათვის⁴, მით უმეტეს, რომ ამ დებულების გამოქვეყნების მრავალი ათეული წლის შემდეგ კვლავ მეორდება აზრი თითქოს ხევსურე-თისათვის XIX ს-ში დამახასიათებელი ყოფილიყოს ძირითადად „გვაროვნული წყობილების დაშლის გახანგრძლივებული პრო-ცესი“.

თბილისში კავკასიის მუზეუმის დაარსებამ და სხვადასხვა საზო-გადოებათა ჩამოყალიბებამ (რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოე-

¹ ნ. ხიზანა-შვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, მსე, II, თბილისი, 1940, გვ. 167.

² იქვე, გვ. 166.

³ იქვე, გვ. 162.

⁴ ალ. რობაჭიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბილისი, 1960, გვ. 11-12.

ზის კავკასიის განყოფილება, სოფლის მეურნეობის კავკასიის განყოფილება და სხვა) ბიძგი მისცა ეთნოგრაფიული მუშაობის გაშლა-განვითარებას საქართველოს პერიფერიაზედაც. ნიკო ჯანაშიას „შტუდები აფხაზეთის ეთნოგრაფიისა¹, თედო სახოვიას ეთნოგრაფიული მოგზაურობანი გურია-აჭარაში², ვაჟა-ფშაველას „ფშაველი და მისი წუთისოფელი“³, ზაქარია გულისაშვილის „გარდაბანისა და გაჩიანის სერიისთვის და მათნი ნაშთნი“⁴, მიხეილ მაჩაბლის ჩანაწერები ქართლის ეთნოგრაფიის შესახებ და სხვა მრავალი წარმოადგენდა პასუხს ილიას მოწოდებაზე საკუთარი კუთხის „ხალხური ჩვეულების“ შესწავლის შესახებ, რომელიც ილიას წრეში მისი ამ მოწოდების გამოქვეყნებამდე გაცილებით ადრე იყო, რა თქმა უნდა, ცნობილი. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს თავისი მოამაგე გაუჩნდა. ბუნებრივია, რომ ამ მხრივ არც სვანეთი დარჩა ყურადღების გარეშე. გაზეთ „სახალხო საქმის“ მიერ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში, რომელიც ბ. ნიუარაძეს მიეძღვნა და რომელშიაც მოცემულია მისი მოღვაწეობის მაღალი შეფასება ქართული ეროვნული კულტურის ინტერესების თვალსაზრისით, აღნიშნულია: „ბესარიონ ნიუარაძეს თამამად შეეძლო დედაქალაქში ეცხოვრნა, კარიერა შეექმნა და ფუფუნებაში ყოფილიყო, მაგრამ მან ეს არ ქნა, მან დაუჭერა ილია ჭავჭავაძეს: „ბესარიონ, თუ საქართველო ოდნავ მაინც გიყვარს, სვანეთში უნდა წახვიდე და იქიდან ამოგვიდგე უდელშიო“⁵. ილიას მიერ საერთო საქმის ულელში ჩაბმულთა შორის ბესარიონ ნიუარაძემ, როგორც სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის თვალსაჩინო მკვლევარმა, თავისი ადგილი ღირსეულად დაიკირა.

ეთნოგრაფიული კვლევის სფეროში მოღვაწეთა ამ შესანიშნავ პლეიდას ერთებს ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ყოფის ისეთი ღერძეული საკითხების დასმა, როგორიცაა კერძო საკუთრების

¹ ნ. განაშია, აფხაზები (ეთნოგრაფიული მასალები), „მოამბე“, 1897, №№ 2, 5, 11; 1898, №№ 7, 11; 1899, № 4.

² თ. სახოვია, მოგზაურობანი: გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბილისი, 1950.

³ ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, 1937.

⁴ ზ. გულისაშვილი, მოთხრობები, ნარკვევები, თბილისი, 1953.

⁵ М. В. Мачабели. Экономический быт государственных крестьян Тифлисского уезда, МИЭБГКЭК, V, Тифлис, 1887.

⁶ ვ. ძიძიგური, ბესარიონ ნიუარაძე („თავისუფალი სვანი“), გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წელი. მაისის 11, № 253.

და თემური მიწათმფლობელობის ფორმები, ჩვეულებითი სამარიალი, საოჯახო ურთიერთობა, მეურნეობრივი ცხოვრება, ცოტ-შორწმუნეობის მავნე შედეგები, სისხლმესისხლეობის ფესვგამჯდარობა ქართველ მთიელთა ყოფაში, პიროვნებისა და თემის ურთიერთობა და სხვა, ე. ი. ის ძირითადი და სასიცოცხლო საკითხები, რომელთა შესწავლას უაღრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ეთნოგრაფიული აზრის განვითარების ეს მიმართულება საგსებით უპასუხებს ილიას მიერ „დასახულ ამოცანებს საზოგადოებრივი ცხოვრების ღერძეული საკითხების შესწავლის შესახებ რათა „.... ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი“, და უპირისპირდება იმ უცხოურ მიმართულებას, რომელმაც ეთნოგრაფიას ვიწრო ტექნიკოლოგიური ხასიათი მისცა, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან იზოლირებულად აღებული წვრილმანების ფორმალისტური შესწავლის გზაზე დააყენა და სოციალური ურთიერთობის აქტუალურ პრობლემებს ჩამოაშორა.

* *

*

„უშგულის საზოგადოება ქევს მდ. ენგურის სათავეს ახლო და თავისუფალი სვანეთის თავში მდებარეობს. აღმოსავლეთით უშგულს ჰესაზღვრავს ნაწილი კივკასიის დიდის ქედისა, მუდამ თოვლით დაფარული, და დიდ ქედსა და სვანეთის ქედს შუა ჩამჯდარი „ნაკზაგარის“ ულელტეხილი; დასავლეთით — სერები და კალის საზოგადოების აღგილები; სამხრეთით — ნაწილი სვანეთის ქედისა და ჩრდილოეთით დიდ ქედიდგან გამოსული შტო. ამ ნაირად უშგულის ოთხი სოფელი ყიბიანი, ჩუბიანი, ჩაუაში და მუყმერი (ძველად ზემო და ქვემო უშგული) გამომწყვდეულია მთებს შუა“¹.

ასე აღწერს ბ. ნიუარაძე უშგულს — თავის დაბადების ადგილს, სვანეთის ულამაზეს ხევს.

ბესარიონ ნიუარაძე 1852 წლის 21 ნოემბერს დაიბადა².

¹ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნი, უშგულის აღწერა (სვანთა ყოფა-ცხოვრებიდან), „ივერია“, 1886, № 35.

² ბ. ნ ი უ ა რ ა ძ ი ს დაბადების თარიღის დასაღვენად ორი საბუთი მოგვეპოვება. პირველი საბუთი წარმოადგენს „საქართველო-იმერეთის“ სინოდალური კანტორის მიერ 1881 წლის 31 ოქტომბერს გაცემულ მოწმობას, რომელიც ეყრდნობა უშგულის ლოთისმშობლის ეკლესიის 1862 წლის ჩანაწერს. ამ საბუთის მიხედვით ბ. ნიუარაძე დაიბადა, 1852 წ. 21 ნოემბერს, ხოლო მოინათლა 1862 წ.

ბესარიონის მამას ერქვა სიოშ (შიო), დედას მარიამულ (მარინე), მამით ბაბუას — ბეგი, ხოლო დედით ბაბუას — გუა. აღმართ უკანასკნელის პატივისცემით პატარა ბესარიონს პირველ სასახლეზე შეარქვეს გუა, რომელიც მას ნათლობამდე შეჰვყავა.

ნიუარაძეები, ისევე როგორც ყველა სვანური გვარი, სამხუბებად (სიტყვასიტყვით „საძმოებად“) იყოფა. დღესაც სვანი ნიუარაძეების შემდეგი სამხუბებია ცნობილი: ავგულარ, ქუჩეიშა და ნაგვაშა. ბესარიონის ოჯახი ავგულარ სამხუბის სუთმანშერებს ეკუთვნოდა; ეს იყო მთელს ზემო სვანეთში სიძლიერით განთქმული სამხუბი.

დღეს ღრმად მოხუცებული მესტიერი მამურზა ნიგურიანის ცნობით სიოშ ნიუარაძის პირველი ვაჟი ნინი — მამურზას ნათლია — სოფლის მახვში („სოფლის თავი“) ყოფილა¹.

სიოშს ყავდა ხუთი შვილი, როგორც სვანები იტყოდნენ ქველად „სამი შვილი და ორი ქალი“ — ნინი, ნადიდა, გუა. (ბესარიონი), მანო და მაქა. მანო იქვე უშგულში (მუყმერში) გათხოვდა — დიდა ჩარქელიანზე, ხოლო მაქა — ქალაში, მარგველანზე. ხალხური გაღმოცემა მაქას მიაწერს უშგულში კარტოფილის კულტურის შემოტანას.

ძმები, შესაბამისად სვანური ოჯახის ტრადიციებისა, დაცოლშვილების შემდეგაც გაუყრელად ცხოვრობდნენ. ქორა მახვშად („სახლის უფროსად“) ნინი ითვლებოდა. მართალია, ბესარიონი პატარა-

17 აგვისტოს (**Свидетельство № 6214; ინახება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ცნსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში; ქვემოთ შემოკლებით „ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი“). მოწმობას ხელს აწერს დასახელებული კანტორის წევრი არქიმანდრიტი მაკარი, მდივანი და სხვა, იგი შემოწმებულია სინოდალური კანტორის ბეჭდით.**

ზეორე ცნობა საარქივო საბუთია, საკუთრივ თბილისის სასულიერო სემინარიის ერთ-ერთი უწყისი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ 1874 წ. ბ. ნიუარაძე 24 წლისა იყო, ე. ი. მისი დაბადების თარიღად 1850 წ. მიჩნეული (საქ. სსრ ცსსაფონ. 440, საქ. 785, ფურ. 6). ჩვენ საფუძვლად ვიღებთ სინოდალური კანტორის ცნობას, რომელიც პირველ წყაროს ეყრდნობა.

პ. ვაჭრიძე ფაქტებით მდიდარსა და საინტერესო წერილში ბ. ნიუარაძის დაბადების თარიღად 1855 წ. მიიჩნევს, მაგრამ, სამწუხაროდ, წყაროს არ მიუთავებს (პ. ვაჭრიძე, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის ღვაწლოსილი მკვლევარი, გაზითი „სტალინელი“, 1959, 15 ივლისი, № 138).

1 მამურზა ნიგურიანის მოგონება ბ. ნიუარაძეზე, ინახება ივ-ტორთან.

ობიდანვე სახლს გაცილდა და დაცოლშვილების შემდეგაც უშგუდ-
ში ხანგრძლივად აღარ უცხოვრია, იგი ძმებთან გაყრილი არ იყო.
ესეც ტრადიციული სვანური ოჯახის პატივისცემის ნიშანს წარ-
მოადგენდა.

ბესარიონ ნიუარაძის სიყრმის წლების შესახებ ჩვენ ცოტა რამ
ვიცით. ქუთაისის საარქივო სამმართველოს ცნობაში აღნიშნულია,
რომ 1868/69 სასწავლო წელს ბესარიონ ნიუარაძე ქუთაისის სასუ-
ლიერო სასწავლებლის პირველი კლასის მეორე პარალელურ გან-
ყოფილებაში სწავლობდა¹. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში
ჩარიცხვის შესახებ თავად ბ. ნიუარაძე წერს, რომ იმერეთის ეპის-
კოპოსმა გაბრიელმა, რომელმაც სვანეთში პირველად 1866 წელს
იმოგზაურა და საკუთარი თვალით ნახულის შედეგად დარწმუნდა
სვანეთში სწავლა-განათლების შეტანის აუცილებლობაში, „მო-
ხერხს ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისაგან და სვანების
შვილებისათვის შვიდი სტიპენდია დაანიშვნია ქუთაისის სასუ-
ლიერო სასწავლებელში. ერთი ამ სტიპენდიანთაგანი მე ვიყავი“².
მაშასადამე, ბ. ნიუარაძის ჩარიცხვა ქუთაისის სასულიერო სასწავ-
ლებელში 1866 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამასთანავე, ანგა-
რიშგასაწევია, რომ ეს თარიღი არც ბესარიონის ასაკის მხრივ იწვევს
ეჭვს. გარდა ამისა ამავე წერილში ბ. ნიუარაძე დასტენს, რომ 1871
წელს იგი უკვე მესამე კლასში გადავიდა. ამრიგად, დასაბუთებუ-
ლად უნდა ჩაითვალოს, რომ ბ. ნიუარაძე ქუთაისის სასულიერო
სასწავლებელში 1869 წელს ჩაირიცხა როგორც კავკასიაში მართლ-
მადიდებელი ეკლესიის აღმადგენელი საზოგადოების პანსიონერი.
ამავე თარიღზე მიუთითებს მისი ერთი წინადადება 1886 წელს გა-
მოქვეყნებულ წერილში: „აგერ მეჩვიდმეტე წელია მას აქეთ, რაც
სვანეთიდან გადმოვედი“³.

1874 წელს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების
შემდეგ, იგი ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავ-
ლედ⁴. თბილისის სასულიერო სემინარიაში IV კლასამდე იგი კარგად
სწავლობს და 1878 წელს V კლასში გადადის. მის მიერ მიღებული
ნიშნების უწყისები უჩვენებენ, რომ თბილისში სწავლის დროს.

¹ რცა ქუთაისში. ფონ. 7, საქ. 989, ფურ. 42.

² ბესარიონ ნიუარაძე, კორესპონდენცია, „მწყემსი“, 1896, № 15-16.,
გვ. 13.

³ თავისუფალის ვანი, ოთხი დღე მდინარე ენგურის, ცხენის წყლის.
და რიონის სათავეებში, „ივერია“, 1886, № 237.

⁴ საქ. სსრ ცსსა. ფონ. 440, საქ. 726, ფურ. 157.

ბ. ნიუარაძე ისტორიით, ფილოსოფიით და ფსიქოლოგიით არის გა-
ტაცებული¹. მაგრამ 1877/78 სასწავლო წელს იგი ხშირად და,
როგორც ჩანს, ხანგრძლივად ავადმყოფობს. 1877 წლის სექტემბერ-
ში, ავადმყოფობის გამო, მას 48 გაკვეთილი აქვს გაცდენილი; ხოლო
1878 წლის მარტსა და აპრილში — 24². V კლასიდან, ე. ი. 1878 წლი-
დან იგი სტოვებს თბილისის სემინარიას ავადმყოფობის გამო.

თბილისის სემინარიაში სწავლების წლები ბ. ნიუარაძის ბიოგრა-
ფიის მნიშვნელოვანი პერიოდია; აქ იგი დაუახლოვდა შემდეგში:
ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს როგორიც იყვნენ თ. უორდანია, ნ. ხი-
ზანაშვილი, ა. ყიფშიძე, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, ი. მეუ-
ნარგია და სხვა (თ. ბეგიაშვილი).

1878 წელს ბ. ნიუარაძე იწყებს მუშაობას სვანეთის საბოჭაუ-
ლოში საქმის მწარმოებლად; ამ თანამდებობაზე იგი 1883 წლამდე
რჩება³. 1883 წელს ბ. ნიუარაძეს გზავნიან ქუთაისის სათავადაზნაუ-
რო სასწავლებელში, სადაც იგი მუშაობს აღმზრდელად. 1891/1892
სასწავლო წლამდე⁴.

ამასვე ადასტურებს „ანგარიში ქუთაისის სათავად-აზნაურო სას-
წავლებლის მდგომარეობისა 1891/1892 წ.“, რომლის მიხედვით
თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლამიღებული ბ. ნიუარაძე
ზემოთ აღნიშნული სასწავლებლის მასწავლებლად 1883 წლიდან
ირიცხება⁵.

1891 წლის 31 ოქტომბერს ქუთაისში, ალექსანდრე ნეველის კა-
თედრალურ სობოროში, როგორც დოკუმენტი ამბობს, ქუთაისის
სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებელმა ბესარიონ შიოს ძე ნი-
უარაძემ დანიშნა აზნაურის ქალი ალექსანდრა პავლეს ასული ნო-
რაკიძე⁶. ამის შემდეგ ახალგაზრდა ცოლ-ქარი გაემგზავრა იუარში,
სადაც ბ. ნიუარაძე სკოლის მასწავლებლად იყო დანიშნული⁷. 1892
წლის 27 მაისს, ზემოთ მოხსენებული „სამსახურებრივი სიის“ პი-
რის ჩვენებით, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა ბ. ნი-
უარაძე აკურთხა მღვდლად. ეპისკოპოს გრიგოლის მიერ შედგენი-
ლი აღწერილობიდანაც ჩანს, რომ იგი ითარში სწორედ ამ ხანებში

¹ საქ. სსრ ცსსა. ფონ. 440, საქ. 726, ფურ. 157; საქ. 742. ფურ. 63;
საქ. 757, ფურ. 70; საქ. 785, ფურ. 6.

² საქ. სსრ ცსსა. ფონ. 440, საქ. 785, ფურ. 6.

³ Поступленный список о притче церкви святого Георгия Ипарского при-
хода за 1896 год. Черновая. ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.

⁴ იქვე.

⁵ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საბუთი № 6420/751.

⁶ Свидетельство № 65. ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.

⁷ Поступленный список.

უნდა ყოფილიყო¹. როგორც ეტუობა, აქედან მოყოლებული
ბ. ნიუარაძე საეკლესიო სამსახურში გადადის. ჩანს იგი კუთხი
იფარის წარმომადგენ გიორგის ეკლესიაში მსახურობდა, ხოლო შემდეგ
მესტიის წარმომადგენ გიორგის ეკლესიაში. ყოველ შემთხვევაში მართლმადი-
დებლობის აღმადგენელი საზოგადოების 1906—1907 წ.წ. ანგარიშში
მესტიის ამ ეკლესიას უწერია: „Сванетский благочинный священник Виссарион Нижарадзе, из 5-го класса Тифлисской духовной семинарии“.² ამასვე ადასტურებს ნიკო ჩიმაკაძე³, რომელიც
1902—1905 წლებში მესტიაში მასწავლებლობდა, დაინტერესებული
იყო სვანეთის ისტორია-ეთნოგრაფიის საკითხებით, ბესარიონ ნი-
უარაძეს კარგად იცნობდა და ამ პერიოდის მოვონებები ჩვენი
თხოვნით დაწერა. 6. ჩიმაკაძის კალამს ეჭითვნის ვრცელი და სა-
ინტერესო წერილი სვანეთის შესახებ, რომელსაც გვერდს ვერ
აუვლის სვანეთის ვერც ერთი მკვლევარი⁴.

ბესარიონ ნიუარაძეს სამი შვილი დარჩა: რაფიელი (კუკური),
ციცინო და ბიძინა; იგი ადრე დაქვრივდა. შვილები მან ქუთაისში
მიაბარა სასწავლებლად; მათ შორის რაფიელს ზოოვეტერინარული
განათლება მიაღებინა უცხოეთში — სწავლის დამთავრების შემდეგ
მას უნდა თავისი ცოდნა სვანეთში მეცხოველეობის განვითარები-
სათვის გამოეყენებინა.

ბესარიონის შვილები წელიწადში ერთხელ, ორი თვით ამოდიოდ-
ნენ მამასთან. მ. ილინა, რომელმაც მესტიაში გაიცნო ბესარიონის
ოჯახი, წერდა: «Мне нравилась вообще вся их обстановка, дове-
рие, которое чувствовалось между отцом и детьми, глубокое ува-
жение и гордость, которые они испытывали к нему и его любовь
к нему»⁵.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ბ. ნიუარაძემ მესტიაში გაატა-
რა. როგორც მოვონებებით ირკვევა, 1919 წლის გაზაფხულზე ბე-
სარიონი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. 1919 წ. 11 მაისს
თბილისის საზოგადოებრიობამ გადაიხადა ბ. ნიუარაძის პანაშვიდი

¹ Поездка в Сванетию для обозрения церквей Гурийско-Мингрельского епископа Григория, Поти, 1893, გვ. 25.

² Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1906—1907 гг. Тифлис, 1909, გვ. 51.

³ ნიკო ჩიმაკაძე, მოვონება ბესარიონ ნიუარაძეზე, ინახება ავტორთან.

⁴ 6. ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, „ძველი საქართველო“, ტ. II, გან. IV, ტფილისი, 1911-1913 წ.წ.

⁵ М. К. Ильина. Поездка в Сванетию, Спб., 1913, გ.

ქაშვეთის ეკლესიაში. მისი ნეშტი უშგულის ლამარის ეკლესის
გალავანში არის დაკრძალული.

ბესარიონ ნიუარაძის მახლობელთა აღწერილობით იფა-საშუალო
ტანისა და მკვრივი აგებულებისა იყო; მას ჰქონდა სახის სწორი
ნაკვთები, მაღალი და განიერი შუბლი, ნათელი და ჰქვიანი თვა-
ლები, წაბლისფერი თმა და წვერ-ულვაში; იგი გამოიჩინოდა დაბა-
ლი და ტკბილი ხმით; გულქეთილობა და თავაზიანობა მისი დამახა-
სიათებელი თვისება იყო. დარბაისლობამ, მჭევრმეტყველებამ და
სვანეთის შესანიშნავად ცოდნამ მას სასიამოვნო მოსაუბრისა და
სამართლიანი მომრიგებლის სახელი გაუთქვეს.

ამ თვისებების გამო ბესარიონ ნიუარაძე გახდა ყველაზე ავტო-
რიტეტული კონსულტანტი ყველა იმ მოგზაურ-მეცნიერისა, რომე-
ლიც კი სწვევია სვანეთს ბესარიონის იქ ყოფნის დროს.

ცხუმარელი კოსდა ჯაჭვლიანის მოწმობით „ბესარიონის დახმა-
რებით და უშუალო მონაწილეობით სვანეთში არქეოლოგიური
კვლევითი მუშაობა ჩაატარა ცნობილმა რუს არქეოლოგ ქალმა-
გრაფინია უვაროვამ“¹. თვითონ ბ. ნიუარაძე 1894 წელს გამოქვეყ-
ნებულ წერილში წერდა: „ამ ზაფხულ ბევრ მოგზაურს მოველით,
და იმათ რიცხვში გრაფინია უვაროვასაც“². უვაროვა მართლაც იყო
სვანეთში და ბ. ნიუარაძის დახმარებით სარგებლობდა, რასაც თვი-
თონაც აღნიშნავს თავის ნაწერებში³. მოგვიანებით ბ. ნიუარაძე წერ-
და: „ეს სახარება (ჰადიშისა, ალ. რ.)... არავის უნახავს გარდა გრა-
ფინია უვაროვისა, რომელმაც რამდენიმე ადგილი და სურათები-
ფოტოგრაფიით გადააღებინა“⁴.

მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ბ. ნიუარაძემ ზაქარია ფა-
ლიაშვილს სვანური ხალხური სიმღერების შეკრებაში⁵.

¹ ქოსდა ჯაჭვლიანი. მოგონება ბესარიონ ნიუარაძეზე, ინახება
ავტორთან.

² ბეტანი, კორესპონდენცია. „ივერია“, 1894, № 142.

³ Поеzdka в Пшавию, Хевсуретию и Сванетию графини Уваровой,
МАК, в. X, Тифлис, 1904, გვ. 40.

⁴ ბესარიონ ნიუარაძე, სვანეთის ხელნაწერები, სახარებანი, „მო-
ამბე“, 1904, № 9.

⁵ ზ. ფალიაშვილი, ქართული ხალხური სიმღერების კრებული, 1910,
გვ. 13.

1910 წელს ლეჩხუმსა და სვანეთში ექვთიმე თაყაიშვილი მოგზაურობდა; მას მესტიაში ბესარიონი დახვდა. ბესარიონმა მის მიერ სვანეთის სხვადასხვა კუთხეში ნაპოვნი ხელნაწერი შვილს უჩვენა. ექ. თაყაიშვილმა ბ. ნიუარაძის სახლში აღწერა 15 ხელნაწერი, მათ შორის „დიდი კანონი იერუსალიმის ეკლესიისა“, რომლის 11 მინაწერი (XIV—XV სს) ექ. თაყაიშვილს ამოუკითხავს, და ადიშის სახარების — ოთხთავის — IX ს. ხელნაწერი. ექ. თაყაიშვილის მიერ ამოუკითხულ მინაწერებს შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ადგილი, სადაც ტერმინი „თემი“ გვარის მნიშვნელობით არის მოყვანილი, რაც უპასუხებს ეთნოგრაფიულ მონაცემებს სვანური სამხუბის შესახებ. ამ ხელნაწერთა გარდა ბ. ნიუარაძეს სხვაც ბევრი ჰქონია. ექ. თაყაიშვილის სიტყვით „მესტიაში... ბესარიონ ნიუარაძის სახლში იყო კიდევ ბევრი სხვა ხელნაწერი, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ მოკლებული დავრჩით საშუალებას ისინი გადავვეშინჯა, ვინაიდან ბესარიონი ერთი კვირით ვატაცის ეახლა და მისი დაბრუნების შემდეგ ჩვენ უკვე მულაყის თემში ვიყავით და დრო აღარ გვქონდა მესტიაში დავბრუნებულიყავით“¹.

ეს კავშირი ბესარიონს ექვთიმე თაყაიშვილთან არც შემდევ გაუწყვეტია. მესტიის ერთი ხატის აღწერასთან დაკავშირებით ექ. თაყაიშვილი შენიშნავს: „ეს ხატი ჩვენ იქ არ გვინახავს..., მაგრამ შემდეგ ბ. ნიუარაძემ თბილისში მოგვიტანა პატარა ვერცხლის მომქრული ფირფიტა, რომელიც ეჭვს გარეშე შეაღგენდა ზედა პირს პატარა სახარების ყდისა“².

ასევე გულთბილად შეხვდა ბ. ნიუარაძე მ. ილინას, რომელიც ინგლისელ M. Chambers-თან ერთად მოგზაურობდა სვანეთში. თვითონ მ. ილინა ასე იქონებდა ბ. ნიუარაძის მასპინძლობას: „Об отце Н. Я давно слышала и хотела с ним познакомиться. Он сван, человек в высшей степени образованный и всесторонний. Он один из тех людей, которые теперь стали попадаться даже и в Сванетии, посвятивший свою жизнь своему народу. Сделался он священником с целью иметь больше влияния на сванов. Он очень много

¹ ექ. თაყაიშვილი, აღქვეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, ვარიზი, 1937, გვ. 313.

² ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 282.

пишет, занимается составлением сванетского словаря, изучает корни языка, историю и древность своей страны. На меня он произвел впечатление ученого, углубленного в свои занятия. При этом удивительно интересный собеседник». გარდა ამისა ბ. ილინას მოჰყავს შეტაღ საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ ბ. ნიუარაძე წმინდა ეთნოგრაფიული კოლექციების შეკრებაზედაც მუშაობდა. მისი სიტუაცია: «Отец В. Н. нам показал также коллекцию старинных предметов, которые он собирает, деревянные и металлические ковши, остатки посуды, кресты, украшения и проч. мелкие вещи, которые приносят ему из всех деревень крестьяне. Все предметы были завернуты в бумагу, и нам понравилось с какой любовью на них смотрел отец В. Н. и как тщательно разворачивали и снова заворачивали их его дети»¹. ბ. ნიუარაძემ გაცილა ბ. ილინა და ბ. ჩემბერსი ლენქერში, ლატალში, ბექოში და ეცერში.

ბ. ნიუარაძის დახმარებას აკაღ. პ. კეკელიძე შემდეგი სიტუაციით გადმოგვცემს: «...Виссарион Нижарадзе, природный сван, человек образованный и до того влиятельный, что без его вмешательства сваны не охотно открывают туристам доступ к археологическим своим, в особенности же церковным, памятникам. Благодаря любезности Виссариона, мы получили возможность заниматься интересовавшей нас рукописью в его хлебосольной семье»².

ბ. ნიუარაძეს ბ. მართანაც უმუშავნია, რასაც შემდეგში მათ შორის მიწერ-მოწერა მოჰყვა. ერთ-ერთ წერილზე, რომელიც ჩანს, ბ. ნიუარაძის მიერ შედგენილი ლექსიკონის გამოცემისა და მისთვის ახალი ლიტერატურის გამოგზავნის საკითხებსაც ეხებოდა, ნ. მარი პასუხობს ბ. ნიუარაძეს: „ხოჩა ლადელ! თქვენი წერილი ცაგერიდან მივიღე. ჩემ ნაწერებს გამოგიგზავნი, მაგრამ შემატყობინეთ, თუ რა გსურსთ?“³ შემდეგ ნ. მარი განუმარტავს ლექსიკონის შეძენის პირობებს. ამავე წერილში, სხვათა შორის, ნ. მარი ურჩევს ბ. ნიუარაძეს გამოიყენოს სვანური ტექსტებისათვის ისეთი ტრანსკრიფცია, როგორიცაა: ბ, ჭ, კ, გ, რ, ჟ და კიდევ რამდენიმე ნიშანი, რომლებიც, სამწუხაროდ, არ იკითხება — ეს კიდე წერილს მოხეული აქვს:

ბ. ნიუარაძეს მიწერ-მოწერა ჰქონდა აგრეთვე ალექსანდრე ცა-

¹ М. К. Ильина. დასახ. ნაშრომი, თბილისი, გვ. 55—56.

² К. С. Кекелидзе. Иерусалимский кононарь, Тифлис, 1912, ვ. 3.

³ ნ. მარის წერილი ბ. ნიუარაძესთან, ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.

გარელთან¹, რაფიელ ერისთავთან², დავით კარიჭაშვილთან³ და სხვა... რაფიელ ერისთავის წერილის მხოლოდ მცირე ფრაგმენტია დარჩენილი, მაგრამ იქითხება, რომ იგი ბ. ნიუარაძეს მაღლობას უძღვნეს და, როგორც ეტყობა, ბ. ნიუარაძის მიერ დასაბეჭდად გამოზუგნერლი სტატიებისათვის დამატებით მასალას მოითხოვს, საკუთრივ „ვსოდეთ თუნდა შელლცვები საქონლის და მითოლოგიური ღმერთების რწმენა; ცხოვრებიდგან: მშობიარის და შობილის მოვლა, სნეულის შევედრება, შეთქმა — მეურნეობა: ყანის ლოცვა (თუ იციან), ფუტკრისა, ნადირისა, მონადირისა... აგრეთვე ამაო რწმენა“.

1907 წლის 26 ოქტომბერის ალ. ცაგარელი წერდა ბ. ნიუარაძეს: „ეს რვა წელიწადია არ მინახვიხართ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავ, რომ მუშაობთ და შემდეგშიაც თქვენ სამშობლოს ემსახურებით. თქვენი შრომები თქვენი სამშობლო ენის და მხარის (რომელიც არის საქართველოს უძველესი ნაწილი) გამოკვლევაზედ ლირსი არიან ყოველივე ქებისა და პატივისა; ღმერთმა ქნას, რომ მრავალნი გამოჩნდნენ თქვენი მომბაძავნი შესახებ ჩვენი ქვეყნის სხვა ნაწილებისა“.

ჩვენთვის ცნობილია დ. კარიჭაშვილის ორი წერილი ბ. ნიუარაძისადმი — 1899 წლის 26 იანვრისა და 1912 წლის 15 აპრილის თარიღით. ორივე წერილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობას ეხება. პირველი წერილიდან ჩანს, რომ ბ. ნიუარაძე, ამ დროს უკვე იყო ამ საზოგადოების აქტიური წევრი და სვანეთში მისი დავალებით გარკვეულ სამუშაოს ატარებდა — ზრუნავდა ახალი წევრების ჩაბმაზე, კოლექციების შეკრებაზე და სხვა. მ. ილინას მოგზაურობის აღწერილობიდან ზემოთ მოტანილი ერთერთი ციტატიც ხომ სწორედ ბ. ნიუარაძის მიერ კოლექციების შემკრებლობაზე მიუთითებს. მეორე წერილში დ. კარიჭაშვილი ატყობინებს ბ. ნიუარაძეს: „წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ მოისმინა თაყაიშვილის განცხადება შენის ლექსიკონის შეძენის შესახებ მხოლოდ 12-ს აპრილს, შენის წერილის მიღების შემდეგ გამგეობამ გამოსთქვა სურვილი, რომ შენი ლექსიკონი შეიძინოს და გამოსცეს!... ეს წერილი იწყება მიმართვით „ძმაო ბესარიონ!“ და მთავრდება სიტყვებით: „შენი მეგობარი დ. კარიჭაშვილი“.

¹ ა. ლ. ცაგარელის წერილი ბ. ნიუარაძესთან, ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.

² რ. ერისთავის წერილი ბ. ნიუარაძესთან, ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.

³ დ. კარიჭაშვილის წერილი ბ. ნიუარაძესთან, ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.

1907 წლის 8 ნოემბერს გრიგოლ დიასამიძის და სერგო გორგაძის წინადადებით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების არაჩევულებრივ კრებაზე ბესარიონ ნიუარაძე ორჩეული იყო ამ საზოგადოების ნამდვილ წევრად¹. მისი გვარი არა ერთხელ იხსენიება საზოგადოების მომდევნო წლების ანგარიშებში².

ბესარიონ ნიუარაძეს საქმიანი ურთიერთობა, აღმოცენებული სვანეთის სიძველეებისადმი საერთო ინტერესების ნიადაგზე და გამოტკიცებული ზემოხსენებულ საზოგადოებებში მუშაობის შედეგად, სხვა ქართველ მოღვაწეებთანაც ჰქონდა. სვანეთის ძველ ხელნაწერთა შესწავლა-გამოცემის საკითხთან დაკავშირებით ბ. ნიუარაძე წერდა, რომ რიგი ხელნაწერი „ამ გაზაფხულს განიხილეს დიდათ პატივცემულმა პროფესორმა ბ-მა ხახანაშვილმა და მამა პ. კარბელაშვილმა, რომელნიც უეჭველად თავიანთ გამოკვლევას გამოაქვეყნებენ“³.

ბესარიონ ნიუარაძის პირველი ^{*} წერილი 1873 წელს გამოქვეყნდა. მას აქეთ მოყოლებული, ორმოცი წლის მანძილზე, იგი სისტემატურად თანამშრომლობს იმდროინდელი მოწინავე პრესის მესვეურებთან. მის კალამს სამოცდაათამადე წერილი ეკუთვნის, მათ შორის რიგი ვრცელ ნარკვეს წარმოადგენს. ჩვენთვის ცნობილია ბ. ნიუარაძის შემდეგი ფსევდონიმები: თავისუფალი სვანი, ბ. თ. სვანი, თ. ბეტა-ნი, სვანი, თ-ი. სვანი, ბ. სვანი, თავ. სვანი, ბეს. სვანი; ზოგჯერ იგი აწერდა — ბეს. ნიუარაძე, ბესარიონ ნიუარაძე, ბესარიონ სვანი⁴.

მისი წერილების თემატიკა მრავალფეროვანია; ისინი შეეხება სვანეთის ისტორიას, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას, ფოლკლორს, გეოგრაფიას, ენას, სვანეთში დაცულ ძველ ხელნაწერებს, განათლების მდგომარეობას სვანეთში, ეკონომიკას და მრავალ საჭიროობროტო საკითხს, რომელთა მოუგვარებლობა ამბიმებდა სვანის ცხოვრების ისედაც მძიმე პირობებს. ყოველი მისი წერილი მყარ ფაქტორივ მასალაზეა დაყრდნობილი. მასალის სრული აღწერილობა და წერილის კონკრეტული მისამართი ბესარიონ ნიუარაძის სტატიებს დოკუმენტის მამხილებელ თვისებას ანიჭებს.

¹ ძველი საქართველო, ტ. I, საზოგადოების კრების ოქმები, ოქმი № 3, თბილისი, 1904, გვ. 8.

² ძველი საქართველო, ტ. III, თბილისი, 1913—1914.

³ თავისუფალი სვანი, სვანეთის მანუსკრიპტები, „ივერია“, 1903, № 194.

⁴ ბ. ნიუარაძის ფსევდონიმები გახსნილია თამარ მაჭავარიანის მიერ.

ბესარიონ ნეუარაძე ფაქტიურ მასალას კრებდა უშუალო და ვირვებისა და გამოკითხვის საშუალებით. ივლითი ჭაფარიძის მოწმობით „ბესარიონს უყვარდა სოფლის უხუცეს და თვევაცებულ სჯა-ბასი და ამათგან ისმენდა და წერდა თქმულებებს“, იგვარა კებს, ზღაპრებს და სხვა¹. მას კარგად ესმოდა გადმოცემის წყაროთ-მცოდნეობითი ღირებულება. ერთ-ერთ თავის წერილში ბ. ნიუარაძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „გადმოცემა დაწერილი ისტორიულ ფაქტისავით არ არის შესაწყნარებელი“, მაგრამ სავსებით არ უარყოფს მათ და დასძნეს: „ამგვარი გარდმოცემანი ცოტად თუ ბევრად დაწერილ ისტორიის მაგივრობას სწევენ“².

როგორც ცნობილია, ეთნოგრაფიული მასალის წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას ასევე უყურებდა აკად. ივანე ჯავახიშვილი და შესაბამისად ამისა ეთნოგრაფიული მასალიდან დასკვნების გამოტანისას კრიტიკული პარატის მოშველიებას მოითხოვდა³.

მასალის ჩაწერას ბ. ნიუარაძე ბუნებრივ პირობებში ამჯობინებდა. ამ საკითხთან კავშირში იგი ამბობს, რომ ლიფანალზე ბევრი ზღაპარი ითქმის, „ამით მე ყოველს ზამთრობით ვსარგებლობს ზღაპრების შესაკრებად“⁴. იგი ცდილობდა, რომ მასალა სიტყვა-სიტყვით ყოფილიყო ჩაწერილი: „შელოცვანი დაწერე სიტყვა-სიტყვით, ე. ი. იმ გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომებით როგორითაც ამბობენ ისინი, ვისგანაც გავიგონე“⁵. მასალა იწერებოდა დღიურში⁶; იქ, სადაც საამისო საშუალება არსებობდა, სათანადო ხელსაწყოები იყო გამოყენებული⁷.

ბ. ნიუარაძის მიერ მოწოდებული მასალა მრავალ შემთხვევაში ინდივიდუალიზებული არის. ასე მაგ., „საქორწინო კალათი“ აღწერილია ცალკე ხეობათა მიხედვით⁸; იგი ხშირად ასახელებს მთხობებს. ერთს ადგილას მაგ., ბ. ნიუარაძე წერს: „აი რა მიამბო ბექ-

¹ ივ დითი გ ა ფ ა რ ი ძ ი ს მოგონება ბ. ნიუარაძეზე, ინახება აგტორთან.

² თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, უშგულის აღწერა, „ივერია“, 1888, № 44.

³ ი ვ. გ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი იმპოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 171.

⁴ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, სახალხო დღესასწაულები სვანეთში, „შრომა“, 1883, VI, 9, № 22.

⁵ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, შელოცვები სვანეთში, „ივერია“, 1886, № 215.

⁶ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, იალბუზის გარშემო, „ივერია“, 1889, № 112.

⁷ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, იქვე, № 115.

⁸ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, ცოლ-ქმრობის წესები სვანეთში, „დროება“, 1885, IV, 18, № 80.

მურზა გვიჭიანმა, რომელიც პირველ ექიმად ითვლება სვანეთში¹... ამას წინ უსწრებს ცნობა, რომ გვიჭიანები ცხოვრობენ, ლატალის საზოგადოების სოფ. იფხს“¹. ან: „ეს ფიცი მოკლედ დაწერილია, მითხრა ამისა და სხვა ძველი ამბების კარგად მცოდნებ და შესანიშნავის ხსოვნის მქონე ღრმა მოხუცებულმა უშგულში მცხოვრებ-მა გუა ჩარქსელიანმა“² ეს ლაპარაკობს იმის შესახებ თუ რაოდენ მყარია და საიმედო მის მიერ შექრებილი მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა:

მაგრამ ბ. ნიუარაძე მარტო შემკრები კი არ არის მასალისა; იგი ჩვენ გვევლინება როგორც ამ მასალის ნიჭიერი და მცოდნე მკვლევარიც.

სვანური ფაქტიური მასალის გააზრიანებისას ბ. ნიუარაძე ფართოდ იყენებდა, როგორც საქართველოს სხვა კუთხეების, ისევე სხვა ხალხებისათვის დამახასიათებელ პარალელურ მონაცემებს. ასე მაგ., სვანური „ლიროკინალ“-ის აღწერილობას იგი დასძენს: „რომელსაც რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთში არული კუდიანებისას ეძახიან“³. მიცვალებულზე ტირილთან დაკავშირებით მას მოჰყავს ქვემ სვანური, რაჭული და მეგრული შესადარებელი მასალა⁴. გამოყენებულია აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის მონაცემებიც. სვანეთში ოჯახის წევრთა ურთიერთობის დახასიათებასთან დაკავშირებით ბ. ნიუარაძე საინტერესო განმარტებას გვაძლევს: „საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სვანეთში უფროსებს — მაგალითებრ, დედ-მამას შვილებზე ისეთი განუსაზღვრელი და განკუთხელი უფლება არა ჰქონდათ უმცროსებზე, როგორც ჰქონდათ დაქვსთ ზოგიერთ მთიელ ხალხებს კავკასიაში“⁵.

ბესარიონ ნიუარაძე ხშირად აფართოებს შესადარებელი მასალის რკალს — სვანურ „ლალხორ“-ს, „სვიც“-ს, „სახევ“-ს უდარებს ბერძნების „Agora“-ს, რომაელების „Forum“-ს⁶; სვანურ „მეზირ“-ს რომაელების „Lares penates“-ს და „რუსების „домовои“-ს⁷, ხოლო

¹ თავისუფალი სვანი, მდაბიო ხალხის მკურნალობა სვანეთში, „ივერია“, 1887, № 63.

² თავისუფალი სვანი, უშგულის აღწერა, „ივერია“, 1888, № 49.

³ ბ. სვანი, სვანების ზოგიერთნი ჩვეულებანი და ცრუმორწმუნეობანი, „ივერია“, 1886, № 143.

⁴ თავისუფალი სვანი, წესები მიცვალებულებზე სვანეთში, „დროება“, 1885, III, 8, № 51.

⁵ სვანი, ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში, „ივერია“, 1886, № 55.

⁶ სვანი, ჩვეულებითი უფლება სვანეთში, „დროება“, 1885, № 158.

⁷ თავისუფალი სვანი, კერძო ოჯახების მსხვერპლის შეწირვა სვანეთში, „დროება“, 1884, № 244.

„ნაჭვლაშ“-ს საშუალო საუკუნეების „nuptiale pretium“-ს და ოუ-
სულ „ვენი“-ს¹. ლიფანალის აღწერის დროსაც, მარილის მაგიურ
მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ავტორს შესაძარებლად ანტიკუ-
რი ქვეყნების სათანადო ეთნოგრაფიული მასალა მოჰყავს². იგივე
ითქმის ბალყარელთა ყოფაში მის მიერ დამოწმებული სასმელე-
ბის „ვორაშ“-ის და „სიურა“-ს შესახებ, რომელთანაც დაკავშირე-
ბით იგი ოტო შრა დერის შრომას მიუთითებს და „ძველი ხალ-
ხების“ ყოფისათვის დამახასიათებელ სასმელებს უდარებს³. ქალის
მოტაცების შესახებ, რაც ზოგი ავტორის აზრით განსაკუთრებული
მოვლენაა, ბ. ნიუარაძე ამბობს: „ქალების მოტაცებას, ჩვენ ყოველი
ხალხის ისტორიაში ვხედავთ და ზოგიერთ ქვეყნებში არც აქამომდე
შემწყდარა ეს მოვლენა“⁴.

ბესარიონ ნიუარაძის ასეთი მიდგომა ამა თუ იმ ეთნოგრაფიული
ფაქტისადმი ყოველმხრივ საყურადღებოა. იგი, ზოგი თანამედროვე
ეთნოგრაფივით, შორეული გადმონაშთების უარყოფის გზას კი არ
დაადგა, ვითომცდა იმიტომ, რომ საბაბი არ მიეცა რაიმე ჩამორ-
ჩენილობაზე ლაპარაკისათვის. მან ზუსტად აღწერა ფაქტი, მოიყვა-
ნა შესაძარებელი მასალა და თავისი ისტორიული ადგილი მიუჩინა
მის. ეს არის ბ. ნიუარაძის მოღვაწეობის ერთ-ერთი დამახასიათებე-
ლი მხარე — მეცნიერული დამაჯერებლობით უჩვენოს დღეს საყო-
ველთაოდ ცნობილი გარემოება, რომ შორეული გადმონაშთების
დაცულობა კი არ გამორიცხავს კულტურული განვითარების მაღალ-
დონეს, არამედ იგი მიუთითებს კულტურის განვითარების უწყვე-
ტობას, მისი ფორმების თვითმყოფადობას, ახალ პირობებში ახალია-
ფუნქციის შესრულების უნარს, ე. ი. კულტურის ტრადიციულო-
ბას, მაღალგანვითარებულობას, სიცოცხლისუნარიანობას.

ამასთან ერთად ბ. ნიუარაძემ ერთ-ერთ ძირითად მიზნად დაისახა
სვანების კულტურისა და ყოფის სპეციფიკის გამოვლინება. მიცვა-
ლებულთან დაკავშირებული წესების აღწერისას იგი ამბობს: „ეს
სურათი სხვათა შორის გვიხატავს ხალხის თავისებურ შეხედულე-
ბას მომაკვდავის წინასწარმეტყველურ მნიშვნელობაზე და, მაშასა-
დამე, გვიხატავს ეტნიურ თავისებურებას (этнические особенности)
სვანებისას, რასაც უმთავრესად ეხლა და შემდეგშიაც მივაქცევ უ-

¹ თავისუფალი სვანი, ცოლ-ქმრობის წესები სვანეთში, „დროება“, 1886, № 79.

² თავისუფალი სვანი, სვანების საიქო, „ივერია“, 1888, № 118.

³ თავისუფალი სვანი, იალბუზის გარშემო, „ივერია“, 1889, № 115.

⁴ თავისუფალი სვანი, ქალების მოტაცება სვანეთში, „შრომა“, 1882, № 49.

რადლებას ყოველს ჩემს ეტნოგრაფიულ შენიშვნაში სვანეთის შესახებ¹. ამ მიმართულებით მოღვაწეობას ორგაზრი დანიშნულება ჰქონდა: ერთის მხრივ მას უნდა ეჩვენებინა სვანთა ყოფისა და კულტურის ზოგადი ქართული ფესვები, ხოლო მეორეს მხრივ ემხილებინა იმ აზრის მცდარობა, რომელიც რამდენადმე გვიან მერცხახერმა ასეთი სიტყვებით გამოთქვა: „კავკასიელ ხალხებს არ შეუქმნათ არც ერთი სპეციფიკური, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი მხატვრული ფორმა: იმათ მხოლოდ გადმოჰქმნდათ ასეთები სხვა ხალხებისაგან, რომლებიც მათთან მოდიოდნენ როგორც გაბატონებული რასის წარმომადგენელნი — ბერძნებისაგან, ბიზანტიელებისაგან, სპარსელებისაგან, არაბებისაგან და სხვა“².

ბესარიონ ნიუარაძე სამწერლობო ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როდესაც მეფის რუსეთის ხელისუფლება ამთავრებდა საქართველოს მთიანეთში თავისი მმართველობის დანერგვას. როგორც ცნობილია, ეს იყო ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი, რომლის დროსაც რუსეთის ცარიზმი არ ერიდებოდა შერისხვისა და დაყვავების არც ერთ საშუალებას; მურზაყან დადიშკელიანის მიერ გაგარინის მოკვლა და შემდეგ მურზაყანის დახვრეტი მისი მიწების კონფისკაციით ამ პროცესის ერთ-ერთ ეპიზოდს შეადგენდა. ფართო საზოგადოებრიობა არ იცნობდა იმდროინდელი სვანეთის არც წარსულს, არც აწმყოს.

საუწყებო მიწერ-მოწერებში რუსი მოხელეები სვანებს მეტად არასახარბიელო დახასიათებას აძლევდნენ, ზემდგომ ინსტანციებს მუქი ფერებით უხატავდნენ სვანების ყოფას, ცხოვრებას. სვანეთისა და სვანების დაზვერვის მიზნით წარგზავნილები წერდნენ: „სვანი გულგრილად კლავს თავის ნაცნობს, ნათესავს“³. იმ ღონისძიებათა შორის, რომელიც ისახებოდა სვანების. „მოთვინიერების“ მიზნით, ვარაუდობდნენ: «Для нас-же выгоднее ввести к сванетам Русское богослужение, которое связало бы народ собственно с нами»⁴, ე. ი. ამ პროექტის ავტორის აზრით სვანეთში ღვთისმახურება რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო, მაშინ როდესაც საქართველოს დანარჩენ ნაწილებში წირვა-ლოცვა ქართულად წარმოებდა.

¹ თავისუფალი სვანი, წესები მიცვალებულზე სვანეთში. „დროება“, 1885, III, 15, № 56.

² G. Merzbacher. Aus den Hochregionen des Kaukasus, I. Leipzig. 1901, გვ. 159—160.

³ Рапорт шт.-к. кн. Шаховского барону Розену от 24-го ноября 1834 г., № 41, АКАК, т. VIII, გვ. 466.

⁴ იქვე, გვ. 467.

იმდროინდელი ოფიციოზი, გაზეთი „კავკაზი“ სვანეთის შესახებ
ინფორმაციას დაახლოებით ამავე მიმართულებას აძლევდა¹. დეკ-
ბოდა ახალი „ლუშნუ ანბან“². სვანეთის გაცნობის ძირითად წყა-
როდ ითვლებოდა გ. რადე³, ა. სტოიანოვი⁴, ნ. ღუბროვინი⁵, ი. ბარ-
ტოლომეე⁶ და სხვ. ზემოთ დასახელებულ ავტორთა გვერდით რ-
ერისთავი და დ. ბაქრაძე მცირე გამონაკლისს წარმოადგენდნენ.

ბესარიონ ნიუარაძის წინაშე სრულიად გარკვეული ამოცანა იდ-
გა: მას უნდა მხარი აება იმ დიდი საქვეუნო საქმისათვის, რომელ-
საც იმდროინდელი ქართული საზოგადოების პროგრესული ნაწილი-
ეწეოდა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ეს ამოცანა მისთვის გასა-
გები უნდა გამხდარიყო ჯერ ქუთაისის და შემდეგ თბილისის სემინა-
რიაში სწავლის დროს. მართლაც, მისი პირველი სტატია დაწერილია
თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრებამდე.

მისი პირველი წერილები შეეხება სვანთა საზოგადოებრივი
ცხოვრების ყოველდღიურ საკითხებს: „ერთი მიზეზი სვანეთის სი-
ლარიბისა“⁷, „ცხენის ქურდობის გახშირება“⁸, „ცუდი მოსავლის
გამო“⁹, „ამინდი და მოსავალი“¹⁰ და სხვა.

¹ Шаховский, Немирович-Данченко. Сванетия, «Кавказ», 1846, № 44; Сванетия и последние в ней события, «Кавказ», 1858, № 2; Лобанов-Ростовский. Сванетия, «Кавказ», 1852, №№ 14—17 და სხვ.

² Лушину-Анбани, Тифлис, 1864.

³ Г. Радде. Путешествие в мингрельских альпах и в трех их верхних продольных долинах (Риони, Цхенис-Цкали и Ингур), ЭКОРГО, VII, Тифлис, 1866.

⁴ А. Н. Стоянов. Путешествие по Сванетии. ЭКОРГО, X, в. II, Тифлис, 1876.

⁵ Н. Ф. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, I—IV, Спб., 1871.

⁶ И. А. Бартоломей. Поездка в Верхнюю Сванетию, ЭКОРГО, III, Тифлис, 1855.

⁷ ბესარიონ სვანი, ერთი მიზეზი სვანეთის სილარიბისა, „დროება“, 1873, II, 9, № 6.

⁸ თავისუფალი სვანი. სვანეთიდამ, 31 დეკემბერს, „დროება“, 1880, I, II, № 8.

⁹ თავისუფალი სვანი, სვანეთი, 22 ოქტომბერს, „დროება“, 1882, XII, 23, № 269.

¹⁰ თავისუფალი სვანი, ხმა სვანეთიდან, „დროება“, 1884, IX, 13, № 158.

1873 წლიდან ვიდრე 1885 წლამდე ბ. ნიუარაძე თანამშრომლობს „დროებაში“.

1885 წელს ბ. ნიუარაძე აქვეყნებს ამავე ორგანოში თავისუფრთხოების ერთი ძირითადი ნაშრომის ნაწილს „ჩვეულებრივი უფლება სვანეთში საზოგადოდ და საკუთრივ თავისუფალ სვანეთში“. ამ წერილმა, ჩანს, საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო და „დროების“ გამოსვლის შეწყვეტის შემდეგ ბ. ნიუარაძემ დასახელებული, წერილის მომდევნო თავების ბეჭდვა განაგრძო „ივერიაში“, რომელსაც ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა და რომლის მუდმივ თანამშრომლად ბ. ნიუარაძე ბოლომდე დარჩა. სწორედ ქუთაისში. მასწავლებლობის პერიოდში (1883—1891 წ.წ.) გამოქვეყნდა „ივერიაში“ ბ. ნიუარაძის ისეთი ძირითადი ნაშრომები როგორიცაა: „ჩვეულებითი მართლიერება“ და „სამართლის წარმოება“, „ოთხი დღე...“, „ლინთურალ“, „იალბუზის გარშემო“, „უშგულის აღწერა“, რიგი წერილი სვანური ენისა, სვანთა „აღელვებისა“ და სვანების საზოგადოებრივი ყოფის შესახებ.

იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან კონტაქტის განმტკიცებამ და სვანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე გარკვეული თვალსაზრისით ღრმა ჩახედვამ ბ. ნიუარაძე საკითხების უფრო ფართედ დაყენებამდე მიიყვან. მრავალრიცხვან წერილებში იგი დაბეჭითებით მოითხოვდა სვანთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, „რომლის, შედეგი იქნება მისი გონიერითი განახლებაც“¹; უფრო აღრე, სხვათა შორის, „ვინმე ჭალელი სვანი“ მოითხოვდა: „ვიქონიოთ მხედველობაში ისიც, რომ 15 ათას კაცში არ მოიძებნა არცერთი დურგალი, მჭედელი ან სხვა მოხელე კაცი. ამიტომ ძლიერ კარგი და საჭირო იქნება, რომ სვანეთში სასწავლებელთან პროფესიონალური განყოფილება იქნეს“².

ამასთან ერთად ბესარიონ ნიუარაძეს კარგად ესმოდა, რომ მატერიალური დოვლათის ზრდისა და კულტურის განვითარების ერთერთ მთავარ პირობას სვანეთში გზის გაყვანა წარმოადგენდა. ამის გამო იგი სისტემატურ და დაულალავ ბრძოლას აწარმოებს სვანეთ-

¹ თავისუფალი სვანი, სწავლა-განათლების საქმე სვანეთში, „დროება“, 1883, № 82.

² ვინმე ჭალელი სვანი, სვანეთი, 28 სექტემბერს, „შრომა“, 1882, № 43 (ეს ფსევდონიმი არ არის გახსნილი).

ში გზის გაყვანისათვის. 1883 წელს იგი წერდა: „უბედურება ის არის, რომ ჩვენ, სვანებს, ექიმს გარდა, იმისთანა არსებითი რამაც გვაკლია, — ურომლისოდაც ხალხის ცხოვრება, მისი წინცლა ყოვლად მოუხერხებელია“¹. გზის გაყვანის აუცილებლობის საკითხს იგი შემდეგ არა ერთგზის უბრუნდება — 1887 წელს², 1894 წელს³, და, ბოლოს, ცხუმარელი კოსდა ჭაჭვლიანის მოწმობით, სენატორ ვატაცისადმი მიმართულ სიტყვაში ბესარიონ ნიუარაძემ „...მთავარ და ძირითად საკითხად სვანეთში გზის გაყვანის საკითხი დააყენა“⁴.

თავისი კუთხის მოამაგეობის კეთილშობილურმა, მაგრამ იმ დროისათვის მეტად მძიმე საქმემ, რომელიც თავს იდო ბესარიონ ნიუარაძემ და რომელსაც ასე პირნათლად ასრულებდა, დიდი ავტორიტეტი მოუპოვა მას როგორც სვანეთის გარეთ, ასევე სვანთა შორისაც. ხალხი მას ავალებდა წარმომადგენლობას მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის დასამყარებლად. ასე მაგ., 1890 წელს იგი წარმოადგენდა უშგულის ინტერესებს ბალყარლებთან მოლაპარაკებისას საძოვრების იჯარით გაცემის საკითხზე⁵. სხვადასხვა დავისა და განსაკუთრებით სისხლმესისხლეობის ნიაღავზე აღმოცენებული კონფლიქტების დროს ბესარიონის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ივლითი ჭაფარიძის მოგონებებში ვკითხულობთ, რომ ხალხში იყო გავრცელებული ასეთი თქმა: „ალა ლალვაჩინი ნასკარ ხაჯეში“ („ეს ბლალოჩინის ნააზრევს გავსო“)⁶.

იგი მონაწილეობდა მრავალ კომისიაში, რომელთაც მთავრობა წიშნავდა ამა თუ იმ საკითხის შესწავლისა და გადაწყვეტის მიზნით. ასე მაგალითად, მურჩაყან დადიშქელიანის მიწების საკითხის გამოსარკვევად დანიშნულ კომისიის მუშაობაში ბ. ნიუარაძეც იღებდა მონაწილეობას⁷.

¹ თავის უფალი სვანი. კორესპონდენცია, „დროება“, 1883, № 74.

² თავის უფალი სვანი. საზამთრო გზები სვანეთში, „ივერია“, 1887, № 70.

³ თავის უფალი სვანი. კორესპონდენცია, „ივერია“, 1894, № 268.

⁴ კოსდა ჭაჭვლიანის მოგონება ბ. ნიუარაძეზე, ინახება ავტორთან.

⁵ საბუთის პირი ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.

⁶ ივლითი ჭაფარიძის მოგონება ბ. ნიუარაძეზე, ინახება ავტორთან.

⁷ თავის უფალი სვანი, იალბუზის გარშემო, „ივერია“, 1889, № 100.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი სფერო ბესარიონ ნიუარაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, რომელიც პირველ ხანებში სკოლა ყოფის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისაკენ იყო მიმართული. ღროთა განმავლობაში ბ. ნიუარაძის შემოქმედებაში სულ უფრო მეტ ადგილს იჭერს სვანების საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი პრობლემები, რომლებიც ორგანულად იყო დაკავშირებული ქართველი ხალხის საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივებთან.

ჩვენ ეხლა დანამდვილებით ვიცით, რომ ილია ჭავჭავაძე დაინტერესებული იყო სვანური ენით იმ ძირების გამოსახახვად, რომლებიც საერთოა ქართულისა და სვანურისათვის. ილიას „სალექსიკონი მასალაში“ მოცემულია ქართულ-სვანური ენობრივი ურთიერთობის 111 ნიმუში, რომლებიც ამ სიტყვების საერთო ძირებზე მიუთითებენ¹. ამ ლექსიკურ ურთიერთობაში ილია ხედავდა სვანთა ქართველობის ერთ-ერთ საბუთს. ამავე გარემოებამ განსაზღვრა ბესარიონ ნიუარაძის პოზიცია ხსნებულ საკითხში.

ზემოხსენებული სვანური სალექსიკონი მასალა უშგულურ მეტყველებას განეკუთვნება. დადგენილია, რომ ლექსიკონი შესრულებულია სხვა ხელით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ილიას დავალებითაა შედგენილი, სვარაუდებელია ბესარიონ ნიუარაძის მიერ².

ჩვენ შევეცადეთ სვანურის სპეციალისტების კონსულტაციით შეგვედარებინა ილიას ფონდში დაცული ქართულ-სვანური სალექსიკონი მასალის ხელნაწერი ყველა იმ პირის ხელნაწერთან, რომელთაც შეეძლოთ იმ ღროს ეს მასალა მიეწოდებინათ ილიასთვის. ასეთებად მიგვაჩნდა სამი ნიუარაძე: ივანე ივანეს ძე (რუსულ-სვანური ლექსიკონის შემდგენელი), ივანე თედორეს ძე (მასწავლებელი) და ბესარიონი. შედარება საფუძველს გვაძლევს ვივარაულოთ, რომ ილიას ქართულ-სვანური ლექსიკონის ხელთან ყველაზე ახლო ბესარიონის ხელი დგას.

თუ ეს ვარაუდი დადასტურდა, დადგინდება კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ილია ჭავჭავაძესთან ბესარიონ ნიუარაძის პირადი კონტაქტის არსებობაზე მიუთითებს. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, დამატებით შუქს მოჰყენს ბესარიონ ნიუარაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიმართულებასა და ხასიათს.

„ივერია“ სვანურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით წერდა, რომ სვანური „...ნამდვილად ქარ-

¹ ი. ლ. ი. ჭავჭავაძე ე. სალექსიკონი მასალა. პუბლიკაცია და შენიშვნები შოთა დიმიტრისა, „მნათობი“, 1957, № 10.

² იქვე.

თულია, მხოლოდ აქა-იქ შეცვლილა. მაგრამ ზოგიერთები ვერ შევ-
რიგებიან ამ აზრს და გაიძახიან, სვანები სულ სხვა ხალხიაო!... ნე-
ტავ ვიცოდე, ვისოთვის ან რისოთვისაა საჭირო ეს დაუინება და სკვანების
ბის გასხვისტომება”¹.

ბ. ნიუარაძის პოზიცია სვანთა ენის საკითხში გარკვეულია და
უკომპრომისო. 1891 წელს იგი აქვეყნებს სპეციალურ წერილა,
რომელშიც მას მოჰყავს საინტერესო სტატისტიკური ცნობები სვა-
ნეთში ქართული ენის გავრცელების შესახებ². ამ წერილის შესავალ
ნაწილში იგი აღტაცებით ამბობს: „ქართული ენა შესანიშნავის
სისწრაფით იკაფავს გზას სვანეთისაკენ. ამეამად ქართული ენა შე-
სამჩნევად მოდებულია არა თუ ცხენის წყლის ხეობაში, სადაც სვა-
ნები ბინადრობენ, არამედ ჩქარის ნაბიჯით გადადის ცხრა ათას
ფუტის სიმაღლის „სვანეთის“ ქედზედაც და ეშვება მდ. ენგურის
ხეობაშიც. ჩვენ გვწამს, რომ ესეთი მედიდური მსვლელობა ქართუ-
ლი ენის თავის მონათესავე სვანურისაკენ ბუნებრივია და ამისოთვის
დროს განმავლობაში თან-და-თან გაძლიერდება, გვერდში ამოუდ-
გება სვანურს და იმ სათანადო ადგილს დაიჭერს, რომელიც, უეჭ-
ველათ, ძველად ეკავა“. ამას მოსდევს დაწვრილებითი სტატისტი-
კური ცნობები მოსახლეობის რიცხობრიობისა (ცალკე „მამრი“ და
„მდედრი“) და მათ შორის ქართულის მცოდნებისა ლენტებში,
ჩოლურში, ლაშეთში, უშგულში, კალაში, ითარში და მულაბში.

ამ საკითხისადმი მიძლვნილ წერილთა შორის აღსანიშნავია სვანი
ბ. მ-ნის წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „რა საჭირო იყო
ან ქართული წიგნები, ან ქართული მხატვრობა, ან ქართულად წირ-
ვა-ლოცვა, თუ სვანები სხვა ტომის ხალხია და მათი ენაც სხვა!...
რომელ მათვის უცხო ენას შეეძლო ქრისტიანობის დაცვა ამ მი-
ვარდნილს ქვეყანაში, თუ არა ისევ ქართულსა, რომელიც სვანებს
დედაენად მიაჩნიათ?“³. ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს მაგალი-
თები: ღერბეთ — ღმერთი, ლამარია — მარიამ, ღიღაბ — ღიღება, მა-
დილ — მადლი, ქვერწილ — ქორწილი, სახრაბ — სახარება და სხვა-

¹ სვანი ბ. მ-ნი. რა ენაზე ადიდებდნენ და ადიდებენ სვანები ღმერთს,
„ივერია“, 1904, № 28 (ეს ფსევდონიმი არ არის განსილი).

² თავისუფალი სვანი, ქართული ენის გავრცელება სვანეთში,
„ივერია“, 1891, № 126.

³ სვანი ბ. მ-ნი, რა ენაზე ადიდებდნენ და ადიდებენ სვანები ღმერთს,
„ივერია“, 1904, № 28. საბჭოთა ენათმეცნიერებაში მიღებული დებულებით ქარ-
თული, სვანური და მეგრულ-ჭანური (ზანური) ქართველურ ენათა ჭგუფს შე-
ადგენენ.

1864 წელს გამოიცა სვანური ანბანი — ლუშნუ-ანბან — რუსული ენაზე¹. ჩანს, შტაბს-კაპიტან თავად შახოვსკოის წინადადებაზე სვანული ღვთისმსახურების რუსულ ენაზე გადაყვანის შესახებ მმართველ წრეებში მხარდაჭერა პპოვა. გაისმა პროტესტის სმები; რუსული ლუშნუ-ანბანის მოწინააღმდეგეთა რიგებში პირველი ადგილი ბესარიონ ნიუარაძემ დაიჭირა. იგი წერდა: „პირველ გვერდის ნახევარი უსლარის მიერ შედგენილს ალფაბეტის უჭირავს, რომელსაც საფუძვლად რუსული ასოები უძევს. მთელი ნახევარი გვერდი ალფაბეტის შემდგენელს მოუნდომებია იმ 13 ასოს ასენისათვის, რომელნიც რუსულში არ მოიპოვება სვანურის გამოსახატავად, ხოლო ქართულში-კი არის“.

ბესარიონ ნიუარაძეს მოჰყავს რიგი მაგალითი, იწუნებს მათ და დასძენს: „აქ დასახელებული მაგალითები საკმაო უნდა იყოს „ლუშნუ ანბანის“ უვარგისობის დასამტკიცებლად. სკოლებში მისი ხმარება ნამდვილ ვნებას მოუტანს სვანების სარწმუნოებრივსა და ზნეობრივს აღზრდას“².

რამდენიმე წლის შემდეგ ბ. ნიუარაძე კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს; ერთი სკოლის შესახებ იგი წერდა: „დღესაც ხელუხლებლად დგას აქ რამდენიმე ყუთი სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთით გამოტენილი, მომეტებულად „ლუშნუ ანბანით“ (სვანური ანბანი), რომელიც შესდგა განსვენებულის პ. უსლარის მოგონილის ასოებით. 1872 წ. მასწავლებელიც დაინიშნა აქ, რამდენიმე კვირა ფარელების ბავშვებიც დადიოდნენ, მაგრამ როდესაც მშობლებმა გაიგონეს „მუ გვიშგვე, ხედა ხი დეცარუი“ (მამაო ჩვენო, რომელი ხარცათა შინა), „ნუგეშინის მცემელო“, სვანურად „ნუ გვშინია-დ“ თარგმნილი, უმჯობესად დაინახეს. შვილები ისევ სახლში წაეყვანათ და სამწყემსურში გაეგზავნათ, ვიდრე ღვთის გმობა ესწავლებინათ „ლუშნუ ანბანის“ წყალობით“³.

ცნობილია, რომ ბ. ნიუარაძე ხანგრძლივად მუშაობდა სვანურ ლექსიკონზე. მას ინტენსიური მიწერ-მოწერა ჰქონდა როგორც ნ. მართან, ისე სხვა ქართველ მოღვაწეებთან ამ ლექსიკონის გამოცემის შესახებ. ზემოხსენებულიდან ჩანს, რომ ლექსიკონზე მუშაობია.

¹ ლუშუ-ანბან. თიფლის, 1864.

² თავის უფალი ს ვანი. საბიბლიოგრაფიო შენიშვნა, „ივერია“, 1891, № 6.

³ თავის უფალი ს ვანი. იალბუზის გარშემო, „ივერია“, 1889, № 101, ზემოთ მოყვანილი წინადადება წიგნში შემდეგ სახეს ატარებს: **Му гушე, хеда хі деңаржі** (ლუშუ—ანბან, გვ. 14).

ერთ-ერთ ძირითად მიზანს სვანური ენის ქართულთან ურთიერთობის გარკვევა წარმოადგენდა¹.

ამასცე ისახავდა მიზნად ბ. ნიუარაძის „მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა“².

ბ. ნიუარაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ყველაზე ღიღი ადგილი აქვს დათმობილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევებს. მათ შორის, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია წერილების ერთი სერია; რომელშიაც ფაქტების ზედმიწევნითი ცოდნით და საკითხის როგორც თეორიული, ისევე პრაქტიკული მნიშვნელობის ღრმა გაგებით, წარმოდგენილია სვანების ჩვეულებითი სამართლის საკითხები³.

საკუთრივ სვანეთის პოლიტიკური ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ წერილთა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის წერილები, რომელშიაც ასახულია ბ. ნიუარაძის დამოკიდებულება 1852 და 1875—76 წლების ამბებისადმი.

პირველ წერილში⁴ ბ. ნიუარაძე აზუსტებს ბარტოლომეის, სტოიანოვისა და ბოროზდინის ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდნენ სვანები დეკანოზ ქუთათელაძის რჩევას ვორონცოვთან მისვლისა და რუსთა მფარველობის მიღების თაობაზე. ამ ამბის მონაწილე პირთა ჩვენების საშუალებით ბ. ნიუარაძე აღადგენს სინამდვილეს, საკუთრივ სპილინდო გავაშელიშვილის მიერ ვორონცოვთან სვანთა მოტყუებით წაყვანის ფაქტს.

მეორე წერილში⁵ ბ. ნიუარაძე ეხება ხალდეშობას⁶, რომლის დამსწრე იგი თვითონ იყო. როგორც ცნობილია ამ დროს, ე. ი. 1875 და 1876 წლებში ბესარიონი თბილისის სასულიერო სემინარიაში

¹ ეს ლექსიკონი ხელნაწერის სახით ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კაბინეტში.

² თავისუფალი სვანი, მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა, „ძველი საქართველო“, ტ. II, გან. II, თბილისი, 1911—1913.

³ ამ საკითხე იხ. ამავე კრებულში მოთავსებული რ. ხარაძისა და ივ. სურაულაძის სპეციალური სტატია „ბ. ნიუარაძის ნარკვევები ჩვეულებითი სამართლის შესახებ სვანეთში“.

⁴ სვანი, ვინ მოიყვანა 1852 წ. შვიდი სვანი ბორჯომს მთავარმართებელთავ. ვორონცოვთან?, „ივერია“, 1895, № 122.

⁵ თავისუფალი სვანი. სვანების აღელვება 1875—1876 წ.წ., „ივერია“, 1892, №№ 129, 130, 131, 132, 133, 137, 141.

⁶ „ხალდეშობა“-ის სახელით სვანეთში ცნობილია სოფ. ხალდეს განადგურება დამსჯელი რაზმის მიერ „ურჩობისათვის“.

სწავლობდა და ზაფხულობით სვანეთში ადიოდა. ლეჩხუმის მაზრის უფროსის განკარგულებით ბ. ნიუარაძე გამოძახებული იქნა მასთან; აյ იგი ასრულებდა თარჯიმან-შუამავლის როლს გრინეცის და ტებოხებულ სვანთა შორის. ეგნატე გაბლიანის მოწმობით მაზრის უფროსი „... გზავნის ხალდეშლებთან რამდენიმე შეგნებულ სვანს და მათ შორის თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეს ბესარიონ ნიუარაძეს“¹. ამის შესახებ თვითონ ნიუარაძე ერთს ადგილას, ზემოთ დასახელებული წერილის გამოქვეყნებამდე, ჯერ მხოლოდ გაყვრით, ამბობს: „ჩვენ დამსწრე ვიყავით ამ ამბვისა“—ო². არსებობს ცნობა, რომ მოიპოვებოდა ვრცელი ხელნაწერი ხალდეშობის შესახებ, რომელიც ეკუთვნოდა „ვიღაც მღვდელსა თუ მასწავლებელს“³, იმ ამბების დამსწრეს.

ელისა გულბანს გაუგონია თავისი მამის თამბი გოგის ძე ხარძიანისაგან: „ხალდეს აჭანყების დროს ბესარიონი და მე მოციქულები ვიყავით ს. კალაში დაბანაკებული რუსის ჯარის სარდლობასა და ხალდეშობის შორის“⁴. ივლითი ჯაფარიძის გადმოცემითაც იგივე დასტურდება⁵.

ბ. ნიუარაძის ზემოთ დასახელებული წერილი, რომელიც მან 1892 წელს გამოაქვეყნა, ამრიგად, 1875—1876 წ.წ. ამბების დამსწრე პირის მოგონებაა (შესაძლებელია ის ხელნაწერი, რომლებზედაც ზ. შანშეივი მიუთითებდა). ამ წერილებში ბ. ნიუარაძე გვაძლევა ხალდეშობის დაწვრილებითა და სრულ სურათს. ეს წერილები წარმოადგენს მოწმის ყველაზე ობიექტურ ჩვენებას იმ ტრაგიზმით აღსავს ეპიზოდის შესახებ⁶, რის შემდეგ სრულიად განაღურდა ერთი სვანური სოფელი ხალდე და ქართველი ხალხის ისტორიაში შევიდა ახალი ცნება — „ხალდეშობა“.

მოკლეა, მაგრამ მეტად საყურადღებო ბ. ნიუარაძის ერთი წერილი, რომელიც ბალსზემო სვანეთის მოსახლეობის მიწათმფლობელობის საკითხებს შეეხება. იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმ-

¹ ე. გ. გაბლიანი, ქველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925, გვ. 105.

² თავისუფალი სვანი, უშგულის აღწერა, „ივერია“ 1888, № 37.

³ З. Шаншиев. По Сванетии; Путевые очерки, Тбилиси, 1937, 83. 164.

⁴ ე. ლ. ს. ა გულბანის მოგონება ბ. ნიუარაძეზე, ინახება ავტორთან.

⁵ ი. ვ. დ. ი. თ. ჭ. ა. რ. ი. ძ. ი. ს მოგონება ბ. ნიუარაძეზე, ინახება ავტორთან.

⁶ ხალდეშობასთან დაკავშირებით იხილეთ: ა. კ-ლი. გლეხთა შეიარაღებული აჭანყება სვანეთში (დოკუმენტებითურთ), „საისტორიო მოამბე“, 1, თბილისი, 1945.

წიფო ქონებათა სამმართველო სვანეთის ამ ნაწილის მოსახლეობას
სახაზინო გლეხებად თვლიდა, ბ. ნიუარაძემ საჭიროდ დაინახა პრე-
საში გამოხმაურებოდა ამ საკითხს. იგი წერდა: „ა) თავისუფალ სტა-
ნეთი ნებაყოფლობით შეეფარა რუსეთის მფარველობას; ბ) თავი-
სუფალ სვანეთს არ ყავდა მებატონე, როგორიც იყო მაგალითად
თ. კონსტანტინე დადიშვილიანი, რომლის მამულიც შემდეგში ხა-
ზინას გადაეცა, როგორც მთავრობის მოწინააღმდეგესი; გ) ხაზი-
ნას არ მიუცია თავისუფალ სვანეთისათვის თავისი ადგილი დასასახ-
ლებლად. და დ) თავისუფალი სვანეთი არ იყო საეკლესიო, რომ მისი
ადგილები ხაზინას დარჩენოდა. მაშინად უნდა იყვნენ უშგულელე-
ბი, კერძოდ კი თავისუფალი სვანები საზოგადოდ ხაზინის გლე-
ხები“¹.

მიწათმფლობელობის ფორმების საკითხს ბ. ნიუარაძე სხვა
თვალსაზრისითაც განიხილავს. ერთს თავის წერილში იგი ამბობს:
„სვანეთში სახნავი მიწა საერთო მფლობელობაში არ არის, საზო-
გადო, სასოფლო და სათემო მფლობელობაში არიან: სამწყემსურა
საძოვარი ადგილები, სათიბები მთებში და ზოგიერთი ტყეები“².

სათემო მიწათმფლობელობის პრობლემა, როგორც ცნობილია,
თავის დროზე სადისკუსიო პრობლემა იყო. მკვლევარ-მოღვაწეთა
ერთი რიგი უარყოფდა საქართველოში სათემო მიწათმფლობელო-
ბის ძველთაგან მომდინარეობას. ამათ რიცხვს განეკუთვნება მაგ.
ი. სეგალი, რომელსაც XIX ს. არსებული ფაქტები სათემო მიწათ-
მფლობელობისა ახალ წარმონაქმნად მიაჩნდა და საკუთრივ ამიერ-
კავკასიის შესახებ ამბობდა: „Общинная форма землевладения, не
успев прочно укорениться в нравах населения края, не имеет
здесь и устойчивости, присущей освященным веками тради-
циям и обычаям“³.

იმ რიგის შეხედულებათა მცდარობა, რომელთა მიხედვით XIX ს.
დადგენილი ფორმები საერთო მიწათმფლობელობისა თითქოს ახალ
წარმონაქმნს შეადგენენ და არა ძველთაგან არსებული ინსტიტუტის
გადმონაშთს, მხილებულია; დადგენილია, რომ ეს შეხედულებანი

¹ ბ ე ტ ა-ნ ი. სახაზინო გლეხნი არიან თუ მესაკუთრენი მცხოვრებნი თავი-
სუფალის სვანეთისა?, „ივერია“, 1894, № 118.

² ს ვ ა-ნ ი. ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში. „ივერია“, 1886, № 62.

³ И. Сегаль. Крестьянское землевладение в Закавказье, Тифлис, 1912. гл. VI.

ბურჯუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი გამოვლინებაა. პ. გუგუ-შვილის სიტყვით: „მთა საოცრად აგუებს ერთმანეთს, ერთის მხრის, მიწის კერძო საკუთრებასა და, მეორეს მხრით, მიწის თემურ მფლობელობაზე დამყარებული წარმოებითი ურთიერთობის პირობებში წარმოშობილ და უკანასკნელისავე შესაბამისი საზოგადოებრივი ყოფიერების ფორმათა გამომსახველ აღათ-ჩვეულებასა“¹...

ჩანს, ბ. ნიუარაძე სათემო მიწათმფლობელობის პრობლემების გარშემო ატეხილი დისკუსიის კურსში იყო, ყოველ შემთხვევაში ამ საკითხშიაც იგი სწორ პოზიციაზე იდგა.

ზევით იყო აღნიშნული ბ. ნიუარაძის მუშაობა სვანეთში დაცული ქართული ხელნაწერების შესწავლაზე. ამ მუშაობის შედეგად მან ორი წერილი გამოაქვეყნა². დასახელებულ წერილებში მოცემულია მის მიერ ნახულ ხელნაწერთა ერთი ნაწილის აღწერილობა და, გარდა ამისა, გამოქვეყნებულია ხელნაწერთა რიგი მინაწერების რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ შუა საუკუნეების სვანეთის საზოგადოებრივი ყოფის შესწავლისათვის. ამ მინაწერებში დაცულია ცალკე ხევთა შორის დადებული ხელშეკრულებები, ხევის შიგნით მობინადრე გვარების, ოჯახების თუ პირების ურთიერთობათა ამსახველი ეპიზოდები, ცნობები ამა თუ იმ ხევის სამეურნეო ცხოვრებისა და სხვა მხარეების შესახებ³. დასახელებულ მინაწერთა შუქზე ახალი ეთნოგრაფიული მასალის შესწავლის შედეგად დადგენილია XIV—XV სს. სვანეთში, განსაკუთრებით მის ბალსზემო ნაწილში ტერიტორიული თემის გაბატონებული აღგილი, საზოგადოებრივი გაერთიანების ამ ფორმის თავისებურებანი⁴, დასახლების ძირითადი ერთეულის სახეობანი⁵. სვანეთის ამ პერიოდის ისტორიისათვის საჭირო მასალის სიმცირის პირობებში ბ. ნიუარაძის მიერ მიკვლეულსა და გამოქვეყნებულ მინაწერებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

¹ პ. გუგუშვილი, თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში, ექონომიკის ინსტიტუტის „შრომები“, I, თბილისი, 1947, გვ. 36.

² თავისუფალი სვანი, სვანეთის მანუსკრიპტები, „ივერია“, 1903, № 194; ბესარიონ ნიუარაძე. სვანეთის ხელნაწერები, სახარებანი, „მომბე“, 1904, № 9, № 10.

³ ამ მინაწერთა ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია პ. ინგოროვას მიერ, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნავეთი მეორე, თბილისი, 1941.

⁴ რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მსე, VI, თბილისი, 1953.

⁵ А. И. Робакидзе. К вопросу о формах поселения в Сванети; Краткие сообщения Ин-та этнографии, в. XXIX, 1958.

* * *

ბესარიონ ნიუარაძის შრომების უდიდესი ნაწილი სვანეთის ეთნოგრაფიის საკითხებისადმია მიძღვნილი. ამ რიგის ნაშრომების დასახელებათა საკმაოდ ვრცელ სიაში პირველი ადგილი უჭირავს ნარქვევს „სახალხო დღესასწაულები სვანეთში“. ამ ნარქვევში მოცემულია პირველი სისტემატური და კვალიფიციური აღწერილობა სვანური ხალხური დღესასწაულებისა წლის მთელ მანძილზე დაცალკეული ციკლების მიხედვით, საკუთრივ: ზამთრისა — „შობ“, „ქრისტეეშ“, „ლიფაანალ“, „ლიმპარ“ და „ლიქვრაშ“, გაზაფხულისა და ზაფხულისა — „უფლიშ“, (ანუ ხოშა თანაფ), „ჰულიშ“, „ქაშვეთობ“, „ლიგურკი“ (ანუ „ზურა ლასკარ“); შემოდგომისა — „ლაგვან“ (ანუ „კონჩხარ“) და „ბაცხ“ (ანუ „ქუნეგვეშ“)¹. სისრულისა და მთელი წლიური ციკლის მოცულობის მხრივ ეს აღწერილობა აქამდე ერთად ერთია. მომდევნო წელს ბ. ნიუარაძე აქვეყნებს ვრცელ წერილს მიცვალებულთან დაკავშირებული წესების შესახებ, რომელშიაც ასევე დაწვრილებით არის აღწერილი წესჩვეულებათა ეს სფერო მოყოლებული სვანის სიცოცხლის უკანასკნელი დღეებიდან ვიდრე მისი გარდაცვალების წლისთავამდე².

ზემოთ დასახელებული წერილების შევსების მიზნით ბ. ნიუარაძემ ორიოდე წლის შემდეგ გამოაქვეყნა ახალი მასალა, რომელიც გიორგობის, ნათლისღების და სხვა ხალხურ დღეობათა აღწერილობას შეიცავს. წერილში ავტორს მოჰყავს მეტად საყურადღებო ცნობა უძლების კვირასთან დაკავშირებული ერთი წესჩვეულების შესახებ, საკუთრივ: „უძლების კვირის შაბათს ყოველი მოსახლე თხელის ცომისაგან სხვა-და-სხვა პირუტყვის სახეს გააკეთებს, ან უკედვსთქვათ, დახატავს ბაკის კედლებზე ხარის, ძროხის, ცხვრის, თხის, ცხენის და სხვა სახეს. ამ პირუტყვების სახეების დახატვა ბაკის კედლებზე, ხალხის აზრით, ხელს უწყობს პირუტყვის გაშენებას,

¹ თავისუფალი სვანი. სახალხო დღესასწაულები სვანეთში, „შრომა“, 1883, V, 26, № 20; VI, 9, № 22; VI, 23, № 24; მისივე, სახალხო დღესასწაულები სვანეთში, „დროება“, 1884, X, 19, № 226; X, 24, № 229. შდრ. გ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1. ახალწლის ციკლი, თბილისი, 1939.

² თავისუფალი სვანი. წესები მიცვალებულზე სვანეთში, „დროება“, 1885, III, 2, № 97, III, 8, № 151, III, 14, № 56.

გამრავლებას“¹. ამგვარად, ბ. ნიუარაძემ პირველმა აღწერა ეს მეტად საყურადღებო წესჩვეულება და დაადგინა მისი მაგიური ბუნება. კიდევ ერთ წერილში, რომელიც ამავე პრობლემას ემსახურება, ბ. ნიუარაძეს წარმოდგენილი აქვს უნიკალური მასალა „ლიფანალ“-ის შესახებ². სამწუხაროდ, ბესარიონ ნიუარაძის ღვაწლი ამ ინსტიტუტის მიკვლევა-აღწერის საქმეში აქამდე არ არის ჯეროვნად შეფასებული. უფრო მეტის თქმაც შეიძლება: იმის გამო, რომ ნ. მარია არ იცნობდა ბ. ნიუარაძის ზემოთ დასახელებულ წერილებს, მან ვერ შეამჩნია აღნიშნული „მხატვრობის“ ყველაზე არსებითი მხარე — ცხოველთა გამოსახულების პრაქტიკა — და გამოთქვა აზრი თითქოს ეს „მხატვრობა“ მხოლოდ ჯვარის გამოსახულებით იყო წარმოდგენილი და მხოლოდ ლიფანალთან დაკავშირებული³.

მოკლე, მაგრამ შინაარსიანია და უხვი კონკრეტული მასალის შემცველი ბ. ნიუარაძის წერილები სვანთა საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის საკითხების შესახებ⁴. ამ წერილებშიც მისთვის ჩვეული სისტემატურობით, თანმიმდევრობით, სიზუსტითა და სისრულით აღწერილია ქორწინების ინსტიტუტის ყველა საფეხური — დანიშვნა, ქორწილი, ჯვრისწერა. ბ. ნიუარაძის მიერ ფიქსირებული ეს მასალა განსაკუთრებული მნიშვნელობისა აღმოჩნდა ქართველი ხალხის ოჯახის ფორმათა განვითარების ისტორიის შესწავლის საქმეში⁵.

ბ. ნიუარაძეს არ გამოპარვია მხედველობიდან არც ბაგშვთა აღზრდა — ეთნოგრაფიისათვის ოდესალაც ტრადიციული, დღეს რატომ-დაც მივიწყებული საკითხი. მას აქვს მოცემული 18 თამაშობის აღ-

¹ ბ. ს ვ ა ნ ი, სვანების ზოგიერთნი ჩვეულებანი და ცრუმორწმუნეობანი, „ივერია“, 1886, № 143, 146.

² თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, სვანების საიქიო, „ივერია“, 1888, № 116, 118. ამ საკითხს ვ. ბარდაველიძემ მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი „ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები“, თბილისი, 1953.

³ Н. Я. М а р р. Из поездок в Сванию (летом 1911 — 1912 гг.), Христианский Восток, т. II, в. I, Спб., 1913, გვ. 10.

⁴ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, ცოლ-ქმრობის წესები სვანეთში, „დროება“, 1885, IV, 16, № 79, IV, 18, № 80.

⁵ რ. ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939, მისივე, Грузинская семейная община, ნ. I, თბილისი, 1960, ნ. II, თბილისი, 1961 და სხვ.

³ ბ. ნიუარაძე

წერილობა¹, რომელთა შორის ნაწილი დღეს უკვე სკოლაში დასანერგავად ჩეკომენდებულ თამაშობებშია შეტანილი². არც მეურნის ნალობის ხალხური წესებია მის მიერ დატოვებული ყურადღებული გარეშე. ერთ მოქლე წერილში³ ბ. ნიუარაძემ შესძლო მიეწოდებინა ცნობები, როგორც „ექიმების“, ასევე საექიმო საშუალებათა და მასთან დაკავშირებული თქმულებების შესახებ.

განკერძოებით დგას ბ. ნიუარაძის ერთი წერილი, რომელიც მან „ლინთურალ“-ს მიუძღვნა⁴. მიუხედავად სიმოკლისა იგი ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორიის შესწავლისათვის და ისეთ მოვლენათა რიგს ეხება, როგორიცაა ხევსურული „ქალვაუბობა“ და ფშავური „წაწლობა“. დასახელებული ინსტიტუტების შესწავლის შედეგად რ. ხარაძის მიერ მიკვლეულია საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი უძველესი ფორმა⁵.

რამდენადმე სხვა გეგმით არის დაწერილი ბ. ნიუარაძის სვანეთში მოგზაურობათა აღწერილობანი⁶. როგორც თავის ადგილას იყო აღნიშნული, მოგზაურობისას იგი დღიურს ადგენდა და მოგზაურობათა აღწერილობანიც ამ დღიურების მიხედვით არის შედგენილი. აგებულებით, შინაარსით და მნიშვნელობით ბ. ნიუარაძის ეს ნაშრომები ო. სახოკიას გურია-აჭარა-სამურზაყანოში „მოგზაურობის“ ტიპისაა — აღწერილობითი მასალა დალაგებულია მარშრუტის მიხედვით, აღწერილობა დამყარებულია უშუალო დაკვირვებაზე, ყოველი ფაქტი თუ მოვლენა, რაც არ უნდა წვრილმანად გამოიყურებოდეს იგი, ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი მხარეების გაცნობის მიზანს ემსახურება.

¹ თავისუფალი სვანი, ზოგიერთი საყმაშვილო თამაშობანი სვანეთში, „ივერია“, 1886, № 149, 152.

² 6. შიშნიაშვილი, ქართული ხალხური მოძრავი თამაშობანი. თბალისი, 1958, გვ. 93, 104.

³ თავისუფალი სვანი, მდაბიო ხალხის მკურნალობა სვანეთში, „ივერია“, 1887, № 63.

⁴ თავისუფალი სვანი, „ლინთურალ“-ი, „ივერია“, 1889, № 18.

⁵ რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939.

⁶ თავისუფალი სვანი, ოთხი დღე მდ. ენგურის, ცხენის წყლის და რიონის სათავეებში, „ივერია“, 1886, №№ 237, 238, 240, 241, 245, 247, 256, 258, 262, 264, 266; მისივე, უშგულის აღწერა (სვანთა ყოფა-ცხოვრებიდამ), „ივერია“, 1888, №№ 35, 37, 43, 44, 49, 68, 69; მისივე, იალბუზის გარშემო (დღიურიდან), „ივერია“, 1889, №№ 100, 101, 102, 104, 107, 110, 111, 112, 113, 115, 118, 119, 123, 124, 125.

ზემოთ დასახელებულთა შორის პირველ ნაშრომში ოლწერილია მწყემსობის რიგი, გზები და გადასავლები, სათიბ-საძოვრები, თავ-შესაფარი ქვაბები, მცენარეული საფარველი, სალოცავები, ტოვონიძიება, ნასახლარები, მეურნეობა საერთოდ, კერძოდ ნადირობის ფორმები, ბუნება, მეზობელ კავკასიელ ტომებთან ქართველების ურთიერთობა, ჯაფარიძეთა სიგელში მოხსენებული დასახლებული პუნქტები, ეკლესიები, ციხე-სიმაგრეები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, სიმღერები, ცეკვა-გართობა და სხვა.

ასევე მრავალი მასალის შემცველია „იალბუზის გარშემო“. მოგზაურობის მარშრუტის მიხედვით იგი ოლწერს ბექის თემს, დადიშკელიანთა შორის ბალსქვემო სვანეთის განაწილებას, დადიშკელიანებისა და რიჩიგიანების ურთიერთობას, გაერთიანებას „ლეჩიან“-ის სახელწოდებით, რომელშიაც შედიოდა დოლი, ქართვანი და ჰებუთი, „ლალხორ“-ს — საერთო ყრილობას, სკოლებისა და განათლების მდგომარეობას, ლახამულის, მახვილის, რანგის დამზადებას, ჭუბერისა და ნენსკრას ნასახლარებს, სვანეთ-ყაბარდის, სვანეთ-ბალყარეთის და სვანეთ-ყარაჩას ურთიერთობას, ბახსანის ხეობას, ბალყარულ სასტუმრო სახლსა და სახლის ბუხარს და სხვა.

დასახელებული ნაშრომები წარმოადგენს სანდო წყაროს არა მარტო სვანების, არამედ მათი მეზობელი კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიის ღერძებული საკითხების შესწავლისათვის.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს „ივერიაში“ გამოქვეყნებული ორი ცნობა. პირველ ცნობაში ვკითხულობთ: „ჩვენ შევიტყეთ, რომ თავისუფალის სვანის წერილები, რომელიც იძევდებოდა ჩვენ გაზეთში სხვა-და-სხვა დროს, ამ უამად ეგრძანულ ენაზედ ითარგმნება. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამავე წერილებმა მიიქციეს ყურადღება რუსეთის ზოგიერთ მეცნიერთა და ერთი მათგანი, პროდესორი კოვალევსკი, უხვად სარგებლობს ამ წერილებით თავის სამეცნიერო გამოკვლევისათვის ძველის-ძველ კანონთა და ჩვეულებათა თაობაზედ¹. მეორე ცნობა ეხება ბ. ნიუარაძის წერილების რუსულად თარგმნას რ. ერისთავის მიერ მათი გამოქვეყნების მიზნით².

ბესარიონ ნიუარაძის ნაშრომები მრავალ ცნობას შეიცავენ, რომლებიც საკმაო სისრულით აშუქებენ სვანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად მხარეებს. ისინი წარმოადგენენ კიდევ ერთ საბუთს იმისას, რომ თითქმის მთელი XIX ს-ის მანძილზე სვანეთი

¹ ახალი ამბავი, „ივერია“, 1887, № 6.

² ახალი ამბავი, „ივერია“, 1887, № 140.

სამი ნაწილისაგან შედგებოდა, რომლებიც საზოგადოებრივ-ეკონო-
მიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდა; რომ-
მათ შორის ბალსზემო სვანეთმა ამ დროისათვის არ იცოდა ჩამო-
კვეთილად არც ფეოდალური საკუთრება მიწაზე, არც პირადი ვალ-
დებულება; რომ ამის გამო სვანეთის ამ ნაწილში განსაკუთრებით
იყო შემონახული თემური ყოფის გადმონაშორები; რომ კლასობრი-
ვი საზოგადოება სვანეთში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართ-
ველოს მთიანეთში, თავის დროზედ, თემური წყობილების რღვევისა
და ფეოდალური ურთიერთობის განვითარების საფუძველზე ყა-
ლიბდებოდა.

ბესარიონ ნიუარაძემ საფუძვლიანი ზოგადი განათლება მიიღო;
იგი კარგად გაეცნო კლასიკურ ენებს; მან ზედმიწევნით იცოდა თა-
ვისი კუთხის აწყვი და წარსული; იგი ლრმად ჩაწევდა მის წინაშე
დასმული ამოცანების მეცნიერულსა და საზოგადოებრივ არსს. ყვე-
ლაფერმა ამან განაპირობა ბესარიონ ნიუარაძის სამეცნიერო-პუბ-
ლიცისტური ნაშრომების ის დიდი მნიშვნელობა, რაც სავსებით
ამართლებს მათს გამოცემას დამხმარე მასალის სახით.

ასეთად წარმოგვიდგება ჩვენ დღეს ბესარიონ ნიუარაძის
ნაწერების სამეცნიერო და პუბლიცისტური ლირებულება, რაც მათ
ავტორს წარმოაჩენს, როგორც XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართველ
საზოგადო მოღვაწეთა პროგრესული ჭგუფის თვალსაჩინო წევრს.
„თქვენი შრომები თქვენი სამშობლო ენის და მხარის... გამოკვლე-
ვაზედ ღირსნი არიან უოველივე ქებისა და პატივისა“.... ამ სიტყვე-
ბით ალექსანდრე ცაგარელმა გამოხატა იმდროინდელი ქართველი
მოწინავე საზოგადოების აზრი; მათში მოცემული მაღალი შეფასება
ბესარიონ ნიუარაძემ სავსებით დაიმსახურა.

* * *

*

ბესარიონ ნიუარაძის ნაწერების გამოცემა ორ წიგნად არის გათ-
ვალისწინებული. პირველ წიგნში მოთავსებულია ძირითადად ჩვეუ-
ლებითი სამართლისა და ეთნოგრაფიის სხვა საკითხებისადმი მიძღვ-
ნილი ნარკვევები, ხოლო მეორე წიგნში — მოგზაურობანი და სვა-
ნეთის სიძველეებისა და სვანური ენის შესახებ დაწერილი წერი-
ლები. თვითეულ წიგნში მასალა ქრონოლოგიურად არის განლაგე-
ბული. ავტორისეული ენა მთლიანად არის დაცული გარდა აშკარა
შეცდომებისა. ილუსტრაციების ნაწილი ექ. თაყაიშვილის ფონდი-
დან არის აღებული და ამდენად ბ. ნიუარაძის დროინდელ სვანეთს-
ასახავს, ხოლო ნაწილი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუ-
ტის ფონდს შეადგენს.

ბ. ნიუარაძის ნაჩვევები

ჩვეულებითი სამართლის შესახებ სვანეთში

ბესარიონ ნიუარაძის ლიტერატურულ მექვიდრეობაში ღიღი აღგილი უჭირავს წერილებს ჩვეულებით სამართალზე¹. ეს წერილები ძვირფას მასალას შეიცავს, როგორც თემური საზოგადოების გადმონაშთების შესასწავლად, ასევე თითონ ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტების თავისებურებათა გასათვალისწინებლად.

ჩვეულებითი სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილი ბეს. ნიუარაძის ნაჩვევები ეყყარება ძირითადად საკუთარს, უშუალო და კვირვების გზით შექრებილ მასალებს.

ბეს. ნიუარაძე აქ იხილავს როგორც სისხლის სამართლისა, ისე ოჯახური და ქონებრივი ურთიერთობის საკითხებს. სვანური ჩვეულებითი სამართლის თავისებურებათა გარკვევის თვალსაზრისით ყურადღება, გამახვილებულია თითონ პროცესის წარმოების ხასიათზე, ე. ი. სამედიატორო სასამართლოს შემადგენლობასა და წარმოების წესზე, დანაშაულთა და სასჯელთა დახასიათებაზე, ქონებრივი ურთიერთობის ნორმებზე და საოგანო წესებზე.

ყველა ეს საკითხი ბეს. ნიუარაძის მიერ განხილულია მეტნაკლები სისრულით, სათანადო კონკრეტულ აღწერილობათა მოშველიებით. ნაჩვევებში საგანგებოდაა წარმოდგენილი ზოგიერთი ადგილობრივი ტერმინიც, რომელთა ანალიზს, როგორც ჩვეულებითი

¹ ს ვ ა ნ ი. ჩვეულებრივი უფლება სვანეთში საზოგადოდ და საკუთრივ თავისუფალ სვანეთში, „დროება“, 1885 წ., № 198; დაბა და სოფელი, სვანეთი, „ივერია“, 1886, № 4; სასამართლოს წარმოება სვანეთში, „ივერია“, 1886, № 27; წვეულებითი მართლიერება სვანეთში, „ივერია“, 1886, № 49; 1886, № № 55, 62, 72, 73.

სამართლისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი მასალისას, ავტორი იქ-
ვე იძლევა, ასეთია მაგალითად: მორვალ (მედიატორენი), ნამორევ
(განახენი), ნესგამეზალ (შუა კაცები), სარჩელ (საჩივარი), წრო (სისხ-
ლის საურავი), ლუფხვილ (მითითებული მოფიცარნი), ნამხოშიერ
(საუფროსო) და სხვა, რაც კიდევ უფრო მეტად ამკვიდრებს წარმო-
დგენას ამ ინსტიტუტების იქ ძველთაგან მომდინარეობისა და თავი-
სებურებათა შესახებ; ამავე დროს შესაძლებლობას იძლევა კავკასი-
ის სხვა მთიელების ჩვეულებითი სამართლის შესწავლისას ამ ინს-
ტიტუტებში ნახმარი სპეციფიური ტერმინების საყურადღებო პარა-
ლელების დადგენისათვის.

ქვემოთ ჩვენ შევჩერდებით ბეს. ნიუარაძის ზოგიერთი ამ ნარ-
კვევის გარჩევა-დახასიათებაზე.

ბესარიონ ნიუარაძის ცნობით სათემო ყრილობა, რომელიც რა-
მოდენიმე სოფლის მცხოვრებთა საერთო მონაწილეობით იწვევიდა
(კრებას ესწრებოდნენ მამაკაცები და ქალები 20 წლის ჰა-
ვით), იყო უზენაესი ინსტანცია სვანური იურიდიული წეს-წყობი-
ლებისა¹. ამ საზოგადოებას ანუ ყრილობას თავმჯდომარეობდა ყრი-
ლობის მიერვე ამორჩეული მახვში (მამასახლისი). მახვშის უფლე-
ბები შეზღუდული იყო საერთო ყრილობით, რომლის ერთერთ
ფუნქციის მახვშის წინადადების დამტკიცება თუ უარყოფა შეად-
გენდა. საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდა თავისი წევრის სიცოცხ-
ლეზედაც კი: მას შეეძლო აეყარა ოჯახი, დაეწვა მისი სახლ-კარი,
გაეძევებინა ის საზოგადოებიდან და სიკვდილითაც დაესაჭა. სიკვ-
დილით დასჯა გათვალისწინებული იყო იმ შემთხვევაში, თუ მეთე-
მე ულალატებდა თავის სოფელს, თემს. სათემო ყრილობა „აპყრი-
და მოსახლეს, გადასწვავდა მის სახლ-კარს, განდევნიდა საზოგადოე-
ბიდან და დასჯიდა სიკვდილით, თუ რომ საზოგადოების რომელი-
მე წევრს საზოგადოების ვნება აღმოაჩნდებოდა“².

ბეს. ნიუარაძეს მოყვანილი აქვს ღალატის ასეთი კონკრეტული
შემთხვევაც: სვანეთის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებს „შემოუხიზ-
ნებია აზნაური გელა, გვარად დევდარიანი, რომელსაც, იფარლების
ბატონობა სდომებია“. დანაშაულის არსი აქ იმაში მდგომარეობს,
რომ საზოგადოების წევრი ფეოდალს იწვევს, რომელსაც განზრა-
სული აქვს ბატონიშმობის ულელში შეაბას სოფლის მცხოვრები.

¹ ს ვ ა ნ ი, ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში, „დროება“, 1885, № 198.

¹⁴ სექტემბერი.

² ი ქ ვ ბ.

აღწერილი შემთხვევა ბეს. ნიუარაძემ იცის გადმოცემით, მას აღვი-
ლი პჲონია ავტორის მოღვაწეობის წინა პერიოდში.

ასეთი დანაშაული ითვლებოდა თემის ღალატად და მოღალატა
სათვის გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა¹. თავისთავად
ასეთი სანქცია იმის მაჩვენებელიცაა, თუ როგორ სასტიკ ბრძოლას
აწარმოებდა თავისუფალი მთა ბატონყმობის დამკვიდრების წინა-
აღმდევ.

ბეს. ნიუარაძის აზრით, იმ დროს სვანეთში სიკვდილით სასჯე-
ლის კვალიფიციური ფორმაც ყოფილა გათვალისწინებული (ანძაზე
ჩამოცმა)². ბეს. ნიუარაძეს აღნიშნული აქვს, რომ სვანეთში შემორ-
ჩენილი გამოთქმა ადამიანის მიმართ — „საშამფურე“, „საშუბე“,
იმის მაჩვენებელია, რომ სიკვდილით სასჯელის ასეთი სახეები სცო-
დნიათ (ანძაზე ან შუბზე წამოცმა)³. გაძევება კი, როგორც უმაღ-
ლესი სანქცია, საერთოდ, დამახასიათებელი იყო, როგორც ცნობი-
ლია, თემური საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბეს. ნიუარაძის ცნობით
ქურდობისათვის, გარდა დაკარგულის ორმაგად გადახდევინებისა,
დამნაშავეს თემი ახდევინებდა ჯარიმას, რომლის რაოდენობას სა-
ზოგადო ყრილობა თავისი შეხედულებით განსაზღვრავდა⁴.

ბეს. ნიუარაძეს კიდეც აქვს აღწერილი ერთი ასეთი შემთხვევა:
სასოფლო ყრილობა მიადგა ერთ ქურდს, რომელსაც ერთი ცხვარი
მოეპარა, წაართვა მას ორი ცხვარი და ერთი ხარი; ორი ცხვარი და-
ზარალებულ მისცა, ხოლო ხარი დაპკლა და შეჭამაო⁵. აქ სათემოდ
განკუთვნილ ჯარიმასთან გვაქვს საქმე, რომელსაც სვანეთში პი-
ბირ-ი ეწოდებოდა და რომელიც სათემოდ განკუთვნილი კომიტი-
ციის საყურადღებო დეტალებს ამჟღავნებს. პიბირ-ი თავისებური
სათემო ვალდებულებათა სისტემის აღმნიშვნელია სვანეთში, რო-
მელიც თავის მხრივ თემის მმართველობის სფეროსაც არკვევს.
პიბირ-ს იხდიდა საურავის სახით სოფლისა თუ თემის სა-
სარგებლოდ ის ოჯახი, რომელიც საზოგადოების მიერ ჯაღვენილ
წესებს არღვევდა და ამით საზოგადოების წევრებს ზიანს აყენებ-

¹ ს ვ ა ნ ი, ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში, „დროება“, 1885, № 198, 14 სექტემბერი.

² ი ქ ვ ე.

³ ი ქ ვ ე.

⁴ ს ვ ა ნ ი, ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში, „ივერია“, 1886, № 72.

⁵ ს ვ ა ნ ი, ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში, „დროება“, 1885, № 198, 14 სექტემბერი.

და. საყურადღებო ცნობებს შეიცავს ამ მხრივ, როგორც ეთნოგრა-
ფიული მასალები, ისე მინაწერების სახით არსებული სვანური ისტო-
რიული ძეგლები¹.

საყურადღებოა იმის აღნიშვნა, რომ ბეს. ნიუარაძის წერილების
მახედვით სანქციის ოდენობის დაწესებისათვის მნიშვნელობა პქან-
და იმას, თუ რა პირობებში იყო ჩადენილი ქურდობა: სახლის გა-
ტეხით, ან კიდევ ფანჯარაში შეპარვით და სხვა². სახლის გატეხით
და შეპარვით ქურდობა დანაშაულის უფრო მძიმე ფორმა იყო.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვითაც სახლში „შეპარვით“
ქურდობა უფრო მაღალ სანქციას იწვევს (მუხ. 151).

მკვლელობისა და დაჭრისათვის სისხლის საზღაური ბეს. ნიუა-
რაძეს უფრო მოკლედ აქვს აღწერილი, ვიდრე ეს წარმოდგენი-
ლია ამჟამად სპეციალურ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში სვანეთის
შესახებ. მაგრამ, ბეს. ნიუარაძის მიერ დადგენილი ფაქტებიდან
უმრავლესობა უშუალო დამკვირვებლის აღწერილობას შეადგენს
და ამითაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. სისხლ-მესისხლობას-
თან დაკავშირებულ სვანურ ჩვეულებით სამართალს ბევრი აქვს
საერთო ვახტანგის სამართლის ცალკეულ მუხლებთან.

ბეს. ნიუარაძის აღწერილობაში ჭრილობა იმის მიხედვით განი-
საზღვრება, თუ რამდენად მძიმეა ის, იწვევს თუ არა ხელის ან ფუ-
ხის დაზიანებას და სხვა³.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით ყველა ცალკეულ შემ-
თხვევაში ჭრილობის სილრმე უნდა გაიზომოს; მხედველობაში ბი-
ლებულია იქ აგრეთვე ის, თუ რამდენად დაზიანდა ხელი, ფეხი და
სხვა (მუხ. 45, 46, 47, 49).

მსაჯულს, მედიატორეს სვანეთში უწოდებდნენ „მორევს“.

შედიატორების ამორჩევა მხარეებზე იყო დამოკიდებული. მათი
რიცხვი ორზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო და ორმეტს იშვია-
თად იღემატებოდა (ასეთი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი
უნდა ყოფილიყო). მედიატორეთა სამართალს ექვემდებარებოდა
როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეები⁴. გამო-

¹ ჰიბრ-ის შესახებ იხ. რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა
სვანეთში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბილისი, 1953, გვ.
193 — 198.

² ს ვ ა ნ ი, ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში, „დროება“, 1885, № 198,
14 სექტემბერი.

³ ს ვ ა ნ ი, ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში, „ივერია“, 1886, № 72.

⁴ ს ვ ა ნ ი, სასამართლოს წარმოება სვანეთში, „ივერია“, 1886, № 27.

ზაკლისს წარმოადგენდა სისხლის სამართლის ისეთი მძიმე საქმე-
ები, როგორიც იყო მკვლელობა, დაჭრა და ცოლის წაგრა, რო-
მელთა გარჩევა საზოგადო ყრილობის კომპეტენციაში შედიოდა¹.

მედიატორეები (მორვალ) პირველად მიღიან მომჩივანთან, იქ
ღებულობენ გამასპინძლებას და ისმენენ სარჩელს, შემდეგ მიღიან
მოპასუხესთან, იქაც ღებულობენ გამასპინძლებას და ისმენენ პასუხს.
ისინი გასამრჯელოსაც ღებულობენ განჩინების დადგენის შემდეგ,
მაგრამ მის გამოცხადებამდის.

მხარეთა ჩვენების დახსომება ორი მორევ-ის მოვალეობა იყო.
მოწმეებს დაპირისპინძლენ ფიცის ქვეშ და მოწმის დაკითხვით საქ-
მე თავდებოდა².

განჩინების გამოტანისას პირველად თავის შეხედულებას გა-
მოთვამდა უფროსი მორევი (მთელი მორვალ-ის უფროსი), რო-
მელიც დაწვრილებით გაახსენებდა მსაჯულთ საქმის ვითარებას, გა-
ახსენებდა მსგავს შემთხვევას წარსულიდან და წარმოადგენდა გა-
ნაჩენ-გადაწყვეტილების პროექტსაც (ზეპირად). შემდეგ თავის შე-
ზედულებას წარმოსთვამდნენ რიგრიგობით ჰასაკის მიხედვით სხვა
მორევ-ნი; და ბოლოს ყველანი მივიღოდნენ შეთანხმებულ დასკვ-
ნამდე³.

განაჩენ-გადაწყვეტილების გამოტანისას აღგენდნენ საზღაურს,
გადახდევინებას (კომპოზიციას), იმის მიხედვით თუ როგორი იყო
დანაშაული. ხდებოდა აგრეთვე ურთიერთ მიყენებული ზარალის
შეფარდება და გამოქვითვა, მაგალითად, ერთმა მეორეს ხელი დაუ-
ზიანა, უკანასკნელმა კი პირველს სიტყვიერი შეურაცხყოფა მია-
ყენა, პირველ საზღაურს მეორე გამოაკლდებოდა.

როცა ვადარებთ ერთმანეთს ქართული ფეოდალური სამართ-
ლის ძეგლების მონაცემებსა და ბეს. ნიუარაძის წერილებში მოყვა-
ნილ ცნობებს ჩვეულებითი სამართლის შესახებ, ჩვენს ყურადღე-
ბას იქცევს ის გარემოება, რომ არსებულ განსხვავებასთან ერთად
მათ ბევრი რამ საერთოც აქვთ: სასამართლოს კოლეგიურობა, საქ-
მის გამოძიების ერთნაირი მიმდინარეობა, მტკიცების საშუალებათა
ერთგვარობა და სხვა. მაგალითისათვის ავილოთ მოწმის მნიშვნე-
ლობა პროცესში. მოწმის შესახებ ბეს. ნიუარაძე წერს: სვანეთში
მოწმე იშვიათად იყო საჭირო, „ვერც იმას ვიტყვით, დასქენს ბეს. ნი-

¹ ს ვ ა ნ ი, ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში, „ივერია“, 1886, № 55.

² ს ვ ა ნ ი, ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში, „ივერია“, 1886, № 27.

³ ი ქ ვ ე.

უარაძე, რომ სვანურს განსამართლების წეს-წყობილებაში მოწმე-
ები მიღებული არ ყოფილიყვნენ“¹.

ვახტანგის სამართლის წიგნში ვკითხულობთ: „...მოწმით სა-
მართლის ქნა“ საქართველოში „უფრო არ განუწესებიათო“
(მუხ. 13).

არ. ლამბერტი თავის „სამეგრელოს აღწერაში“ გადმოგვცემს:
სასამართლო მხარეებს დაკითხავდა ცალ-ცალკე, მოპასუხეს დაწვ-
რილებით გადასცემდა მომჩივნის მოთხოვნილებას, უკანასკნელს კი-
დევ პასუხის შინაარსს და ა. შ². ასევე აქვს მედიატორეთა ფუნქცია
აღწერილი ბეს. ნიუარაძესაც.

ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით, ფეოდალური
სასამართლო, თუ საქმე ფეოდალებს ეხებოდა, მომრიგებელი ორ-
განო იყო, ხაზგასმით ვიმეორებოდა, თუ საქმე ფეოდალებს ეხებოდა,
რადგანაც, ექსპლოატირებული მასების მიმართ ფეოდალური სასა-
მართლო დამორჩილებისა და დათრგუნვა-გასწორების საშუალება
იყო.

ბეს. ნიუარაძის წერილებშიც ხაზგასმულია ის გარემოება, რომ
სამედიატორო სასამართლო მომრიგებელი ორგანოა. ამ შემთხვე-
ვაში განსხვავება ბ. ნიუარაძის მიერ აღწერილი ჩვეულებითი სა-
მართლისა და ვახტანგის სამართლის წიგნის სასამართლოს შორის
იმაში მდგომარეობს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნში სასამართ-
ლო გაბატონებული კლასის ორგანოა, მომრიგებლობა სასამართ-
ლოს შემონახული აქვს მხოლოდ გაბატონებული კლასისათვის. მა-
შასადამე, გაბატონებულ კლასს ჩვეულებითი სამართლის მედია-
ტორეთა ინსტიტუტში თავისი ინტერესების შესაბამისი ცვლილე-
ბა შეუტანია. ამ მხრივ საყურადღებოა დავით ბაგრატიონის ცნო-
ბაც, სადაც პირდაპირ ნათქვამია, რომ მედიატორეთა სასამართლო
მხოლოდ გაბატონებული კლასისათვის არსებობდა³. ეს ალბათ იმი-
ტომ იყო აღსანიშნავი, რომ მეტად ხაზგასასმელი იყო სამედიატო-
რო სასამართლოს მომრიგებლობითი ხასიათი, რომელიც მხარეთა
შორის თანასწორობას გულისხმობდა.

ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლების მიხედვით დანა-
შაულისათვის სანქციის დაწვესების ერთ-ერთი საფუძველი არის.

¹ ს ვანი, ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში, „ივერია“, 1886, № 27.

² არ ქანგელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალია-
ნურიდან, 1938 წ., გვ. 84.

³ დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდე-
ბლობის მიმოხილვა, 1959 წ., გვ. 241, 919.

დამნაშავისა და დაზარალებულის სოციალური მდგომარეობა. მაგალითად, ფეოდალის სისხლი გაცილებით ძვირად ფასობს, გზღვებებისა და სხვა. ბეს. ნიუარაძის აღწერილობათა მიხედვით „სვანეთის ჩვეულებითმა სამართალმა ჭრილობის შემთხვევაში საურავის დაწესებისათვის ასეთი რამ არ ცის. ჭრილობის შესახებ საქმის გარჩევისას სვანეთში სასამართლო სისხლის ფასს აწესებდა იმის მიხედვით თუ რამდენად მძიმე იყო ჭრილობა. ფეოდალური სამართლის ძეგლებშიც (ვახტანგის სამართლის წიგნი და სხვა) სანქციის განსაზღვრა, როგორც ვთქვით, ჭრილობის ხასიათზე არის დამოკიდებული, მაგრამ მარტო ეს არ არის სანქციის განმსაზღვრელი. ამ შემთხვევაში ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებში სანქციის განსაზღვრისათვის ფეოდალთა კლასის ინტერესებისათვის შესატყვისი საფუძვლებია დაწესებული.

როგორც ცნობილია, დანაშაულის შეფასებისას წოდებრივი ურთიერთობის გაუთვალისწინებლობა სათემო ურთიერთობაში შექმნილი ჩვეულების ერთ-ერთი დამახსიათებელი მომენტთაგანი იყო. ამიტომ ბეს. ნიუარაძის მიერ აღწერილი ჭრილობის შეფასების სვანური წესიც საყურადღებოა, როგორც სათემო ურთიერთობაზე აგებული საზოგადოებიდან მომდინარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადმონაშთი.

ბეს. ნიუარაძის აღწერილობათა მიხედვით სასამართლო მხარეთა შორის საქმეს მაშინ არჩევს, თუ მხარეები მორიგებაზე თანახმა არიან. თუ თანახმა არ არიან, მათ შეუძლიათ სისხლისძიება. ბექა-აღბულას „სამართლის წიგნი“ და გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“ შეძლებისდაგვარად კრძალავენ თვითნებობას, მაგრამ სავსებით მის აღკვეთას მაინც ვერ ახერხებენ.

განაჩენ-გადაწყვეტილების გამოტანისას სვანეთში მოსამართლენი ქვას ჩაფლავდნენ მიწაში; ბეს. ნიუარაძე შენიშნავს: „ეს ქვის ჩაფლვა სვანურის იურიდიულ წყობილებაში იმას პიშავას, რასაც სხვაგან წერილობითი ვანაჩენი და რასაც ვერავინ შეცვლის“¹. ამრიგად, ეს სამანი სვანურივე ჩხერილგვეც-ის (ჭდებიანი ჯოხი) და სხვა ქართველი მთიელებისა, კერძოდ მთიულების ჭდეს ამოგდებისა, ხევსურების ნასკვის დადებისა და სხვათა მსგავსად, გამოხატავდა პირობის დადებას ან მოდავეთა შორის საქმის დამთავრებას, რაც უდრიდა წერილობითი ძეგლებიდან ცნობილ ფორმულას, გამოხატულს როგორც „ნიშანი წარკვეთილი გარდაწყვეტილები-

¹ ს ვ ა ნ ი. ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში, „ივერია“, 1886, № 49-

სა¹. ბეს. ნიუარაძემ შესძლო სვანურ ჩვეულებით სამართალში ამ მომენტის მნიშვნელობის შეფასება და მას ჯეროვანი ყურადღება გმიაქცია.

ბეს. ნიუარაძის წერილებში საუბარია „მოფიცრის“ ინსტიტუტზე, რომლის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ მოფიცარი ერთ-ერთ მხარეს ფიცით უდასტურებს მის სიმართლეს, მაშინ როდესაც გასარჩევი ფაქტის მნახველი ან საერთოდ მცოდნე შეიძლება ის არც იყოს². ქართულმა ფეოდალურმა სამართალმა ამ ინსტიტუტში კლასობრივი დიფერენცირების შესატყვისი ცვლილება შეიტანა: ფიცს იმის მიხედვით ჰქონდა მნიშვნელობა, თუ ფეოდალური კიბურის რა საფეხურზე იდგა მხარე, ან მისი მოფიცარი და სხვა.

მოფიცრის შესახებ საინტერესო მაგალითი აქვს მოყვანილი ბეს. ნიუარაძეს: ქმრის ცვედანობა შეიძლებოდა ყოფილიყო გაყრის საფუძველი. ქმარს შეეძლო ცვედანობის უარყოფა; თუ 12 მოფიცარს მოიყვანდა ნათესავებიდან და ისინი ფიცს „შეაწევდენ“, მაშინ სიმართლე ქმრის მხარეზე იყო³.

ბეს. ნიუარაძის მიხედვით, ფიცი მტკიცების ერთ-ერთი საშუალებაა⁴, ისე როგორც ფეოდალური სამართლის ძეგლების მიხედვითაც. მაგრამ სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საზოგადოების ყველა წევრის ფიცი თანასწორია და, გარდა ამისა, ფიცი ნათესაობის მონაწილეობა იგულისხმება. იმ დროს როდესაც ფეოდალური სამართლის ძეგლების მიხედვით იმას აქვს მხოლოდ მნიშვნელობა, თუ ვინ აძლევს ფიცს: დიდი ფეოდალი, საშუალო, წვრილი, სასულიერო პირი, გლეხი თუ სხვა. გარდა ამისა, სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ცნობილია და ამაზე ბეს. ნიუარაძე საგნგებოდ მიუთითებს, რომ მოფიცრების დასახელება იქ თითონ მომჩინანთა თითის დადებით ხდებოდა, რისთვისაც მათ ლუფხვილი (ფხულე—თითი) ეწოდებოდათ. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით კი, ფიცს სასამართლო იმ მხარეს დაავალებდა, რომელსაც მისი ვარაუდით, სიმართლე ჰქონდა (ვახტანგის სამართლის წიგნი, მუხ. 11).

აქ საყურადღებოა ფიცში ნათესავების ჩაყოლების წესი, რომელიც მთავარ პირობას წარმოადგენდა თემურ საზოგადოებაში საქ-

¹ ამის შესახებ იხ. რ. ხარაგა, ხევსურული ანდრეზი — ხალხური სამართლის წყარო, „მიმომხილველი“, II, თბ., 1951, გვ. 498—499, მისივე — ხევსურული რჩული, ანალები, I, თბ., 1947, გვ. 185—187.

² ს ვ ა ნ ი, ჩვეულებით მართლიერება სვანეთში, „ივერია“, 1886, № 49.

³ ი ქ ვ ე, № 62.

⁴ ი ქ ვ ე, № 55.

მის გარჩევის დროს. ასეთია სვანური წესების მსგავსად ხევსურული რჯულიც¹, რომელიც გულისხმობდა ფიცში მხოლოდ მონათები პირების მონაწილეობას. უცხო გვარის წევრებს ათ წევრდოთ 30 ფიცის დადება, რადგანაც როგორც მოწმე, ისე ფიცის დამდები მოწინააღმდეგს მტრად უნდა გახდომოდა და ამით ახალი მესისხმობა ჩამოვარდებოდა სხვა გვარებს შორისაც. ამგვარი წესი სალეობა ჩამოვარდებოდა სხვა გვარებს შორისაც. ამგვარი წესი სამართლის წარმოებისა ვაროვნულ-თემური გადმონაშთების არსებობაზე მიუთითებდა და ჩვეულებითი სამართლის ნიშანდობლივ მხარეს შეადგენდა, რაც ბეს. ნიუარაძის ყურადღებას თავის დროზე, ასევე არ გამორჩენია.

ამ შემთხვევაშიც ჩვეულებითი სამართალი შემდეგში ფეოდალთა კლასის ინტერესების შესაბამის ცვლილებას განიცდის.

ბეს. ნიუარაძეს ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით მოჰყავს მედიატორეთა ნათქვამის თარგმანი. ამ მხრივ საყურადღებოა მედიატორეთა მიერ დადებული ფიცის ის ადგილები, სადაც ნათქვამია: „რაც კი შევძელით, ყოველი ღონისძიება ვიხმარეთ, ნამდვილი და სწორი სამართალი გაგვეჩინა თქვენს შორის. ავსწონეთ საჩივარი, პასუხი, პასუხის პასუხი, ერთმანეთს დავუყენეთ, შევუწონეთ ჩვენის წესრიგის თანახმად და გადავსჭრით ისეთი სამართალი, რომელსაც თვითეული ჩვენი მსაჯულთაგანი დავსჭრდებოდით თუ რომ ჩვენ თქვენს ადგილას ვყოფილიყავთ“².

ბეს. ნიუარაძეს შესანიშნავად ესმის აქ მოტანილი ფაქტის მნიშვნელობა და ამიტომ ის საჭიროდ თვლის უცვლელად გადმოსცეს ის სიტყვები, რომელსაც თითონ პროცესის დროს ისმენდა. აქ მოელი თავისი უშუალობითაა წარმოდგენილი ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი ის მომენტი, რომ მედიატორენი იყვნენ ჩვეულებრივი მეთემენი, რომელთაც მათზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებისას არ ავიწყდებოდათ, რომ სხვა დროს შეიძლებოდა თითონ აღმოჩენილიყვნენ ამ მდგომარეობაში, ხოლო ისინი ვისაც ამჟამად ასამართლებდნენ მათ მსაჯულად გამოსულიყნენ. ამიტომ, ყოველი დანაშაული მედიატორეთა მიერ იზომებოდა დაზარალებულის მდგომარეობის თავის თავზე გადატანით; ძირითად ამოსავალს კი გადაწყვეტილების გამოტანისას წინათ მომხდარი მსგავსი შემთხვევა წარმოადგენდა. დამახასიათებელია, რომ ამჟე წესით ხდებოდა განაჩენის გამოტანა როგორც სვანების, ისე

¹ შდ. რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები“, I, თბ., 1947, გვ. 195.

² სვანი, ჩვეულებითი მართლიერება საგანგმო, „ივერია“, 1886, № 49.

სხვა კავკასიელი მთიელების ზნე-ჩვეულების ნორმების მიხედვით;
რაც ამ წესის წარმოების ხალხურობაზე მიუთითებს.

ბეს. ნიუარაძის წერილებში ყურადღებას იქცევს სვანური ქორ
წილის აღწერილობა და ცოლის შერთვის სხვადასხვა საშუალებანი:
ძალით წაგვრისა და გარიგების სახით არსებული², რაც ოჯახის ფორ-
მათა განვითარების სხვადასხვა საფეხურთან იყო დაკავშირებული³.

საგანგებოდაა გამოყოფილი ქალის ქონებრივი და უფლებრივი
მდგომარეობისა და მზითვის საკითხი⁴, რაც ამ მხრივ არსებულ სხვა
აღწერილობებთან ერთად საყურადღებო მასალას შეიცავს ქალის
მზითვისა და სათავოს თავდაპირველი ბუნების გარკვევისათვის.

მნიშვნელოვანი მასალები მოეპოვება ბეს. ნიუარაძეს ცოლ-
ქმართა ურთიერთობისა და კერძოდ ქალის მამის სახლში მოლოგი-
ნების წესების შესახებ სვანეთში⁵, რაც, როგორც ცნობილია, დედა-
მძუძეობის ინსტიტუტთან ერთად მიჩნეულია ლიტერატურაში მატ-
რიარქატის გადმონაშთად⁶.

ბეს. ნიუარაძე თავის ნაწერებში ყურადღებას იქცევს იმ გარე-
მოებასაც, რომ სვანეთისათვის უცნობი ყოფილა ანდერძით მემ-
კვიდრეობა, ხანდაზმულობა და სხვა⁷.

ბეს. ნიუარაძის ნარკვევებიდან აშკარაა, რომ ჩვეულებითი სა-
მართლის ნორმების სავალდებულო ხასიათი იქ სოფლის თემის
მმართველობის კომპეტენციაში შედიოდა, რაც ერთის მხრივ გან-
საზღვრავს თვითონ სოფლის თემის მმართველობის თავისებურებას,
ხოლო, მეორეს მხრივ, სვანური ჩვეულებითი სამართლის ბუნებას,
რომელიც ძველთაგან მომდინარე ჩვევებზე დამყარებული უკვე თე-
მის შიგნით მეთემესათვის გარდაუგალ ნორმად იქცეოდა.

¹ შ. რ. ხარაძე, ხევსურული ანდრეზი — ხალხური სამართლის წყარო,
„მიმომხილველი“, ტ. II, თბ., 1951 წ., გვ. 387—405.

² თავისუფალი სვანი, ცოლ-ქმრობის წესები სვანეთში, „დროება“,
1885, № 80.

³ რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939 წ.,
გვ. 83—106.

⁴ სვანი, ცოლ-ქმრობის წესები სვანეთში, „დროება“, 1885, № 80.

⁵ სვანი, ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში, „ივერია“, 1886, № 62.

⁶ ი. გ. ჭავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, თბილისი,
1928, გვ. 165—170. ი. სურგულაძე, „ათაბაგობის ინსტიტუტის წარმოშობის
საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში“. თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის შრომები, ტ. 79, 1959 წ.

⁷ სვანი, ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში, „ივერია“, 1886, № 62.

მერიგად, ბესარიონ ნიუარაძის მიერ თავის დროზე შეკრებილი
და შესწავლილი „ჩვეულებითი მართლიერებით“, როგორც ის თე
თონ მას უწოდებდა, გამოვლენილია საქართველოს მთიანეთის ჩვე-
ულებითი სამართლის მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც ყველა
კულტურული ერის ისტორიაში სახელმწიფოსა და სამართლის
შექმნას უსწრებდა წინ.

რუსულან ხარაძე

ივ. სურგულაძე



ქალაპის მოზამება სვანეთში

ზოგიერთი ჩვეულება, ძველთაგან სვანეთში მიღებული, იმდენათ საინტერესო და საყურადღებოა, რომ, ჩვენის აზრით, უადგილო არ იქნება, ერთს ამ ჩვეულებათაგანს მკითხველი საზოგადოება გავაცნოთ. ჩვენ ვამბობთ ქალების მოტაცებაზედ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ჩვეულებას, ე. ი. ქალების მოტაცებას, ჩვენ ყოველის ხალხის ისტორიაში ვხედავთ და ზოგიერთს ქვეყნებში არც აქამომდე შემწყდარა ეს მოვლენა. რაც შეეხება თვით სვანეთს,— დამტკიცებით შემიძლია ვსოდეთ, რომ მეოთხედს ნაწილს სვანეთში ცოლად მოტაცებული ქალი ჰყავს. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? მიზეზი არის: 1. დედათა სქესის ნაკლებობა მამრობითზედ და 2. ის, რომ სვანის უცოლოდ მოსახლობა შეუძლებელია. კიდევ არის სხვა მიზეზები, მაგრამ ამათზედ ჩვენ არას ვიტყვით ეხლა.

ზემოთ მოყვანილი პირველი მიზეზი, ე. ი. მდედრობითის სქესის ნაკლებობა სვანეთში წარმოსდგა იმ საზიზღარის ჩვეულებიდან, რომლის წყალობითაც უწინდელს ღროში, და შეიძლება საიდუმლოდ ეხლაც, დედები ქალიშვილებს ხოცავდენ. მცხოვრებთა რიცხვის სტატიკურის ცნობებიდან (ესრედ წოდებულს სადადიანო სვანეთზედ მე არას ვამბობ) სჩანს, რომ სვანეთში დედათა სქესი ნაკლებია მამრობითზედ 780 სულით. ამავე სტატიკურს ცნობებში ვხედავ, რომ 1878—79 და 80 წ. წ. რიცხვი დაბადებულთა მამრობითის სქესისა აღემატების მდედრობითის სქესის რიცხვს 104 სულით. ამ ას ოთხ მამრობითს სქესს შვიდას ოთხმოცი რომ დაუმატოთ, გამოვა, რომ 884 კაცს ცოლის შოვნის იმედი არა აქვს, თუ მან სხვას არ მოსტაცა ცოლი. ამ მოტაცებას მოსდევს ის ვაი-ვაგლახი: კაცის კვლა, კაცის დაჩეხა და სხვა მრავალი უბედურება, რომელნიც ძლიერ ხშირია სვანეთში.

ზემოთ ვსოდეთ, რომ სვანი უცოლოდ ვერ დაესახლება-მეთქი. ჩემი აზრის დასამტკიცებლად აგიშერ ცოლის მნიშვნელობას სვა-

ნეთში, როგორც მეუღლისა და მუშა არსებისა, რომელიც არის ოჯახობის ბურჯი, დედა ბოძი. არც ერთი მუშაობა არაა სვანეთში, სადაც ცოლი ქმარს თანასწორ უღელს არ უწევდეს. მოვიყვან მა-გალითებს: სვანი მამა-კაცი მიღის ცელით სათიბში, ცოლი ფარცხავს თვის და ხა-რებით სახლში მოაქვს; ხვანაში ქმარს სახნისი უკავია ხელში, ცოლი კი თოხით უკან მისდევს; ტყეში ქმარი შეშას სჭრის, ცოლს სახლ-ში მოაქვს; სამკალში ცოლი მკის, ქმარი ძნას უკრაუნი: ლეწვის ღრუს ქმარი და ცოლი ერთ ნაირს მუშაობას სწევენ და გაჭირვების დროს ცოლი იარაღის ხმარებაში ქმარს არ დავუარდება. აქედგან სჩანს, რომ ცოლი აკეთებს იმას, რასაც ქმარი. მაგრამ მაგაებს გარდა ქა-ლი — ცოლი ისეთ რამეებსაც აკეთებს, რომელსაც ქმარი ვერ შეი-ძლებს. იყო დრო სვანეთში, როდესაც ნარმის პერანგი არავის ეცვა. მაშინაც და ეხლაც ცოლი ქსოვდა ტილოს, შალებს, რომლისაგა-ნაც უკეთებდა ქმარ-შვილებს და თავის თავსაც ჩირას, შალვარს, პაჭიშებს, სამუხლეებს, ქუდს; ფეხსაცმელის კეთებაც ქალის საქმე იყო და არის სვანეთში. ცოლი უვლის ოჯახს, ფქვავს წისქვილში, მიაქვს სახლში, აცხობს პურს, წველის ძროხებს, საქონელს რეკს სამწყესურში და მოყავს საღამოს სახლში და სხვა. ყველა ესენი ცოლის განსაკუთრებითს მოვალეობას შეადგენს. მოაკელით მამა-კაცი ყველა ამ ცოლის შემწეობას და მაშინ დამეთანხმებით, რომ სვანის უცოლოდ დასახლება შეუძლებელია.

აი, ამიტომ იყო, რომ ცოლის წართმევას ბევრი უბედურობა მოსდევდა უწინ და მოსდევს ახლაც. მაგრამ უწინდელს დროში ხალხის ჩვეულების კანონით, ქალების მოტაცება უფრო იღვირ ასხმული იყო: უწინდელს დროში მომტაცებელი მოტაცებულის ცოლის ქმრისაგან უსათუოდ ელოდა ან სიკვდილს, ან მძიმედ დაჭ-რას, და ამასთან უსათუოდ 500 მანეთამდე გარდასახადს. და რაღგა-ნაც სიცოცხლე ყველას უყვარს და 500 მანეთის გარდახდა ყველის არ შეეძლო, ამისათვის სვანები წინეთ ძლიერ ფრთხილად იყვნენ და სასტიკად დასჯის ეშინოდათ. ეხლა, რაც რუსეთის კანონები შე-მოილეს, ქალი თავისუფალი გახდა, ვინც უყვარს, იმას მიყვება. ნამეტურ თუ ჯვარ დაწერილი არ არის.

ეს ასეა, მაგრამ სვანს, რომელიც მამა-პაპური ტრადიციებით აღზრდილია, რომელსაც ძვალში და ჩბილში გასჯდომის საუკუნო-ებით შემუშავებული ჩვეულებრივი კანონი, რომ ცოლის მომტაცე-ბელი ან ისე, ან ასე უნდა დაისაჯოს, ვერ დააჯერებთ, რომ ის გულ-ხელ დაკრეფილი დაემორჩილოს თავის ბედს და მომტაცე-ბელს სამაგიერო არ უზღოს. ამითი იმისი თქმა კი არ მინდა, რომ

სვანური ჩვეულებრივი კანონი კარგი იყოს, არა, მე იმშე ვამტკრიც
ცებ, რომ რამდენიც უნდა ეჩიჩინო სვანს, ის თავისას მანერი არ არის
იშლის, თოფს და ხანჯალს ავლებს ხელს მტრის ჯავრის ამოსაყრე-
ლად. მართალია, კანონი სჯის მას დანაშაულობისთვის, მაგრამ ყო-
ველ გვარ დასჯას ის გულ-გრილად იღებს, რადგანაც ცოლის წარ-
თმევაზედ მეტი დასჯა მისთვის არაფერია.

ამ ნაირად დღე ერთია და საჩივარი ათი და მეტი ქალების წარ-
თმევის შესახებ. მოდის სვანი და თხოულობს თავის ცოლის ობ-
რუნებას: ცოლი ნებით არ უბრუნდება მას. ამისათვის მოტაცებუ-
ლის ქმარი ან ჰელავს ან მძიმედ სჭრის თავის მტერს. ამ გვარი შემ-
თხვევა ყოველ დღიური მოვლენაა სვანეთში.

რა საკვირველია, დრო თავისას მოიტანს და ან სვანები გაიგე-
ბენ, რომ ქალს სრული უფლება აქვს, რომ ვისაც უნდა იმას გააყ-
ვეს, თუ ჯვარ დაუწერელია და ან რომელიმე მანქანებით ღელათა
სქესი გაუსწორდება მამათა სქესსა და მაშინ ყველას შეხვდება სა-
ცოლო; მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ სანამ მოზარდი შთამომვლო-
ბა არ დაიჭერს ცხოვრების ასპარეზს, მანამდის არც ქალების მო-
ტაცების მოსპობა მჩერა და არც მისი მავნებელი შედეგები შეს-
წყდება. ყოველს შემთხვევაში ადმინისტრაციამ უნდა მოსპოს ის
უმსგავსო ჩვეულება, რომ აქვანში მწოლარე ბავშს საცოლოს, ან
ქმარს უნიშნავენ. სანამ ქალიშვილი არ გაიზარდოს 13—15 წლამდი,
და არ გაიცნობს თავის საქმროს, მანამ იმის დანიშნვა აკრძალუ-
ლი უნდა იყოს. და ადმინისტრაციას ამის სისრულეში მოყვანა
ადვილად შეუძლია საზოგადოების ყრილობის გარდაწყვეტილობით.
ჩემის აზრით ეს მოსახერხებელიც არის და ჯეროვანს ნაყოფსაც
მოიტანს. თუმცა ისევ ვიმეორებ, ქალების მოტაცება და მისგან წარ-
მომდგარი უბედურება სვანეთში გვიანამდი არ მოისპობა.

1882 წ.

სახალხო ღლესასენაჲები სვანეთში ზამთრობით

ა) შობა-ახალ-წელიწადი

შობის წინა დღეს სვანები ეძახიან „შობ“, თვით შობას კი „ქრისტეშ“ ორივე სიტყვა გადმოითარებნების: შობა ქრისტესი. ზოგიერთ საზოგადოებაში შობის წინა დღეს თითოეულს სოფელს ცალკ-ცალკე ჰყავს ერთი მასპინძელი, რომელმაც უნდა აჭამოს მთელის სოფლის მცხოვრებთ სადილი და ვახშამი. ამ დღეს სახსნილოს არა სჭამენ, ცერცვი, პური და არაყი შეადგენს ხალხის სასმელ-საჭმელს. მეორე დღეს ე. ი. შობას კიდევ ერთი მოსახლე მასპინძლად უნდა დაუხვდეს მთელს სოფელსა, თუ სოფელი მცირე კომლო რიცხვიდგან შესდგება. დიდ სოფლებში კი მოსახლენი ორს, ანუ სამს თაბუნათ იყოფებიან. ამ დღეს, გათენდება თუ არა, ხალხი დიდი და პატარა, ქალი და კაცი დაუბატიუებლად მიღის დანიშნულის მასპინძლისას, რომელსაც ეს რიგით შეხვედრია. ხალხი, მისვლისთანავე, დაჭდება საუზმედ, შემდეგ სადილად, ვახშმად, მეორე დღეს კიდევ საუზმედ და სადილად. ამ დროს განმავლობაში მასპინძელმა გარდამეტებულად უნდა მოუტანოს ხალხს, ხალხისაგანვე ამორჩეულ მერიქიფების ხელით: პური, ხორცი მოხარშული და შემწვარი, ყველი და არაყი. ვისმე რომ, დიდითგან დამოკიდებული პატარამდი, ზემოხსენებულ ხორაგთაგანი, ანუ სასმელი მააკლდეს, ერთ ალიაქოთს ასტებს: „ჩემს სახლში რომ ყოელიფერი ბლომათა მქონდა, შენ რატომ არ მოიტან უხვად სასმელს და საჭმელსო?“ ეუბნება მასპინძელს მაყარივით მოსული სტუმარი. საწყალი ზაპინძელი თავდაბლად ეუბნება სტუმარს, ოღონდ შენ ნუ გაჯავრდებიო, და ყველაფერს მოგართმევ, რასაც კი მოითხოვო და სხვ-

ჩემის ნამდვილის შეტყობით, შობის მასპინძელს ეხარჯება ოც
მოსახლიდგან შემდგარ მცხოვრებთათვის — ცოტა რომ ვსოდეთ —
80 მანეთის სახორცე, 30 მანეთის ყველი (ყველი სვანეთში იაფია)
და 7 მანეთის შეშა. ერთის სიტყვით 200 მანეთამდის.

ჭემის დროს ხელზე ნაღიმად ჭდება და აი როვორ: ქვის სახლის
ქვედა ეტაჟაში კედლების ძირას, ოთხივე კუთხივ დასდგამენ ორ
წყებად სკამებს, და, სადაც სკამები ვერ გაწვდება, იქ გრძელ ხეებს
მოამბენ სკამებს. ნაღიმის თავში პირველს ადგილს დაიკერს. მას-
პინძელი, იმას ქვეით მოუჭდება ვინმე სოფლის მოხუცი, მას მოებ-
მებიან, წლოვანების მიხედვით, სხვა სოფლელნი ასე, რომ ნაღიმის
თავში ადგილი უჭირავთ მოხუცთა, ბოლოს კი ახალგაზრდები სხე-
დან. მეორე წყება ხალხისა ამ ნაირადვე დაიკერს თავ-თავიანთ ად-
გილებს. ქალებიც ამავე რიგით სხდებიან, მხოლოდ ცალკე და მე-
ორე მხარეს. ორ წყებად მჯდომ ნაღიმშუა დასდგამენ თხელებიანს
და გრძელს ტაბაკებს სოფლის მერქიფერები, რომელთ რიცხვი 20
კომლიან სოფელში ათამდია, მზარეულებს გარდა, რომელთაც თვი-
თონ მასპინძელი ირჩევს თავისი სურვილით. მერქიფერები სუფრის
დაღგმის შემდეგ მოაყოლებენ ბლომად პურს, ასე რომ სუფრა უსა-
თუოდ დაფარული უნდა იყოს პურით; პურის შემდეგ სამ კაცზედ-
ვე ერთს დიდს ჭამს მოხარშულს და მეორეს ამისთანავე ჭამს ცივს
ყველს, ამის გათავების შემდეგ არაყის წდე სახლის შუა ადგილას
დაჭდება და ფეხზე მდგომს მერქიფერებს ჩაუსხამს კათხებში არაყის,
რომელთაგანი ერთი პირველად მასპინძელს მოუტანს და შემდეგ
ჩაჰყვება სხვებს. მასპინძელი ადგება კათხით ხელში და ლოცავს
ნაღიმს და სთხოვს ლმერთს, რომ რაც მის სახლში დააკლდეს ხალხს,
იმის მაგიერ იესო ქრისტემ მიაგოს მათ კეთილი; ამასთანავე ეხვე-
წება ხალხს, ეს დღესასწაული უჩხუბრად გაატარეთ ჩემს სახლში,
და დიდი მადლობელი ვიქნებიო. ამის მერე მოილოცავს მის გვერ-
დით მჯდომი სოფლის მოხუცი, ფეხზედ ადგომილი, როგორც მას-
პინძელს, ისე სოფელს და როცა ეს გაათავებს, ნაღიმი მხოლოდ მა-
შინ მიჰყოფს ხელს ჭამას. ჭამის დროს გათავებამდი მერქიფერებს
არაყი განუწყვეტლივ მოაქვთ ხალხთან. როდესაც მესამე მორიგ
კათხს მოუტანებენ მერქიფერები ხალხს, მაშინ უკანასკნელი ჭამას
თავს ანებებს ცოტა ხნით. აქ უნდა სიქვან ამ დღის განვებ სამღე-
რალი სახალხო სიმღერა. გადიწერენ პირ ჭვარს და ერთი მოხუცთა-
განი დაიწყებს შობის სიმღერას, მეორე მოსძახებს; სიმღერას ამ-
ბობენ ორპირად. შობის სიმღერის შინაარსი, რომელიც სხვა სვა-
ნურ სახალხო სიმღერებთან დაწერილი მაქვს, არის იესო ქრისტეს

ბეთლემს შობა, მოგვების მოსვლა, მათი ძღვნის მოტანა და ყრმის ე. ი. ქრისტეს წოლა ოქროს აკვანზი (ბაგის მაგიერ). ამას შემდეგ მე-რქიფერები არაყის მოტანას არ შესწყვეტენ სუფრის არღებამდგრა-ხალხი კი, ქალები ცალკე, კაცები ცალკე, ანბობენ სხვა და სხვა სახალხო სიმღერებს, ცეკვავენ როგორც კაცები, ისე ქალები. რო-დესაც მოწყინებათ სმა-ჭამა და მხიარულება, მერქიფერები სუფრას აიღებენ, დამთვრალი ხალხი სიმღერით გადის კარში; ახლა გარეთ შეიქნება ორ-ფერხული და კიდეც შეიქნება საღამო, როდესაც ხა-ლხი ისევ მასპინძლისას ბრუნდება ვახშის საჭმელად. ვახშამზედ და მეორე დღეს საუზმე-საღილზედ ისევ ის რიგი და წესი იმეორე-ბა სმა-ჭამის, დაჯდომის და ხალხის შესახებ, რაც საღილზედ იყო. მკითხველს ვთხოვ მხედველობაში იქონიოს, რომ სახალხო დღეს-ასწაულებზედ ყოველგან სვანეთში ამ ნაირი რიგი და წესი იციან და ამისათვის სხვა დღესასწაულების აღწერის დროს რიგი ნადი-მად სხდომისა და ლხინისა განმეორებული აღარ იქნება, რომ ყო-ველთვის ერთი და იგივე აღარ იყოს გამეორებული. აქ უნდა შევ-ნიშნო, რომ ცუდ მოსავლიანის წლების გამო ეს შობის დღესასწაუ-ლი, რომელიც ბევრს ხარჯს თხოულობს, ზოგიერთს სოფლებში სრულიად მოისპო და საღაც დარჩა, იქ სოფელი რამდენიმე ნაწი-ლად გაიყო, რომ მოსახლეს უფრო შეღავათი მიეცეს დღესასწაუ-ლის გადახდაში და იმედია, მალე სულ ყველგან მოისპობა ეს დღე-სასწაული, რომლის გამო აქაური ამდენს ხარჯს ეწევა და უკიდუ-რესს სიღარიბეში ვარდება.

ახალ წელიწადი სვანურათ არის „ზომხა“. სიტყვა „ზომხა“ რთულია, იგი შემდგარია: „ზა“ წელიწადი და „მახე“ ახალი. საბა-ტონო სვანეთში ახალ წელიწადს „კანდას“ ეძახიან.

ახალ წლის წინა საღამოს, ვახშმობამდი, ყოველს ოჯახში დააბ-ურბუშელებენ მოკლედ და წვრილად ხის ნაპობებისაგან შემდ-გას კონას, რომელიც ოთხი კვირის წინათ იყო ჩამოკიდებული სახ-მობად ცხვენს ქვეშ ამ დანიშნულებისათვის. ბურბუშელას კერიას-თან დასდებენ კიდევ უფრო გამოხმობისათვის და ახალ წლის დი-ლამდი აქ უნდა იყოს, როდესაც მას პირველად დააყრიან ცეცხლ-ზედ, შეშის მაგიერ. საღამოს, ახალ წლის წინ, ოჯახში ყველა მშვი-დობიანათაა; ცუდს სიტყვას არავინ არ ეუბნება ერთმანეთს, რად-განაც, ხალხის აზრით, წელიწადი უკვე დამდგარია. სჭამენ ვახშამს. ნავახშმევს ერთი ოჯახთაგანი სხვაგან მიღის, საღმე სოფლის უკა-ცურს სახლში, საღაც მოვლიან აგრეთვე იმ სოფლის თვითოეულ მოსახლიდებან თითო კაცი. ამ კაცს სვანურად ჰქვია „ქამე მუჭმები“, ქართულად „გარე მაკვლიერი“. ამ გარე მაკვლიერს გარდა უნდა

იყოს ორი შიგნით მაკვლიერლი (ისგაა. მუჭუშხი), რომელიც სახლშივე ჩატარდა და მეორე დილას, ახალ წელიწადს, სხვების აღგომამდი უნდა ადგენ. კერიასთან დატოვებული ბურბუშელა ცეცხლზედ, ნაკვერცხლებზედ უნდა დააყარონ, რის შემდეგაც ორივე მდინარე წყალზედ მიდიან. ერთ ამ მაკვლიერლთაგანს, წყალზედ რომ მიდიან, ჰქილია წყლის მოსატანი ჭურჭელი, მეორეს პატარა გოდორი, რომელშიაც უწყვია ერთი „უშდბაალი“ ე. ი. ყველიანი პური წინა საღამოს გამომცხვარი, რომელსაც მცხობელი ქალი შუაში დაჭრეს ერთათ სამს თითს: ცერს, საჩვენებელ და შუა თითს. ამ პურის გადაბრუნება გამოცხობამდი არ ვარგაო, და კიდევაც იმიტომ ჰქილია უშდბაალი ქართულად გამოვა: გადმოუბრუნებელი პური. ამ პურს გარდა გოდორში აწყვია კაცის სულზედ თითო ყველიანი პური. როდესაც მდინარე წყალზედ მივლენ ეს ორი შიგნით მაკვლიერლები, პურებს შეალოცვენ ღმერთს; წყლის ჭურჭელს — ოხარ — (კასრის მგზავსა, წელზედ მოსაკიდებელი, რომელსაც შუაში ამოჭრილი აქვს რგვალად წყლის ჩასასხამად და გადმოსასხამად) წყლით აავსებენ და შინ ბრუნდებიან; როცა კარებში შემოდიან სახლში, ერთი ამბობს „როგორც ბასილმა ზოლაში კალანდა და აბრუნა, წელზედ ნაჯახი გაირჭო, ხალხში შამოვიდა და ყველაფერი საქონელი გაამრავლა, იმის მსგავსად ახალი წლის წინამდღვარო, ღმერთო, კარგი ფეხი შამომატანიე ჩემს ოჯახში“. სახლში რომ შემოვლენ, ცეცხლი, სადაც წყალზედ მისვლამდი ბურბუშელა და აყარეს, ანთებული ხვდებათ. ოჯახში ისევ წვანან სხვები. რაკი გარე მაკვლიელი შეიტყობს, რომ შიგნით მაკვლიელები წყლიდგან დაბრუნებულან, მოვა კარზედ და დაიძახებს სვანურად: „კარი გამიღე, შენ ბედნიერო“. შიგნით მაკვლიელი მიუგებს: „რა ბედნიერობა მოგაქვს“? — გარეთ მაკვლიელი — „საქონლის და კაცის სიცოცხლე და სიკეთე, კარი გააღე შენ, ბედნიერო“. ამას გაიმეორებენ სამჯერ და მესამედ გარე მაკვლიელი სახლში შამოვა. ამ დროს ოჯახიც ადგება. ყველა ულოცავენ ერთმანეთს ახალწელი-წადს. ოჯახი პირს დაიბანს ახალ-მოტანილის წყლით, რომელსაც რქეს ეძახიან. დაჯდებიან საუზმედ. დახევსდებიან და შიგნით მაკვლიელი ყველას თითოეულად მოაკიდებინებს ხელს ჯამზედ, რომელშიაც ძევს ახალი ამოყვანილი ყველი, ნიშნად გულის სისპეტაკისა და შემდეგ ჭამას მოჰყვებიან წელს. ჭამის დროს ერთი მეორეს მოიკითხვენ რამე საჭმლით ანუ სასმლით და ულოცვენ ერთი-მეორეს დღესასწაულს. ნასაუზმევს ხალხი გარეთ მოიყრის თავს. გარეთ გამოსვლისთანავე ეკლესიას შეხედვენ, შემდეგ ურჩევნიათ იმ გვარის კაცის ნახვა — თუ კი შეხვდათ, რომელიც გათქმულია

სოფელში თავისის კარგის ყოფა-ქცევითი მშვიდობის მოყვარეობით
და სიწმინდით. გარეთ ნახვაში ყველა ერთმანეთს ლოცავს და-
წყებენ სიმღერას, ცეკვას და ამნაირად გაატარებენ დროს სალა-
მომდი. ამ დღეს დაუპატიჟებლად სხვის სახლში მისვლა რიგი არ
არის. მეორე დღეს თითოეული ოჯახი პპატიჟობს ერთს ვისმე, გან-
გებ ამ დღისთვინ ამორჩეულ კაცს. ამის მოსვლის შემდეგ ყველას
ნება აქვს მივიღეს ოჯახებში, მაგრამ უფრო ხშირად ნათესავები მო-
დიან, რომელთაც საჩუქარიც უნდა მიეცეთ. მაგალითად მოდიან
ქალიშვილები, მათი შვილები და ქმრები. აგრეთვე ადგილის მიმ-
ყიდველები ოჯახისა. თითოეულის მათგანის საჩუქარი არის მანე-
თიდგან ათ და ოც მანეთამდე, რასაკვირველია საქონლით და ავე-
ჭეულობით. აქ უნდა შევნიშნო, რომ ახალ წლის წინა ღამეს
ერთი ოჯახთაგანი გარზედ სჭრის დაახლოვებით აჩშინის სიგრძეთ
არყის-ხეს, რომელსაც რამდენიმედ დააპობს. ამ ნაპობებს კარს
იქით-აქეთ მხარეს მიაყუდებენ და ეძახიან „ნათე“-ს. ყოველი გა-
რეშე პირი, ახალწლის მეორე დღეს მომსვლელი ოჯახში, ვალდე-
ბულია აიღოს ეს ერთი ნათე და მოიტანოს სახლში. პირველად ნა-
თეს მიაყუდებენ კერიას და შემდეგ ცხვენ-ქვეშ გაარჭობენ. ამნაი-
რად თავდება ახალი წელიწადი სვანეთში.

ბ) „ლიფაანალ“

„ლიფაანალ“, ქართულად გადმოითარებების: სულის მოხსენე-
ბა მკვდართა. იგი იწყება ყოველ წლივ ხუთს იანვარს ე. ი. ნათ-
ლისლების წინა დღეს, რომელსაც სვანები ეძახიან „ადგომ“. სვანე-
ბი დარწმუნებული არიან, რომ ამ დღეს მიცვალებულთა სულნი
საფლავებიდგან სდგებიან და მოდიან თავიანთ ნათესავთ ოჯახებ-
ში. ამ დღეს სახსნილოს არა სჭამენ. ყოველგვარ სახლის ჭურჭელს:
ჭამებს, ქვაბებს, სუფრებს და სხვა ოჯახის ავეჯეულობას წყლით
და ნაცარ-ტუტით ასპეტაკებენ. სადილს არა სჭამენ ამ დღეს; ვახ-
შმად, სხვათა შორის, ხარშავენ პურის მარცვალს კორკოტად (ჭანტი).
სალამოს სახლს წმიდათ დაპგვენ. ვახშმობამდი გაწმენდილს სუფ-
რებს კერიას ირგვლივ და სკამების წინ დასდგამენ, რომლებზედაც
დააწყობენ: პურებს, სამარხო საჭმელს, არაყს, და რამდენსამე ან-
თებულს სანთლის ჩხირს დაასობენ სუფრაზედ. მთელი ოჯახი
უკან დადგება სუფრის მოშორებით, ოჯახის მეუფროსე კი ყველაზე
წინა სდგას, უყურებს ქუდ მოხდილი სანთლებით განათებულს სა-
კურთხს სუფრებს და თანაც სახელდობრ ითვლის ყველა მის მიცვა-
ლებულთა და შენდობას უთვლის მათ. ამასთანავე ეხვეწება მიცვა-

ლებულთ სულებს, რომ ოჯახში კაი ფეხი შამოიტანონ და მეორე
ამ დრომდი არავინ დაამარცხონ სიკვდილით; რისთვისაც იგინი, მე-
ოჯახენი, ეცდებიან მათ საკურთხეს ყოველ-წლობით მოუმატონ; როგო
ამას გაათავებს ოჯახის უფროსი, დაიჩოქებს და მასთან სხვებიც,
უთვლიან რა შენდობას მათ მიცვალებულთა. მეორე დღეს, განცხა-
დებას, ყოველი მოსახლე უსათუოდ რასმე დაპკლავს, რადგანაც იმ
დღეებში სახსნილო უნდა უკურთხონ მიცვალებულთა. ამ ნაირის
რიგით და წესით ყოველს სადილ-ვახშამზედ სუფრის კურთხევა
მიცვალებულთა გრძელდება ნათლის ღების მომყოლ პირველ ორშა-
ბათამდე, უკეთუ ნათლის ღება თვითონ ორშაბათს დღეს არ შეხვდა:
ამ უკანასკნელ შემთხვევაში მეორე ორშაბათამდე გასწევს სუფრის
კურთხევა. ორშაბათს დილით, გათენებამდი აღგება ოჯახი. ქალები
მაშინვე პურების ცხობას მიჰყოფენ ხელს. უცხობენ ყველჩართულს
სხვა და სხვა გვარის და ფორმის პურს. მაგალითად აცხობენ სიგრ-
ძით ერთტეკველიან და სიფართით სამგოჯიან წმიდა პურს, რო-
მელსაც რგვალი ჭოხით აჭრობენ ცომობისვე დროს: ვითომ ეს
დაჭდევილი საფეხურებია. ამ პურს ეძახიან „ეიჩილ“ ქართულად:
პატარა კიბე. ეს პური დანიშნულია საკუთრად კოჭლ მიცვალებულ-
თავის, რომელნიც ხალხის აზრით საჭიროებენ მოსვლისა და წას-
ვლის დროს საიქიოდგან. მეორე ფორმის პური — „მუხურჩუნ-
ილ“ არის სიმაღლით სამი გოჭი, ირგვლივ ოთხი გოჭი. თავი და
ბოლო ერთნაირად განიერი აქვს, შიგნით ყველჩართული და თავ-
ლია. ამის დანიშნულება ის არის, რომ ბავშებმა გარდაცვალებუ-
ლებმა, საიქიოს ფეხებ-ქვეშ დაიღგან, რომ სიმაღლიდგან უკეთ და-
ინახონ ქრისტე. მესამენაირი პური არის „ჭამილ“ რგვალი და
თხელი პური, ირგვლივ ნაპირზედ რგვალი ჭოხით დაჭრობილი, შივ-
ნით ყველ ჩართული და გარეთ ზედაპირზედ ყველ წასმული. ამისი
დანიშნულება რა არის, ხალხს დავიწყებული აქვს. როცა ამ პურე-
ბის გამოცხობას, და, რასაკვირველია სხვა ჩვეულებრივ პურები-
სასაც, მორჩებიან ქალები, და ხორცი მოხარშული იქნება, დასდ-
გამენ ჩვეულებრივ სუფრებს, რომელზედაც დააწყობენ მომზადე-
ბულ ხორაგეულობას, არაუს, დაიმთებენ სანთლის ჩხირებს. განსა-
კუთრებით მოაწყობენ ერთ რგვალ და სამ-ფეხიან სუფრას „ფიჩქ“,
რომელზედაც ამორჩეულს სასმელ-საჭმელს დააწყობენ და ამასთა-
ნავე სამ ღერს წმიდა სამთელს დაასობენ ანთებულს. ოჯახი სუფ-
რების უკან მოშორებით დადგება, უფროსი ოჯახში კი, როგორც
სხომის, ყველაზედ წინ დგას, სუფრების მახლობლიდ. ძლიერ სი-
ჩუმეა. ოჯახის უფროსი დაბალის ხმით შემდეგის სიტყვებით მი-
მართავს მიცვალებულთ სულებს, რომელნიც მისის აზრით, იმ

დროს უხილავად უსხედან ხორაგით სავსე სუფრებს: „არც გიჩქარი, არც გაკავებ, კარგი ფეხი აქ მოგვიტანეთ, კარგი ფეხი იქ წაგლეთ, ჩვენ დალოცვილი დაგვტოვეთ ოქვენდა საუკუნოდ სახისენებლად; ჩვენის მხრით ვსთხოვთ ქრისტეს, მოგცეთ ადგილი მის სუფრაზედ“. როცა იმას გაათავებს, მიუახლოვდება მრგვალ სუფრას, რომელსაც უკან სკამი აქვს მიდგმული და დაიჩოქებს. სხვებიც დაიჩოქებენ. შემდეგ ისევ უკან დაბრუნდება თავის ადგილზედ და მოიხსენიებს მის მახლობელ მიცვალებულთა სახელდობ, რომელთაც შენდობას შეუთვლის, ისევ მივა სუფრის ახლო და დაიჩოქებს, სხვებიც იჩოქებენ. ისევ თავის ადგილას ბრუნდება და იხსენიებს უშორეს მიცვალებულთა, მივა კიდევ სუფრასთან და იჩოქებს. სხვებიც იჩოქებენ. როდესაც ადგება ფეხზე, მოწიწებით მოპკიდებს ხელს რგვალ სუფრას ხორაგითურთ და ნელის ბიჭით მიაქვს კარში. ერთი ოჯახთაგანი ანთებულის კვარით წინ მიუძღვის ეზოებში. კარში სუფრის გატანამდი, საშვალო ადგილას დასდგამს ცოტა ხანს სუფრას და ანბობს: „არც გიჩქარი, არც გაკავებ“, რომლის შემდეგაც კარში გაიტანს. კარში სუფრას ცოტა ხნით სდგამს და უკანასკნელად ეხვეწება მიცვალებულთ სულებს, რომ იგინი თავიანთს ადგილზე დაბრუნდნენ საიქიოს, იშუამდგომლონ ქრისტესთან, რომ ოჯახში არავინ მოკვდეს და მერმისათს მოუმატებს მათ საკურთხს და ხსენებას. ამ ორშაბათს სვანები ეძახიან „ლისგვარინალ“, რომელიც ქართულად ნიშნავს წაბრძანებას სულთა. ხალხის აზრით ამ დღემდი სულები მათ ოჯახებში იყვნენ დღე და ღამე, დღეს კი უკან მიდიან საიქიოს. ხალხი ისე დარწმუნებულია ამაში, რომ თვითოეულს სოფელში რამდენსამე კაცს ნახავთ, რომელნიც დარწმუნებით გეუბნებიან, რომ ამა და ამ მიცვალებულის სული ვნახე და შამომზივლაო, რომ მას საკურთხს არ უდგამენ მის ოჯახშიო. სიზმრებს, ხომ სამზღვარი არა აქვს ამ კვირაში. აქ უნდა შევ-ეიშნო, რომ რა კი ეს სულის ხსენება დაიწყება, მაშინათვე მოპკიდიან ზღაპრების თქმას განუშივეტლივ. ხალხის აზრით ზღაპრები მოსწონთ სულებს და ვინც კი იცის, ამ დღეებში უსათუოდ ამბობს. ვისაც სვანური ზღაპრების შექრება სურს, ამისთანა შემთხვევას ვერ ნახავს, რომლითაც მე ყოველს ზამთრობით ვსარგებლობ ზღაპრების შესაკრებად.

გ) ლიმპარი და ლიქვრაში. (ლამპრობა და უძლების კვირე)

სახალხო დღესასწაული „ლიმპარი“ (ლამპრობა) იწყება უძლების კვირის კვირიაკეს და გრძელდება იმავს კვირის საშაბათამდი. სამს საზოგადოებას გარდა (უშუალის, კალის და იფარისა) ეს დღე-

სასწაული ყველგან იციან სვანეთში და იციან ამ ნაირად: თვითო-
ეულს ოჯახს შამოუვა იმდენი სტუმარი ნაცვალი (ნაცაად), რამდე-
ნი სულიც იმის ოჯახშია. ერთ წელიწადს ერთი მოსახლე გადაბრინის
ამ დღესასწაულს, მეორე წელიწადს იგი სხვაგან იქნება დაპატიურე-
ბული ე. ი. იმ ოჯახში, რომელ ოჯახიდგანაც მას ყავდა დაპატიურე-
ბული კაცები პირველ წელიწადს. ასე, რომ ეს დღესასწაული, რო-
გორც ბევრი სხვაც სვანეთში, ვალდებულებითია ყველასთვის. ამის
შინედვით საზოგადოება ყოველს წელს ორათ არის დაყოფილი:
ერთი ნახევარი საზოგადოებისა მედლესასწაულეა, დამხვედრელია,
მეორე ნახევარი საზოგადოებისა კი დაპატიურებული. მეორე წელი-
წადს კი, პირიქით, შარშანდელნი მედლესასწაულენი უნდა იქმნენ და-
პატიურებული და მასპინძლებად შარშანდელი დაპატიურებულნი. კვი-
რიდგან სამშაბათამდი მასპინძელს უხვად უნდა ქონდეს ყველაფე-
რი ხორაგეულობა: პური, არაყი, ხორცი და ყველი. სიმღერას, ორ-
ფერხულს და თამაშს, როგორც კაცების, ისე ქალებისას, სამზღვა-
რი არა აქვს. ყველას შეუძლია, საღაც უნდა იქ მივიდეს დაუპატი-
ურებლად, საღაც მას მიიღებენ დიდის სიამოვნებით და პატივისცე-
მით, რაც უნდა ოჯახის მტერი იყოს. როგორც ზევით ვსოქვით,
დღესასწაული იწყება კვირა დილას; საღამოს თვითონეული ოჯახი
აანთებს წინათვე დაუენიოს და ცხვენს ქვეშ გამხმარს არყის ხი-
საგან გაკეთებულს ლამპრებს. ერთს დიდს ლამპარს წაიღებს მო-
სახლე ადგილობრივს ეკლესიაზედ, თითო მომცრო ლამპარს ყო-
ველს მის მიცვალებულთ საფლავზედ და ერთსაც, რომელიც სი-
დიდით ყველა ლამპრებზედ მეტია — კალოში. ხალხის რწმუნებით
საფლავებზედ დანთებული ლამპრები გზას უნათებენ იმათ მიცვა-
ლებულთ საიქიოს, როდესაც იგინი ამიერ ქვეყნიდგან მიემგზავ-
რებიან; კალოზედ დიდი ლამპარი არის დანიშნული „სუნდუქვ
დეცეშ-სთვის“. ეს „სუნდუქვ დეცეშ“ ხალხის აზრით არის ის
ცის ღმერთი, რომლის ხელთ არის ყვავილის მოვლენა ქვეყანაზედ
და ამისათვის ლამპრის ანთების დროს ხალხი ეხვეწება, მას, რომ
მან მშვიდობიანად მოავლინოს ყვავილი და ბავშები არ დახო-
ცოს. ადგილობრივს ეკლესიაში მიტანილის ლამპრით სვანი სთხოვს
ეკლესიას, ააშოროს მას ამის ოჯახში მყოფთ თვალის ტკივილი,
რომელიც ასე ხშირია სვანებში კვამლიანის სახლების გამო. ამგვა-
რი ლამპრები იცის ხალხმა 2-ს ფეხერვალს, მირქმას (სვანურად
სვიმონ-სვიმეონობა). განსხვავება იმაშია, რომ ამ დღეს დილით ყო-
ველი მოსახლე ერთს დანიშნულს ადგილს, უფრო ხშირად სოფლის
შუაგულს, მიიტანს თვითო კონა შეშას. შეშის კონებს ერთი მეო-
რეზედ თივის ზვინის მსგავსად დააწყობენ; ქვეიდამ ცეცხლს მის-

ცემენ და ერთიანად დაიწვის ეს შეშის ზვინი. შეშის დაწვის დროს ოჯახებიდან მოიტანებენ სამ-სამ ყველიან პურებს ხონჩაზედ და-დებულს. ერთი სოფლის მოხუცთაგანი ცალკ-ცალკე; მოსახლის რიცხვზედ შეალოცებს ხონჩიანად ამ პურებს ამ სიტყვებით: „მეგა უფლია!* ათმეზირ, ვსთქვათ, შალვა (ოჯახის უფროსი ვინც იქნება) მიჩა ლირდე ლიგზე, მიჩანაჩომნა აქვისებ; მიჩა ნახალ-ნალაშ, მიჩა-მეცხემ — მეჭაალა აშლარს გვენთე ახსიპინ“: („მეგა უფლია! და-ლოცე შალვა, მისი ყოფაცხოვრება, მისი ნაქნარ-ნამოქმედარი, მისი ნახნავ-ნათესი, მისი მოზარდი მომსწრე ახალ-გაზღობა და ასე წაღმა დააბრუნე“) ამ დროს სუფრას პურებიანად წაღმა დააბრუნებს. ამ-ნაირად დალოცავს ყოველ მოსახლეს ცალკ-ცალკე. როცა დალოცვას გაათავებს, პურებს აქვე დასჭრიან და იქ მდგომარე ხალხი ირიგებს საჭმელად.

როგორც ზევით მოვიხსენიე, ლამპრობა თავდება უძღების კვი-რის წინ სამშაბათს. ამ სამშაბათის მომყოლ პარასკევის იწყება მეო-რე დღესასწაული „ლიქვრაში“, რომელიც გრძელდება ხუთ დღეს ე. ი. უძღების კვირის ოთხშაბათამდი. აი როგორ მოვითხრობს ხალხის სიტყვიერი გადმოცემა ამ დღესასწაულის გაჩენას. საბატო-ნო სვანეთში, ბექის საზოგადოებაში, არის ერთი სოფელი „დოლ“ საღაც დღემდინ დგას დანგრეული ეკლესია წმ. ბარბალეს სახელ-ზედ, თაღ ჩამონგრეული, კედლების ამარა. ოდესალაც, ძლიერ ად-რე, ამ სოფლიდან, სხვა და სხვა შემაწუხებელ გარემოებათა გამო, წამოსულა ორი კაცი, გვარად ქალდანი და მეორე ჭელიძე, უშკუ-ლის საზოგადოებაში დასასახლებლად, რომელიც შორავს ბექის ორმოცდა-თოთხმეტის ვერსით. უშკულლებს მიუღიათ ეს ორი კაცი თავის მფარველობას ქვეშ და სასოფლო ადგილებისაგან მიუ-ჩენიათ მათთვის სახნავ-სათესი ადგილები, სათიბები და ტყე, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ ორს კაცს თავის სოფლის, დოლის, ეკლესი-იდგან მოეპარათ მაცხოვრის ხატი და მოეტანათ უშკულის წმ. ბარ-ბალეში. ამ პირობას ხალხი იმიტომ უფრო თხოულობდა, რომ დარ-წმუნებულ იყო ქალდანის და ჭელიძის საზოგადოებისადმი სიერთ-გულეში და უკან დაბრუნების პირი მოსპობოდათ მათ თავის სო-ფელში, დოლში. ქალდანი და ჭელიძე დათანხმებულა უშკულლების

* სიტყვა „მეგა“ არც სვანურია და არც ქართული. ჩემის აზრით იგი ბერძ-ნულია, დარჩენილი სვანურ ენაში მსგავსად სხვა ბერძნულის სიტყვებისა მაგ.. მიწას, ქვეყანას, სვანურათ ჰქვია „გი-მ“ როგორც ბერძნულადაც. „მეგა“ ბერძნუ-ლად ნიშანას: დიდს, მაღალს, და ერთათ მეგა უფლია (ქართული უფალი) გა-მოვა დიდო ანუ მაღალო უფალო, გინა ღმერთო!

მოთხოვნილებაზედ, წაუყვანიათ ექვსი კაცი უშკულლები, მისულან ს. დოლს, მოუპარავთ მაცხოვრის ხატი და უშკულის წმ. ბარბალეს ეკლესიაში დაუსვენებიათ, სადაც დღესაც არის. ამ ხატის მოგზა-ურობა ს. დოლიდგან უშკულამდე ძლიერ პოეტურათ არის გამოხა-ტული ხალხურ სიმღერაში სახელდობრ „დიდება ბარბალს დოლა-შის“ (დიდება შენდა წმ. ბარბალე დოლისაო), რომელსაც მარტო ამ დღესასწაულებზედ მღერის ხალხი. როდესაც ამ ხატის მოპარვა შეუტყვია მთელს სვანეთს — მაშინვე საზოგადო ყრილობა მოუწ-დენია. ყრილობის მიზანი ის ყოფილა, რომ რამე შესაჭირავით მოემადლიერებიათ დოლის წმ. ბარბალეს გული, რომელიც ხალხის აზრით იწყენდა მისგან ხატის წალებას. ბევრი მოსაზრების და ლა-პარაკის შემდეგ სვანეთის ყრილობას გადაუწყვეტია, დააწესონ ყო-ველ-წლობით ზემოაღნიშნულს დღეებში „ლიქვრაში“ წმ. ბარბალეს სადიდებლად, მაგრამ ეს დღესასწაული უნდა დარჩენილიყო იმ სო-ფელში და საზოგადოებაში, სადაც წმ. ბარბალე იპრიანებდა და ამის გასაგებად თვითონეულ სოფელს უნდა წაეღო, ხალხის განაჩე-ნის თანახმად, თვითონ ბოჭკა (სვანურად ნეღარ) „მეზერის“ მთაზე, რომელიც ძევს ბეჩის საზოგადოებაში და რომლის კალთებზე და-შენებულია ს. დოლი წმ. ბარბალეს ეკკლესიითურთ. მეზერის მთა სიმაღლით ორი ვერსია და ამის წვერიდან უნდა ჩემოეგორებია ყო-ველ სოფელს თავისი ბოჭკა. ვისი ბოჭკაც მთელი ჩამოვორდებო-და მთის წვერიდგან ძირამდე, იმ სოფელს და საზოგადოებას უნდა გადაეხადა ეს დღესასწაული ყოველწლივ ს. დოლის წმ. ბარბალეს სადიდებლად. როდესაც მთელი სვანეთის სოფლებს ერთად მოუ-ტანიათ ზემო ნაჩვენებ მთაზე თავიანთი ბოჭკები და ჩამოვორე-ბიათ ძირამდის, მთელად გამოსულან მარტო უშკულის, ს. მო-ლის და ს. დოლის ბოჭკები; სხვები სულ დამსხვრეულან. და აი, ამი-ტომაც დღესასწაული „ლიქვრაში“ დარჩენილა უშკულის საზოგა-დოებაში და ორს სოფელს: მუჯალს მულახის საზოგადოებაში და დოლს ბეჩის საზოგადოებაში. დღესასწაული „ლიქვრაში“ იმავე რიგით იწყება და თავდება, როგორც ზემოთ ოღწერილი „ლიმპა-რი“. აქაც ორი, სამი და ოთხიც მოსახლე არიან ერთმანეთში შე-თაბუნებული. მორიგით ერთ წელიწადს ერთი ოჯახი უმასპინძლებს, მეორეს — მეორე ოჯახი და ამ ნაირად მიჰყვება. განსხვავება ამ დღესასწაულს და „ლიმპარის“ შუა ის არის, რომ „ლიქვრაშობა“-ს არ აქცევენ ყურადღებას ერთი ოჯახის სიმრავლეს და მეორის სიმკი-რეს. შეიძლება ჩემს ოჯახში ორმოცი სული კაცი და ქალი იყოს და შენსაში მარტო ექვსი, მაგრამ თუ მსურს და გსურს, ჩვენ ერთმა-ნეთს შეუთაბუნდებით და ერთ-გვარს ხარჯს გავსწევთ. მეორე გან-

სხვავებაც იმაშია, რომ „ლიქვრაშობას“ ყოველი ხორაგი, საჭმელ-სასმელი გარდამეტებული უნდა გქონდეს, რასაც „ლიმპარობას“ ოჯ შეძლება არა აქვს მოსახლეს ვერ მოითხოვ. მესამეც ის, რომ „ლიქვ-რაში“ განსაკუთრებითი დღესასწაულია წმ. ბარბალეს სადიდებ-ლად და „ლიმპარი“ შეგიძლიათ ყოველ წმინდანს შეეხვეწოთ. ჩემი ნამდვილის გამოანგარიშებით „ლიქვრაშის“ გადამხდელს, რო-მელსაც ორი მოსახლე გარედგან უნდა შამოუვიდეს, ხუთს დღეში, პარასკევიდგან მის მომყოლ ოთხშაბათამდე, ეხარჯება: ხორცი, არა-ყი, პური, ყველი და სხვა წვრილმანი ასი მანეთისა. აქვე უნდა შევ-ნიშნო, რომ ყოველი ნაცნობი და ბევრი უცნობიც იმ საზოგადოებე-ბიდგან, სადაც ეს დღესასწაული არ იციან, მოდის დაუპატიჟებლად „ლიქვრაშის“ გადამხდელ სოფლებში, სადაც ყოველ მომსვლელს, როგორც ნაცნობს ისე უცნობს, დიდ პატივსა სცემენ და იმას არა-ვინ უუბნება, თუ რაზედ მოდიხარ ჩემ სახლში, რომ ვერც კი გიც-ნობო. მაგალითისათვის ვიტყვი, რომ ამ ზამთარს „ლიქვრაშის“ დღესასწაულზედ უშეულის საზოგადოებაში იყო მოსული გარეშე სოფლებიდგან, თავიანთის ნებით ას ორმოცდა ჩვიდმეტი კაცი და ქალი.

დღესასწაულები გაზაფხულ-ზაფხულობით

გაზაფხულ-ზაფხულობით სვანებმა უფრო ნაკლებ იციან სახალ-ხო დღესასწაულები. უფრო შესანიშნავი დღესასწაულები ამ დროს არიან: ა) „უფლიშ“ ანუ „ხოშა თანაფ“ ბ) „პულიშ“ პეტრე პავლო-ბის მარხვის წინა შაბათ-კვირის, გ) „ქაშვეთობა“ და ე) „ზურალას-კარ“ ანუ „ლიგურკე“ 15 ივნისს.

უფლიშ ე. ი. ახალ-კვირის დღესასწაული იციან ყველგან, უშ-გულის საზოგადოებას გარდა, და გრძელდება სამს კვირის. ყო-ველს საზოგადოებაში რამდენიმე მოსახლეა შეთაბუნებული, რა-მელთაც მორიგით ერთს წელიწადს ერთი უმასპინძლებს, მეორე წელიწადს — მეორე მოსახლე. დროს გატარება, ნაღიმთ-წყობა, სმა-ჭამა იმავე რიგით მიდის, როგორც სხვა სახალხო დღესასწაუ-ლებში ზამთრობით. განსხვავება იმაშია მხოლოდ, რომ დღესასწაუ-ლი სამ კვირას გრძელდება და ერთის მოსახლისთვის, რომელსაც სამიდგან ექვს მოსახლემდინ მოუვა სტუმრად, მეტად სამძიმო იქ-ნებოდა, რომ ამ დროს განმავლობაში სულ მისი ხარჯი ყოფილი-ყო; ამისთვის მასპინძელმა უნდა მოამზადოს მხოლოდ სახორცე და სასმელი არაყი, პური კი მომსვლელებმა უნდა შეაგროვონ წინ-დაწინ (ფქვილად, იმოდენი, რამდენიც საკმაო იქნება მასპინძელ-

სტუმრისათვის სამის კვირის განმავლობაში. ზოგიერთს საზოგადოებებში იციან კიდევ ხარის შეწირვა და დაკლვა სოფლის ეკულესიის გალავანში, სადაც მოსახლიდგან თითო კაცი მიღის, მიაქვს სახლიდგან თავის ჯერი დიდი ყველიანი პური. და როცა ხარის ხორცი, საარაყე ქვაბში ჩადგმული, ეკელესიის გალავანშივე მოიხარშება, ხალხი გულ-ლვიძლს და სხვა ხარის ხორცს ყველიან პურებითურთ შეალოცავს ღმერთს, რომლის შემდეგაც ხალხი სადილად ჯდება და არიგებს ხარის ხორცს მოსახლის რიცხვზე. ნასადილევს ხალხი თავიანთ სახლებში ბრუნდება.

დღესასწაული „პულიშ“ ანუ „ვულიში“, როგორც სახალხო დღესასწაული, იციან: თავისუფალ სვანეთში — მესტიის საზოგადოებაში და სადადიანო სვანეთს — ლაშეთის საზოგადოებაში. როგორც ზევით არის ნაჩენები ეს დღესასწაული ხვდება ყოველ წელს პეტრე პავლობის მარხვის წინ შაბათ-კვირას.

ორ-ორი და სამ-სამიც მოსახლე შეთაბუნებული არიან: ერთ წელიწადს ერთია მასპინძელი, მეორეს მეორე. სმა-ჭამას, ქეიფს, სიმღერას სამზღვარი არა აქვს. მესტიის საზოგადოების შუა არის სიგრძით ერთ ვერსიანი მინდორი, რომლის ნაპირზე გაშენებულია სოფელი. ამ მინდორში კვირას გაიმართება, სხვათა შორის, ცხენის ჭენება. ადგილობრივ წმ. გორგის ეკელესიიდგან გამოიტანენ ესრეთ წოდებულს „ლემ“ ე. ი. ლომისმაგაცად მოქსოვილს აბრეშუმის მატერიას. ერთმა ცხენოსანმა ეს მატერია, გრძელ გათლილ ჯოხის წვერზე მობმული, უნდა დაიჭიროს ხელში და სამჯერ უნდა გააჭენოს ცხენი მინდვრის ერთის კიდიდგან მეორედის. თუ ამ ცხენის ჭენების დროს ლომის მსგავსი ფორმა, რომელსაც პირი დაღებული აქვს, ქარისაგან სრულიად გაიბერა, მაშინ ხალხის აზრით კარგი წელიწადი მოვა, თუ არა და ნაკლები, ამ ცერემონიის გათვების შემდეგ ხალხი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა ყველა თამაშობს, იმღერის; კაცები თოფებს ესვრიან ნიშანს და ამ ნაირად ატარებენ დროს საღამომდინ.

სადადიანო სვანეთს — ლაშეთის საზოგადოების ჩრდილოეთით, სხვათა შორის, იმართება სიმაღლით ორ ვერსამდინ მთა, რომლის წვერზედ გაშლილია მოდიდო მინდორი; ამ მინდორშუა დგას ქვიტკირის ეკელესია მთავარ-ანგელოზის სახელზედ, სადაც ულიშობა დღეს მიდის ხალხი ლაშეთის საზოგადოებიდგან. ხალხს მიაქვს თან თავისი სადილი, სასმელ-საჭმელი, ჯდება იქ მინდორში სადილით, ქეიფებს და სალამოს სოფლად ბრუნდებიან. თვითოვეულს მოსახლეს მიაქვს ხსენებულის ეკელესიის შესაწირავად: რამდენიმე ღერი წმინდა სანთელი, დოქი ღვინო, ცხვრის გულ-ლვიძლი და მი-

სი ტაბლა. ეს ხორავი მიდის ს. მახაშის სასარგებლოდ, რომელსაც
ეკუთვნის ეკლესია.

დღესასწაული ჰულიში ძველის დროიდგან არსებობს სუანეთში.
ხალხში ამ დღესასწაულობის შემოღებას მოგვითხრობს სახალხო
სიმღერა, ამ დღეს სამღერებელი. ძლიერ აღრე, ენგურის სათავეში,
მთიდგან მოწყვეტილა საყინულე, სვანურად „ჰოლ“ ანუ „ვოლ“
(რუსულ. լეძნი), ყინულს ენგური დაუგუბავს ისე, რომ მის
ქვეშ ერთი ცვარი წყლისა არ გაუშვია. როცა ეს დაგუბული წყა-
ლი აზვავებულა, ყინული დაუძრავს და მთელის სვანეთის ხეობაში
ჩამოუტანია. რადგანაც ყინული დიდი ყოფილა, ამისათვის, მისი
ნაპირები წყელა სოფლებს მოხვედრია და მთელი სვანეთის სოფ-
ლები წაულეკავს. ამ უბედურების შემდეგ ხალხს, რომ იგი მეო-
რეთ აღარ გამოირდეს, დაუწესებია ეს დღესასწაული „ჰულიში“.

ქაშვეთობა იმართებოდა ლენჯერის საზოგადოებაში თავისუ-
ფალს სვანეთში და სოფელ სასაშს სადადიანო სვანეთში. ეს დღე-
სასწაული გრძელდება მარტო ორს დღეს. ყოველმა მოსახლემ თავის
სახლში უნდა მოიმზადოს ბლომათ სასმელ-საჭმელი. ნასაღილევს
ხალხი სხვა-და-სხვა ნაირის მღერით და თოფის სროლით ნიშანში ატა-
რებენ დროს საღამომდინ, საღამოს საზოგადოება ორად იყოფა,
ზედა უბანი ერთი მხრით დგას, ქვედა მეორეთი; ორივე მხარე წამ-
ლით გატენილ თოფებს ესვრის ერთმანეთს. რომლის მხრითაც უფ-
რო ბევრი გავარდება თოფი, იმ უბანში უკეთესი წელიწადი მოვაო.

ზურალასკარ (ქალების ნადიმი) ანუ ლიგურე „კვირიკობა“
მარტო უშეგულის საზოგადოებაში იცის 15 ივლისს. დღესასწაული
გრძელდება ერთ დღეს. ძველად ეს დღესასწაული მარტო ქალე-
ბისა ყოფილა, ბოლოს კი კაცებიც გარეულან. ეს დღესასწაული
ისეთივე წესით იციან, როგორც „ლიმპარი“, ესე იგი რამდენი სუ-
ლიც სახლშია იმდენი დაბატიუებული გეყოლება და სხვა. საღამოს
იმ დღეს აცხობენ სამ ფუთზე მეტს ყველ ჩართულ პურს; ყველს და
ფქვილს სოფელი ბოჭავს. აცხობენ ამ ნაირად: დაანთებენ სახლის
შუაში ცეცხლს, როცა მიწა გახურდება, ცეცხლს სხვაგან გადაყრი-
ან და მის ნანთებზე ამ პურის ქვედა კანს დააღებენ, მერე ჯამებით
პურში ჩაყრიან მოზელილ ყველს, შემოავლებენ გვერდებზე და ზე-
ვით კანს და შემდეგ ზედა ნაპირას ცეცხლს დაანთებენ, რომ პური
გამოცხვეს. როცა შეატყობენ, რომ პური მზათ არისო, ცეცხლს გა-
აქრობენ, ზედა კანს დამწვარს ცეცხლისგან, ააცლიან, შიგ ცეცხლი
თითქმის დუღს ისე ცხლად არის. ამ ყველს თითო საწყავ ჯამს გა-
უგზავნიან ყოველ მოსახლეს და ამით თავდება ამ ყველის ისტო-
რიაც.

(შემდეგი¹⁾)

შემოდგომას სვანურად „მუზღვერ“ ჰქვიან და ნიშნავს ქართულად: მზე (მიუ) მიღის (ლირი), ესე იგი „მზე მიღის ან იხრება სამხრეთისაკენ“. ყოველ გვარი ხარჯი წელიწადის ამ დროისა სულ ერთიანად დანიშნულია მკვდართა სულის მოსახსენებლად და საკურთხებლად, გარდა რამოდენიმე იშვიათ შემთხვევისა, რომელსაც ქვემოთ დაინახავს მკითხველი. ხალხის ლრმა რწმუნებით და ჩვეულების ძალით ყოველ მიცვალებულის სულის საცხონებლად მიუცილებული და ვალდებულებითია ჭირისუფალთათვის შემდეგი წესები: 1) „ლაგვან“ ან „კონჩხარ“, 2) „ბაცხ“ ან „ქუნეგვეშ“ (სულის საქმე).

1) „ლაგვანს“ ან „კონჩხარს“ ხალხი ასრულებს ამ გვარად: ვსთვეათ, 1860 წელს მოკვდა შეძლებულის ოჯახის ერთი წევრთაგანი, რა სქესისაც უნდა იყოს, არა ნაკლები სამი წლისა. მომავალის წლის შემოდგომისათვის ამ ოჯახმა გაზაფხულზედვე უნდა გაუშვას ორიდამ თორმეტ ცალ ხარამდე სასუქად მთაზე და უნდა პყავდეს იქ შემოდგომის მიწურულებამდე, როდესაც მთაში ჩამოსთოვლს და ბალახობა საქონლისა შეუძლებელია. იმავე გაზაფხულზე, თუ ოჯახი შეძლებულია, ერთი წლითაც უნდა შეაგდოს სასუქად რამოდენიმე ლორი 2—8, ამდენივე ვერძი და ვაცი. ოჯახი აქედამვე უნდა შეუდგეს „ლაგვანისთვის“ პურის და არაყის მომზადებას და თავდარიგს.

უწინდელს დროში შეძლებულ სვანის ოჯახს ყოველთვის მოეძებნებოდა ერთი ან მეტი მზა კიდობანი ფქვილისა ყოველ შემთხვევისათვის; აგრეთვე საარაყედ ქერი და ქუბა; ვისაც კი მზა-შენახული არა ჰქონდა, ის შემოდგომაზე ახალის მოსავლიდგნ გალეწდა და იქიდამ ხარჯვდა, რაც საჭირო იყო, თუნდა ოჯახს კიდეც დაპატარჯოდეს მისი წლიური სარჩო. ამასთანავე მიცვალებულის ჭირისუფალთ უნდა შეეკერათ ერთი წყვილი ახალ ახალი ტანისა-მოსი, რაც კი საჭიროა კაცისათვის თავიდამ ფეხებამდე, მიცვალე-

* ვბეჭდავთ ჩვენ ამ გაგრძელებას წერილისას, რომელიც შეიცავს დაწვრილებითს აღწერას სვანთის დღესასწაულებისას, თუმცა მისი დასაწყისი დაბეჭდილი იყო გაზ. „შრომაში“ (№№ 20, 22 და 24 1883 წ.). დღევანდელი წერილი სრულიად ცალკე აღწერილობას წარმოადგენს და დასრულებულ შენიშვნად ჩაითვლება. რედ.

ზულის საკურთხებელად. დადგა შემოდგომა, დრო „ლაგვანის“ გადახდისა. მთებში ჩამოთვლა. სასუქი ხარები, რომელთაც გაზაფხულიდამ დამოკიდებული მიწურულს სვანეთის შემოდგომამდე ცეტივა რობაში გაატარეს დრო, სახლში მორეკეს; მორეკეს, მაგრამ რა მორეკეს! რომ შეხედოთ, დევები გეგონებათ (საზოგადოდ დიდ ტანის ხარებს ირჩევენ სასუქად). სიმსუქნისაგან ღარ-ღასმულნი, იგინი თითქმის გაველურებულან, ახლო არავის იყარებენ; სოფელი ეუცხოვებათ ისე, თითქო თავის დღეში არ ყოფილან შიგაო. სასუქად შეგდებული ღორები ისე გასუქებულან, რომ უკანა ფეხებზე ვეღარა დგებიან ტანის სიმძიმისაგამო; სასუქ ვერძებს და ვაცებსაც ესევე ამბავი მოსვლიათ, მხოლოდ ღორებსავით წელი არ მოსწყვეტიათ; პირიქით ისე გიურად დახტიან, რომ ასე გეგონებათ, სვანის დარბაზში (დარბაზს სვანები სახლის მეორე სართულს ეძახიან, სადაც ზამთრობით თივას ინახავენ და სასუქ ცხვარ-თხასაც იქ ამწყვდევენ) ვაცები კი არა და ჯიხვები დახტიან. არაყიც გამოხდილი და მომზადებული აქვს მიცვალებულის ჭირისუფალს, მხოლოდ პურის გამოცხობა-ღა აკლია; ოჯახმა დანიშნა დღე „ლაგვნის“ გადახდისა; ორი კვირის წინედ შეუდგა პურის ცხობას, რომელსაც „სებისკვერს“ ეძახიან. „სებისკვერის“ საცხობლად ოჯახი მოიწვევს ხოლმე ამ საქმეში გამოცდილს და მცოდნე დედაკაცს (ყოველ საზოგადოებაში არიან ამგვარი დედაკაცები). ამ დედაკაცმა უნდა გამოაცხოს 1—4 „სებისკვერამდე“ კაცის სულზე, რამდენი სულიც კი ითვლება საზოგადოებაში, განურჩევლად სქესის და წლოვნებისა. იმ საზოგადოებებში, სადაც კაცის სულზე ერთ „სებისკვერს“ აცხობენ (მაგალითად, უშგულში), პური იმ ხელა უნდა იყოს, რომ სამ კაცს მაინც ეყოს; სადაც ორ-ორ პურს აცხობენ (ლატალის საზოგადოება და სადადიანო სვანეთში), იქ კი შეიძლება ერთი „სებისკვერი“ გაათაოს კაცმა. „სებისკვერი“ უნდა იყოს წმინდა პურისა, მაგრამ სადაც პურზე მეტი ქერი მოდის, იქ ამ უკანასკნელსაც გაურევენ ხოლმე. გათავდა პურის ცხობა. არაყიც მზად არის, დასუქებული საკლავები სახლებში ჰყავთ დამწყვდეული. ერთის სიტყვით, ყველა საჭირო მასალა მზად არის და ვთქვათ — ხვალ უნდა მოეღლოს ბოლო ამდენი ხნის ნამზად-ნაამაგებ პურ—არაყ—საკლავებს, რომ მიცვალებულის და საზოგადოების ვალი შესრულდეს „რჯულზე უმტკიცეს ჩვეულების“ წყალობით. „ლაგვნის“ გადახდის წინა დღით მასპინძელი იწვევს ახლო ნათესავებს, სახლიკაცებს, სიძეებს და სხვათ თავდარიგისათვის. ზოგიერთს მათგანს, უფრო ხანში შესულებს, ირჩევს მზარეულებად და აბარებს საკლავებს, ზოგიერთს აყენებს არაყის გამგედ, ზოგსაც პურს აბარებს. ამ დროს

მღვდელს (უწინ პაპას) მოიყვანს მასპინძელი, რომ საკლავები უკურ-
თხოს (აქაურად მარილის კურთხევა). მოდის პაპა (იხლა „მღვდელი“);
მასპინძელს საკლავები — ღორების გარდა — მოჟყაფს თავისამაგ
ბინებიდგან — ბაკიდგან, აძლევს პაპას იმდენ ორ-ორ წმინდა სანთ-
ლის ჩხირს, რამდენიც საკლავია და მარილის კვნიტს („ნარს“). პაპა
სანთელს მოუკიდებს, ორ-ორ ანთებულ სანთელს საკლავის რქებზე
დაანთებს თვითონეულად, ერთს მოკიდებულს თვითონ დაიჭირს ხელ-
ში, იტყვის ზეპირად ლოცვებს (პაპი), რომლის გათავების შემდეგ
თვითონეულს საკლავს მარილის კვნიტს მოალოკინებს; შემდეგ, მო-
კიდებული სანთლით წაუწვამს საკლავებს ბალანს — შუბლზე,
ორ—ბეჭ შუა და გავის ბოლოს. ამის შემდეგ პაპი წავა, მეთავდა-
რიგუ კაცები მისცვივიან საკლავებს, შებოჭვენ მსხვილი თოკებით
დიღის ვაი-ვაგლახით და დაპკლავენ შემდეგ დიღის ბრძოლისა საქ-
ლავთა და დამკვლელთა შორის. ეს სცენა ხდება საზოგადოდ სვანის
სახლის ქვედა სართულში, რომელშიაც თვითონ სცხოვრობს. უნდა
შეიხედოთ ამ ღროს ამ სახლში, სადაც ამდენი გასატყავებელი საკ-
ლავით მოფენილია ბნელი, კვამლისაგან გაჭვარტლიანებული სვა-
ნის სახლი, რომ ნათლად წარმოიდგინოთ სურათი ზემოხსენებული
სცენისა, რომელსაც საფუძვლად მამა-პაპური ტრადიცია უძევს.
გაატყავეს დაკლული საქონელი. გაფუფქეს ლორები, ხორცი ჩაიბა-
რეს ამორჩეულმა მზარეულებმა და ასო-ასოდ ასწრეს; შემდეგ
ჩაჰყარეს სპილენძის დიდ ქვაბებში (სვანეთში განგებ ამ შემთხვე-
ვისთვის აქვთ დიდი ქვაბები, ზოგიერთ მათგანში ექვსი ხარის ხორ-
ცი ერთად მოთავსდება მოხარშვის ღროს). მზარეულებმა მთელი
ღამის განმავლობაში უნდა გაათავონ ხორცის ხარშვა და მისი განა-
წილება იმდენ ულუფად, კერძად, (ლიგაფ, ლიმაათ), რამდენი მე-
კომშრიც საზოგადოებაში ითვლება, რომ დილისთვის მასპინძელი
ყოვლის მხრით მზად იყოს. ამ გაწამაწიაში და ჭაპან-წყვეტაში სა-
ღამოც დადგა. მასპინძელმა სახლი დააგვევინა, მიყრილ მოყრილი
ოჯახის ავეჯულობა თავის ადგილს დადგა. ამაღამ მასპინძელმა „პან-
შვირ“ (პანაშვიდი) უნდა გადიხადოს ამ გვარად: მასპინძელს თავი-
სი სახლის-კაცები, ნათესავები — ახლობელი და შორეული —
თთო კაცი კომლიდგან — მოუტანენ შესაწევარს „ლეხდე“ 30 პა-
ტარა ცალ პურს კომლიდგან. პურის მომტანნი ვახშმად იქ რჩებიან.
ვახშმად ეს მოტანილი პური უნდა დაიხარჯოს, არაყი და ხორცი,
უმეტეს ნაწილად შიგნეულობა საქონლისა მასპინძელმა უნდა და-
ხარჯოს.

ვახშმად პაპას (მღვდელს) მიიპატიუებენ, რომელმაც პანაშვიდი
უნდა გადუხადოს მიცვალებულს, რომლის სულის საცხონებლად

ყოველიცე ეს ხორაგი იხარჯება. გათავდა ეს ვახშამიც. გათენდა მეორე დილა „ლაგვნის“ გადასახდელად დანიშნული დღისა, სტროგი დოებამ, რასაკვირველია, იცის ეს დღე, ყოველი მოსახლე. დადანიშნულიანად ემზადება მასპინძლისას წასასვლელად, იკაზმება სადღე-სასწაულო ტანისამოსით. ვისაც კი წასვლა შეუძლია, ყველა მიღის. სახლში არავინ არა რჩება, რადგან ამ შემთხვევაში სვანებიც ქართული ანდაზის მიმდევარნი არიან: „შენი თუ არაფერი იხარჯება, ლხინს ნურაფერი გირჩევნიაო“. ხალხი მასპინძლის ეზოში მოგროვდა. მასპინძელს ყველაფერი მზადა აქვს: უცდის მხოლოდ წირვიდგან მღვდლის ან პაპის მოსვლის. აპა, მღვდელიც მოვიდა; იგი შეიყვანეს მასპინძლის დარბაზში, სადაც აწყვია — ერთის მხრით მოხარული ხორცის ზეინები კევრებზე და ფიცრებზე, მეორეს მხრით გამომცხვარი პური გოდრებით, მესამეს მხრით არაყით სამსე ჭურები, კოკები და დორები. ამ ჩამოთვლილ ხორაგეულთ შუა დგას ერთი სკამი, სავარძლის მსგავსი; მასზე ჩაცმულობის მინაგვარად აწყვია ახალი ტანისამოსი მიცვალებულის საკურთხებლად. პერანგი და მისი ამხანაგი, ახალუხი, შალვარი, პაიჭები, ქალამანი, ჩოხა, ქუდი, სარტყელი; იარაღი: ხანგალი, თოფი, ფიშტო და ლეკური. თუ ქალს უხდიან „ლაგვანს“, მაშინ, რასაკვირველია, ქალურ ტანისამოსს უკურთხებენ. სკამის წინ, სადაც საკურთხებელი ტანისამოსი აწყვია, რომელშიაც, ესე იგი ტანისამოსში, სვანის რწმუნებით — უხილავად გამოხვეულია მიცვალებულის სული, დგას რგვალი ტაბაკი, რომელიც სავსეა არჩეულ სასმელ-საჭმელით, ხილეულობით და სხვ. ყველა საკურთხი ხორაგეულობა განთებულია რამდენიმე ათი და ასი სანთლის ჩხირით. მღვდელმა აქაც პანაშვიდი უნდა გადიხადოს, რომლის შემდეგაც, ნაკურთხი ტანისამოსი თითონვე მღვდელს მიაქვს. გათავდა ეს წესიც. მღვდელი ხალხთან გამოდის, რომელიც უცდის მას ეზოში. ახლა იწყობა სხვა ცერემონია: ყოველი მოსახლიდან თითო კაცი მიღის დარბაზში ხორაგეულობასთან გოდრით. ხორაგეულობას თავზე ადგას რამდენიმე მეთავდარიგე კაცი; ერთმა ამათგანმა უნდა იცოდეს, სახელდობრ, ყველა კაცი და ქალი საზოგადოებისა, რომ მათის რიცხვის მიხედვით დაურიგოს პურები სულზე და ხორცის ულუფა კომლზე. მოდის ერთი მეკომურთაგანი ამ კაცთან გოდრით. პურის და ხორცის მორიგე აძლევს ამას იმდენს ოთხ-ოთხ პურს (სადაც ერთი იციან, ერთს პურს), რამდენი სულიც მის ოჯახშია, შემდეგ ერთს ულუფა ხორცს და ამნაირად გაურიგებს მთელს საზოგადოებას. უწინდელს დროში ამ როლს პაპები ასრულებდნენ, ახლა კი სოფლის მოხელეები. ეს პური და ხორცი ყველა მეკომურმა სახლში

უნდა წაიღოს. როცა პურის და ხორცის დარიგება გათავდება, მას-
პინძელი მოატაინებს მერქიფეთ არაყს ხალხთან და ორ კაცზე ურთ
პურს და ხორცის პატარა ნაჭრებს, რომელიც იქვე უნდა დაუდება
გოს ხალხს არყის სმის დროს შესატანებლად და დასანაყრებლად.
არაყს ასმევენ ხალხს პირველად კასრის მსგავს ხის ჭურჭლებით
(სეგდა-კიუო) და დიდის ჯამებით. ხალხის დაშლის დროს კი რამ-
დენსამე ადგილას დადგამენ არაყით სავსე ხის გობებს, საიდანაც
მსურველი სვამენ, ვისაც რამდენიც უნდა.

ეს არაყის სმა გრძელდება სალამომდის, როდესაც სმისაგან გონ-
დაკარგული ხალხი სახლებში იშლება.

ჩვენ აესწერეთ შეძლებული სვანების „ლაგვანი“, მაგრამ ლარიბ
ოჯახებს შეძლება ნებას არ აძლევს თორმეტი ხარი, ღორები, ვა-
ცები და სხვა საკლავი იყოლიოს. მისთვის ორი ხარი და ამის შესა-
ფერადვე არაყი კმარა, მხოლოდ პური კი იმდენი უნდა გამოაცხოს,
რამდენსაც შეძლებული აცხობს; ამ უკანასკნელ გარემოების შესა-
ხებ ლარიბებსა და მდიდარს შუა განსხვავება არ არის. როგორც
უნდა იყოს, საქმე ის არის, რომ მდიდრულად იქნება, თუ ლარიბუ-
ლად, ეს წესი, „ლაგვანი“, ყველა სვანისთვის სავალდებულოა, თუ
უნდა, რომ საზოგადოებაში არ გამოსწყოდეს, როგორც ჩვეულების
დამარცვეველი და მიცვალებულის სული არ ემდუროდეს, რომელ-
საც, სვანის ფიქრით, ბევრის ვნების მოტანა შეუძლია ოჯახისათვის.
აქ ისიც უნდა შევნიშნო, რომ უმეტესი ნაწილი შეძლებული სვანე-
ბისა სიცოცხლეშივე იხდიან თავის თავისათვის „ლაგვანს“. ამას
სჩადიან ერთი იმიტომ, რომ ეს დიდი ხარჯი ააშორონ სიკედილის
შემდეგ თავიანთ ჭირისუფლებს და მეორეც იმიტომ, რომ სიცოცხ-
ლეში თავის თავისათვის „ლაგვანის“ გადამხდელი სვანი უფრო თა-
ვის სურვილზე და გემოვნებაზე მოაწყობს იმ საკურთხეს, რაც მას
უფრო მოსწონს და უყვარს. სვანის რწმენით, სააქაოს მოსაწონი და
ნეკურთხი, საიქიოს დაუხდება მას სიკედილის შემდეგ. მიცვალე-
ბულისთვის გადიხდიან თუ ცოცხალი გადიხდის თავის თავისათვის
„ლაგვანს“, რიგი და წესი ცერემონიისა ორივე შემთხვევაში ერ-
თი და იგივეა. განსხვავება მხოლოდ ერთშია: იმ სკამზე, რომელზე-
დაც მიცვალებულის საკურთხ ტანისამოსს დააწყობენ, ცოცხალი
კაცი დაჭდება თავის ახალს ტანისამოსში, იარაღით; ირველივ შე-
მოიხვევს თავის ცოლ-შვილს (ვისაც ჰყავს) და მონათესავეთ; ერთს
ხელში ანთებულს სანთელს დაიჭერს და მეორე ხელით წინ დად-
გმულ სუფრიდამ სასმელ-საჭმელს მიართმევს. ამასთანავე ეხვეწება
ქრისტეს, რომ, რაც დღეს მას ეკურთხება, ეს ყველა ამ გვარად ა-
ახვედროს საიქიოს სიკედილის შემდეგაც. სხვა განსხვავება არაფე-

რია. უმკვიდროდ გადაშენებულს სვანს ნათესავები უხდიან „ლა-
გვანს“ და თუ ესენიც არა ჰყავს — სოფელი; „ულაგვანოფი“ არა
არა ცხონდება.

2) ბაცხ, ბეცხ ქუნეგვეშ (სულის საქმე) ბევრში წააგავს ზემოდ
აღწერილს „ლაგვანს“, მაგრამ ბევრითაც განსხვავდება, მაგალითად: „ბეცხი“ არ არის სავალდებულო ყველასთვის და ამისათვის იგი
შეადგენს ჩვეულებას მხოლოდ შეძლებულ სვანთათვის, როგორც
საქებური და სამადლო საქმე. საკლავების რიცხვი განსაზღვრული
არ არის და არაოდეს იმოდენა არ დაიკვლება, რაოდენიც ლაგვან-
ზე. პური, რომელიც „ბეცხვის“ დროს ცხვება — „ქაბაბ“ — ნაკ-
ლებია „ლაგვანის“ პურზე — „სებსკვერზე“, და ეძლევა მარტო მა-
მრობით სქესს და დაბადებიდამ 12-დამ 15-წლამდე სულზე ორ-
ორი პური და არა ოთხ-ოთხი, როგორც ლაგვანზე. ხორცის ულუ-
ფაც კომლზე ნაკლებია „ლაგვანისაზე“. მთელი ხალხი კი არ მი-
დის ბაცხზე, არამედ მარტო სახელდობრ დაპატიუებულნი მასპინძ-
ლისაგან კომლიდგან 2—4 კაცამდე. მონათესავეთ მასპინძელი აჭ-
მევს ერთს ხარჯს ვახშამს და საზოგადოებას კი სადილობისას ას-
მევს არაყს და ურიგებს ხვედრს პურს და ხორცს. ბაცხზე შეიძლე-
ბა მხიარულება, სიმღერა, ფერხული და სხვა, რაც „ლაგვანზე“
შეუძლებელია. „ბაცხის“ გადახდის დანიშნულ დღეს მანპინძელი ქა-
ლი (და არაოდეს მამა-კაცი) პაპებს აკურთხებინებდა ზეთს (ზეთი-
ლიჯგრი), რომელზედაც მიიპატიუებდა უმახლობელ ნათესავთ და
აჭმევდა ვახშამს.

მე აკსწერ ზეთის კურთხევას პაპების დროისას, როდესაც კანო-
ნიერი მღვდლები თუმცა იყვნენ, მაგრამ პაპები მანიც არ იყვნენ და-
მორჩილებულნი და გავლენა მოკლებულნი. ამ გვარი ზეთის კურთხე-
ვა პატარაობისას ჩემის თვალით მინახავს. ზეთის კურთხევისათვის
პაპები იღებდენ ექვსი მანეთის საღირღებს (აცხიშ, ან უსგვა ღერ-
ქვაშ) საკლავს, ხორცს. ეს ექვსი მანეთის საღირჩალი პაპებს წინდაწინ-
ვე უნდა მისცემოდათ და ამისათვის შეიქნებოდა მასპინძლისა და
მათ შუა მოციქულობა. პაპებს თავისით დაფასებული საქონელი თუ
არ მიეცემოდათ მასპინძლისაგან, ისე არ თანხმდებოდენ. გარიგდენ
პაპები და მასპინძელი და მივიღენ უკანასკნელისას. აქ მოპატიუე-
ბული ხალხი უცდის. ხალხი დასხდა დამზადებულ სკამებზე. პაპებს
და დაპატიუებულთ სუფრა დაუდგეს; ხორაგეულობა დააწყეს. უფ-
როსი პაპა სწავლით („იღდელან-ღდელ“ — მღვდელი) უნცროს პა-
პებს „დიჯვანს“ ეძახდა. ჩაიცვამდა ვითომ „ფილონს“, დაიკავებდა
წიგნს „კურთხევანს“, და ფეხზე აღგებოდა. ერთი პაპათაგანი ღერწა-
მის ხაზრიდგან (ქილა, მასრა) გააკეთებდა შვიდ ჩხირს, თავებზედ

ბამბას შემოახვევდა რგვლად. ბამბიან თავს ნიგვზის ზეთში ამოავ-
ლებდა, რომელიც წინდაწინვე იყო დამზადებული ამ შემთხვევებთათ-
ვის და დასასობდა სუფრაზე. მასპინძლის ხანში შესული დღდაჩაცა,
დედა იქნებოდა, ცოლი, თუ ვინმე სხვა—სულ ერთი იყო (მამა-კაცი
არაოდეს არ იყურთხებდა ზეთს), ახალ ტანისამოსში მივიდოდა ფი-
ლონ ჩაცმულს პაპასთან და დაიჩექებდა; მარჯვენა მუხლში მოჰკი-
დებდა ორივე ხელებს. პაპა ფილონს გადააფარებდა თავზე და და-
ფარავდა („ლოხუნჩე“—შეფარვა) და შეუდგებოდა ლოცვების კითხ-
ვას, ანა და ზეპირად თქმას. სხვა პაპებიც, რომელნიც იქვე ისხდენ,
მოჰკვებოდენ ზეპირად ლოცვებს, ვინც რა იცოდა. ეს პაპების ლოც-
ვების უთავბოლო რახა-რუხი გაგრძელდებოდა ათი-თხუთმეტი წუთი,
რომლითაც თავდებოდა — ასე ვსთქვათ — პირველი აქტი ან მოქ-
მედება ამათი კომედიისა. გათავების შემდეგ ერთ ჩხირს ლერწმი-
სას ზეთში ამოავლებდენ, მოუკიდებდენ ცეცხლს და დასწვავდენ.
პაპები ცოტა არაყს მიირთმევდენ, საჭმელს შეაყოლებდენ, „თორემ
დავიღლებით, ვერ გავძლებთო“, ამბობდენ პაპები და დაიწყებდენ
მეორე აქტს — მსგავსად პირველისა. ასე და ამ გვარად გაათავებ-
დენ შვიდს მოქმედებას და შვიდივე ლერწმის ჩხირს დასწვავდენ,
რომლის შემდეგაც ზეთის კურთხება გათავებული იყო. გათავებამ-
დე ქალი მუხლ-მოდრეკილი დგას პაპის წინ, ამბობს ჩუმათ თავის
ცოდვებს და ეხვეწება ქრისტეს, რომ მისი ცოდვები პაპაზე გადი-
ტანოს. სვანების აზრით, ზეთ-ნაკურთხი ქალის ცოდვები სულ ერ-
თიანად გადაღის პაპაზე, და თუ ზეთის კურთხევის შემდგომ ქალმა
ცოდვები არ ჩაიდინა — ცხონებულია ხალხის რწმუნებით. ერთის
სიტყვით — სვანების ზეთის კურთხევას ხალხის თვალში ისეთივე
მნიშვნელობა აქვს, როგორიც ჰქონდა საშუალო საუკუნეებში რო-
მის პაპების ინდულგენციის მორწმუნე კათოლიკეთათვის. ასეა, თუ
ისე, ეს კი ნამდვილად ხდებოდა, რომ ზეთ-ნაკურთხი ქალი მის შეტ-
ყობის გვარად — ერიდებოდა ცოდვებს, მაგალითად, მარხვის ჭა-
მას, ჩხებს, ცილისწამებას და ამ გვარ საჩრწმუნოების წინააღმდეგ
საქმეებს, რამდენადაც ეს მან იცოდა. ამითი აიხსნება ისიც, რომ
ზეთს იურთხებდენ ხანში შესული დედა-კაცები, რომელთაც თა-
ვის შემაგრება და აღთქმის შესრულება შეეძლოთ და არა ახალგაზ-
და ქალები. და მამა-კაცები ხომ სულ არაოდეს. ზეთის კურთხევის
გათავება და ვახშმის დაწყება ხალხისა და პაპებისაგან ერთი იყო.
სვამდენ, სჭამდენ და მთვრალი ხალხი სახლში წავიდოდა. ამითი
თავდებოდა ბეცხი თავისი ზეთის კურთხევით.

აქ ერთი რამ უნდა შევნიშნო. ბატ. დ. ბაქრაძე. (იხილე გაზ.
„კავკაზი“ 1877 წ. № 80) ამბობს სვანეთში ნახულ ერთ ეტრატზე,

საღაც სვანების აღაპები ნახსენებია და ამ აღაპს აღაბად „მარტიანეს“ უწოდებდენო ძველიდ. მე მას აქეთ განგვებ მივაჭურად ლება ამ სიტყვას, მაგრამ ხალხში სიტყვა „მარტიანე“ არ ფარჩენილია, არც აღაპის გამომხატველად და არც სხვა რამესი. ერთს ადგილას ჯ მანუსკრიპტში ნახმარია სიტყვა „ფეცხა“, რომელიც, უპველია, უდრის ახლანდელს სვანების „ბეცხს“, ან „ბაცხს“. მაგალითად, ერთ ადგილს სწერია: „ორმოცი საკლავი მოჰკლეს „ფეცხა“ — კრება, ზეთის კურთხევა ჰველა ღირსნი უყავ“ და სხვ.

3) „კათხ-ტაბაგ“ (კათხა ტაბაგი) უდრის აქაურს ნადიმს, ბალს. შეძლებული ოჯახი სასუქად გაუშვებს, ვსოდებათ, ერთ უღელს ხარს, ან მარტო ერთ ხარს, ძროხას, და სხვა წვრიმალ საკლავებს, შემდგომისთვის მოამზადებს არაყს, გამოაცხობს პურს და დაპატიჟებს თავის მონათესავეებს, ნაცნობებს, სოფლელებს საღილად. ამ საღილზე მასპინძელი ბლომად მოუტანს სტუმრებს პურს, ხორცს და არაყს. არიან სტუმრები საღამომდე და შემდგომ დამთვრალები წავლენ თავიანთ სახლებში. ამითი თავდება ეს კათხ-ტაბაგი, რომელსაც საღმრთოს ეძახიან („საღირბათ“) და ამიტომ ამ ნადიმზე მკვდარს არაფერს არ უკურთხებენ ხოლმე.

4) „ყერიაშ“. თუ ოჯახში მძიმედ ივად გახდა ვინმე, მაშინ ეს ოჯახი მოუყრის თავს სოფელს, გამოიყვანს ერთს-ორს და მეტსაც ხარს, მიიყვანს ადგილობრივის ეკლესიის კარზე, საღაც სოფელი თავმოყრილია, ავადმყოფის პატრონი ხალხს სთხოვს შეეხვეწოს ავადმყოფის მორჩენას ეკლესიას, რომელსაც ოჯახი პპირდება შესაწირავად შემოდგომის დასაკლავად მოყვანილ ხარებს. ხალხი დაიჩინებს ეკლესიის წინ და ითხოვს ავადმყოფის მორჩენას. შემოდგომაზე ამ ხარებს დაჰკლავს ოჯახი და დაპატიჟებს იმ სოფლელებს, რომელთაც ეკლესიას სთხოვეს ავადმყოფის მორჩენა და სხვა მის ნათესავებსაც. ლხინი იწყება და თავდება ისე, როგორც „კათხ-ტაბაგზე“. ავადმყოფი მორჩება თუ მოკვდება, ოჯახმა ეს წესი „ყერიაში“ მაინც უნდა გადიხადოს. ვისაც საკლავები არა ჰყავს, იმას შეუძლია მარტო პურზე, არაყზე და სამარხოზე გადაიაროს და ისე გადიხადოს „ყერიაში“.

კარძო თჯახების მსვევრალის შემირეა სვანეთში

მკითხველმა რომ გარკვეული და სრული სურათი, წარმოდგენა შეადგინოს სვანებზე შესახებ მსხვერპლის ან ზვარაკის შეწირვისა, როგორც საზოგადოდ სახალხოდ, ისე კერძოდ ოჯახებში, საჭიროდ მიმაჩნია ამ უქანასკნელთ აღწერა.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველს სვანის ოჯახს აქე-
ნილი ჰყავს თავის უმახლობელეს მფარველად ერთი რომელიმე
წმინდანი, მაგალითად წმ. კვირიკე, წმ. გიორგი, წმ. ბარბარე, ში-
ხეილ და გაბრიელ მთავარ ანგელოზები და სხვ., რომელთაც უკან-
ამ წელიწადში ერთხელ მაინც უთუოდ უნდა შეავეღოს თავისი
თავი, რასაკვირველია, მსხვერპლის შეწირვითა.

ამას გარდა თვითონეული სვანის ოჯახი მოვალედ ხდიდა თავის—
თავს წელიწადში ოთხეტ ეწირვინებინა „პაპის ან ბაპისთვის“
(სახეში მაქვს ძველი დრო პაპებისა). თუ ამ მოვალეობას არ შეას-
რულებდა ღვთის მავედრებელი სვანი (ლერთემი მეკბაალ მუშვან) და
მის ოჯახს რაიმე მარცხი მოუვიდოდა: კაცის სიკვდილით, სა-
ქონლის დახოცვით ან დაკარგვით და სხვა ამ გვარ უბედურ შემთხ-
ვევებით, მაშინ ხალხის აზრით და, რასაკვირველია, — თვით ოჯა-
ხის აზრითაც, ამ უბედურებათა მიზეზი სხვა არა იქნებოდა-რა, იმის
მეტი, რომ ოჯახმა თავიდამ აიცილა მიუცილებელი მოვალეობა ---
მსხვერპლის შეწირვა ღვთისადმი. — რა გასაკვირველიაო, — ამბობ-
და ხოლმე ხალხი — რომ ამა და ამ ოჯახს უბედურება ეწა; ეს ერ-
თი წელიწადი გადის და მის ოჯახში „პაპს“ ფეხი არ შეუდგას (ესე
იგი არ უწირავს ოჯახისთვის), ღვთისათვის ერთი კრავი არ დაუკ-
ლავს და ერთი კათხა არაყი არავის დაულოცავს მის ოჯახში და პო-
ლოს ნიშის გებით დაუმატებდა ხალხი: „ეს უნდოდა და ეს ჰქონ-
დეს“, ესე იგი, უბედურებაო.

ამ ნაირად რიგით სვანს ოთხეტ უნდა გადაეხადა წირვა წელი-
წადში, თუ ჰსურდა; რომ ღმერთი არ გაერისხებინა. ეს ოთხი წირ-
ვა ან მსხვერპლის შეწირვა უნდა მომხდარიყო: შემოდგომაზე, ზამ-
თარში, გაზაფხულზე და ბოლოს ზაფხულში. შემოდგომის მსხვერპ-
ლის შეწირვით სვანი სთხოვს ღმერთს, რომ მისი, ესე იგი, სვანის
ნაჭირვალ-ნაოფლარი (ნაჭირ-ნაოფლი) სალხინოდ მოეხმარებინა, შეეჭმევინა (სალხინისგა ლეზვებ) მისთვის. ზამთრის მსხვერპლით
(ახალ-წლის შემდეგ, როცა იქნებოდა), სვანი სთხოვს ღმერთს, ბედ-
ნიერი და უმარცხო ახალი წელიწადი მოუვლინოს.

ზაფხულზე — ხენის დაწყების შემდეგ — სვანი ითხოვს, რომ
მის ნახნავ-ნათესს (ნახან-ნალაშვ) კარგი დრო და ტაროსი დაუღ-
გეს. ზაფხულში სვანი ითხოვს, რომ მის ამოსულ, მაგრამ ჭერ შემო-
უსვლელს ყანებს, ზიანი არ მისცემოდეს ბუნების მავნებელ მოვლე-
ნათაგან, როგორიც არიან მაგალითად, სეტყვა ანუ კოხი, ოდი ანუ
უნდილი და სხვ.

აი, თვით პროცესიც ოჯახში მსხვერპლის შეწირვისა. ესთქვაო,
სექტემბრის 25-ს უნდა აწირვინოს სვანმა პაპს ერთს ან მეტს, ეს

შეძლებაზეა დამოკიდებული. სვანს წინ-და-წინვე აქვს ნათქვამი პა-
პისთვის, რომ აღნიშნულს დღეს მისი მწირველია. ამ დღეს სამო-
რგაში სიწმინდე უნდა იყოს, ე. ი. ოჯახში არ უნდა იწვეს შემობია-
რე ქალი, არ უნდა იყოს აგრეთვე სამთვარითი ავადმყოფი დედა-
კაცი და ამასთანავე ის ოჯახის წევრი, რომელიც ყოფილა მშობია-
რე ქალთან ან სამთვარითი ავადმყოფ ქალთან, ამ დღეს სახლში
არ უნდა შემოვიდეს. დანიშნულ დღეს, დილას პაპი მოდის სვანის
ოჯახში. სვანს მსხვერპლად ჰყავს — ვსოდეთ ვერძი. პაპის მოსვ-
ლისთანავე, მასპინძელი წმ. სანთლის ჩხირს ჩამოჰქნის, მოუკიდებს
და ერთად მარილის კვნიტით გარდასცემს პაპს. ამ დროს მოიყვა-
ნებენ საზვარაკე ვერძს პაპის წინაშე. პაპი წაუკითხავს რამდენსამე
ლოცვას, მარილს შეაჭმევს, სანთლით ვერძს ბალანს შუბლზე, ორ
ბეჭ-შუა და კულთან შეუტრუსავს და შემდეგ გარდასცემს მასპინ-
ძელს დასაკლავად. ამ დროს მასპინძლის ქალი წმიდა პურის თხელ
ცომს მისცემს პაპს. ეს უკანასკნელი მოასქელებს ცომს ფქვილით
და გამოაცხობს თავის ხელით 1—5-დე სეფისკვერს (კირკვალდ),
რომელსაც აცომების დროს პაპამ მარილის კვნიტი უნდა წააფხი-
კოს და შეურიოს. სეფისკვრის ცხობის დაწყებიდგან, ვიდრე ქვის
ფილაქნზე დადებამდე (ჩვენში კეცი და თორჩე არ იციან) სეფის-
კვერებისა, პაპა განუწყვეტლივ კითხულობს ლოცვებს — სეფისკვ-
რის საკურთხეს. ამ დროს მასპინძლის ქალი გამოაცხობს ოთხს ტაბ-
ლას (ტაბილ) პაპის მისაცემად და ორს სხვა პატარა პურს, რომე-
ლიც პაპიმ წირვიდგან უნდა დაუბრუნოს ოჯახს. ამავე დროს ვერ-
ძის გატყავება და მის გულ-ლვიძლის შეწვაც მოასწრეს. ეს ვერძის
შემწვარი გულ-ლვიძლი, ოთხი ტაბლა, ორი პატარა პური — ყველა
პარქში (ბარქ) ჩაუწყვეს პაპს, აჰკიდეს მას ცალ-მხრივ, პატარა ლი-
ტრით ან კვახით საზედაშე არაყი მისცეს ხელში, — ფეხებთან ნა-
კვერცხლებს დაუყრიან, რომელზედაც პაპმა უნდა გადააბიჯოს ნიშ-
ნად მისის განწმენდისა „ყოვლისაგან ბიწისა“ და გაუშვებენ ეკლე-
სიაში საწირავად, სადაც სხვა პაპებიც დახვდებიან, ამგვარადვე
მწირველნი სხვა-და-სხვა ოჯახებისა, ვსოდეთ ეკლესიაში მოგროვდა
ათი პაპი. (პაპების რიცხვი ზოგიერთს საზოგადოებაში 30-დე აღიო-
და). ერთი პაპთაგანი მღვდლის როლს ასრულებს, შედის საკურთხე-
ველში და იმოსება თავისებურ სამწირველო სამოსელით. უფროსმა
პაპმა დაიწყო ვითომ წირვა, საკურთხეველში, სხვებიც მოჰყვნენ
თავ-თავიანთ ლოცვებს, ვინც რამდენი იცოდა და ბოლოს ეს ახირე-
ბული „ბაბილონში ენათა შერევის“ მსგავსი წირვა გათავდა. პაპე-
ბმა პარკებიდგან საჩქაროდ ამოაწყვეს ტაბლები, გულ-ლვიძლი,
სეფისკვერები; ერთს ხელში ესენი დაიჭირეს, მეორეში საზედაშე

არაყი, დაიჩოქეს ხატების წინ და ყველანი შეეხვეწნენ ღმერთს, რომ მისი წირვა „ღირსიანი უყოს“ მასპინძელს. გათავდა ესეც. ტაბლები და ღვიძლები პაპებმა დაინაწილეს, საზედაშე არაყი იწვი დალიეს და წავიდენ თავ-თავიანთ მასპინძლებთან საღილად.

როდესაც პაპი წირვიდგან დაბრუნდებოდა, მასპინძელს შემდევის დალოცვით მიუბრუნდებოდა (სვანურად): „ღმერთო შენი წყალობა გამომატანე ამ ოჯახში, ღმერთო დღევანდელი ჩემი წირვალოცვა (!) ღირსიანი უყავ“. მასპინძელს საღილი მზათა ჰქონდა. სანამ საღილად დასხდებოდენ, ერთს სუფრაზე, საღმრთოს“ (საღირბათ) დააწყობდენ: საკლავის თავს, მარჯვენა ბეჭს, რამდენსამე პურს და არაყს. პაპი აკურთხებდა ამ სუფრას, რომლის შემდეგაც დასხდებოდნენ საღილად; თავში მასპინძელი დაჭდებოდა, ქვემოდ პაპი, პაპის ჯალაბი მოებმებოდა და ამნაირად შეუდგებოდენ კამას. პაპი სჭამდა, სვამდა, სანამ მის გულს უნდოდა; შემდეგ გამაძლარს და გამომთვრალს მისცემდენ ერთ ულუფა ხორცს ესრედ წოდებულს „მოსვალდ“-ს, ორს პურს და გაუშვებდენ სახლში.

შეძლებული ოჯახი ერთი პაპის მაგიერ რამდენსამე აწირვინებდა, — საკლავებსაც მეტს დახოცდა, ახლო ნათესავებსაც მიიპატიუებდა, მაგრამ ღარიბი სვანი-კი ზემოდ აწერილ მსხვერპლითაც კმაყოფილდებოდა. სვანებმა მარხვაშიაც იციან მსხვერპლის შეწირვა, რომელიც სახსნილო მსხვერპლის შეწირვისაგან მხოლოდ იმითი განირჩევა, რომ საკლავების მაგიერობას შესაწირავად არაყი სწევს.

არის კიდევ ერთნაირი მსხვერპლი ოჯახებში, რომელსაც სვანურად „ლიღბაში, ლილაპი“ (საღიდებელი) ჰქვია და რომელიც მდგომარეობს შემდეგში. როდესაც ახალი მოსავალი შემოვა, სანამ ოჯახი მის ჭამას დაიწყებს, გამოაცხობს იმდენ ყველჩართულ პურს, რამდენი სულიც ოჯახშია. მათ გარდა გამოაცხობს კიდევ სამს პატარა პურს. ამ პურებს უნდა გაურიონ ახალი მოსავლიდგან ერთი ჯამი ფქვილი. ზემოხსენებულ სამი პატარა პურის გამოცხობის ღროს მამა კაცებმა არ უნდა უყურონ: არ ვარგაო. ამ პურებს ოჯახის უფროსი ქალი პირქვე დამხობილი შეულოცავს „ქორა მეზირს“ (ეტიმოლოგიური მნიშვნელობა „მეზირისა“ ვერ ავხსენი, მაგრამ ის წარმოდგენა, როგორიც სვანებს აქვსთ ამ „მეზირზე“ მოაგონებს კაცს რომაელების „Lares penates“ და ნახევრად რუსების „დომიობი“-ს. „ქორა მეზირ“ სვანების წარმოდგენაში რაღაც ისეთი ძალაა, შინაური ღმერთი, რომელიც განუშორებლივ ოჯახში უნდა იყოს და რომლის ოჯახიდგან გასვლა, მის დამხობას, დაგსებას ნიშნავს; ამისათვის მას ძლიერ მოწიწებით ექცევიან ხოლმე. რას ეხვეწება პირ-ქვე დამხობილი ქალი ამ „მეზირს“? ეს ჩემთვისაც საი-

დუმლოდ დარჩა, თუმცა საკუთარის დედისჩემისთვის ბევრჯერ
მითხვდია, გაემუღავნა ეს ჩემთვის, მაგრამ ყოველთვის ამ სიტყვებით
მოუშორებივარ: „ამისი კაცებისათვის გამუღავნება „მეზირის“
საწყენია და ოჯახს ავნებსო“. როდესაც დამხობილი ქალი „მეზი-
რის“ შელოცვას გაათავებდა, ერთს იმ სამ პურთაგანს განგებ და-
ნიშნულ კედლის ხვრელში შედებდენ, რომელსაც — ხალხის ფიქ-
რით — „მეზირი“ შესჭამდა, თუმცა, უჟეველია, ამ საიდუმლო პუ-
რით „მეზირის“ მაგიერ თაგვები იმტკბარუნებენ პირს. ორს და-
ნარჩენს პურს ქალები გაინაწილებენ და შესჭამენ უკაცებოდ; როცა
ამ საიდუმლოს გაათავებენ, ოჯახის მოხუცი დედა-კაცთაგანი ყვე-
ლიან პურებს, რომელნიც იმ სამ პურთან გამოაცხვეს, ჩააწყობს-
გოდორში, აიკიდებს, წაიღებს რომელიმე სოფლის ეკლესიაზე მისა-
ლოცვად. ეკლესიის გალავანს გარედ, ქალი გოდრიდგან აიღებს,
ჯერ ერთს ყველიანს პურს და შეეცემდრება მამა ლმერთს (ფუსნ აბ-
გასდიშ), მერმედ აიღებს სამს პურს და ქრისტეს შეეცემება, შემდეგ
დედა მღვთისას, იმ ეკლესიას, სადაც მივიდა და მერე სხვა მისთვის
ცნობილ წმინდანებს. გათავებისას დაისვენებს იქვე და მერე სახ-
ლში დაბრუნდება; მოტანილი, შელოცვილი პურები ვახშმად უნდა
მოირიგონ, როგორც მამა-კაცებმა, ისე ქალებმაც. ამ გვარი პურით
ხვეწნა „ქორა მეზირისა“ და ღვთისადმი სვანებმა სხვათა შორის
იციან: აღდგომა ღლეს, ივლისის 15, პეტრე პავლობას და მარიო-
ბას, აგვისტოს 15-ს ყოველს წლობით.

1883—1884 წ. წ.

ცოლ-ქმრობის ნერგი სვანეთში

საზოლეს დაინარე, ნაყდანერი, ნაჭვლაში, ქორცილი,
ჯვარისნერი, მზითავი

დედ-მამა ყოველთვის ცდილობდა, რომ თავის — ჯერ კიდევ მოსალოდნელ ვაუისათვის, დედის მუცელშივე დაენიშნა საცოლე. ამის მიზეზი იყო დედათა სქესის სიმცირე მამრობით სქესთან შედარებით. მოზრდილი საცოლეს შოვნა ძნელი იყო. ვსთქვათ, ორს სვანს ცოლები ერთ და იმავე დროს ორსულადა ჰყავთ; ორსული ცოლების ქმრები სიტყვიერად აძლევენ ერთმანეთს პირობას, რომ უკეთუ ერთ-ერთ ჩვენ ცოლთაგანს ვაუი ეყოლოს და მეორეს ქალი, მაშინ იგინი ერთმანეთს შევრთოთო (ამგვარი პირობის მიცემა შეეძლოთ თვით მომავალ შვილების დედებსაც). ხსენებულ ორ სვანის ცოლებს ვსთქვათ ეყოლა ერთს ვაუი, მეორეს ქალი, ვაუის მამამ მაშინვე მიირბინა ქალის დედ-მამასთან, მიუტანა „ნიშნად“ ფინ-თიხი (თოფის-ტყვია) ჩააბარა ხელში და უთხრა: „აი ეს ფინთიხი ნიშნად და წამოზრდის შემდეგ, თუ ვისმეს წაუყვანია ჩემი ღანიშნული — შენი ქალი, მაშინ იცოდე, ჩემი საკაცე შენს სახლზე იქნება მიუყდებული“. ამ სიტყვების აზრი შემდეგია: თუ შენი ქალი ან ნებით მიეცი სხვას, ან თუ გინდ შენს უნებურად ვინმემ წაიყვანა, მაშინ მე, ვაუის მამა — თავს შეგაკლავ, ან-და შენ მოგვლავ.

ამ გვარად დანიშნული — ან სვანურიდგან. რომ პირდაპირ გადმოვთარგმნოთ „დაკავებული“ (ლიგჭე, ლიყდანი) — ქალი ითვლებოდა ნამდვილ საცოლედ დამნიშვნელ მამის ვაუისა. ერთის წლის განმავლობაში დანიშვნის შემდეგ, დანიშნულის დედ-მამა მიიპატი-უებდა პატარა სასიძოს დედითურთ (რადგანაც ძუძუ მწოვარი იქნებოდა) „ფეხის ასახსნელად“ (ჭიშხი ლითშდუნე), ესე იგი სასიძო პირველად შემოღვამდა ფეხს ცოლეურისას. სასიძოს დამპატი-

უებელს საჩუქრად ეძლევა ერთი „ჩაფლაშ“-ი (აბაზის საღირალი რამე). დედა თავის ძუძუ-მწოვარს ვაჟს აკვანში ჩაწვენდა; შუბლ-ზე წაცხებდა ნახშირს, თავთან ჩაუდებდა ნახშირსვე და რამდე რკინეულობას, დანას... ამოიდებდა აკვანს იღლიის ქვეშ და ისე მიიყვანდა სასძლოს სახლში. სასიძო საცოლეს სახლში მიჰყავდათ ღამით. მიიყვანეს ვაჟი საცოლეს სახლში. ორივეს დედები თავის-თვინ ეხვეწებიან ღმერთს, რომ მათი შვილების პირველი შეკრა ბეღლიერი ჰქნას და სხვ.

აკვნით მოყვანილ სასიძოს დაუხვდებოდა აკვანშივე მწოლარე სასძლო, რომელთაც განგებ ერთი-მეორის გვერდით, სდგამდენ, თითქო აკვნიდგანვე უნდოდათ პატია საქმრო-საცოლეს დედებს შეე-ერთებინათ იგინი საუკუნო კავშირით და ჩაენერგათ მათთვის ერთმანეთის სიყვარული, რომელსაც მომავალი იშვიათად ამართლებდა. სასიძო დედითურთ ჩებოდა ცოლეურისას ერთი კვირა, და ამის შემდეგ სახლში ბრუნდებოდა; საცოლეს დედ-მამა აჩუქებდა საქმროს რამე წვრილ ოთხ-ფეხ საქონელს (ცხვარი, თხა, ღორი...) და რამოდენიმე ხნის შემდეგ გაუგზავნიდა ხარს ან ძროხას, რომელსაც „ნაყდანვირ“-ს (დასაკავებელი) ეძახიან. (ეს უკანასკნელი მარტო უშესებულის საზოგადოებაში არ იცოდენ). აგრეთვე „ჭიშხი ლუფშდუნე“ უნდა გაეწია საქმროს დედ-მამას საცოლესათვის, იმავე წესით და საჩუქრებით, როგორიც ვნახეთ სასძლოს დედ-მამის მხრით. მუცელში დანიშვნის გარდა საცოლეს ნიშნავდენ აგრეთვე საქმროს და ქმრის სიკვდილის შემდეგ, აქ კი საქმე მოსწრებაზე იყო: ვინც მოასწრებდა დანიშვნას, იმას ვერავინ შეეცილებოდა. დედის მუცელში საცოლეს დანიშვნა სრულიად დამოკიდებული იყო დედ-მამის ნებაზე; წამოსწრებილის, დაქვრივებულის-კია უკანასკნელებზედაც, თუმცა დედ-მამის უფლება აქაც სჭირდობდა. დედ-მამა ცდილობდა, რომ მათ ვაჟს შეერთო ცოლად ძლიერი თემის (გვარეულობის) და მდიდარი ოჯახის ქალი. ძლიერი თემი საჭირო იყო სიძისათვის, როგორც „ზურგის“ გამმაგრებელი, მწე და მომხმარე გაჭირვების (ჩხუბი) დროს, ჭირში და ლხინში თვალ-ყურის მგდებელი. მდიდარი ოჯახი კი მატერიალურის მხრით იყო საიმედო, სანუგეშო სიძისათვის; ყოველს შემთხვევაში თემს უპირატესობას აძლევენ სვანები. ამ გვარივე მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ ქალაშვილის დედ-მამა პირველის გათხოვების დროს.

გათავდა „ჭიშხი ლუფშდუნე“... საქმრო-საცოლო წამოიზარდენ; 8—10 წლისა იგინი უმეტეს ნაწილად ერთად ატარებენ დროს თა-მაშობაში (თუ ორივე ერთი სოფლისანი არიან). ვაჟი იცნობს თავის საცოლეს და უკანასკნელი პირველი. მშობლების რჩევით და ნება-

დართვით იგინი იშირად ეპატიუებიან ერთმანეთს... ამითი არ თავ-დება ამ დროის მათი კავშირი, ერთმანეთის დამოკიდებულება. მა-გალითად საქმრო შველის საცოლეს ზოგიერთ მისთვის სამიზიმო საქმეებში; მაგალითად, თუ ავდრიანს და ცივს დღეში საცოლეს მწყედმსობა შეხვდა, — საქმრო, როგორც ვაჟი-კაცი გამოეცვლება მას და მის მაგიერ თვითონ წავა. საცოლეს დედ-მამას საღამოს უამს საქონელი პკლია; საცოლე შიშით ვერ ბედავს მარტო წასვლას საძებნელად, რასაც იგი თამამად ატყობინებს თვის საქმროს; უკანასკნელი ან გაჟყვება საცოლეს საქონლის საძებნელად, ანა-და მარტო წავა და მოძებნილ საქონელს სახლში მიიყვანს. საცოლეც თა-ვის მხრით უხდის ამ დავალებას საქმროს, რასაკვირველია, რითაც შეუძლია: უკერავს საქმროს ქალამნებს, პაიჭებს (თუ შეუძლია) და-ხეულ ტანისამოსს და სხვანი. გავიდა ხანი. მოაღწია ქორწილის დრომ. საქმროს მშობელნი მოციქულს უგზავნიან ქალის დედ-მამას, ატყობინებენ, რომ ამაღა-ამ ღამეს შენი ქალიშვილი გვინდა მოვი-ყვანოთო და „ნაჭვლაშზე“ (საქმროს მხრით მისაცემი საცოლეს დედ-მამისადმი) მოვრიგდეთო. ქალის დედ-მამას უფლება აქვს ერთი წლიდამ სამ წლამდე ვაღა ითხოვონ ქალის გაუშვებლობისა, საჭი-როების მიხედვით; მაგრამ, თუ კი ქალის დედ-მამას მაინც და მა-ინც ბევრად არ დააკლდებოდა ქალიშვილი, როგორც მუშა, მაშინ სახლში დაქავებას საქმროსადმი ჩაბარებას არჩევდენ (შიშობდენ სხვას არ მოეტაცა ვისმეს) და ქორწილზე მალე მორიგდებოდენ.

„ნაჭვლაში“ (ქართული მისატანი, საშუალო საუკუნეების *preium nuptiale*, რუსების *вѣно*, ოსების ურვადი და სხვა) ძველს დროში განსაზღვრული იყო და იმიტომ ამაზე მორიგება ბევრს ხანს არ მოითხოვდა. სახელდობრ: ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთშა ორი ცალი ხარი და ერთი ძროხა, რომელიც ბოლოს ხანებში 4—5 ხარამდე ავიდა; ცხენისწყლის ხეობაში-კი თავიდგანვე 4 ხარი და ერთი ძროხა. ამ გადაჭრილ „ნაჭვლაშზე“ საქმროს დედ-მამა ვერა-ფერს იტყოდა და იძლეოდა დროის მიხედვით. აქ საჭიროა შევნიშნო, რომ ნაჭვლაშის მიღების ვაღა სვანეთში ყველგან ერთ და იმავე დროს არ იყო — ზოგგან ერთის წლის წინათ იღებდენ ქალიშვილების მშობლები საქმროს ნაჭვლაშს და ზოგგან იმავე ღამეს, რა ღა-მესაც ქალიშვილს გაისტუმრებდენ საქმროსთან.

აი, როგორ ხდებოდა ეს უკანასკნელი.

ვსთქვათ ამაღამისათვის არის დანიშნული ქორწილი. დილას საქმროს დედ-მამა ორს ან სამს კაცს გაუგზავნის საცოლოს დედ-მამას და შეუთვლის, რომ ნაჭვლაშზე მორიგდენ (მოციქულებად

უსათუოდ უნდა იყვნენ საქმროს სიძეები, მათი ცოლები ან ამთა
შვილები, თუ კი ჰყავს). საცოლოს დედ-მამა სახელდობრ დაუსესტი
ელებს ხარებს და ძროხას, რომელთაც თხოულობს ნაჭვლაშად. მო
ციქულები (ამ დროს მოციქულებს ეძახიან „მუყა“ — მიმყვანი,
მომყვანი) გადასცემენ საქმროს ოჯახს. ისიც თანხმდება და საქმე
ამითი თავდება. აქ მოციქულებმა ნაჭვლაში უნდა ჩააბარონ ქალის წამოს-
ვილის დედ-მამას და მერე ისევ უნდა დაბრუნდენ ქალის წამოს-
ყვანად. ამათ დაბრუნებამდე საცოლო მორთულია; აგრეთვე სახლ-
ში ჰყავს 10—15 თავისი ტოლ-ამხანაგი ქალიშვილები, რომელთაც
იგი ეპატიუება თავის ქორწილში და 10—20 კაცი — მაყრები. ყვე-
ლა ამათთან საცოლო თვითონ უნდა მივიდეს და დაპატიუოს.

ეს-ეს არის ქალიშვილმა თავი მოყუარა მის მიერ მოპატიუებულ
ტოლ-ამხანაგ ქალიშვილებს და მაყრებს (ქვერწლარ). შინაურად
ჩატული, იგი ახლა იმოსება საქორწილო ტანისამოსით. ამავე
დროისათვის ქალის მშობლებს მზადა აქვთ ესრედ წოდებული „კა-
ლათ“, ესე იგი ხორაგეულობა — პური და არაყი, სამყოფი სამუა-
ლო რიცხვით 30—40 კაცისა ვახშმიდგან. დამოკიდებული იმავე
ღამის გათენებამდე. ჩვეულების ძალით საცოლეს დედ-მამამ უნდა
წაიღოს ეს ხარჯი სასიძოს სახლში და უნდა გაუმასპინძლდეს მის
მხრით მიყვანილ სტუმარ-მაყრებს და აგრეთვე სასიძოს სტუმრებ-
საც, რომელთა რიცხვი ყოველთვის აღემატება საცოლესაგან მიპა-
ტიუებულ სტუმარ-მაყრებსა. აი, ამას ეძახიან სვანები კალათს, რო-
მელიც ცხენის-წყლის ხეობაში მდებიარე სვანეთში არ არსებობს.
და თავისუფალ სვანეთის ერთს საზოგადოებაში, სახელდობრ უშ-
კულში, შეცვლილია 30 პურის მიტანით; სხვაგან კი ისე არსებობს,
როგორც ზემოდ არის აწერილი. „კალათი“ საქმროს სახლში მიაქვთ
ხარ-მარხილით, რომელმაც საცოლეს მისვლამდე უნდა მიაღწიოს
საქმროს სახლში. გაისტუმრეს „კალათი“, სასძლოს მიმყვანთ (მუ-
ყა), რომელნიც საგამრჯელოდ თვითონ მანათს იღებენ სასძლოს დედ-
ბა მისაგან, იქით-აქეთ ხელი მოჰკიდეს წასაყვანს პატარძალს და გა-
მოიყვანეს კარში. ამათ უკან გამოჰყვებათ სასძლოს ტოლ-ამხანაგი
ქალიშვილები და შემდეგ მაყარი კაცები, ცველა დაიარალებულში
თოფ-დამბააჩებით; მიმავალი გზაზე ოხუნჯობენ, იცინიან. ეს-ეს არ-
ის ამ ხუმრობა-სიცილში მიუახლოვდენ სასიძოს ოჯახს. უცებ ერ-
თმა ქალის მხრით მაყართაგანმა თოფი გაისროლა; მას მიაყოლეს
დანარჩენმა მაყრებმაც. სასიძოს მხრითაც რიგია იდგეს 10—20
თოფიანი კაცი, რომელნიც თოფისავე სროლით ეგებებიან სასძლოს.
ამნაირად ჩამოდენიმე წამის განმავლობაში გავარდება 40—80 თო-
ფამდე და ხანდისხან მეტიც.

ამ თოვფის სროლაში სასძლო სასიძოს სახლის კარებთან შეიყვანეს. აქ ოჯახის უფროსმა ფქვილი მიაგება სასძლოს გობის შედავს ჭურჭლით, ხელი მოაკიდებინა მას და შემდეგ შეუძლვა სახლში სახლში მიყვანისას ქალის მომყვანი ორი კაცი სამჯერ შეშოარნნინებენ სასძლოს კტრიის ირგვლივ „ქორწილობის“ ხილდერით და შემდეგ დასმენ მიჩნილ ადგილას. გარედ მყოფი ხილი სახლში გროვდება. სასძლოს ამ დროს ისევ თავისუფლად უჭირავს თვა, როგორც თავის დედ-მამის სახლში, და არავითარი მორცხობა სვანეთის პატარძლებმა ამ დროს არ იციან. პატარძალს იქით-იქეთ ამოუსხდებიან მისი ტოლ-ამნანაგი ქალიშვილები და ერთი „მუდ-დი“ (მდადე). ამავე დროს ოჯახის უფროსი. გობით რამდენიმე პურს დაუდგამს წინ პატარძალს და მიუყვანს ვინმე პატარა ვაჟი-შვილს, რომელიც პატარძალმა მუხლზე უნდა დაიხვდოს, სანამ არ მოსწყინდება. გობით პური ნიშნავს სურვილს, რომ ახალ მოყვანილ რძალს ლუქმა არ გამოელიოს (არ გაღირებდეს); ვაჟი-შვილის მუხლზე დასმით კა ქმრის ოჯახი ჰქატავს, რომ პატარძალს ვაჟი-შვილი უფრო ბევრი ეყოლოს ქმრის ხელში, ვინემ ქალიშვილი. ამის გათვებისას ხილი — მაყარ-სტუმარი სხდებიან თავ-თავიანთ აღვილას. მერიქითვეები საჩქაროზედ ტაბაკებს უდგმენ სტუმრებს, სდებენ მასზე პურს, ხორცეულობას ხსნილში და სამარხოს მარხვაში, და მერე მოყოლებენ არაყს. მკითხველი ნუ დაივიწყებს, რომ ეს ხარჯი გათენებამდე პატარძლის დედ-მამისაგან არას და, ვაი მის სირცხვილს, თუ სტუმართ რაიმე დააკლდათ ამ ღამეს. მერიქითვეებმა ჩამოარიგეს პირველი მორიგი კათხები, ხალხმა დაილოცა, დალია, მერე—მეორე, ესეც ამნაირად შეისვა. მესამე მორიგ კათხაზე სასძლოს მხრით ფეხზე ადგება ერთი მაყართავანი, უმეტეს. ნაწილად მახლობელი ნათესავი და უკეთესი სიტყვა-პასუხის მცოდნე და წარმოსთვევამს სამსე კათხით ხელში:

„მნიარულო კარგო ბექ! (ვინც იქნება სიძის ოჯახში უფროსი იმისი სახელი უნდა ახსენოს) ბედნიერი ქნას ღმერთმა ამაღამდელი ღამე. ღმერთმა ინებოს, რომ ამაღამის მექორწილენი (სასძლო—სასიძო) ისეთი ბედნიერნი გამოსულიყონ, რომ მათზე უბედნიერესი არ გაგონილიყოს საღმე; ამას გარდა კარგო ბექა, მოგახსენეს ქალის (სასძლოს) დედ-მამამ, რომ დღეიდგან ჩვენი ქალიშვილი ჩაგვიბარებია თქვენთვის: კარგი გამოდგება იგი, კარგიც თქვენთვის იქნება, — გლახა და იგიც თქვენ უნდა გყავდეთ; დღევანდელის დღიდგან თქვენია ჩვენი ქალიშვილი; კარში გამოავდებთ მას, ფანჯარაში დაგიბრუნებთ, ფანჯარაში — და კარიდგან დაგიბრუნებთ. (პირ-და-პირ ვსთარგმნი სვანურს ტექსტს. აზრი ისაა, რომ ქალის

ჭირისუფალს ძლიერა ჰსურს, რომ იგი საქმროს ოჯახში დარჩეს სიკულინამდებარებული და არაოდეს არ ისურვებს, რომ ვინმემ მოტაცული გავედრებენ ქალის დედ-მამა და აგრეთვე ჩვენც ამაღმის, მოყვანილს რძალს ვაჟ-კაცთა ულვაშს და ქალთა მანდილს (ფაკელ); თქვენ იცით და თქვენმა ნამუსმა, რასაც ამ ჩვენს მოყვანილს გამოუცდელ რძალს უპატრონებთ“. ამას გარდა — განაგრძობს ორატორი — დიდებულო ქვეყნის ბატონო (ფუსნ-აბუსდიშ) ე. ი. ღმერთო! შენ მიანიშე ამაღმის მოყვანილს რძალს ამ ოჯახში ბედნიერება, მყუდროება, გამრავლება ვაჟიშვილებით (ლიმსგაპ-სგაპ—ვაჟი-შვილი), ასათასამდე გახადე — გაამრავლე ამ ოჯახში ამისი ძე და მომავალი, „ამინ“. ხალხი „ამინს“ შეაწევს ორატორს, უკანასკნელი კათხას ზეზე გამოცლის და ჩაჯდება. ახლა წიმოდგება ვინმე სიძის ნათესავი და მაყრებს: ეტყვის ქალის დედ-მამას (ან სხვა მონათესავეთ) და მაყრებს:

„კარგო გორგი! (სახელია). მოგახსენეს სიძის დედ-მამამ (თუ ცოცხალი ჰყავს), ისრე ქმნას ღმერთმა, რომ შევიძლოთ თქვენი დაკვება ე. ი. მოყვრობა. კარგთაგანი ხართ, და რასაკვირველია, კარგი იქნება თქვენი ქალიშვილიც, დღეს ჩვენი ცოლი. ნეტავი ჩვენ გავხდეთ რძალი, თქვენი მოყვრობისა, თორებ თქვენის გვარიდგან (თემიდგან) ყოველთვის ნაქები ქალები გამოსულან და ახლანდელი ჩვენი რძალიც იგეთი იქნება. რაც ძალი და ღონე გვექნება, ვეცდებით, ისრე შევინახოთ ჩვენი რძალი, როგორც შეჰვერის კარგი თემიდგან გამოსულს ქალს; მართალია, შეიძლება ჩვენსა არა ჰქონდეს ყველაფერი ისე უნაკლულოდ, როგორც მის მდიდარ დედ-მამის ოჯახში, მაგრამ ჩვენს თავს დავაკლებთ და ვეცდებით მაგას — რძალს არაფერი დავაკლოთ; კარით წიგვია ჩვენი რძალი, ფანჯრით მოვიბრუნებთ, ფანჯრით — და კარით მოვიბრუნებთ... ამას გარდა დაცებულო ღმერთო! თუ ოდესმე ჩვენსა და სასძლოს თემში ბედნიერი და გამარჯვებული ყოფილიყოს ვინმე, მეორედ ამათი (ცოლქმარზე უჩვენებს) დაქორწინება გააბედნიერე; გაამრავლე ას-ათასამდე, ქაჭ-ეშმაკი ააშორე, შენი ანგელოზი დაუყენე მარჯვნივ მცელად, „ამინ“. იტყვის ამას, დალევს კათხას და ჩაჯდება. ყველანი გამოსცლიან სამსე კათხებს. ხალხი განაგრძობს სმა-ჭამას, რომელსაც მოაყოლებს: სიმღერას, ცეკვას, ფერხულს და სხვა. რძალს შეუძლია ამ დალოცვის შემდეგ დაგეს და მიიღოს მომხიარულე ხალხში მონაწილეობა. ხალხმა სმა-ჭამაში და მხიარულებაში უნდა გაათენოს რამე. როგორც ნათქვამია, გათენებამდე სასძლოს დედმისაა ხარგი, დილიდამ საღამომდი კი საქმროს ოჯახისა. საღამოს მთვრაპლი ხალხი მიღის თავიანთ სახლებში.

უშინდელს დროში ჯვარისწერა — ახლაც ძვირად — ქორწილის
ლამეს არაოდეს არა ხდებოდა იყო შემთხვევა, რომ ქალი 1—3
წლამდე ჯვარ-დაუშერლად იყო საქმროს სახლში; მაგრა დაუშერლად
ლობაში იგი წვებოდა ოჯახის ქალებთან და მუშაობდა რეა ჯვარის
დაწერის დაგვიანების მიზეზი საქმრო-საცოლოს მცირე წლოვანობა
იყო. ჯვარისწერა უბრალოდ ხდებოდა. არც მოწმები, არც სტუმ-
რების დაპატიჟება ამ დროს საჭირო არ იყო. საქმრო მოიპატიჟებ-
და პაპს. რომელიც სახლშივე გადასწერდა ჯვარს. საქმრო-საცოლოს
დაყენებდა ერთად; ორთავეს გადააცვამდა თავზე ერთიან ვერცხ-
ლის წვრილ გაჭვეს, რომელსაც ბოლოზე ჯვარი ჰქონდა. მობმული;
ორივე მექორწინეთ ტანისამოსის წინა კალთებს ნემსით გადააბამდა
ერთმანეთს, წაუკითხავდა წიგნში ან ზეპირად რამოდენიმე ლოცვას
და ჯვარის წერა გათავებული იყო, პაპის ხარჯს აჭმევდენ და წავი-
დოდა.

პირველი შვილი ქალს დედ-მამის სახლში უნდა მოელოგინა; თუ
პირველი შვილი ვაჟი იყო, ქალის დედ-მამა ასაჩუქრებდა შას ხარით,
ძროხით და სხვა. ქალიშვილს — კი საჩუქრად წვრილ ოთხ-ფეხსაც
აქმარებდენ. ქალის მზითვეს შეადგენდა: ახლათ ახალი ტანისამო-
სი თავიდამ ფეხებამდე, ვერცხლის საყურები და ვერცხლისავე „ჩა-
ფრასტარ“ გულზე ჩამოსაცობი ქალის სამკაული, ქვეშ-საგები შეძ-
ლების გვარად. ეს ქალს ეძლეოდა ქორწილისავე ღამეს. ერთი წლის
შემდეგ ქალს ეძლეოდა დედ-მამისაგან მზითვადვე: ერთი ძროხა,
სამი ცხვარი, ორი ნეზვი ლორი, დედალ-მამალი თხა და ერთი ზან-
დუკი. ეს იყო მზითვევი.

ამას გარდა ქალიშვილს ნება ჰქონდა დედ-მამის სახლში გაეშე-
ნებია ოთხ-ფეხი საქონელი თავის სასარგებლოდ. ყოველ ახალ წე-
ლიწადს გათხოვილ ქალიშვილს, მის ქმარს და შვილებს დედ-მამის
ოჯახიდამ უნდა მიეცეს 1 მანათიდამ ძროხა-ხარ-ცხენამდე, რამდენ-
საც შეიძლებს დედ-მამა ყოველს უბრალო ლხინში ქალიშვილი
ქმარ-შვილებითურთ დედ-მამის სახლშია მიპატიჟებული. ცოლს თუ
ღარიბი ქმარი ჰყავს და დედ-მამა შემძლე, ამ უკანასკნელებმა უნ-
და ჩაცვან ტანისამოსი ყოველთვის და თუ იქამდი მივიდა საქმე,
რომ ქმარი ვერ არჩენს, ქალიშვილი შვილებიანად დედ-მამამ უნდა
არჩინოს. ზოგიერთ საზოგადოებაში დედ-მამამ ყოველს წელს უნ-
და დაპატიჟოს ქალიშვილი, ქმარი და ერთ-ერთი მათი შვილი
ოთხერ: უძლების ან ყველიერის კვირას, ახალ კვირას, ამაღლებას,
პეტრე-პავლობას, მარიობას და მირქმას. ვადა დაპატიჟებისა ნაჩვე-
ნებ ხანებში ოთხ-ოთხი დღეა ყოველთვის. როდესაც დედ-მამის
სახლში მსხვილი ოთხფეხი საქონელი დაიკვლოდა, ტყავიდამ ქალი-

შვილს ეძლევა საქალამნე. დასასრულ ღირსია შენიშვნისა ის გარე-
მოებაც, რომ გათხოვილი ქალი დედ-მამის ოჯახში თითქმის წევრობის
უფლებით სარგებლობდა, როგორც ერთ-ერთი წევრთაგანდა-მაგალი-
თად გათხოვილს ქალს თუ სტუმარი მოუგიდა, და ქმრის სახლში
არა აქვს წვრილი საკლავი, აგრეთვე არაყი და ეგენი დედ-მამის
სახლში ეგულება, მიდის და ისე მოაქვს, როგორც თავისი საკუთრე-
ბა, დედ-მამა ამას ძვირად ვისმეს დაუშლის.

1885 წ.

ჩვეულებრივი უფლება სვანეთში საზოგადოდ და საქართველო თავისუფალ სვანეთში

სასოფლო ყრილობა და მისი უფლება. საერთო კავშირი
ყველა საზოგადოებათა

რამდენიმე სოფლების კავშირი ერთს საზოგადოებაში შეადგენდა საზოგადოებას ან სოფლობას (აბუასდ). მცხოვრებთა რიცხვი საზოგადოებაში მამრობითი სქესისა, დაახლოებით 20 წლის ზევით იყო საზოგადო კრება (ლუზორ) ან ყრილობა (ლუხორ). საზოგადოდ თვითეულს მეკომურიდგან უფლება სრულს წლოვანს მამრობითის სქესისას ნება და ხმა ჰქონდა სასოფლო ყრილობაში; კერძოდ კი ქალებსაც შეეძლოთ და უფლება ჰქონდათ ყრილობაში დასწრებისა, ნამეტურ მაშინ, როდესაც ყრილობაში ოჯახიდამ მამაკაცი რაიმე მიზეზით ვერ ესწრებოდა და მეორედ, თუ რომელიმე ოჯახში დედა-კაცს უფრო კარგი ხმა ჰქონდა გავარდნილი, როგორც ჰქვიანს და საქმის მცოდნეს, ვინემ ამავე ოჯახის მამა-კაცებს. ერთის სიტყვით, საზოგადო ყრილობაში მიღების უფლება ორივე სქესსა ჰქონდა მცარეს განსხვავებით.

სასოფლო ყრილობა იყო უზენაესი ინსტანცია სვანურ იურიდიულს წესთ-წყობილობაში.

სსოფლო ყრილობა დაბოლოვებით ათავებდა საზოგადო საქმეებს; არავის არ აძლევდა თავის მოქმედების ანგარიშს, არავის წინაშე პასუხისმგებელი არ იყო. ყრილობას დიდი რთული და მრავალგვარი უფლება ჰქონდა; იგი „მახვშის“ (მამასახლისი) თავს-მჯდომარეობით აჲყრიდა მოსახლეს, ერთს ან მეტს, გადასწვავდა მისს სახლ-კარს, განდევნიდა საზოგადოებიდგან მავნე პირთ და დასჯიდა სიკვდილით, თუ რომ საზოგადოების რომელიმე წევრს აღმოაჩნდებოდა, რომ იგი სცდილობს საზოგადოების რომელიმე თავადიშვილის

ჩელში ჩაგდებას საყმოდ კერძო ინტერესებისათვის, ერთის სიტყვით
როგორც ხალხი ამბობს „ვერი მუქდენის“ ქვეყნის მოღალატეს;
სიკვდილით ისჯებოდა აღგილობრივ ეკლესიათა გამცარცუაზოგადო
თუ სასოფლო ყრილობა ორს ზემოდ ნაჩენებს დანაშაულობა-
ში დაინახავდა რაიმე პატივსადებ და შესატყინარებელს საბუთს, მა-
შინ დამნაშავეთ სიკვდილით დასჯას შეუცვლიდა ოჯახიანათ აყრით
და საზოგადოებითგან განდევნით. აქ ისიც უნდა აღვიშნო, რომ
რამდენათაც სასტიკნი არიან ზემოდ მოყვანილი ორი ზომა დამნა-
შავეთ დასჯისა, იმდენად იშვიათი ყოფილა თვით დანაშაულობის შეძ-
ოთვევებიც, თუმცა სრულიად მათი უარის ყოფა არ შეიძლება.
მართალია, ახლანდელს მოდგმას თავის-თავად არ ახსოეს ვისიმე
სიკვდილით დასჯა საზოგადოებისაგან, მაგრამ დაჭეშმარიტებით
სჯერათ ორი ზეპირგადმოცემა, ორივე სიკვდილით დასჯის შესახებ.
ორივე ეს შემთხვევანი, როგორც მოგვითხრობს ხალხი, მომხდარა
თავისუფალ სვანეთში — იფარის და უშგულის საზოგადოებაში.
იფარის საზოგადოების მცხოვრებს გივო გულბანს შემოუხიზნებია
აზნაური გელა, გვარად დევლორიანი, რომელსაც იფარლების ბა-
ტონობა სღომებია. გივო გულბანის ბოროტ-განზრახსულობა რომ
საზოგადოებს გაუგია, წამოსულა და გულბანი წვეტიან ანძაზე
ჩამოუცვია და ისე მოუკლავს. ამ გაღმოცემის სინამდვილეს, სხვათა-
შორის, შემდევი ხალხური სიმღერაც ამტკიცებს; რომელსაც სვანე-
ბი სმალებინის დროს იმ გვარსავე მნიშვნელობას აძლევენ, როგორც
საზოგადოდ ქართველები „მრავალ-უამიერს“.

„ფისევ ხაბა გივო გულბანს,
იმვა გელა ბოგრეშლ* ანხილ“.

(ფისი დაუსხას გივო გულბანს, ე. ი. წატყმდეს მისი სულიო;
რაღანაც გელა ბოგრეშს მოიყვანა). ამ გვარივე გაღმოცემა დაზჩე-
ნილა უშგულის საზოგადოებაში შესახებ ორი ძმის რატიანებისა,
რომელთაც აღგილობრივი ეკლესია გაეცარცვათ. ორივე ძმა რატია-
ნები საზოგადოებას სიკვდილით დაუსჯია — გაცარცულ ეკლესის
ახლო (აღგილს დღესაც უჩვენებს ხალხი), ეკლესიდგანვე გამოტა-
ნილის შუბით გამოუფატრავს.

საზოგადოდ მიღებულ წესისა და ჩვეულების დამარტვეველ პი-
რის შესახებ დღესაც ხშირად გაიგონებს კაცი ხალხისაგან: ესა და
ეს (დამნაშავე) ასაყრელია (ლეიკრე ლი), „ლეშუმფური ლი“ (სა-
შამფურეა) „ლეშვბი ლი“ (საშუბეა). უეპელია, ამ გვარ თქმუ-

* ბოგრეში სოფელია იფარის საზოგადოებაში.

ლობას კავშირი უნდა ჰქონდეს დამნაშავეთ სიკვდილის დასჯასთან
საზოგადოებისაგან.

სასოფლო ყრილობის საქმე იყო: ა) გადაწყვეტა სამტკროდა-
სელისა (ლაიმახვალდ ლიზი) გარეშე ქვეყნებში, (უმეტეს ნაწილად
ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან — თერგისა და ყუბანის თემში),
ბ) მათი დაბეგრება და შერიგება, გ) კავშირის შეკვრა სხვა საზო-
გადოებასთან, როდესაც ეს საჭიროდ აღმოჩნდებოდა და დ) განაწი-
ლება მეკომურთა შორის გარდასახადისა, თუ ამ უკანასკნელს რაიმე
შემთხვევა მოითხოვდა; მაგალითად, თუ საზოგადოების რომელიმე
წევრი საზოგადო მტრეს, გარეშე მოპკლავდა, მაშინ საზოგადოება
ვალდებული იყო ეზლო მოკლულის ჭირისუფლებისათვის „სისხლი“
(წორ) საერთოდ და თანასწორად ყოველს მეკომურს; აგრეთვე თუ
საზოგადო საქმის გამო ვინმე იქნებოდა დატყვევებული საზოგადოე-
ბის წევრთაგანი, პირველი, ე. ი. საზოგადოება იძლეოდა „სახსარს“
და თვითონ საზოგადოება იღებდა საერთოდ სახსარს დატყვევებულ
საზოგადო მტრისაგან, უკეთუ უკანასკნელი შეიქმნებოდა ლირსი
დატყვევებისა.

სასოფლო ყრილობა თავისის უფლებით სჭილა ადგილობრივ
ქურდებს, ნამეტურ მაშინ, როდესაც ერთი-და-იგივე პირი რამდენ-
ჭერმე იყო ქურდობაში შენიშნული, ქურდების დასჯა მდგომარეობ-
და ჯარიმის (პიბარ) გადახდევინებაში საზოგადოების და ნაქურდალის
პატრონის სასარგებლოდ*. რაოდენობა ქურდისაგან ამოსალებ ჯა-
რიმისა ყრილობის შეხედულობაზე და ნებაზე იყო დამოკიდებული,
ქურდის ნივთიერის შეძლებისა და მდგომარეობის მიხედვით. მოხ-
დებოდა, რომ ცხერის მოპარებისათვის საზოგადოება ერთს
ძროხსაც დასჯერდებოდა ჯარიმად ქურდს, მაშინ როდესაც მეორე
ქურდს ამ გვარივე დანაშაულობისათვის სამს ხარსაც წაართმევდა.

* ეს ყრილობის უფლება დღემდია მტკიცედ დაცული. 1880 წ. კალის საზო-
გადოებაში ერთმა — მიქელ მარგელანმა მეზობელს ცხვარი მოპარა,
როგორც კი საზოგადოების ყურამდი მრალწია ამ დანაშაულობაში, მაშინვე სოფლის
ყრილობა მოხდა, მიადგა ქურდს, წაართვა ერთი ხარი და ორი ცხვარი; ორი
ცხვარი მოპარულ ცხერის პატრონს მისცა ყრილობაშ და ხარი თვით მოიხმარა —
დაპკლა და შესჭიმა. როდესაც აღგილობრივ აღმინისტრაციამ თვით მნებლობისა-
თვის უქმაყოფილობა გამოუხადა ყრილობას ამ გვარ უკანონო მოქმედებისა-
თვის და დააპირა ხარის გადახდევინება... ამ გვარი შემთხვევები სხვა საზოგა-
დოებაშიც ბევრი გვინახავს უკანასკნელს ხანებში.

ყრილობა ახდევინებდა ჯარიმის ყოველს საზოგადოების წევრს, რომელიც მამა-პაპითგან დაღვინილ წესსა და რიგს დაარღვევდება მართვალითად ვინც მელოგინე ქალს დანიშნულ ვადაზე ადრე გამოიყენება და სახლიდგან, ან უქმად მიღებულ დღეებში იმუშავებდა და სხვა.

სასოფლო ყრილობას ექვემდებარებოდა სასულიერო წოდებაც. ჩეუბში მონაწილეობის მიღებისათვის ყრილობა ჩამოართმევდა სასულიერო პირს ღირსებას, ა) სამუდამოდ, თუ სასულიერო პირი ვინმეს მოჰკლავდა ან დასჭრიდა და ამის შემდეგ გარდასცემდა ადგილობრივ სასამართლოს ჩვეულებრივ განსასჯელად, ბ) დროებით, უკეთუ სასულიერო პირს მრუშება გამოაჩნდებოდა და გ) ჯარიმის გადაახდევინებდა მთვრალობისათვის.

სასოფლო ყრილობის მოვალეობა იყო ზნეობის დაცვა ხალხში; განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული გაუთხოვარ ქალიშვილებზე. თუ ქალიშვილს მეძაობა გამოაჩნდებოდა და ბუში (ნაბეჭვარი) ეყოლებოდა, მაშინ ყრილობა ქალიშვილის დედ-მამას, და თუ ესენი არა ჰყავდა—მის ყურის მგდებელ იხლო ნათესავებს, ჩამოართმევდა ჯარიმად ერთს დღიურს ყანას ან ამის კვალობაზე სათიბს, ტყეს, რომელნიც სასოფლო საბეგრო ადგილებად რჩებოდენ სამუდამოდ; მეძავ ქალიშვილს და მის ბუშს ეკრძალებოდათ ნაჯურთხს მიწაში დანარხვა, საყდრებში მისვლა და დასჭრება სახალხო და სამღრთო დღესასწაულებზე. ნაბუშარ ქალს, გათხოვილი იქნებოდა თუ გაუთხოვარი, არ შეეძლო ღვთისადმი მსხვერპლის შეწირვა თავის თავად.

ყრილობა სჯიდა ნათესაობის დამარღვეველთ ჯარიმით; განსაკუთრებით სასტიკად ეკიდებოდა მარონის გამტებთ.

სეგმეო საქმეს შეუღლების მსურველ მონათესავეთა შორის განიხილავდა და დააბოლოებდა ყრილობა. ალკრძალული იყო და არის ცოლ-ქმრობა ნათესავებ შორის მეათე შტომდე და სახლი-კაცებში (ლამზუბ) სრულიად, განუსაზღვრელად შტოისა.

ასეთს უფლებას აძლევდა ჩვეულებრივი უფლება სასოფლო ყრილობას. კაგშირი სვანეთის ყველა ამ გვარიდ განწყობილ საზოგადოებათა შეაღენდა „ხეობას“ (ხეობ), რომელიც მოგვავონებს ფედერატიულს რესპუბლიკას. იმ საზოგადოებათა კაგშირს, რომელსაც სვანები „ხეობს“ ეძახიან, თავის შესაკრებად ძველათ მიჩენილი ჰქონია შემდეგი ადგილები: სოფ. „ლალავერი“, მდებარე ახლანდელ სათავადო სვანეთში, ლახამულას და ფარის საზოგადოების შუა (ეს სოფელი დღეს არსებობს), იფარის საზოგადოებაში მდებარე მინდორი, ესრეთ წოდებული „სვიმონ“ და სოფ. უშგული. ზემოც ნახსენებ აღგილებზე მოყრიდა თავს სრულიად ენგურის ხეობაში მდებარე

სვანეთი მაშინ, როდესაც კრებაზე გასარჩევი საქმე, საგანი მთელს ხეობას შეეხებოდა, მაგალითად, როდესაც ხეობას ემუქრებოდა რომ მელიმე თავადიშვილის გვარეულობა დაპყრობას ანა და როდები მთელი ხეობა აპირებდა თავს დასხმას რომელიმე მეზობელ ხალხებისას, რამდენიმე მტერობისათვის. ხევის კრებაზე ესწრებოდენ თვითეულ საზოგადოებიდან „მახვიები“ (მამასახლისები), რამოდენიმე დეპუტატი და განსაკუთრებით შემთხვევებში თვითო კაცი მექომურითვან. ამ გვარი ყრილობა მოხდა თავისუფალ სვანეთში 1875 წელს, როცა ხალხი აჯანყდა.

დაბა და სოფელი

სვანეთი (კორრესპონდენცია „ივერიისა“)

ძველი „მახვიობა“ (მამასახლისობა) თავისუფალ სვანეთში შეწყდა მხოლოდ 1869 წელს, როდესაც პირველად დაწესდა მთავრობისაგან ეხლანდელი მამასახლისობა. რუსის მმართველობის სვანეთში შესვლის პირველს ხანებში სვანეთის თავდაპირველის პრისტავის თ. ალექსანდრე მიქელის ამალის შეადგენდნენ მახვიები, რომელთა დახმარებით შექმნდა მას, მიქელაძეს, ახალი კანონები, 1853 წ. პოლკოვნიკი ბართლომეი, ცნობილი არქეოლოგი და ნუმიზმატიკი — და თ. მიქელაძე ერთად აღებინებენ ფიცს ლატალის საზოგადოებას (თავისუფალ სვანეთშია) მახვის აბი ფარჯიანის შეწყებით. მიქელაძეს შემდეგ სვანეთის პრისტავად ინიშნება თ. სვიმონ ამირეჭიბი. ამირეჭიბის გარშემო ჰეროვლებიან ყველა საზოგადოების მახვიები, რომელთაც მახვის სახელის ნაცვლად მდივანბეგები დაერქვათ და დაენიშნათ ჯამაგირებიც, თვითოს 150 — 300 მანათამდე. შემდეგ ამირეჭიბისა პრისტავად დანიშნეს ი. მამაცაშვილი; ამის შემდეგ თ. ჯორჯაძე და ამათ ხელში მახვიები, დიამბეგებად წოდებულნი, თან-და-თან ჰყარგავენ თავიანთს აღრინდელს მნიშვნელობას და 1869 წელს ეს მდივანბეგობაც ისპობა და, როგორც სხვაგან, ისე სვანეთშიაც შემოღებულ იქმნა ახლანდელი მამასახლისობა და „სასოფლო წესდება“. ამ ახალ წყობილებას მახვი ვერ ითვისებს, ხალხსაც ეუცხოება და პირველის სამის წლის 1869 — 1874 განმავლობაში ხდება არევ-დარევა მამასახლისის და ძველის მახვის უფლებათა გაუგებლობისა და მოურიგებლობისგან. ხოლო შემდეგ, როცა ვადა პირველის მამასახლისისა გათავდა და მის ადგილს სხვა ჩადგა, ხალხმაც და მამასახლისმაც ცოტად თუ ბევრად შეითვისეს ახალი წყობილება და ასე მომდინარეობს დღემდის.

ეს იყო ეს ადრინდელი „მახვში“, რა მნიშვნელობისა და უფლებათა მექონი?

სიტყვა „მახვში“, სვანურად პნიშნავს უფროსს, მეტად კი უფლებათა მექონი იმავე მამასახლისს. იგი იყო სასოფლო ყრილობის თავმსჯლომარე და ამ გვარად მისი როლი ბევრად წააგავს როლს რესპუბლიკის პრეზიდენტისას, რასაკირველია, განსხვავებით მახვშის ირჩევდენ უვადოდ და თუ იგი კარგი გამოდგებოდა, ეს თანამდებობა შერჩებოდა მას ღრმა სიბერემდის. უვარესს მახვში კი ფიცხლავ გამოსცვლიდენ ხოლმე ყოველს ყამს, თუნდა წლამდინაც. მახვშის ირჩევანში მონაწილეობის უფლება ჰქონდა მინიჭებული ყველას, ვინც კი სრულ-წლოვანი იყო, ასე რომ ერთის ოჯახიდამ 30 სრულ-წლოვანი რომ ყოფილიყვნენ, ყველას შეეძლო დასწრებოლენ და მონაწილეობა მიეღოთ არჩევანში. შესანიშნავი ის არის, რომ ქალებსაც მინიჭებული ჰქონდათ ეს უფლება. სრულ-წლოვანს მანდილოსანს რომლისამე მექომურისას იგივე ხმა ჰქონდა. როგორც ქუდოსანს. მაგრამ, საზოგადოდ, მანდილოსანთა რიცხვი ყოველთვის ნაკლები იყო მამაკაცზე არჩევანის ღროს.

მახვში უნდა ყოფილიყო ხანში შესული კაცი, მაგრამ მამაცი, გამოცდილი, პატიოსანი, გონიერი და საზოგადოების ერთგული. აღრჩევა მახვშისა მოხდებოდა ყოველთვის ერთს აღნიშნულს აღილს რომელსაც სხვა-და-სხვა საზოგადოებაში სხვა-და-სხვა სახელს უწოდებენ. ერთი „ლალხორ“, მეორე „სვიფ“⁽¹⁾ და მესამე „სახევ“⁽²⁾ (სადაღიანო სვანეთში). ეს სახელები პნიშნავენ საჯარო ადგილს. „Agora“ — ბერძნულად და „Forum“, რომაულად რომ ჰქვია. ამ საჩივილ აღგილზედ საზოგადოება ერთბაშიდ თაგან მოყრიდა, რაკი საჭირო იქმნებოდა ახალის მახვშის არჩევა. აქვე იკრიბებოდა საზოგადოება ყოველთვის, როცა ყრილობის შესახები რომ საქმე იქმნებოდა. ჯერ მივიღოდა ერთი რომელიმე წევრი საზოგადოებისა, დაუკრავდა ბუკს (საყვირი) ხალხის შესატყობინებლად. მაშინვე ყველანი შეიმოსებოდენ საგარეო და საღლესასწაულო ტანისამოსით და შეიარაღებულნი წარემართებოდნენ დანიშნულს ადგილს. აქვე წარსდგებოდა სამახვშიო პირი, რომელიც ხალხს ჯერ უწინდელის მახვშის სიცოცხლეშივე ჰყავს ნაგულვები სამერმისო მახვშის მოადგილედ. ასე რომ მახვში დიდის ხნითვე აღრჩეულია წინასწარ და თუ ახლა ხალხმა თავი მოიყარა, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ საჯაროდ ჩააბაროს მას ეს თანამდებობა.

¹ სახევო ადგილი მთელის ხევის მცხოვრებთ შესაქრებელი.

² ნიშნავს სახელოვანს, ქებულს.

ვისიც რიგი იყო მოსკლისა, ყველანი მოგროვილი არიან, ყველას მხიარულება ეტყობა. ბაასი და სხენებაა პატივისღებით უწინდელის შესანიშნავის მახვშიებისა. ბოლოს ხალხი შეკვეულება და წინ წამოაყენებს სამახვიო კანდიდატს. ხალხი და მახვში კარგახანს ერთმანეთს უყურებენ თითქო ახლა შინჯვენ ერთმანეთსაო. ამ დროს ყრილობიდამ გამოვა რომელამე კარგი ენა-მეტყველა პირი და ეტყვის შესხმას სამახვიოს. ეს შესხმა აქ ითარგმნება ისე, როგორც გადმომცეს პირდაპირ დამსწრე მოხუცთა.

„კარგო ესავ! (სახელია) ევა-ადამიდამ („ივა-ადამუნლო“) დაწყებული კაის მხრით, პატივით და ქებით სხენებულ არიან შენი წინაპარნი და ამიერიდგან შენც შეიქმნები. უცხო არ არის შენის თემისთვის (გვარეულობისთვის). ამ გვარი პატივი და დიდება ჭარისაგან (ჭარი — ეუნიკა). ეს ასეა და ტყუილის თქმაც ცუდია, რომ არ მოგახსენოთ, რომ დღეს შენ დიდს პატივსა გდებთ: შენ ერთს ჩვენთაგანს გხდით ჩვენს უფროსად და რამდენადაც დიდია ჩვენი შენდამი პატივისცემა, იმდენად ასიათასჯერ მომეტებული უნდა იყოს შენი ჩვენდამი სიყვარული და თავ-განწირული ერთგულება. დღეის ამას იქით შენ ჩვენი მამა ხარ და ჩვენ შენი შვილები. შენ იცი და შენმა კაი-კაცობამ, თუ როგორ შეასრულებ ამ შენს მოვალეობას და ჩვენს მონძობილობას, მახვშიობას, რომელიც დღეს ჩვენ ხელთ მოგეცით და სხ..“ შემდეგ ეს ორატორი ახსენებს მახვშის უწინდელს სახელოვანს მახვშიებს არა თუ იმ საზოგადოებისას, არამედ მოელის სვანეთისას და ბოლოს სთხოვს ღმერთს, რომ ამ ახალ მახვშის დაემსახუროს იგეთივე სახელი, როგორიც იმ სახელოვან მახვშებს დაუმსახურნიათ, — იმ მახვშიებს, რომელთა დროს საზოგადოებანი კეთილ-დღეობაში ყოფილან. „ბევრს ნეტავის გეტუვიან შენ („ობა ნატიალს ჯექვნინებ“) — მიუბრუნდება ორატორი ისევ მახვშის — თუ ყოველივე ისე მტკიცედ აღასრულე, როგორც ჩვენი რიგი და წესი მოითხოვს!“ დასასრულ, ორატორი ქუდ-მოხდილი დაიხიქებს და ალავლენს ვედრებას ღვთისადმი: „დიდება შენდა მაღალო ღმერთო! გევედრებით და შეგვივედრე: თუ ოდესმე სვანეთის ხეობაში (შუანე ტვიბ) მახვშის აღრჩევა კეთილი და ბედნიერი ყოფილოყოს, მეორედაც ეს ჩვენი მახვშის აღრჩევა კეთილი და ბედნიერი გახადე, ამენ!“ — „ამენ“ ერთობილის ხმით შებლავლებს ერთ, დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი.

ამაზედ მახვში ჯერ მაღლობას მოახსენებს ჭარს და შემდეგ დაიწყებს ხმამაღლივ ლოცვას: „დიდება შენდა კაცისა გამჩენელო ღმერთო (ამსვალდა მუწსე ღერმეთ) გეხვეწები და შეისმინე ჩემი

ვედრება, სახვედრელს მიმახვედრე; შეცდომას ამაცილე; ჭრუა გონება მომეც; ყოველგვარს კეთილ საქმეში მწე და მფარველი მეუ- ყავ; ქაჯ-ეშმაკი ამაშორე; შემაძლებინე ლირსეული სამსახური სუზუ- გადოებისადმი; ნუ ჩამაგდებ მე და ჩემს შვილსა და მომავალს ამოუღებელ (უყიდა) სირცხვილში, მომეც ძალი და ღონე, რომ სიკვდიმდე გავატარო მახვშიობა პატიოსნად, საზოგადოების საკე- თილდღეოდ და ჩემდა სასიქადულოდ და სხ.“ ამით თავდება მახვშის ალრჩევის ცერემონიალი. ხალხი დაიშლება, და მახვშიც, შემოსილი უფლებითა და პატიოსნებით შეუდგება საქმეს.

ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ მახვშის ორჩევა უკანონო ყოფილიყო, რადგან არავის შეეძლო ვინმე გაენდო და ვისთვისმე ეთქო, რომ მას ჰსურს მახვშიობა, ან ამის გულისთვის ქრთამი რამ გაელო და მომხრები ეშოვნა. მახვში თავისთავად დაგულვებული იყო მით, რომ მას მიუძლოთა რომელიმე ღვაწლი ხალხის წინაშე და ზემოთ თქმულნი სათნოებანი, რომლითაც ის სხვებს აღემატე- ბოდა.

მახვშის არავითარი ჯამაგირი არ ეძლეოდა. ყოველს სასყიდელ- ზედ უფრო მაღლა იყენებდა იგი და ხალხიც ამდენს მისდამი ყუ- რადღებას მთელი საზოგადოებისას. ამით სახელი მისი მათებურად უკვდავი ჰქიდებოდა შთამომავლობაში და ეს იყო მისი ჯილდო.

მახვშის ბევრ-ნაირი მოვალეობა აწვა კისერზე. იმის უფლება თითქმის შემოუფარგვლელი იყო. ის ერეოდა ყოველ საქმეში, რასაც ცხოვრების მიმდინარეობა მოიტანდა. საქმე, სასულიერო ყოფილიყო, თუ სახორციელო, სისხლის სამართალი თუ სამოქა- ლაქო, ყველაში პირველი ადგილი ეჭირა, მაგრამ ისე კი რომ ყრ- ლობის გადაწყვეტილების მორჩილი უნდა ყოფილიყო.

საზოგადოდ, საქმეს მახვში ყრილობის დაუკითხავად და მისგან ნების დაურთველად არაოდეს არ იყისრებდა და არ ითავებდა, და თუ ზოგჯერ ითავებდა რასმე, მხოლოდ მაშინ, როცა სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ამ საქმეში საზოგადო ინტერესები მტკი- ცედ დაცულ არიან და საზოგადოებაც ამ შემთხვევაში წუნს არ სდებდა მახვშის ნამოქმედარს. ყოველ საზოგადო საქმეში მახვში ჯერ დაეკითხებოდა გამოცდილ და სარწმუნო კაცებს და მათებურად დადგენილს მოსაზრებას და გადაწყვეტილებას იგი წარუდგენდა სა- ზოგადო ყრილობას. მოახსენებდა რა საზოგადო ყრილობას საქმის გარემოებას, მახვში წარმოსთხვამდა თავის შეხედულობასაც და დადგენილობას. თუ ეს ყრილობას მოეწონებოდა, ბევრის აწონ- დაწონის შემდეგ, დაამტკიცებდა, თუ არა და დადგენილობას შესცვ- ლიდა ან მთლად, ან რამდენადმე.

მახვშის ჰქონდა უფლება, რომ სახალხო ხანგრძლივის დღესას-
წაულობის დროს, როცა ხალხში მთვრალობისა გამო ჩეხა-კვლა
და სხვა უწესოება ხშირად ხდებოდა, — მაშინ ყველასთვის იარაღი
აეყარა. აპერიდა და დღესასწაულის გათავების შემდეგ ყველას
კუთვნილებისამებრ დაუბრუნებდა.

როგორც საზოგადო საქმეებში, ისე კერძო შემთხვევაში მახვშის
პირველი ადგილი ეჭირა. მის საღვთო და ზნეობითს მოვალეობას
შეადგენდა: დაცვა მყუდროებისა და მშვიდობიანობისა საზოგადო-
ების წევრთა შორის. აგრეთვე მორიგების ჩამოგდება მოჩხუბართა
და მოძულება შორის. მახვშის განსაკუთრებით ბევრი საცადი ჰმარ-
თებდა მაშინ, როცა რწმუნებულს მისდამი საზოგადოებაში გვართა
ბრძოლა მოხდებოდა და როდესაც ორ თემს შორის „სისხლი ჰსდუ-
ლდა“ (ზისხ ფუვე), როგორც თითონ სვანები იტყვიან. ამ დროს
მახვში დღე და ღამ იმათ ოჯახებში დადიოდა. მახვში ცდილობდა
რჩევით და შეგნებით მშვიდობიანობა ჩამოეგდო. მაგრამ თუ ამით
ვერას გახდებოდა, მაშინ უფრო ენერგიულ საშუალებასაც მიჰმარ-
თავდა: მოიწვევდა საზოგადოებას, რომელიც ძალით შეაჩერებდა
მოჩხუბრებს. ძნელად თუ ოდესმე ვერ გასჭრიდა მახვშის საცადი.
წინააღმდეგ შემთხვევაში მოჩხუბარი და მისი ურჩი თემი დაიმსა-
ხურებდა არათუ მის სამდურავს და რისხვას, არამედ მთელის სა-
ზოგადოებისას. რაკი მოჩხუბრებს მორიგებაზე დაიყოლიებდნენ,
მაშინვე აირჩევდენ მედიატორებს, რომელთ თავმსჯდომარედ ისევ
იგივე მახვში იყო.

ყოველს კერძო საქმეში და ოჯახში მახვშის ისე მიუწვდებოდა
ხელი, როგორც საზოგადო საქმეებში. გაყრის დროს მამა-შვილთა,
ძმათა და ცოლ-ქმართა შორის ამბოხის დროს პირველი მზრუნველი
ისევ მახვში იყო. დანარჩენს მოვალეობას მახვშისას, როგორც
სამსაჯულო საქმეების წარმოებაში და მსაჯულთ შედგენილობაში,
შერეც მოგწერთ და ამიტომ აქ თავს ვანგებდ.

რითი უხდიდა საზოგადოება მახვშის ამგვარს უანგარო სამსა-
ხურს? — უხდიდა არა ნივთიერის ჯილდოთი, არა ჯამაგირით, არამედ
ერთად-ერთის პატივდებით და დაფასებით. ერთი ესა, რომ მახვში
ხელთუხლები კაცი იყო, რაღვანაც ჩვეულებითი მართლიერება
(ინიციატივა) მას არ აძლევდა ნებას, რომ ვისმე ხელით შეხებო-
და, ანუ გაელახა, ანუ დაეტყვევებინა. მეორე ესა, რომ საზოგადოე-
ბა უთმობდა მახვშის პირველს, საპატიო ადგილს ყოველგან და
ყველასთან და ესე ყოველი ხალხის აზრით ულრმესი და უდიდესი
პატივისცემა იყო, ვინემ ნივთიერად დაჯილდოება. მახვშიც ამ აზ-
რისა იყო. მხოლოდ ათასში ერთხელ ხალხი მუშაობაში თუ მიეშვე-

ლებოდა თავის მახვშის, რომელიც საზოგადო საქმეების გამო მუდამ მომცდარი იყო თავისს კერძო საქმეს. ხალხის საყვარელის მას-ვშების სახელი ისეთივე დაუვიწყარნი არიან დღესაც უფრო მარტივი; როგორც სხვა ქვეყნებში სხვა-და-სხვა მათი გმირები. ამჟამ დაწმუნდება ყოველი ცნობის-მოყვარე გარეშე კაცი, თუ ის მათს ცხოვ-რებას დააკვირდება; ვერ შენიშვნავს მხოლოდ მორბედი მოგზაური და ენის უცოდნელი.

სასამართლოს წარმოება სვანეთში

სვანეთში სასამართლოს შეაღენდენ მსაჯულ-მედიატორები, ომელთაც სვანეთში ეძახიან „მორვარ“. ეს კათეგორია მსაჯულებისა, რამდენისამე განსხვავების გარდა, მზგავსია იმ მედიატორულის სამართლის წარმოებისა, რომელიც დღესაც ბევრგან სხვა-განაც არსებობს. „მორვარ“ ყოფნა სვანეთში ყოველს კაცს შეეძლო, თუ კი შემთხვევა გამოიწვევდა მას ამა საქმისათვის. აქედამ ჰსჩანს, რომ მორვები არ იყვნენ არც მუდმივი, არცა ვადით ამორჩეულნი ჩვენს ეხლანდელ სოფლის მოხელეებსავით. მსაჯულ-მედიატორეთა ამორჩევა სრულიად დამოკიდებული იყო მომჩივან-მოპასუხეთა არჩევანსა და ნებაყოფლობაზე. მაგალითად: ვსოდვათ, მე შენ მაწყენინე, ან სხვა რამ უსამართლობა გამიწიე. მაშინ მე მაქვს ნება ამოვირჩიო მსაჯულ-მედიატორეთ (მორვარ) ერთი ვინმე სანდო კაცი, ისეთი, რომელმაც ამ საქმის გარემოება დაწვრილებით იცის. ესევე უფლება გაქვს შენც ჩემს მოპასუხეს. მეორედ რომ დაჭირდეს გართლ-მსაჯულებისადმი მიქცევა, მაშინ მინდა იმავე პირებს ამოვირჩევ, მინდა სხვებს, რომელთაც ამ მეორის საქმის გარემოება უკეთესად იციან. ერთი პირობა უთუოდ უნდა დაცული ყოფილიყო „მორვების“ ამორჩევის დროს: მომჩივან-მოპასუხეს ან ორთავეს თავიანთი ნათესავები უნდა აერჩიათ, ან ორთავეს გარეშე პირნი, რათა სამართალი უფრო მიუდგომელი ყოფილიყო. „მორვებს“ ზალხი ისე მოწიწებით უყურებდა, როგორც სამღრთო პირს. და უყურებს დღესაც, როცა კი „მორვების“ საშუალობით წყდება ხოლმე საქმე. „მორვარ ლერმეთი ნაწავ ლიხ“ — მორვები ლვისგან გაჩენილნი არიან — იტყვის ხოლმე სვანი. მორვებიც ამ ნდობას ერისას ისე გულს-მოდგინედ ემსახურებოდნენ, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო მათგან მიდგომ-მოდგომით საქმის გადაწყვეტა. იმათ ისიც მეტის-მეტად აწუხებდათ: ვაი, თუ ჩვენის მიუმხდარობით სწორს სამართალს გადვუდექითო და ფიცი შევბლალვეთო. ფიცს — რასაკვირველია არა ახლანდელის ფორმის — სვანი მეტის-მეტად

უფრთხის და ერიდება, რადგან დარწმუნებულია, რომ ტყუილი ფიცი არა მხოლოდ საკუთრივ მასზედ მოავლენს ღვთის რისხვას, არამედ მთელს ოჯახზე და შთამომავლობაშიაც არ ამოიკვეთებულ რისხა რისხა. ამ ნაირი შეხედულება ერისა მორვების წმინდა მოვალეობაზე იყო მიზეზი იმისი, რომ „მორვები“ ძნელი საშოგნელნი იყვნენ და ყველა ცდილობდა მოპრიდებოდა, თუ წინდაწინ შეიტყობდა, რომ ვისმეს მისი ამორჩევა უნდა რომლისამე საქმის გასარჩევად. ხოლო ამ დაბრკოლების ასაცილებლად სვანებს აქვსთ ერთი ონისძიება. მძებნელი „მორავისა“ იშოვის რამე საეკლესიო ნივთს, თუნდა საყდრის კლიტეს, შევა იმ სახლში, საცა სამორავე კაცი ეგულება და როგორმე ეცდება ხელი მოაკიდებინოს ამ ნივთსა, რის შემდეგაც უარის თქმა „მორავობაზე“ ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ამით სვანი ღვთის რისხვას გამოიწვევდა. „მორავი ღვთისგან გაშობილია“, ამიტომაც ამბობს სვანი.

მორვების სამართალს ექვემდებარებოდენ ყოველ-გვარი საქმე-ები, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლისა, ზოგიერთა შემთხვევათა გამოკლებით, რომელთაც შემდეგ მოვიხსენიებთ.

მორვების რიცხვი ორზე ნაკლები არ შეიძლებოდა და თორმეტს ათასში ერთხელ, დიდს რასმე საქმეში; თუ აღმატებოდა, ჩვეულებრივს რიცხვად იყო მიჩნეული ექვსი მორავი: სამი მომჩინოს და სამი მოპასუხის მხრით, მაგრამ სხვაფრივაც შეიძლებოდა ოლონდ რიცხვი წყვილ-წყვილი უნდა ყოფილიყო. ჩამდენიც ერთის მხრით, იმდენიც მეორის მხრით. ისეც შეიძლებოდა, რომ ორსავე მხარეს ერთად ამოერჩიათ ერთი რომელიმე კაცი, სახელდობრ მაშინ, როცა მე და ჩემს მოდავებს ორ-ორი მორავი ჰყავთ, მაგრამ საჭიროდ დაუნახევთ მეხუთის მომატებაც. ამ მეხუთის არჩევანი ორივეს თანხმობით უნდა ყოფილიყო.

მორვების ამორჩევამდის მახვშის და რამდენსამე სხვა პირს მომჩინან-მოპასუხე უნდა დაეყაბულებინათ მორიგებაზე. თუ ეს არ მოხდებოდა, მომჩინან თავისს მორვებს დასახელებდა და მახვშის პირით აკნობებდა მოპირდაპირეს; — მოპირდაპირეც თავისის მხრით შემოუთვლიდა. ბოლოს ყველანი ერთს ადგილას თავს მოიყრიდენ. პირველად მორვებს მომჩინან უნდა გამასპინძლებოდა და მასპინძლობაც, რაც შეიძლებოდა, უხვი უნდა ყოფილიყო სასმლითა და საჭმლითა. მორვების სტუმრობა, ისე როგორც დიამბეგისა, საან-დაზოდ არის გამხდარი. ამას გარდა მორვებს ეძლეოდა გასამჯელოდ თვითო „ლერქვაში“ (ნივთი სამი მანეთის სალირალი), რომელსაც ისინი ლებულობდენ განჩინების დადგენის შემდეგ და მის გამოცხადებამდის:

შეგროვდენ მორვები მომჩივნის ოჯახში; მასპინძელი მზად არის. ჩამოსხდენ სკამებზე; სცფრის თავს მასპინძელი ჭდება. სდგამენ ტაბაკებს, სავსეებს პურით, ხორცით და ყველით. მასპინძელი პორველი შეეხო პურს, მაგრამ სანამ ჭამას დაიწყებდეს, მიმართავს მორავებს ამ სიტუაციით: „ჩემი მადლი თქვენ გქონდესთ, ჩემს მოწყალე-შემწე კაცებს; ღმერთმა ჰენას, რომ ამ გვარი შემთხვევა არ მენახოს თქვენს ოჯახებში. ღმერთმა გიზლოთ ამის მაგიერი, რასაც დღეს თქვენ ჩემთვის შრომასა ჰსწევთ!“ და იწყებს ჭამას. მორვებიც უპასუხებენ: „ღმერთმა ამიერითგან მოსპოს ამ გვარი ხარჯი და ჟენს ოჯახში და სამხიარულო სუფრაზე მოგსულიყოთ ყოველთვის“. ამით იწყება პურისჭამა. ამ დროს მეწდე არაყს ასხამს ქარასხში და მიართმევს ჯერ მასპინძელს და მერე ყველას ჩამოურიგებს (სადადიანო სვანეთში ღვინოც არის). ასე ჩამორიგდება მეორედ და მესამედ. ყველამ ჭამას თავი დაანება და მორვები შესცემერიან მასპინძელს მომჩივანს, რომელმაც თავისი „სარჩელი“ მათ უნდა მოახსენოს. გაშინ მომჩივანი ადგება ფეხზე კათხით ხელში, ქუდ-მოხდლილი წარდგება მორვების წინ და დალაგებით მოპყვება თავის „სარჩელს“. ჯერ ყველაზედ უწინარეს მოიწოდებს ღმერთს, როგორც ყოვლად სწორ და მართალ მსაჯულს. (სწორ სამართალი მეუფუშვდე). მერე მიუბრუნდება მორვებს და ეხვეწება, რომ რაკი „მათ ჩადგეს ფეხი მის მაღლში“ და გაისარჩნენ“, კიდეც ეცადონ სინიდისით საქმის გადაჭრას. შემდეგ მოპყვება თვით საქმეს. მორვები კათხებით ხელში სრულის ყურადღებით უსმენენ: განსაკუთრებით ორი მორავი ამიტომ, რომ იმათ რაც კი შეიძლება, სიტყვა-სიტყვით უნდა გადასცენ საჩივარი მოპასუხეს. რაკი მომჩივანი საქმეზე ლაპარაკს დასრულებს, განმეორებით ჰსტორეს მორავებს, რომ იგი არ დაჩაგრონ უსამართლობით, და გამოსცლის ხელთ ნაჭერ კათხას. მორავები აიმედებენ, რომ ღვთისა და მომჩივან-მოპასუხის საჭეროდ დააბოლონ საქმე, და დასცლიან სავსე ქარასხებს, რომელნიც მათაც აქამდი ხელთ ეჭირათ. მერე მოპყვებიან ჭამას, სმას და, როცა დაკმაყოფილდებიან, მიდიან თავიანთ სახლებში.

მეორეს დღეს მორვები მიღიან მოპასუხისას, რომელმაც წინდა-წინვე იცის მათი მოსვლა და მზად არის. იგივე მასპინძლობა, იგივე ორჯერ არაყით სავსე კათხების ჩამორიგება და მესამედ რომ იისებენ, ადგებიან ფეხზე ორი მორვარი და დაწვრილებით გადასცემენ საჩივარს მოპასუხეს. თუ მათ ორს, რამე დაავიწყდებოდათ, მაშინ დანარჩენ მორავებს უნდა მოეგონებინათ. მათს სიტყვა-პასუხში საქებარი ის არის, რომ ისე ტკბილად, დარბილებით გადასცემენ საჩივარს მოპასუხეს და მოპასუხისას მომჩივანს, რომ ორთა-

ვეს დასახავდენ ერთმანეთის წინაშე მთხოვნელად, მომნანებელად და
მხოლოდ სიმართლის მეძიებელად. ამის გამო რაკი მორავები საქმეზე
ში ჩადგებოდენ, მაშინ ყოველთვის სიამეტკბილობით თავდებოდა
საქმე.

საჩივრის მოსმენის შემდეგ მოპასუხე იმავე წესით, როგორც
მომჩივანი, პასუხს მოახსენებს მორავებს. აქაც მისი პასუხის დახ-
სომება განსაკუთრებით ორის მორავის მოვალეობა იყო. პასუხის
მოსმენის შემდეგ, ისევ სმა და ჭამა და, ბოლოს, თავ-თავიანთ სახ-
ლებში წასვლაა.

მეორეს დღეს, გამოფხიზლებულნი მორავები მიღიან ახლა
ისევ მომჩივნისას პასუხის გადასაცემად, თუ მომჩივანი რასმეს
დაუმატებდა, კიდევ მოპასუხეს გადაეცემოდა და ამ ნაირად ორის-
სამის დღის განმავლობაში ეს მოსმენ-გადაცემა გათავდებოდა. შემ-
დეგ მოწმებს ჰკითხავდენ უთუოდ ფიცს ქვეშ, საყდრის გალავანს
შიგნით, გამოსვენებულის ხატის წინაშე. მაგრამ აქ ესეც უნდა დავუ-
მატოთ, რომ სვანეთში საქმე სამოწმოდ ძნელად თუ როდისმე გამ-
ხდარა. ეს იმიტომ, რომ ფარულად, ქურდულად, დანაშაულის ჩა-
ჯენა სვანის ბუნებაში არ იყო და თუ ვისმე მტერობას უწევდა, ეს
მხოლოდ სირცხვილის გულისთვის და პატივის აყენებისთვის, რომ
მისმა მტერმა არსად დაიკვეხოს: მე ამას ესა და ეს დავმართეო! ამი-
ტომაც სვანეთში ძნელი გასაგონი იყო, რომ ქურდულად კაცს
კაცი მოეკლას. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ
სვანურს განსამართლების წეს-წყობილებაში მოწმები მიღებული არ
ყოფილიყვნენ, ესენი აუცილებელნი იყვნენ მაშინ, როცა მომჩი-
ვან-მოპასუხე წამოაყენებდენ რომელსამე ადრინდელს შემთხვევას.
აქ მომსწრე კაცების მოხუცების ჩვენება მეტად საჭირო იყო და
ამითი თავდებოდა გამოძიებითი მხარე საჩივრისა.

ვსოდეთ, მსაჭულ-მედიატორებმა გაათავეს მოწმების დაკითხვაც
(როცა ეს საჭირო იყო), ყოველი საფუძველი და საბუთი ხელთა
აქვთ. ახლა საჭიროა მისი აწონ-დაწონვა, მომჩივან-მოპასუხის
საბუთების შეფარდება და ბოლოს განჩინების დადგენა. ამაზედ
მერმე ვიტყვით.



სასამართლოს წარმოება

განჩინების დადგენის დროს მსაჯულები სოფლის განაკიდ ადგილის საღმე მიღიან და, თუ ამას უშლის ავტარი და ზამთარი, მაშინ თავს იყრიან სოფლის რომელსამე უკაცურ სახლში, ისე რომ გარეშე კაცმა არ მოისმინოს იმათი მსჯელობა განაჩენის დადგენის დროს. აქ მსაჯული სოფლის მათ შორის უფრო სანდო პირს, მახვშის, რომ მან პირველმა წარმოსთქვას თავისი შეხედულება იმაზედ, თუ რამდენი უნდა მიესაჭოს მომჩივანს მოპასუხისაგან. მახვში გალდებულია დალაგებით გაიმეოროს საქმის გარემოება, არსებითი მხარე საჩივარისა და პასუხისა, გაახსენოს დანარჩენ მსაჯულებს ის ჩვეულებითი მართლიერება, რომელიც ამ აღებულ საქმეს მიუდგება, უჩენოს რამდენიმე მსგავსი შემთხვევა და მაგალითი წარსულის ცხოვრებიდამ და ბოლოს წარმოსთქვას თავისი განაჩენი, დასკვნა. მახვშის შემდეგ წინადადება მიეცემოდა ხნით უფროსს. ეს თავის შეხედულებას და განაჩენს წარმოსთქმიდა და ასე მორიგად თვითონეული ცალკ-ცალკე თავისას იტყოდა. ბოლოს ყველანი ერთს დასკვნამდის მივიღოდნენ. ამ დროს პაზრების შეუთანხმებლობა მათ შორის ძნელად თუ ოდესმე მოხდებოდა, რადგან ყოველმა მსაჯულმა კარგად იცოდა, თუ რომელი დანაშაული რამდენს გასჭრიდა. მაგალითად: ვსოდგათ, ესავი უჩიგის ბაბის, რომ უკანასკნელმა იგი დასჭრა ხელში და ხელი დაუშავდა. ყოველმა მსაჯულმა იცის, რომ თუ კაცს ასო რომელიმე ჭრილობისაგან დაუშავდა, კანონით უნდა მიესაჭოს „სისხლის“ („წორ“) ნახევარი; ამას ლაპარაკი არ უნდა. მაგრამ, ვთქოთ, ბაბისაც აქვს თვისის მხრით დიალ პატივსადები მიზეზები, — აი თუნდა ეს, რომ დაჭრამდის, გინდა დაჭრის შემდეგ ესავმა ბაბის გაუტეხა სახელი, რომელიც პატივის 12 აცსიშს (აცსიში უდრის ექვსს მანათს), ესე იგი სულ 72 მანათს. ეს უნდა გამოირიცხოს ესავის „სისხლის“ საზღაურიდამ. შეიძლება სხვაც რამე უპატიურება აღმოჩნდეს ბაბისგან ესავის შესახებ. ამასაც, რასაკვირველია, ზედ შეუკეცენ და დანარჩენი იქმნება ის საზღაური, რომელიც ესავს ერგება ბაბისგან. ამაში მსაჯულები ადვილად თანხმდებიან...

ამ დროს ერთი მსაჯულთაგანი აიღებს პატარა ქვის („ბაჩა ლილ-ქენი“), ამოსთხრის მიწას იქვე და შიგ იმ ქვის ჩატვლავს მსაჯულების თვალშინი. ეს ქვის ჩატვლა სვანურს იურიდიულ წყობილებაში იმას ჰქინიშნავს, რასაც სხვაგან წერილობითი განაჩენი და რასაც ვერავინ

შესცვლის, ერთის სიტყვით საქმის გათავებას, საქმის დასასრულს. ქვის დაფლვას მეორე მნიშვნელობაცა აქვს, ე. ი. სანამ მსაჯულები ერთად არ გამოუცხადებენ მომჩივან-მოპასუხეს თავისს განჩინებას, მანამ არცერთს მსაჯულს ცალკე არა ჰქონდა უფლება, რომ იგი ვისთვისმე გაემუდავნებინა; ეს ქვის დაფლვა იყო ნიშანი საიდუმლოების შენახვისა.

თუ მომჩივანი ან მოპასუხე კერძოდ შეიტყობდა მსაჯულების განახენს, ასე ვთქვათ, სახარიდ გამოცხადებამდის, უკმაყოფილო მხარეს ნება ჰქონდა არ შეეწყნარებინა გარიგება, თუ გადაწყვეტილება. აი ამიტომ ჰფრთხილობდნენ და ერიდებოდნენ მსაჯულნი განჩინების წინდაწინ გამუდავნებას, თუმცა განჩინების დადგენის დროითგან გამოცხადებამდე მთელი თვე, წელიწადიც გაივლიდა ხანდისხან.

აი, დაბოლოვდა განჩინების დადგენა. მსაჯულები მიღიან აღვილის ეკკლესიის კარზედ და იქიდამ ატყობინებენ მომჩივან-მოპასუხეს, რომ ესენი გამოცხადდენ ერთგულობის ფიცის მისაღებად. მოდიან მომჩივან-მოპასუხე ჩვეულებრივ დაიარაღებულნი. პაპი, მსაჯულებისაგან წინ-და-წინვე დაბარებული, ეკკლესიიდამ გამოასვენებს ხატს (არასოდეს ჭვარს). თუ პაპი არ მოხდა, მაშინ მის მაგივრობას ასრულებს თვით მომჩივანი. ერთის მხრით მსაჯული დგანან მწერივად და ქუდ-მოხდილნი ეკკლესიის გალავანში, ხატის წინაშე; მეორეს მხრით — იმავე რიგით ერთი მეორეზე დაშორებულნი მომჩივან-მოპასუხე თავიანთის სახლობით, მხოლოდ მამაკაცებით კი. რამდენისამე წამის შემდეგ წარდგება წინ მომჩივანი და დაიწყებს: „დიდება და მაღლი შენ, ქრისტე მაცხოვარო! (ან რომელის წმინდანისაა ის ხატი) გთხოვ და გევეღრები, ისმინე ჩე-ში ხვეწნა-ვეღრება! უკეთუ ჩემ-მიერ ამორჩეულ და გაშვებულ მსაჯულთა სინიდისიერად შეტყობის შემდეგ საქმის გარემოებისა რასმეში დავეჩაგრო, არ მოენიჭოსთ ჩემთვის იგი, რასაც ჩვენი ჩვეულებითი და სწორი სამართალი ჰმანიჭებს, მე დამამდაბლეს და ჩემი მოპასუხე აღამაღლეს, მაშინ, ჰო, მაღალო ღმერთო, რამდენიც ციდამ თოვლი და წვიმა მოდის, რამდენიც დედა-მიწაზე ბალახია, ზღვაში ქვიშა, — სანამ იმდენი ოქროს რქოსანი ხარი არ მოგიძლვან, მანამ ამათ (მიათითებს მსაჯულებზე) ქესა და შთამომავალსა საშველს ნუ მისცემ, ამოსწყვიტე ესენი ძირიან-ბუდიანად; ავი სნეულების და ფათერაკის მეტს ნურას მოუვლენ თვითონ ამათ და ამათს ოჯახებს... ეს ერთი, დიდებულო ღმერთო! მეორე, — განაგრძობს იგივე მომჩივანი — თუ ამ მსაჯულებს ისე არ დავუყენებივარ მე, როგორც თვითეული მათგანი დადგებოდა (ე. ი. ის არ მიესაჭათ

ჩემთვის, რასაც თვითეული მათგანი კანონით მოითხოვდა და იქმა-
რებდა), თუ თავის სწორად და ტოლად არ დავუყენებივარ, — მა-
შინ ისმინე ღმერთო, სანამ ამათ (მსაჯულებს) იესო ქრისტე ოვერ
სის თორმეტის მოციქულით მწირველად არ იშოვონ, სეფისკვერო
იერუსალიმიდამ მოტანილის ფქვილისა არ გამოუცხონ და იქიდამვე
მოტანილი ღვინო ზედაშეთ არ დასდვან, — მანამ ამათ (მსაჯულებს)
ავი ზნის მეტს ნურას მოუვლენ, შეაჩვენე ისე რომ ამათი რძალი და
ასული გველსა და ბაყაყს ჰშობდნენ“...

იტყვის თუ არა ამას, იქვე მიწაზე (ეკკლესიის გალავანში ბალახი
ყველგან არის) ბალახს მოჰველებს, გაჰფანტავს მაღლა ჰაერში და
დაღვება თავის ადგილას.

ახლა წარმოდგება წინ მოპასუხე; ერთს ხელს ხატისკენ გაიწვ-
დის, მეორეს მსაჯულებისაკენ და იტყვის:

„მაღლო ღმერთო! სწორი სამართლის მომავლინებელი შენა ხარ
ქვეყანაზე, — თუ მსაჯულთ, გარეშე წესრიგის მოთხოვნილებისა,
რაიმე მოუსაჭავთ ჩემგნით მომჩივნისათვის, მაშინ დასწყევლე ისი-
ნი ასე და ასე.. (გაიმეორებს მომჩივნის წყევლას და ნათქვამს ცო-
ტა გადასხვაფერებით, როგორც მოუხდება), ესეც რომ გაათავებს,
ახლა მახვში მსაჯულების თავს მდგომარე, მიუბრუნდება მომჩივნ
მოპასუხეს და იტყვის: „ესავ და ბაბი! (ვთქოთ-მომჩივნან-მოპასუხე-
თა სახელებია) ამ ხატის მაღლმა. (ხატზე მიუთითებს), რაც კი შევი-
ძელით, ყოველი ღონის-ძიება ვიხმარეთ, ნამდვილი და სწორი სამარ-
თალი გაგებინა თქვენს შორის. ავსწონეთ საჩივარი, პასუხი, პასუ-
ხის პასუხი, ერთმანეთს დაუყენეთ, შევუწონეთ ჩემნის წეს-რიგის.
თანახმად და გადავსჭერით ისეთი სამართალი, რომელსაც თვითეული
ჩენ მსაჯულთაგანი დასჭერდებოდა, თუ რომ ჩენ თქვენს ადგილას
ყოფილიყავთ“.

დანარჩენი მსაჯულები ამაზედ ერთ ხმად წარმოსთქმიდნენ:
„თანახმად ამ „გარცამისა“ (გარდაცემა?) ჩენცა ვფიცავთ, რომ
რამდენადაც კი მივხვდით, ჭეშმარიტს სამართალზე გავიარეთ“.

გათვებისას მახვში ეტყვის მომჩივნან-მოპასუხეს ერთგულობის
ფიცის მიღებას, ორნივე იქვე დაიფიცვენ: „ამის მაღლმა (ხატზე
ათითებს), რომ თუ შენ ჩემი ერთგული იქმნები, მეც ერთგული
ვიქმნები და ვფიცავ, დღევანდელი საქმე არც მე და არც ჩემმა ძემ
და მომავალმა არ გაგიხსენოს“ იტყოდა მომჩივნი. ამას გაიმეორებ-
და მოპასუხეც და წავიდოდნენ თავთავის სახლებში. მსაჯულებიც
იქვე ორად გაიყოფოდენ, ნახევარი ერთისას წავიდოდა და ნახევარი
ძეორისას განჩინების გამოსაცხადებლად.

რაკი გამოეცხადათ ორსავე მხარეს განჩინება, არც ერთს მხარეს არა ჰქონდა უფლება განჩინების უარყოფისა. ორივე ხმა-ამოულებელივ ემორჩილებოდნენ. ამითი თავდებოდა მსაჯულ-მედიატორეთ თანამდებობა სვანურ იურიდიულ წესთ-წყობილებაში. რაც შეეხება აღმასრულებლობითს უფლებას, ე. ი. მისჯილის გადახდევინებას და მომჩინეანისათვის ჩაბარებას, ამას ჩვეულება არ ავალებდა მსაჯულ-მედიატორეთ. საზოგადოდ ძნელი საქმე განჩინების დადგენა იყო, თორებ მისჯილის გადახდის და მიღების უარს ვერავინ ვერ გაპატებდა გდა. მოპასუხე მოკლეს დროში ჩაბარებდა მომჩინეანს მისჯილს მახვისა, ან რომელსამე ნათესავის ხელითა, და ამით დასრულდებოდა მოჩხუბართა ერთმანეთში მორიგება.

სვანურ იურიდიულ წესთ-წყობილებამ გარდა მორვებით მორიგებისა იცოდა კიდევ შემდეგი ფორმები: ა) სახლში შეძლოლა (ქორთე ლიუელვ) დაჩაგრულისა (потерпевший) „ლუფხულებით“, ბ) ამ გვარივე შეძლოლა „უ-ლუფხულოთ“, გ) ნათესავებით და დ) ფიციო მორიგება. სამი უკანასკნელი ფორმა მორიგებისა იხმარებოდა მცირე დანაშაულობის დროს. სვანური „ლუფხვილ“ ჰიტნავს თითოთ (ფხულე) ამორჩეულს მოფიცარს, რომლის ამორჩევის უფლება ჰქონდა მხოლოდ დაჩაგრულს მხარეს.

ლუფხულების რიცხვი ერთიდამ მოკიდებული ოცამდე ადიოდა. თუმცა უკანასკნელი რიცხვი მარტო დიდ და მძიმე საქმეში იხმარებოდა. ლუფხულები ტოლობის, თანასწორობის ფიცს აძლევდნენ შხელოდ დაჩაგრულს, მაგალითად იგინი ფიციო ეუბნებოდნენ დაჩაგრულს: — „ამა და ამ ხატის მადლმა, რომ ჩვენც ამას დავსჭერდებოდით (ნივთიერი გადასახადი), რასაც შენ გიჩენოო“. ხოლო დამჩაგვრელს არაფერს ფიცს არ აძლევდნენ, მაშასადამე თუ ლუფხულები სინიდისს გადუდგებოდნენ, შეეძლოთ ჩვეულებრივზე მომეტებული გადასახადი დაედგათ მისთვის, თუმცა ეს არასოდეს არ მომხდარა, როგორც მარწმუნებენ მცოდნე და ამ საქმეში გამოცდილნი პირნი. თუ დამჩაგვრელი შეუთვლიდა ჩაგრულს ლუფხულებით შემირიგდით, უკანასკნელს უარი არ ეთქმოდა თუ მაინცა და მაინც სამაგიეროს გადახდა გულში არ ედვა. ყოველს შემთხვევაში ლუფხულებით მორიგების დროსაც ორივეს მხრის თანხმობა იყო საჭირო. დამჩაგვრელი, დამნაშავე, მხოლოდ მაშინ იყაბულებდა ლუფხულებით გარიგებას, როდესაც სულ უმართლოდ, უმიზეზოდ მიაყენა დაჩაგრულს მძიმე შეურაცხება, ვნება და ჩადენილის დანაშაულის გასამართლებელი საბუთი არა . ჰქონდა. ლუფხულებს დაჩაგრული დასახელებდა, შოვნა მათი კი დამნაშავეს საქმე იყო.

მორვებზე უარესი საშოვარი კიდევ ლუფხულები იყვნენ; უკანასკნელებს გასამრჩელოდ მორვებზე მეტი ეძლეოდათ დამნაშავებას, სახელდობრ, თითო ლუფხულს — თითო „აცსიშ-იურომედიცულრის ექვსს მანათს, ან მის სალირალს საქონელს, ნივთს. ლუფხულებს ხარჯს აჭმევდა მარტო დამნაშავე. როდესაც იგინი ამორჩეული იყვნენ, მომჩინის საჩელს მოისმენდნენ და შემდეგ მახშის წინამძღოლობით მივიღოდნენ დამნაშავის სახლში. ლუფხულების მისვლისთანავე დამნაშავე საოჯახო საცხოვრებელს სახლს უთმობდა მათ დროებით. ამას თხოულობდა ხალხის ჩვეულება. თუ პეტრი მცორე სახლი — იქ გადიხიზნებოდა, თუ არა და დროებით მეზობლისას შეაფარებდა თავსა. ოჯახიდამ გახიზნის შემდეგ გაიმართებოდა მოციქულობა დამნაშავესა და ლუფხულებ შუა მახშისა და გარეშე პირების საშუალებით. ლუფხულები მოციქულების პირით შეუთვლიდნენ დამნაშავეს: „შენ თითონ იცი, რა დანაშაულიც მიგიძლის დაჩაგრულის წინაშე, ისიც იცი, თუ რა ერგება მას შენგან შენის დანაშაულობის მიხედვით, მიიღო ეს ყველა სახეში და შემოგვითვალე — შენის აზრით, რა და რამდენი უნდა მიუზღო დაჩაგრულს?“ დამნაშავეს წინდაწინვე პეტრი მოაზრებული და მომზადებული მისაზღვევი ჯარიმა და მაშინვე შეუთვლიდა ლუფხულებს, რომ მე ესა და ეს მაქვს მომზადებული მომჩინის მისაცემად (ყანა, ტყე, იარაღი და სხვა) და ამის მეტის გადახდა არც შემიძლიან და არც ერგებაო. მოციქულები ამას ლუფხულებს გადაცემდნენ; უკანასკნელნი მოისმენდნენ დამნაშავის შემონათვალს, და თუ, მათის აზრით, მეტი ერგებოდა დაჩაგრულს, ისევ დააბრუნებდნენ მოციქულებს დამნაშავესთან და შეუთვლიდნენ, რომ მას კიდევ რამე დაემატებინა. დამნაშავეც უსათუოდ რასმეს მოუმატებდა, და ეს ისევ ლუფხულებს გადაცემოდა მოციქულების მიერ. ამ ნაირად მიდობდა ეს ცერემონია, სანამ გადაწყვეტით არ მორიგებოდნენ დამნაშავე და ლუფხულები ერთმანეთში. ამის შემდეგ დამნაშავე თავის ოჯახში შევიდოდა, სადაც აქნობამდე ლუფხულები იყვნენ. ლუფხულები მომჩივანს შეატყობინებდნენ, რომ შენი საქმე გავათავეთ და ამა და ამ ეკლესიის კარზე დაგვიცადეო, ჩვენც მოვალთ და დამნაშავესაც მოვიყვანთ, რომ ერთმანეთის ერთგულების ფიცი დაგადებინოთთ. მომჩივანი მიდის ეკლესიის კარზედ. აქელად ლუფხულებს დამნაშავე მიჰყავთ. მივიდენ ეკლესიის კარს: პირველად ლუფხულები შეჰვიცებენ დაჩაგრულს ე. ი. მისცემენ ტოლობისა და თანასწორობის ფიცსა, იმ გვარად როგორც ზემოდ არის ნახსენები, და შემდეგ მომჩივანს მიაღებინებენ ერთგულობის ფიცსა დამნაშავის მიმართ. ამ დროს მახში გამოუცხადებს მომჩივანს, თუ რამდე-

ნი მიესაჭა მას დამნაშავისაგან. მომჩივანი სახლში მიღის, მახვში და ლუფხულები დამნაშავისას, რომელმაც ხარჯი უნდა გადასადოს მისჯილს დამნაშავე ან მაშინვე ჩააბარებდა ლუფხულებს, თუ ნიკ-თი და საქონელი იყო, ანადა მოკლეს ხანში გარდასცემდა მახვშის ხელით მომჩივანს.

სასამართლოს წარმოება. თემი. ოჯახი

დასასრული

„ულუფხულოდ“ სახლში შეძლოლა, რომელიც წინად მოვიხსენიეთ, მდგომარეობდა შემდეგში. ბრალდებული მახვშის პირით შეუთვლიდა დაჩაგრულს ხევწნის მინაგვარიად, რომ მას ეკადრა ბრალდებულის სახლში მობრძანება თავის სახლის-კაცებითა— და თუ ესენი არ ჰყავდა — სხვა მონათესავეებითა. ეს მიპატიუება და-ჩაგრულისა უტყუარი ნიშანი და საბუთი იყო იმისი, რომ დამნაშავე მას გულ-ნაკლულიდ არ გაუშვებდა თავის სახლითგან, ე. ი. დანა-შაულობის კვალობაზე მისცემდა შესაფერს საზღაურსა. დაჩაგრუ-ლი იშვიათად იუარებდა ამას, თუმცა ზოგან და ზოგჯერ უარსაც შეუთვლიდა ხოლმე პასუხად. დათანხმებული დაჩაგრული, ანუ უკეთ ვსთევათ, მომჩივანი და მისი სახლიკაცებ-ნათესავები მიღიან დამნაშავის ოჯახში. მათ, რასაკვირველია, წინ მიუძღვით საზოგა-დოების მახვში. მივიღნენ დამნაშავის სახლში; მას ხარჯი მზათა აქეს. დადგეს ტაბაკი; ზედ დადვეს ხორაგი: პური, ყველი, ხორცი... ჭამა არავის დაუწყვია; თოთო კათხა, ან ქარახსი არაყი ჩამოარიგეს და ხელში უჭირავთ. დამნაშავე სავსე კათხით მიღის მახვშისა და დამნაშავის წინაშე და იჩოქებს; დაჩოქილი იგი პირველიდ სინაურს აღიარებს თავის დანაშაულობაში, მერე ასხელებს საჩუქარს, საზ-ლაურს, რომლის მიცემაც გადასწყვიტა თავის გულში და ბოლოს მორჩილად ითხოვს, რომ მომჩივანი შეურიგდეს. თუ მომჩივნის და შისი მიმყოლ კაცების აზრით საზღაური ცოტა იყო დანაშაულის კვალობაზე, მაშინ იგინი სმა-ჭამას ხელს არ ჰკიდებდნენ. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მომჩივანი, საზღაურის მომატებას თხოულობს. მეტი გზა არ იყო, უნდა მოემატა, რადგანაც სახლში მიპატიუების შემდეგ მომჩივნის მოურიგებლად გაშვება მეორე დანაშაულობას, სასაცილოდ აგდებას ნიშნავდა, ეს ძნელი გასაბედავი იყო. უფრო ხშირად ისე მოხდებოდა ხოლმე, რომ დამნაშავე პირველადვე შეაძ-ლევდა მომჩივანს უხვს საზღაურს, რომელზედაც კრინტსაც ვერ გასძრავდა და კიდეც რომ გაეძრა მახვში იქვე არ უდა; იგი წრეს

გარე გასვლის ნებას არავის არ მისცემდა. ვთქვათ, მომჩივანი ყაბულს გახდა საზღაურზე. მომჩივანი დაწინქილ დამნაშავეს ადგომის ნებას აძლევს, სცლიან ორივე არაყით სავსე კათხებს, ჰკოცნიან ერთმანერ რთს და მერე თავ-თავის ადგილას სხდებიან. ამის შემდეგ დანარჩენებიც იწყებენ სმა-ჭამას. ნახარჯევს (ნასადილევს, ან ნავახშმევს) საჩუქარს, ესე იგი, საზღაურს თანვე გაატანდენ მომჩივანს, თუ მოძრავი ქონება იყო, უძრავ ქონებას კი მერე, როცა მოეხერხებოდათ, მაგალითებრ: ყანას, სათიბს მიზომვა უნდოდა და თუ ზამთარში იყო მორიგება, მაშინ მიზომვა არ შეიძლებოდა. მეორე დღეს მახვში მოჩხუბართ ეკკლესიაზე ერთგულობის ფიცს მიაღებინებდა და მორიგება გათავებული იყო. აქ უნდა შევნიშნო, რომ არც ერთი ფორმა მორიგებისა ისე არ აკმაყოფილებდა ტოლობის, თანასწორობის მძებნელს სვანს, როგორც ეს უკანასკნელი. სვანები ამაზე ამბობენ: სხვა გვარი სამართალი ყოველს მომაკვდავს ეძლევა, ამგვარი კი მხოლოდ ზოგიერთს. სასამართლოს წარმოებაში არა მცირედი ადგილი ეჭირა ფიცს. სვანურ ჩვეულებითმა მართლი-ერებამ იცის სამ-გვარი ფიცი: a) ფიცი ერთ-გულობისა (ნაირთქულემი მაღვრა¹, ნაბან), b) ფიცი ტოლობისა, თანასწორობისა (ტოლობა, მაღვრა) და c) გამართლების, განწმენდის ფიცი (ლიმწოდალე მაღვრა).

როგორც ზემოდაც არის ნათქვამი, ერთგულობის ფიცი იყო დასასრულის წერტილი, გვირგვინი მორიგებისა მოჩხუბართ შორის. ამ ფიცის შემდეგ უწინდელს მტრებს მტრობა გულიდამ უნდა ამოერეცხათ. ვთქვათ, ორმა კაცმა შეურაცხება მიაყენა ერთმანერთს სიტყვით, გინა საქმით. თითოეული ამათგანი თავის-თავს სახავს „უფრო“ (ხოშა) შეურაცხ-ყოფილად, დაჩაგრულად. როცა საქმე ამ გვარად, გამოურკვეველი იყო, მაშინ წაჩხუბებული მახვშის საშუალებით რიგდებოდენ ამ სახით: მიდიოდენ ადგილის ეკკლესიაზე და შემდეგს ფიცს აძლევდნენ ერთი მეორეს: „გორგი! (სახელს ახსენებს) დაიწყებდა ერთი მათგანი — ისრე ამ ხატის (ხატი გამოსვენებული იყო ეკკლესიდან) შემეწის, როგორათაც მე შენგან ბევრად უფრო სირცხვილეული (შგურარ) ვარ, მინამ შენ ჩემგან“... ახლა მეორე ეტყოდა „ბაღრი! ამ ხატის მაღლმა, რომ ჩემის აზრით მე უფრო დაჩაგრული ვარ შენგან, მინამ შენ ჩემგან“. აქვე ერთგულობას დაიფიცავდენ და თავდებოდა საქმე. აი, ეს იყო ტოლობის

¹ „მაღვრა“ — გაფუჭებული ქართული ალიარებაა, „ნაბან“ კი იქითვან წარმოდგა, რომ სასტიკ ფიცის მიღების დროს საფიცარს ხატს დაპანდენ და მის ნაბან წყალს ფიცის მიმღებს დაალევინებდენ (ავტორი).

ფიცი. ესრეთ-წოდებული ვამართლების, გაშმენდის ფიცი (очистительная присяга) იხმარებოდა შემდეგს ორს შემთხვევაში: ა) რომ დესაც აღგილი (მცირე ფასის), ან მისი სამზღვრებელი განას სხვა მოძრავი ქონება ხდებოდენ საცილობლად, სადავოდ, მაგალითებრ, ერთი პირი ან რამდენიმე ამბობს, ესა და ეს აღგილი, ამა და ამ სამზღვრებში ჩემია, მეორენი კი თავისად სთვლიან; მაშინ კი სიმართლის ასახსნელად ან ერთს უნდა მიეღო ფიცი—მარტო, —თუ მცირე აღგილზე, ნივთზე იყო ცილობა, ანა და ერთის ან რამდენისამე კაცითა, რომ ესა და ეს აღგილი, ნივთი ჩემია,—ანა და მეორე მხარეს ამავე რიგით და წესით. ამ ფიცზე ორივე მხარე თანახმა უნდა ყოფილიყო. ლირსია შენიშვნისა ის გარემოება, რომ ფიცის მიღებას არა თუ არ ცდილობდა თვითოვეული მოცილეთაგანი ე. ი. მე დავითიცებ და დამანებეო, არამედ ძლიერაც სურდათ, რომ როგორმე აეცილებინათ ფიცი, რადგანაც აშ შემთხვევაში ფიცის მიმღები, სვანების აზრით, ყოველთვის წაგებული, დაჩაგრული იყო, — მისი იქნებოდა საცილობელი აღგილი, ნივთი მაინც, და არ იქმნებოდა, — მაინც. პირველ შემთხვევაში იმიტომ, რომ თავის აღგილზე როგორ მოუხდა ფიცით და მეორეში იმიტომ, რომ ფიცს სტეხდა და ეს ხომ ყველაზე უარესია, ამბობენ სვანები.

ამ გვარივე ფიცი იხმარებოდა, მაშინაც, როდესაც ვისმე დასწამდებოდა ქურდობა, იდუმალ ვნების მოტანა სხვისათვის. ამ შემთხვევაში დაწამებულს პირს თავი უნდა გაემართლა ფიცით. საქმის მიხედვით ან მარტო დაწამებულს შეხვდებოდა ფიცი, ანა და გარეშე კაცებსაც უნდა დაეფიცნათ. ხატის წინაშე დაწამებულს ასე უნდა ეთქვა: „ამ ხატის მაღლმა, რომ რასაც მეწამებით, იმ საქმეში მე მართალი ვარ“. ვთქოთ, საზოგადოებაში ვისმე პირუტყვი, ან რაიმე ნივთი დაეკარგა. საკუთრივ ეჭვი კი არავისზე არა აქვს. ამ შემთხვევაში დაკარგულის საქონლის პატრონი ჩამოატარებდა ყოველს მოსახლის კარზე ხატს, თუ მძიმე საქმე იყო და უბრალო საქმეში კი რაიმე საეკლესიო ნივთს, მაგალითებრ, სურას, ეკკლესიის კლიტეს. მოსახლე ვალდებული იყო დაეფიცა ამ ნირად: „ამის მაღლმა (საეკლესიო ნივთს, ან ხატს უთითებდა), ჩემმა ოჯახშა შენის დაკარგულის საქონლის, ნივთის არაფერი იცის“. ძველად მაგნაირი კარ-და-კარ ჩამოტარება ხატისა ყოველთვის ამჟღავნებდა საიღუმლო დანაშაულს. გარდა საზოგადოებისა, დაკარგავს სვანს ნება ჰქონდა მთელს სვანეთში ჩამოეტარებინა ხატი, თუ ამას მოითხოვდა შემთხვევა. რაკი ფიცზე მეტი ლაპარაკი აღარ შეგვხვდება, ამისათვის აქ შემდეგსაც მოვიხსენიებ: ახლო ნათესავებს

ერთი მეორის ნაცვლად წება ჰქონდათ ფიცის მიღებისა. მაგალითად
მამას შეეძლო შვილის მაგიერ ფიცი მიეღო: ერთგულობისა მტერ-
თან, გამართლებისა და სხვა. ეგვე შეეძლო შვილსაც მამის მაგიერ
და ძმას ძმის მაგიერ.

* * *

თემობა ეკუთვნის (თემ, ლამხუბ) უძველესს დროებას, როგორც
სვანეთში, ისე ძველს ერებში (ბერძნების genos, რომაელების
ens). ხეობის და სოფლების შემდეგ თემი შეადგენდა სვა-
ნეთში მესამე საზოგადოებრივ მსხვილს სხეულს (общественное
крупное тело). თემი იყო ერთი გვარეულობა, შთამომავლობა საერ-
თო წინაპარისა. ერთ გვარეულობის წევრნი ყოველს ადგილს, მხარეს
და ყოველს დროს, რა გინდ ძლიერაც გამრავლებულიყონ, იცავდენ,
ინახავდენ ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირს. მაგალითებრ: სადა-
დიანო სვანეთში ლაშეთის საზოგადოებაში რვა სოფელში, ერთი
მეორეზე დაშორებულებში, სცხოვრობს ერთ გვარეულობა — „ონი-
ანი“ 60 კომლამდე. ეგენი ერთმანეთს ისე სახვენ, თითქო ძლიერ
ახლო მონათესავენი იყვნენ, თუმცა მათი ერთი მეორისაგან დაშორე-
ბა შორს წარსულს ეკუთვნის. ონიანების თემი ჭირსა და ლენიში
განუყრელნი არიან. ლაშეთელი ჭელიძე ისრე ესტუმრება უშგუ-
ლელს (თავისუფალ სვანეთში) თავის მეგვარეს, თითქო მათი
წინაპრები ახლო განაყოფი იყვნენ. უშგულელი მუშკუდიანი რომ
ლახამულას (სადადიშქელიანო სვანეთის უკანასკნელი საზოგადოე-
ბაა) მივა, უთუოდ თავის მეგვარეს კითხულობს და ნახვის შემდევ,
თუმცა იგინი პირველად ხედავენ ერთმანეთს, ლახამულელი მუშკუ-
დიანი ისე მიიღებს მას, როგორც ნამდვილს ახლო ნათესავს. მულა-
ხელი (თავისუფალ სვანეთში) ჯაჭვლიანი აგეთივე მიღებულია თა-
ვის მეგვარესაგან ს. ცხომარში — სადადიშქელიანო სვანეთში.
მაგ-გვარ მაგალითებს ბევრს უჩვენებდა კაცი, მაგრამ აზრის დასამ-
ტკიცებლად ნაჩვენებიც კმარა. თვითონეული თემის წევრის საღმრ-
თო მოვალეობა იყო გაჭირვების დროს ერთმანეთის შველა, ჩხუ-
ბის დროს მოხმარება; გადახდა მაგიერის შეურაცხებისა მტრისად-
მი: მოქვლით, დაჭრით, დაჭერით და სხვა. სირცხვილიც და სახელიც
თემის რომელისამე წევრისა საერთო იყო სრულიად თემისა; ამი-
ტომაც, თუ თემში ვინმე მოქვდებოდა მტრისაგან, ყოველი მოკლუ-
ლის თემის წევრი შემთხვევისთანავე ჰქლავდა მტერს, დასჭრიდა,
დატყვევებდა. მტერთან მორიგების დროს ჩვეულებითი მართლიე-

რება ამ ნაირად იქცეოდა: თუ მოჩხუბართ თანასწორი ზიანი, ვნება მიაყენეს ერთმანეთს, მაშინ მათი საქმე თავდებოდა ერთგულობის ფიცით; თუ ერთმა მხარემ გადააჭარბა მეორეს ზიანისა და ვნების მოტანით, მაშინ პირველს დაედებოდა მისაზღვევი ჯარიმა. ამ ჯარიმას მთელი თემი იხდიდა, თუ ის პირი თემისა, რომლის მიზეზითაც ჩხუბი ასტყდა, დარიბი იყო და არ შეეძლო გადახდა ჯარიმისა, წინა-აღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის ჩხუბის ამტეხს უნდა ეზღო. ჩხუბის დროს თემის წევრი ეხმარებოდა თავისიანებს არა თუ გარეშე პირის, თვით უმახლობელეს ნათესავების წინააღმდეგაც. მაგალი-თებრ: ჩემს მეგვარეს ჩხუბი მოუვიდა ჩემისავე დედის ძმებთან, ან ვათთა შვილებთან, ჩემს დისტულებთან, სიძეებთან და სხვა. მე ვალდებული ვარ იარაღით დავიცვა ჩემი თემის წევრის პატივი და ვეჩხუბო ჩემს ნათესავებს, თუმცა ამგვარი ქცევა, რასაკირველია, ძლიერაც მტანჯავს. როცა თემის წევრს მორიგება სურდა მტერთან, თემს უნდა დაკაითხოდა და ნება ერო. მორიგების დროს ყოველ მოსახლიდგან თემისა, თვითო კაცი უნდა დასწრებოდა, რომ საერთოდ გაეცათ მტრისათვის პასუხი. თემობაში სიკვდილის, მძიმედ დაჭრის და ცოლის წართმევის მეტს ყველასფერს შეუნდობდნენ ერთმანერთში. თუ ვინიცობაა თემობაში ზემოდ ნაჩვენები სამი მძიმე დანა-შაულობა მოხდებოდა, საქმეს თემივე გაათავებდა „თემურად“, თემის წესით და არა გარეშე კაცების შემწეობით. თემობაში მიღებულის წესით დაჩაგრულს წევრს თემისას მიესჯებოდა ნახევარი იმ ჯარი-მისა (ძენა), რომელიც გარეშე მოჩხუბარ პირებთა შორის იყო განსაზღვრული ჩვეულებრივის მართლიერობით. თემობაში ქალის მითხვება არ შეიძლება ერთმანეთში. თემს აქვს სათემო სალო-ცავი, სასაფლაო აღგილები, ღლესასწაულები და სხვა. ლხინში თემის წევრი ყველაზე უწინ თემს მიიწვევს; არასოდეს არ მოხდება, რომ ლხინში კაცმა თემი გარე დასტოვოს და სხვა ნათესავები მიიპატი-უოს, ჭირშიაც თემს პირველი აღგილი ეჭირა. როცა თემში ვინმე-მოკვდება ყველა მამაკაცები წვერს იპარსავენ — ნიშნად საერთო გლოვიარებისა და მიცვალებულს უსხედან ჭირისუფლად (მეცხვი-ლიელ). უძრავ და მოძრავ (დიდ ფასიანის) ჭონებას თემის წევრის იძენდა თემისვე დასწრებით, დაკითხვით. თემის რომელისამე წევრის უძრავი ჭონება თემსვე უნდა შეესყიდა. ერთის სიტყვით, არც ერთი ასე თუ ისე შესანიშნავი ამბავი და მოქმედება თემის ცხოვ-რებაში მთელის თემის მონაწილეობის მიუღებლად არ მოხდებოდა.

სვანის ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო და ახლაც მოიპოვებიან ისეთი ოჯახები, სადაც 50 სულამდე ითვლება. მიზეზი უკანასკნელისა ის იყო, რომ სვანს საზოგადოდ ძლიერ ეზარება გაყრა. როდესაც ოჯახის წევრი გაიყრებიან, ამბობენ სვანები, მაშინ მათს კერაზე (ცეცხლზე) წყალი ისხმებათ, ე. ი. ოჯახი ქრებათ. ოჯახს ის ურჩევნია რამდენიმე წევრი მოუკვდეს, უამი ეწვიოს, მინამ გაიყაროს, ამ-ბობენ იგივე სვანები. ამ აზრისა იყვნენ სვანები უწინ და უმეტესს ნაწილად ახლაც მაგაზე დგანან, ხოლო სამწუხაროდ დროს მაინც თავისი მოაქვს და კაცი ამჩნევს, რომ სვანის ოჯახიც თან-და-თან ირყევა. უწინ მამის სიცოცხლეში შეუძლებელი იყო ძმების გაყრა; მამის სიკვდილის შემდეგაც მკვიდრი ძმები ასში ერთხელ თუ გაიყრებოდნენ. შეხვდებოდით და იქა-აქა ახლაც შეხვდებით ისეთს ოჯახებს, სადაც ოჯახის წევრები ისე დაშორებიან ერთმანეთს ნათესაობაში, რომ შეუძლიან ერთი მეორეს მიათხოვონ ქალიშვილები. სვანის ოჯახში სრული უფროს-უმცროსობა სულევს: ხნით უფროსი უფლებითაც (*de jure*-ც) უფროსია; ამისათვის შვილები დედ-მამის მორჩილნი არიან, უმცროსი დები და ძმები დედ-მამის შემდეგ-უფროს და ძმებისა... ყოველ გვარი მეთაურობა ოჯახში მამის, უფროსის საქმეა. ოჯახის უფროსია (ქორა მახვში) ღვთისა და კაცის წინაშე პასუხის მგებელი; მისის პირით ევედრება ოჯახი ღმერთს, შენდობას უთვლის მიცვალებულთ, მისის ხელით იკვლის და შეიწირვის მსხვერპლი; იგი აძლევს მტერსაც და მოყვარესაც პასუხს სიტყვით, თუ საქმით; იგი უჩვენებს ოჯახს წესს და რიგს: უნაწილებს ოჯახის წევრებს საქნარ—სამუშაოს; აქებს ოჯახის მუყაით წევრებს, სტუქსავს ზარმაცებს, ბრიყვებს და სხვა-და-სხვა. ასეთი უფლება აქვს ოჯახის უფროსს და კიდევაც მოვალეა აასრულოს. მაგრამ ყოველი ხნით უფროსი ვერ გასწევს ამ საქმეს, ვერ იუფრო-სებს და მაშინ კი ხნიერობამ ჭკუას უნდა დაუთმოს ადგილი, ე. ი. ხნით უფროსმა უმცროსს: შვილს, ძმას ან სხვას უნდა გადასცეს თავისი მოვალეობა ოჯახის შესახებ. ხოლო რჯულის წესთა ასრულება, — რაც უნდა სუსტი ყოფილიყო ოჯახის მეუფროსე ხნით, მაინც მის ხელში უნდა დარჩენილიყო უნაკვლულოდ. ნათქვამიდამ ის გამოდის, რომ რის ასრულებაც ოჯახის უფროსს შეეძლო, მაში მოცილე არავინ არა ჰყავინდა. რასაც ვერ შესძლებდა—მის მოვალეობას ასრულებდა ოჯახის წევრი, შვილი იქნებოდა თუ ძმა, საქმისთვის სულ ერთი იყო. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სვანეთში უფრო-სებს — მაგალითებრ, დედ-მამას შვილებზე ისეთი განუსაზღვრელი

და განუკითხველი უფლება არა ჰქონდათ უმცროსებზე, როგორც
ჰქონდათ და აქვსთ ზოგიერთ მთიელ ხალხებს კავკასიაში. აქ მცით
ხველი ალბათ მიმითითებს ერთს საზიზღარს მოვლენაზედ, რომელიც
ზეობითს ჩირქსა სცხებს სვანებს: — მე მოგახსენებთ ქალიშვილე-
ბის ხოცვაზე სვანეთში. ეს სამწუხარო მოვლენა რომ არსებობდა
სვანეთში, — მაგის უარის ყოფა არ შეიძლება, მაგრამ საჭიროა
აქ ისიც ითქვას, რომ ეს სამწუხარო მოვლენა არც ისე ხშირი იყო,
არც იმ მიზეზიდგან წარმოსდგებოდა და არც ისრე დაუსჯელი რჩე-
ბოდა, როგორც ერთის ხმით ბრძანებენ სვანეთში ყოფილი მოგ-
ზაურები, როგორც გარე-მთიელები და რუსები, ისრე ჩვენებურებიც.
მაგაზე ლაპარაკს აქ არ განვიგრძობ, რაღანაც სხვა უფრო მარჯვე
დროს ცალკე წერილში და ვრცლად გავაცნობ მკითხველებს ამ საქ-
შეს. ვიტყვი კი რომ ქალიშვილების ხოცვა წინააღმდეგი მოქმედება
იყო ჩვეულებითის მართლიერებისა და ამ ბარბაროსულის საქმის
ჩამდენი დედა განსაზღვრულს სასჯელს ექვემდებარებოდა. მაგალი-
თებრ, ქალიშვილის მკვლელს დედას ხალხი არ მარხავს ნაკურთხს
მიწაზე, ეკკლესიების და სალოცავების ახლო არ გაარნონიებდა,
მსხვერპლის შეწირვის დროს მონაწილეობას არ აღებინებდა; მისი
ბაგენი ვერ ახსენებდნენ ღვთის სახელსაც, არა თუ ვედრებას. ხალ-
ხის თვალში ქალიშვილის მკვლელი დედა თითოთ საჩვენებელი იყო;
მის შვილებს და შვილი-შვილებს საუკუნო საძრახად ჰრჩებოდათ
ეს საქმე, სახალხო სამრთო დღესასწაულებში მკვლელი დედა ვერ
დაესწრებოდა და სხვ. მკვლელი დედა რაც შეიძლებოდა ჰმალავდა
თავის ბარბაროსულს საქმეს. ნუ თუ ბბ-ნი მოგზაურების აზრით
ზემორე ნაჩვენები სასტიკ სასჯელს არ შეაღენს ქალიშვილის მკვ-
ლელ დედისათვის?... მამას არა აქვს უფლება მოჰკლას, ან გაპ-
ყიდოს შვილი, და გალახვისა და დატუქსვისათვის კი არავის წინა-
შე პასუხის მგებელი არ არის. დედ-მამა პატარა ქალიშვილს უკანას-
კნელის დაუკითხავად გათხოვებს; მოზრდილ ქალიშვილს კი ეკი-
თხებიან, თუმცა დედ-მამის სურვილი აქაც გადააჭარბებდა ხოლმე.
იმისი მაგალითიც ბევრია, რომ ქალიშვილი თავის ნებით, დედ-მამის
წინააღმდეგ გაპყვება საქმროს. მართალია, დედ-მამას სწყინს ამ
გვარი ურჩობა ქალიშვილისა, მაგრამ გვიან იქნება თუ ადრე ქალი-
შვილს მაინც შეირიგებს და ხვედრს წილს ვერ დაუკარგავს ოჯახი-
დამ. ვაჟი-შვილს დედ-მამა უნიშნავს საცოლეს. თუ საცოლეს რაიმე
მიზეზი გამოაჩნდა, დედ-მამა ძალას ვერ დაატანს ვაჟიშვილს, რომ
მაინც-და-მაინც მათი დანიშნული შეირთოს. დედ-მამის ურჩი, გაუ-
გონელი, მათის სიტყვის შემაბრუნებელი (მეტხიელ) შვილი გამოწი-
რულია, შერცხვენილია სოფელ-ქვეყანაში. და-ძმათა დამოკიდებუ-

ლეგა ერთმანეთში ისეთივე იყო სვანეთში, როგორც საზოგადოდ საქართველოში. ვაჟიშვილები უფრო მამის ხელში იყვნენ, ქალიშვილები დედისა. საბოლოოდ მშობლებს ვაჟი-შვილები უჩქევნიათ. ეს ერთი-სხვათა შორის—იმიტომ, რომ სვანეთში გადაშენება ღიღ უბე-დურებად ითვლება და ქალიშვილების პატრიონი დედ-მამა გადაშენებულად ირიცხებოდა, რადგანაც მამა-პაპეული სხვის ხელში უნდა გადასულიყო. უძრავი და მოძრავი ქონება რაც იყო და რასაც ოჯახის რომელიმე წევრი შემოიტანდა, საოჯახო ქონებას ემატებოდა და იყო საერთო. როგორც მამა-კაცების მუშაობა საერთო იყო ოჯახისა, ისე ქალების მუშაობაც; ქალები ჰმოსავდენ მთელს ოჯახს საჭიროების მიხედვით, ე. ი. პირველად მას ჩააცმევდენ, რომელს წევრსაც უფრო ეჭირვებოდა და მერმე რიგ-რიგით დაჰყვებოდნენ.

✓ სოლ-ქმრია. გათხოვილის ქალიშვილის უფლება. გაყრა-
მამავიდერება. მინის მფლობელობა. საზოგადო, სასოფლო და
სათეატრო აღგილები. ღამეავავისა და მგრის უფლებანი

ცოლი და ქმარი ერთნაირ უღელს უნდა სწევდენ ოჯახობაში, ე. ი. საქალებო საქმე ცოლმა უნდა გააკეთოს, საკაცო — ქმარმა. თუ შემთხვევა მოიტანს, ცოლი ქმრის საქმესაც აკეთებს. ქმარი მოვალეა ცოლს ჩააცვას, დაპხუროს, ცოლმა კიდევ — ქმარ-შვილებს. უძრავი და მოძრავი ქონება, უწინდელი და შემდეგში ნაშოვნი ცოლ-ქმრის საერთოა. ცოლს უფლება აქვს მშობლებისას გაიშენოს, ოთხ-ფეხი საქონელი და იქონიოს მოძრავი ქონება. ყველა ესენი ცოლის საკუთრებაა და ხმარობს თავის ნებაზე. რასაც კი ცოლი გარედამ — დედ-მამიდამ, ნათესავებიდამ ოჯახში შამოიტანდა, ის ყველა საოჯახო იყო. ქმარი გალახავდა ცოლს, მაგრამ გალახვას ცოლი მიიღებდა საწყენად (ლიგვნე), თუ არა, — ეს მისი საქმე იყო. პირველს შემთხვევები ცოლი დედ-მამის (თუ ესენი არ ჰყავდა ნათესავებისას) სახლში წავიდოდა დამგუნებული (მუგვრი) და სანამ ქმარი ბოლიშს არ მოიხდიდა ცოლთან და მის დედ-მამასთან, მანამ ქმარს არ დაუბრუნდებოდა რამდენსამე ხანს—თოვეს, წელიწადს. იყო ისეთი მაგალითებიც, როცა ცოლი და მისი დედ-მამა უბრალოდ გალახვისთვისაც „საუბატიო“ ფიცს მოსთხოვდენ (სალშვირ მაღვრა, — შგვირ პირ-და-პირ პინშნავს სირცხვილს, შეურაც-ყოფას ძველებურს „საბრიყვოს“). გალახულს ცოლს მშობლები ძალას დატანდნენ, რომ ქმართან დაბრუნებულიყო, თუ ცოლი დამნაშავე იყო ქმრის წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში — კი არა.

ყველაზე მომეტებული ქალისათვის საზოგადოდ და ცოლისთვის საკუთრივ ლეჩაქის ჩამოხდა და ნაწნევების მოჭრა იყო. ქმარს არა ჰქონდა უფლება ცოლის სიკვდილისა და დაჭრისა. პირველს შემთხვევაში ცოლის ჭირისუფალი — დედ-მამა, ძმები, ახლო ნათესავები ქმარს სიკვდილს მოკვლით უხდიდა, ანა-და სისხლს აიღებდა, დაჭრის თაობაზე კი საქმე ჩვეულებრივ სამართალში მიეცემოდა, როგორც გარეშე პირთათვის წესი იყო. ცოლს არ უნდა შეებრუნებია ხელი ქმრისთვის. ცოლის ზოგიერთ ნაკლულევანებას, მაგალითებრ, მრუშობას ქმარი პირველად ცოლის მშობლებს ატყობინებდა, რომ მათ დაერიგებინათ თავიანთი ქალი-შვილი, კეთილქცევაზედ დაეყენებინათ, შემდეგ თვითონ ქმარი ხდებოდა სრული ბატონი ცოლის გამართვაში.

დანიშნულისა და ჯვარ-დაწერილის ცოლის მიტოვება, გაგდება ქმარს არ შეეძლო; ამისი ჩამდენი საქმრო, ანუ ქმარი ჩვეულებრივ მართლიერებას ექვემდებარებოდა: ან ისჯებოდა ცოლის ჭირისუფალთაგან სისხლით (მოკვლა, დაჭრა), ანა-და გადაახდევინებონ ნივთიერს გადასახადს — ჯარიმას, ესრეთ წოდებულს „ნაცვრიერ“ (ჯარიმა ცოლის მიტოვებისთვის). არც დანიშნულს და არც ცოლს არა ჰქონდათ ნება გაპქცეოდენ საქმროს, ან ქმარს, წინააღმდეგ შემთხვევაში მომტაცი სხვის მიერ დანიშნულისა და ამ უკანასკნელის დედ-მამა იმავე ჩვეულებას უნდა დამორჩილებოდენ, რასაც ემორჩილება ცოლის გამგდები, მიმტოვებელი ქმარი. ჩვეულების ძალით სვანს მარტო ერთი ცოლი უნდა ჰყვანდეს.

აქ ერთი იშვიათი შემთხვევა უნდა შევნიშნო: თუ ქმარს პირველის ცოლისაგან სულ არ ეყოლა შვილი, ანა-და მარტო ქალი-შვილები ჰყავს, მაშინ ცოლის და მის მშობლების ნება დართვით — მხოლოდ მაშინ ქმარს ნება ეძლეოდა, მეორე ცოლი მოეყვანა. მართალია, პირველი ცოლიც სახლში ჰყავანდა ქმარს, მაგრამ ცოლქმრული კავშირი მათ შორის შეწყვეტილი იყო მეორე ცოლის ჰყყვანის დღიდგან. საჭიროდ მიმაჩნია დაცუმატო, რომ მეორე ცოლის მოყვანა ძლიერ იშვიათი იყო. თავი და თავი მიზეზი იმისა, რომ სვანს მეორე ცოლი მოჰყვანდა პირველის სიცოცხლეშივე, იყო სურვილი, რომ სვანი უშვილოდ არ გადაშენებულიყო, რაიცა ერთი უდიდეს უბედურებათაგანი იყო სვანისთვის. ძმას შეეძლო ძმის ქვრივი შეერთო ცოლად.

ცოლ-ქმარს გაჰყურიდა: a) სიკვდილი, b) მცვედნობა, უმამო-კაცულება, c) ერთმანერთშით თანხმობა და d) თუ ქმარი მკვიდრს ნათესავებს მოუკლავდა ცოლს ან უკანასკნელს დაამახინჯებდა ჭრილობით. თუ გაყრის მიზეზი მცვედნობა იყო, ქმარი ვალდებული იყო საჩუქრით გაეშვა ცოლი; საჩუქარი ორს ხარზე ნაკლები არ იქნებოდა და მიეცემოდა ცოლს მხოლოდ მაშინ, თუ ქმარზე უწინ არ გამოამდევნებდა ქმრის მცვედნობას. ამას გარდა „ნაყდანური“ და „ნაჭვლაში“ ქმრის მიერ უკვე გადახდილი, ცოლის დედ-მამას რჩებოდა ჩვეულების ძალით. ეგრე თავდებოდა ცოლ-ქმართა შორის გაყრის საქმე, როდესაც ქმარი თვითონ გამოტყდებოდა თავის სიმცველეში; ხოლო გამოეროდენ (ახლაც მოინახებიან) ისეთი კერპი და ჭიუტი ქმრები, რომელნიც ძლიერ იშვიათად ალიარებდენ თავიანთის პირით სიმცველეს. კერპის ქმრის გამოსატეხად იხმარებოდა 12 ქმრის მონათესავე-კაცის ფიცი. ამ 12 მოფიცართ შორის უნდა ყოფილიყვნენ: მამა, ძმები, სახლი-კაცები, დედით ნათესავები და გარეშე კაცებიც. ამ პირთ უნდა დაეფიცათ, რომ მათი შვილი, ძმა... მამა-კაცობას მოკლებული არ არის. თუ დაიფიცავდენ, მცვედანს ქმარს ცოლი უნდა დარჩენოდა სიკვდილამდი, თუ ვერა და ცოლი უნდა გაეშვა.

ჩვეულებითი მართლიერება იმიტომ ნიშნავდა მოფიცრად მცვედნის მხარით მის მონათესავეებს, რომ უკანასკნელთ მომეტებული საშუალება ჰქონდათ ნამდვილად გაეგოთ თავისიანის ავი და კარგი და რაკი გაიგებდნენ, ფიცს არ შეაწევდენ. ვერც მცვედანი ქმარი გაპედავდა, რომ თავისიანებისთვის ტყუილი ფიცი მიეღებინა და ამითი, — სკანის აზრით, — დაეღუპა მთელი ოჯახი, ნათესაობა. ამ ნაირად აიხსნებოდა ქმრის სიმტყუნე — სიმართლე. აქ საჭიროა მოვიხსენიო შემდეგიც: სვანებს სწამთ, რომ არის ერთნაირი ბალახი, რომელიც თუ ცოლმა როგორმე გაურია ქმრის საჭმელში, უკანასკნელს დაუკარგას მამა-კაცობას.

ეს ბალახი ქალების საიდუმლოს შეადგენსო, ამბობენ. რაკი ეს აზრი გავრცელებულია ხალხში, ხშირად მცვედანი ქმარი ტყუილუბრალოდ გადააბრალებს ცოლს, რომ მან მომწამლაო. სიმართლე აქაც, როგორც ყავდელს გვარს საეპვო საქმეში, 12 კაცის ფიცით უნდა აიხსნას. 12 თავისიანი და გარეშე კაცი უნდა დააფიცოს დაწამებულ ცოლმა, რომ მას ქმარი არ მოუწამლავს და ამითი გაიმართლებს თავს. თუ ცოლმა ეს ფიცი ვერ მისცა ქმარს, მაშინ ჩვეულება აძლევს მცვედანს ქმარს ნახევარს „სისხლს“ (წორ).



ჩვეულების ძალით გათხოვილ ქალი-შვილს ყოველს ახალს წელიც და უნდა მიეღო დედ-მამისაგან საჩუქარი წვრილ-საქლავიდამ მოკიდებული ხარცენამდი. ქალი-შვილის სიკვდილის შემდეგ ეს უფლება გადადიოდა ქმარსა და შვილებზე. გათხოვილს ქალს ნება უქვე გაიშენოს დედ-მამის სახლში პირუტყვი, საქონელი თავის სასარგებლოდ. ორც ერთი ლხინი ქალი-შვილს ორ უნდა ასცილდეს დედ-მამის სახლში. ნაახალწლევს დედ-მამამ, ჭირისუფალმა ერთი ღოქი არაყი ქმრის სახლში უნდა მიუტანოს ქალი-შვილს მოსაკითხად. ქალი-შვილმა პირველს შვილზე დედ-მამის სახლში უნდა მოილონოს.

* * *

გაყრა უმეტესს ნაწილად შინაურად მოხდება. უკეთუ გაყრის დროს უთანხმოებაა, მაშინ მონაწილეობას იღებენ სახლი-კაცები და სიძეები. ორი ძმა ორ თანასწორ ნაწილად იყოფს უძრავ და მოძრავ ქონებას გარდა ერთის დღიურის ყანისა, ორმელიც ჩვეულებით უფროსს ძმას ერგება წილს გარეშე „საუფროსოთ“ (ნამხველიერ). თუ რიცხვი ძმებისა ან სხვა მონათესავეთა ორს აღემატება, მაშინ გაყრა მოხდება შემდეგის სახით: ვსთქვათ ოთხი ძმა იყრება. ერთი მათგანი — უფრო მსურველი და მიზეზი გაყრისა, გაჰყოფს უძრავ-მოძრავ ქონებას ოთხ თანასწორ ნაწილად, გარდა ერთის დღიურის ყანისა, ორმელიც უფროსის ძმის სარგოა. ოთხ წილად გაყოფის შემდეგ, პირველი ორჩევანი უმცროსი ძმისა, ორმელიც სახლ-კარბას ირჩევს ხოლმე; მეორე არჩევანი — მეორე ძმისა; მესამე — მესამისა და მეოთხე — უკანასკნელი გამყოფელისა. რადგანაც ეს მეოთხე წილი ყველასაგან დაწუნებული და მაშასადამე ნაკლულებიც იყო, ამისათვის ჩვეულებითი მართლიერება გამყოფს ძმას წილს გარეშე სართად აძლევს ნახევარ დღიურს ყანას ან მის სალირალს ტყეს, სათიბს და სხვა.

თუ ძმები, ან რამდენიმე მათგანი ამგვარ გაყოფვაზე ყაბულს არ იყვნენ, მაშინ მათს გაყრაში მონაწილეობას მიიღებს ოემი. საუფროსო აქაც ეძლეოდა უფროსს ძმას. სხვა ქონება თანასწორად იყოფოდა. მამა-შვილების გაყრის დროს, პირველი წაიღებდა ერთს წილს. მამას არა ჰქონდა ნება შვილი უწილოდ გაეგდო. შვილთ არ ჰქონდათ უფლება დედას გაჰყოდნენ. თუ გაეყრებოდნენ, დედა სარჩოს მიიღებდა სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ შვილები

მოვალენი იყვნენ ყოველგვარი წესები, რომელსაც ჩვეულება თხოულობს მიცვალებულზე, შეესრულებინათ. გაყრილის მამრეს სცვდილის შემდეგ, პირველის ქონებას შვილები თანასწორად იკოფდენ. ქილი-შვილებს გათხოვილთ და გაუთხოვართ გაყოფის ღროს წილი არ ეძლეოდათ საზოგადო ქონებიდგან; ხოლო ყოველ-გვარი ჩვეულებრივი მოვალეობა მექვიდრეებს უნდა აესრულებინათ მათვის. თუ განაყართა რიცხვში უცოლო ვინმე ურევია, მაშინ წილს გარეშე საერთო ქონებიდგან ეძლევა მას „ნაყდანური“ და, „ნაჭვლაში“ იმდენი, რამოდენიც თვითეულს ცოლიანს გადუხდია თავის საცოლეში.

* * *

პირ-და-პირი და კანონიერი მექვიდრე მამის უძრავ-მოძრავ ქონებისა არის ვაჟიშვილი. უძეოთ გარდაშენებულის ქონება პრჩება მის უმახლობელ ნათესავთა: a) ძმას, b) ძმისწულებს, c) ბიძას, d) ბიძაშვილებს, e) თემს და f) სოფელს. ვის ხელშიაც გარდავა უძეოდ გარდაშენებულის სამკვიდრებელი, ვალდებულია ქალშვილებს (თუ ესენი დარჩა მიცვალებულს), გათხოვილებს და გაუთხოვართა გაუწიოს „სახლის ასულობა“ (ასვიშ) ე. ი. გაუწიოს ჭირისუფლება დედ-მამის მაგიერ. თემი იქმნება ეს, თუ სოფელი სულ ერთია. უშვილო ქვრივს ქმრის ქონება არ დარჩება; უფლება აქვს მიცვალებულის ქმრის ნათესავი ვინმე სახლშივე იქმროს და დარჩეს უწინდელის ქმრის ქონებაზე. ქვრივი თუ სხვაგან გათხოვდა, წაიღებს მზითევს, კეთილშეძენილს, სხვა ვერას. ანდერძით სამკვიდრებელის დატოვება ჩვეულებით მართლიერებამ არ იცოდა.

* * *

აღგილი: სახნავ-სათესი, სათიბი, ტყე, საბალახო შეადგენს საკუთრებას კანონიერის მექვიდრისას. პატრონს უფლება აქვს აღგილის გაყიდვისა. ყოველი სვანი, რომელიც გასასყიდად შეელევა აღგილს, ვალდებული იყო მიეყიდა თავის თემისათვის; თუ თემში ვფრავინ შეიძლებდა გასასყიდათ დანიშნულის აღგილის ფასს, მაშინ პატრონს ნება პქონდა მიეყიდა: მახლობელ ნათესავებისთვის, გარეშე კაცებისთვის. სახლ-კარობა თემის რომლისამე წევრისა, უთუოდ თემშივე უნდა გაყიდულიყო; თუ ერთი მოსახლე ვერ გასწვდებოდა ფასს, სრულიად თემი აგროებდა ფასს და ჰყიდულობდა.

თემის შემდეგ სახლ-კარობა ფასით გადადიოდა გამყიდველის სი-
ძეებთან, თუ სიძეები და სახლ-კარობის პატრონიც ერთს და მისვე
სოფელში სცხოვრობდენ, სხვა სოფლელს, თუ გინდ სიძეებს, აღ-
გილობრივი სოფელი არ დაანებებდა ყიდვას. ნაყიდი ადგილი მყიდ-
ველის სრულ და საუკუნო საკუთრებად ითვლება. არც წერილობი-
თი საბუთი და არც დამსწრე მოწმები ადგილის ყიდვისთვინ საჭი-
რო არ იყო. ნაყიდობის დარღვევა, მოშლა, რა გინდ მცირე ფასიც
მიეღოს პატრონს, არ შეიძლება. ადგილის მყიდველმა ერთი ხარჯი
უნდა აჭამოს მის (ადგილის) გამყიდველს ოჯახითურთ და ამას
გარდა ყოველს ახალს წლის მეორე-მესამე დღეს აძლიოს თვითო
„ლერქვაში“ (მანათის საღირალი რამ) მესამე თაობამდე (მამა,
შვილი, შვილის-შვილი). სვანეთში არ არსებობს ესრედ წოდებული
„Земская давность“. რამე შემთხვევით ერთის ადგილი უკა-
ნონდ გარდასული მეორეს ხელში, დაუბრუნდებოდა ადგილის
უწინდელს კანონიერს პატრონს, რა ღროსაც უნდა მოეძებნა.

* * *

სვანეთში სახნავი მიწა საერთო მფლობელობაში არ არის. სა-
ზოგადო, სასოფლო და სათემო მფლობელობაში არიან: სამწყემსუ-
რი საძოვარი ადგილები, სათიბები მთებში და ზოგიერთი ტყეები.
თვითოეულს წევრს საზოგადოებისას საზოგადო ადგილებში, —
სოფლის —სასოფლოში და თემისას — სათემოში თანასწორი უფ-
ლება აქვს. საერთო ტყის, სათიბის და საბალახო ადგილების ხმა-
რებას, სარგებლობას ერთი მეორეს ვერ-ვინ დაუშლის. ვისაც ეჭი-
რება და უნდა, ის ისარგებლებს. ყოველ-გვარი დანაშაული, შეუ-
რაცხება სიტყვით თუ საქმით, უნდა მიეგოს დამნაშავეს იმავე საწ-
ყალით. მოკლულის ჭირისუფალთ უფლება პერნიდათ მოკლათ
მკვლელი, მისი ოჯახისა და თემის წევრი. მაგიერის გადახდა მტერს—
ნამეტურ მოსისხას — შეეძლო ყოველს ღროს, უკუნისამდე. მო-
კლულის ჭირისუფალთ არა აქვთ უფლება მოსისხლე მტრის დედა-
კაცი და მცირე წლოვანი ვაჟიშვილები მოპკლან. მკვლელს შეუ-
დიან სთხოვოს მტერს შერიგება და „სისხლის“ მიღება (წორა ლი-
კედ); თანხმობა უკანასკნელის ნებაზე პკიდია. ნივთიერად „სისხლის“
ამღებს ხალხი ეძახის „უჭმელის მჭამელს“ (უმაამუზვებ) ე. ი. თავი-
სიანის „სისხლისა“ და დიდ სამარცხვინო საქმედ მიაჩნია. უნებუ-
რად, უცაბედად მოკვლა განძრახ მოკვლასავით სჭრის, ე. ი. თხოუ-
ლობს ჩვეულებრივის მაგიერის გადახდას: მოკვლას ან სისხლს.

კაცი იქმნება ამრიგად მოკლული, ქალი, თუ მცირე წლოვანი სულ ერთია. მკვლელი, მისის ოჯახისს და თემის მამაკაცები ვალდებულ არიან მოერიდონ მოსისხლე მტერს, არსად შეხვდენ და არ გარ-არონ მათს ახლო მორიგებამდი. ვერავინ ვერ აემატება ერთი მეორეს უფლებით თუ კი ერთმანეთში თანასწორად არის მკვლელობა, ჭრი-ლობა და სხვა დანაშაული. მაგალითად, ორს თემს შორის რომ ჩეუბი ასტყდეს და თვითო კაცი მოკვდეს იქით და აქეთ, თემნი ურიგდებიან ერთი მეორეს ერთგულობის ფიცის მიღებით. ჩვეუ-ლებითი მართლიერება ნებას აძლევს ყოველს ოჯახს დაიცას და თა-ვის სახლში უვნებლად მიიყვანოს მკვლელი და სხვა დამნაშავეც, რომელთაც მტერი მოსდევს, თუ კი ეს დამნაშავე რომელსამე ოჯახში შეასწრობს მტერსა. ნიშნად შეხვეწინისა მტრისაგან დევნული დამნა-შავე ოჯახის კერას ან ნაჭას ჰკიდებდა ხელს. დამნაშავეს მტრის დევ-ნისაგან იხსნიდა აგრეთვე ეკკლესიასა ან მის გალავანში შესწრება¹.

საზოგადოების მოვალეობანი და მისი დამოკიდებულება სხვა
საზოგადოებასთან. მისახამი ძირისა, მფედლისა და სხვა
მოჯამაგრითა. საქონლის გავაება. სხვა-და-სხვა დანაგაული
და საზღურის აპრენირება მის კალმებაზე. ზომები. საცივები

თვითოეული წევრი საზოგადოებისა ვალდებული იყო დაეცვა პატივი და სახელი თავის საზოგადოებისა; გაჰკიდებოდა მდევრად საზოგადო მტერს და სხვა-და-სხვა. თუ ვისმე სახლკარი და ჭირნა-ხული დაეწვოდა, საზოგადოება აძლევდა დაზარალებულს ოჯახს გარდა წვრილმანის შემწეობისა კომლიდამ თვითო „ჩაბანაღ“ ნამუ-შავარს. სახლის ამშენებელს საზოგადოება მუქთად მოუტანდა სა-შენ მასალას: ხეს, ქვას, კირს, სილას... როცა ამშენებელს ნადი დასჭირდება, საზოგადოება უარს ვერ ეტყვის. თუ შემთხვევა მოი-ტანს, საზოგადოება თანასწორად იხდის საზოგადო მტრისადმი საზ-დაურს. საზოგადოება იწყნარებდა გაჭირებულს მხევწნელს, რო-გორც თავის საზოგადოებისას, ისე სხვა საზოგადოებისას და ქვეყ-ნისას. საზოგადოების მოვალეობაა რჩენა უთვის-ტომო, უნათესაო მოხუცთა, დაგრძომილთა და გლახაეთა. კარ-და-კარ მთხოვრობა სვანეთში არ იციან. თვითოეული საზოგადოება დარაგად იდგა ხოლ-მე, რომ ერთ რომელსამე მრავალ რიცხოვანს და ღონიერს საზოგა-დოებას მეორე მცირე და მასზე სუსტი საზოგადოება არ დაეჩაგრა და რომ ამ ნაირად დაცულიყო თანასწორობა ყველა საზოგადოებათა მორის. ყოველი დაჩაგრული მოითხოვდა დაქმაყოფილებას იმ საზო-

¹ № 55-ში შეცდომით არის მოყვანილი „დასასრული“. ავტორი.

გადოების მახვისაგან, სადაც პბინადრობდა, ესახლა დამჩაგვრელი. ნივთიერი საზღაური დაჩაგრულს ეძლეოდა იმ საზოგადოებაში არ-სებულის წესით, სადაც სკეოვრობდა დამჩაგვრელი. თუ ერთს საზო-გადოების მცხოვრებს მეორე საზოგადოების მცხოვრები თავისაში ჩხებს აუტეხს და პირველს თავის საზოგადოებიდგან ვინმე დაესწ-რება, უთუოდ უნდა მოეხმაროს, რაც უნდა მისი მტერი იყოს. ძი-ძას საძუძურში ეძლევა ერთი ძროხა, ტანისამოსი და როცა გასაზ-რდელს ყმაწვილს (ლერდი) მშობლებს ჩაბარებს,—შეძლების გვა-რად სხვა საჩუქარიც. ძიძა ყმაწვილის დედ-მამის ოჯახში უნდა იყოს; თუ ძიძას ეს არ ეხერხება თავის ოჯახის გარემოების გამო, მაშინ მას ეძლევა „როჭიკი“ ოორმეტი „ლელვლიაქი“ ნამუშევარი წელი-წადში და დრო-გამოშვებით სხვა-და-სხვა მოსაკითხი (ნაკარუ). ძიძა მეორე დედად ითვლება და ამისათვის გასაზრდელსა და ძიძის ნათესავებ შუა, ნათესაობა მყარდება. ყოველი მეკომური მოვალეა აძლიოს მჭედელს წვრილმან მუშაობისათვის (დანა, სადგისი, ნამგა-ლი, წისქვილის იარაღი) ყოველ-წლივ თვითო-თვითო „ჩაბანაღი“ ნამუშევარი; ამ გადასახადს ხალხი ეძახის „კალფვერ“ (?) ცელის, ნაჯახის და სხვა სხვილმან იარაღების გაჭედისათვის მჭედელს ეძ-ლევა იარაღების პატრონებისაგან ერთი „ლერქვაში“.

წლიური ქირა უბრალო მოჯამაგირისა იყო „ტყვემიშ“ (24 მ.). დღიურად სამი მუშა ღირდა ერთი „ჩაფლაში“; ეგრეთივე ქირა ჰქონდა დანიშნული დღიურად უღელ ხარს. კალატოზს სახლის აშე-ნებაში ეძლევა ერთი ხარი და ხარგი. ცხენის გაკვება მთელს ზამთარს ღირდა სამი „ლერქვაში“; ხარისა და ძროხის თვითეულად— ერთი „ლერქვაში“. ხარს თუ გააქირავებდი ზაფხულობით, ქირაში დამჭირავებელი გაჰკვებავდა ხსენებულს ხარს და კიდევ ერთს სხვა მსხვილს საქონელს, ხარს, ძროხას, — ანა და ორს წვრილს პირუტყ-ვას. წვრილ პირუტყვის გაკვება ღირს „ჩაფლაში“; ცხვარს ერთის მის ნაპარსისათვინაც გაჰკვებავენ. გაჰკვების შუა ვაღად მიღებულია ორი თებერვალი.

„სისხლი“ (ცორ) თავისეულ სვანეთში

1) უშგულის საზოგადოებაში — ექვსი „სისხლის“ ნალჯომი (ნაზომი?) სახნავი ყანები. ყანები უნდა იყვნენ საუკეთესონი, სოფ-ლის ახლო, რომელნიც მომეტებულად ჰთასობენ. თვითო ამ გვარი

ნალჯომი ღირს ექვსი ცალი ხარი. თუ მკვლელს მაგ ნაირი საგვარეო (ლაგვარ) ყანები არა ჰქონდა, მაშინ მათ მაგიერ უნდა მიეცა სახლ-კარობა, რომელიც სამს სისხლის ნალჯომად გადიოდა და კალო თა-ვის კარაპანით („კარპან“ — სადადიანო სვანეთში, „მაჩ“ — თა-ვისუფალ სვანეთში და „ცალმაგ“ — სადადიშველიანო სვანეთში). კალო-კარპანი სჭრიდა ორ სისხლის ნალჯომს. მეექვსე ნალჯომის მაგიერ მკვლელს მოძრავი ქონება უნდა მიეცა. ამათ გარდა მკვლელს უნდა მიეცა კარგი თოფი და მოკლულის ოჯახის წევრებისათვის თვითეულად ხარი ან ძროხა საჩუქრად. შერიგების დროს მკვლელს მოკლულის ოჯახისათვის და მასთან ერთად მორვებისა, ან ლუფხუ-ლებისათვის უნდა ეჭმია ხარჯი.

2) კალას საზოგადოებაში „წორი“ იგეთივე იყო, როგორიც უშგულში, მხოლოდ კერია და ნაჭა აქ მომეტებული იყო მოკლულის ჭირისუფლების მისაცემად. კერიასა და ნაჭას მიცემას იმ მნიშვნელობას აძლევს ხალხი, რომ მათი შემლევი ოჯახი იყარა, დაიღუპა ხალხის შეხედულობით.

3) ითარის საზოგადოებაში. სამი ნალჯომი სახნავი მიწა, ორი ნალჯომი სათიბი სახნავ მიწის ფასად, ერთის ნალჯომის საღირალი მოძრავი ქონება. დანარჩენი, როგორც უშგულ-კალაში.

4) მულახის საზოგადოებაში. სამი ნალჯომი სახნავი მიწა და სამი ნალჯომი სათიბი ყანების ფასად, დანარჩენი, როგორც სხვა-გან.

5) მესტიის საზოგადოებაში, როგორც მულახისაში.

6) ლენჯერის საზოგადოებაში 24 ნალჯომი სახნავი მიწა. დანარ-ჩენი, როგორც სხვაგან.

7) ლატალის საზოგადოებაში, როგორც ლენჯერისაში. ლატა-ლისა და ლენჯერის ოთხი ნალჯომი უდრის ერთს ნალჯომს უშგული-სას. აქაური ერთი ნალჯომი ფასობს ერთ ხარად და ერთ ძროხად.

8) საბატონო სვანეთში ბექის, ფარის და ჩუბეხევის, ან ლახა-მულას საზოგადოებაში დადებული იყო „წორად“ 24 „ცხვადიში“, სახნავი და სათიბი მიწა. აქაური „ცხვადიში“ და ლენჯერ-ლატა-ლის „ნალჯომი“ ზომითაც და ფასითაც ერთნაირნი არიან. ეცრის საზოგადოებაში „წორი“ სჭრიდა 12 ცხვადიშ სახნავ-სათიბს მიწას. აქაური ცხვადიში ზომით უშგულის, კალის, ითაროს ნალჯომის ტოლა იყო, მაგრამ ფასად კი ღირდა ათ „ფურეშად“ (ფურეში—10 მ.). ნაჩვენებ ოთხს საზოგადოებაში, რომელნიც შეადგენენ საბატო-ნო სვანეთს, ჩამოთვლილ მიწის ცხვადიშებს გარდა მკვლელს ხდე-ბოდა ორას მანეთამდი თუ საჩუქრად, თუ სხვა-და-სხვა სახარჯოდ. თუმცა „ნალჯომის“ და „ცხვადიშის“ ზომები ყველა საზოგადოებაში

თანასწორი არიან, მაგრამ დაფასების შემდეგ კი ერთს დაახლოებით სწორს და საზოგადო ჯამს გვაძლევენ. მაგ. უშგულის სისხლის ნალჯომი იმდენადვე ლირს, რამოდენადაც ლენჯერ-ლატალის 4 სისხლის ნალჯომი და ფარ-ჩუბეხევის 4 ცხვადიში, ე. ი. ექვის ხარად. ამ ნაირად ექვისი უშგულის სისხლის ნალჯომი ლირდა 36 ხარად. 36 ხარად გაიყიდებოდა აგრეთვე ლენჯერ-ლატალის და საბატონო სვანე-თის 24 ნალჯომი ცხვადიში, გარდა ეცრის ცხვადიშისა. ხარი რომ 25 მანეთად ვიანგარიშოთ, ვნახვთ, რომ 36 ხარის ფასი შეადგენს 780 მანეთს. ამას უნდა დაემატოს ზემოთ ნახსენები საჩუქრები, ხარჯი. ამ ნაირად „წორ“ ენგურის ხეობაში მდებიარე სვანეთში უნდა მივიღოთ ფულის კვალობაზე არანაკლებ 780 გ.

9) სადადიანო სვანეთში, რომელსაც შეადგენს სამი საზოგადოება: ლაშეთი, ჩოლური და ლენტეხი „წორად“ მიღებულია 400 მანეთის სალირალი მოძრავი ქონება. იარალი — ოთფი, ლეკური, ვერცხლის ძეწვები, თასები, აზარფეშები, სპილენის საარაყო ქვაბები და ბოლოს ოთხ-ფეხი საქონელი. თუ მოსახლეს ნაჩვენები მოძრავი ქონება არა ჰქონდა, მაშინ 400 მანეთის სალირალი სახნავ-სათესი ადგილები უნდა გადაეხადა.

* * *

ორთავე ხეობაში, ენგურისა და ცხენის წყლისა, მძიმე ჭრილობა, რომლის შედეგიც იყო გაფუჭება, გახმობა, დაშვება ადამიანის რომელისამე ასოისა მაგ. ხელის, ფეხის, თვალის, ცხვირის, ყურის და სხვა, სჭრიდა ნახევარს „სისხლს“ ე. ი. ენგურის ხეობაში სამი „წორის“ ნალჯომს და ცხენის წყლის ხეობაში 200 მანეთს. სხვა-დასხვა გვარი ჭრილობა მსუბუქი და მძიმეც, როდესაც კაცს დაჭრილი ასო არ უფუჭდებოდა, სჭრიდა ორ „აცსიშიდამ“ 30-დღე. მსუბუქად გარტყმა, ხელით ერთი აცსიში, ჭოხით, ქვით... ორ აცსიშიდამ სამამდე. ამ ნაირ კაცის შეურაცხყოფას ქვეულებითს მართლიერებაზი საკუთრებითი ტერმინი ჰქვია, სახელდობრ „კადარდ ფუკვიდ“, გარტყმა, და ეს ტერმინი ქართულად ნიშნავს გარტყმას „მშრალად“, ე. ი. უსისხლოდ. თუ გარტყმის შედეგი ჭრილობაა, მაშინ ხალხი ეძახის გარტყმას „მუკირდ“, ე. ი. გარტყმა სოველი ან სისხლიანი.

შეურაცხყოფა სიტყვით — 4 აცსიშიდამ 30-დღე.

ცილის-წამება — 3 აცსიშიდამ 24-დღე.

ჭურდობა, — გარდახდევინება ნაქურდალისა ერთი-ორად პატრონის სასარგებლოდ და საზოგადოების ჯარიმა, რომლის რაოდენობა მის — საზოგადოების შეხედულებაზე ჰქიდია.

სახლის გატეხა — რა გინდ მცირე მოეპარა ქურდს, თუ კი და-
კეტილი, ურდულ გაყრილი კარები გააღო, ან კედელი შეტეხა, ან
ფანჯარაში შეიპარა, თხოულობდა ნაქურდალის დაბრუნების დასჭირდა
გარეშე ამისა კიდევ 12 აცსიშ. ქურდს, თუ სახლის გატეხაზე, მოასა-
წრობდენ, მაშინაც გადახდებოდა 12 აცსიში. ჩვეულებითი მართ-
ლიერება არ აძლევს უფლებას სვანს მოპკლას, ან მძიმედ დასჭრას
ქურდი, რა გინდ ქურდობაზე მოასწროს; თუ მოპკლავდა, ქურდის
ჭირისუფალი ეძიებდა „სისხლს“. აგრეთვე მძიმე დაჭრასაც ეძიებდა.
ორივეს შემთხვევაში 12 აცსიში გამოირიცხებოდა „წორი“-საგა-
ნაც და ნახევარის „წორი“-საგანაც სასარგებლოდ გატეხილის სახ-
ლის პატრონისა. სახლის გატეხას რაღაც დიდი დამჩაგვრელი მნიშ-
ვნელობა ეძლევა სვანეთში. სახლის ხელ-უხლებლად, შეუბლალა-
ვად შენახვა სვანის ზნეობითი მოვალეობა-მოთხოვნილებაა, გატე-
ხა, გაქურდვა კი პირადი პატივის და ლირსების დამცირება და შეუ-
რაცხ-ყოფაა.

თოფის სროლა მტრისადმი მიმართული, მაგრამ აცილებული,
ჩახმახის დაცემინება გატენილის თოფისა ენგურის ხეობაში მდე-
ბიარე სვანეთში არაფრად ითვლებოდა, ე. ი. საზღაურს არ თხოუ-
ლობდა, ცხენის წყლის ხეობაში კი სროლა არაფრად ჩაიგდებოდა,
ჩახმახის დაცემინება კი ნახევარს სისხლს თხოულობდა.

დაქაღნებას, დამუქრებას (ყოვა) ჩვეულებითი მართლიე-
რება უყურადღებოდ სტოვებდა.

დედა-კაცის მანდილის მოხდა (ლიშგმე) და ნაწნავების მოჭრა
24 აცსიში იყო.

ყანის და სათიბის წახდენისათვის, პატრონს უფლება აქვს თუ
შიგ მოასწრო, მოპკლას წვრილი საქონელი, სხვილს ოთხ-ფეხს ვერ
მოპკლავს. წანახდენის გადახდევინება იშვიათია. ტყის მოჭრაში კი
დამნაშავე პასუხს აგებს.

კაცის დატყვევება (ლინტყავ) მძიმე დანაშაულად და დიდ სირ-
ცხილად ითვლება სვანეთში. ერთსა და იმავე საზოგადოების
მცხოვრებთა შორის დატყვევება არ არსებობს. დატყვევება შეიძლე-
ბა მხოლოდ სხვა საზოგადოებაში, სხვა ქვეყანაში მცხოვრების
მტერისა. მტრის დატყვევებას გამოიწვევდა მძიმე შეურაცხება, რო-
მელიც მას, მტერს მიუყენებია დამჭერისათვის და კმაყოფილება არ
მიუცია. თუ ერთმა საზოგადოების კაცმა მეორე საზოგადოების კა-
ცი დაატყვევა და გზად სხვა საზოგადოების აღგილზე უნდა გაატა-
როს, უკანასკნელ საზოგადოებას უფლება აქვს, თუ გაიგო, ტყვე
გააშვებინოს მტერს და თავის სახლში უნებლიერ წაიყვანოს.

დამტყვევებელი უბრალო სამღურავსაც ვერ გაჰდედავს და ვერ უტყვის ტყვის მსხენელს საზოგადოებას. მტრის ხელში ჩავარდნას შემდეგ ტყვე ხელუხლებელი იყო, ე. ი. ცემა და სხვა ნაირი მისი წვილება არ შეიძლებოდა. დამტყვევებელი მოვალეა კარგი; მუდამ სახსნილო ხარჯი მისცეს ტყვეს; წინააღმდეგ შემთხვევაში დამტყვევებელის ოჯახი, თემი, სოფელი, საზოგადოება დაიმსახურებს ქვეყნის აუგს, სირცხვილს. ტყვეს უფლება აქვს იმ სოფელში, საღაც დაჭერილია, წვრილ-ფეხი საქონელი: ქათამი, გოჭი, ბატკანი, კრავი დაიჭიროს და დაიკლას თავისითვინ, ვისიც უნდა იყოს. ამ „ნანაღირევით“ ტყვე თვითონაც სარგებლობდა და სხვებსაც, რომელნიც მას გარს ეხვივნენ, შესაქცევად უთავაზებდა ხოლმე. საქონლის პატრონი ტყვეს ვერ უსაყვედურებდა ამას ჩვეულების ძალით. დაჭერის პირველ დღეებში, კვირეებში ტყვე თავისუფლად დადის, მიჩენილის კაცების მხედველობის ქვეშ. ამ ნაირად იყო ტყვე, სანამდის დამტყვევებელი ტყვის ჭირისუფლისაგან არ შეიტყობდა ნამდვილად: მალე აპირობს იგი — ჭირის-უფალი ტყვის დახსნას, თუ არა. თუ არ დაიხსნიდა, ტყვის შესახებ იხმარებოდენ შემდეგი ზომები, გინა დასჯა:

ა) ტყვეს შაუყრიდნენ რკინის ბორკილებს ფეხებში;

ბ) შაუყრიდნენ ცალ-ფეხში ხის ხუნდს (ხულ); და

გ) დამტყველევლენენ დილეგში (დილეგ). ხუნდი იყო ხისა, რგვალი, სიგრძით ცოტა ნაკლები არშინზე; შუაზე დაპობილი იყო ორად. ეს ორი თანასწორი ნახევარი ხუნდისა შიგნითა მხრით რგვლად ამოთლილი იყო შუა აღგილას იმოდენად, რამოდენიც საჭიროა იმისთვის, რომ შიგ კაცის წვივი მოთავსდეს. ფეხში შეყრის დროს ხუნდი თრად გაიხსნებოდა, შეყრის შემდეგ იქეტება ერთგვარის ხის ბოქლომით, რომლის გასაღებსაც დამტყვევებელი ინახავდა ფრთხილად, რომ ტყვეს არსად ენახა. რაღგანაც ხუნდის თრეევა ერთის ფეხით სამძიმო იყო, ამისათვის ხუნდს მობმული ჭირნდა შუაზე ბაწარი, რომლის მეორე ბოლო ტყვეს ეჭირა ხელში. სიარულის დროს ტყვე ბაწრის საშუალებით იმსუბუქებდა ხუნდის სიმძიმეს, ფეხზე დაწოლილს.

დილეგს (დილეგ) სვანეთში ეძახიან კოშკის ქვედა სართულში ოთახს. ეს იყო მიჩენილი ტყვის დასამტყველევად. და კიდევაც იმიტომ მისთვისებია ეს სახელ-წოდება „დილეგი“. ამ ოთახს კარი არა აქვს; კარის მაგიერობას ჩადიოდა ოთხ-კუთხიანად ამოჭრილი „ლობი“ ჭერში, საიდამაც ტყვეს ჩაუშვებდენ კიბით. მემრე კიბეს ამოიტანდნენ, ჭერში ამოჭრილს ჩასავალს „სარქველით“ დახურავდენ ჭურის თავის მინაგვარად. ტყვეს საჭმელსაც ზემოდამ აწვდიდნენ.

დილეგში ტყვის დამწყვდევა ძლიერ იშვიათი ყოფილა, რადგანაც ჭირისუფალი ყოველს გვარს ონის-ძებას იხმარდა, რომ „სახსა-რი“ (სახსარ) დროზე მიეტანა მტრისათვის და გამოეხსნა დატყვე-ვებული აუტანელის მდგომარეობისაგან.

ხალხი ამბობს და ხალხურს სიმღერებშიაც მოხსენებულია, რომ ძველის-ძველად სვანებს სცოდნიათ ხელის ბორკილიც, ესრეთ წოდებული „მარქვარ“ (მარქვ-ქართული მაქვა). რა ნაირი ყოფილა ეს „მარქვარ“ ვერავინ ვერ ამიწერა, რადგან მათი ხმარება ახ-ლანდელს მოდგმას არ ახსოვს.

ტყვის გამოხსნა სახსარს, ნივთიერს საზღაურს თხოულობდა. იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც მტერი მტერს დატყვევებდა და რამოდენისამე დღის შემდეგ უსახსროთ განათვისუფლებდა. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც შეურაცხყოფილს სურდა მაგიერი გა-დაეხადა მტრისათვის. როდესაც სასახსროდ (ლესყსარიდ) გახდებოდა საქმე, მაშინ საქმე თავდებოდა ამ ნაირად. ჭირისუფალი ტყვისა, რა-კი გაიგებდა დატყვევებას თავისიანისას, ადგილობრივ მახვშისთან შიიქცეოდა. ეს უკანასკნელი წავიდოდა იმ საზოგადოებაში, სადაც დატყვევებული იყო ვინმე. ნახავდა დამტყვევებელს, მის საზოგა-დოების მახვშის; შეიტყობდენ ეს ორი, რამდენი სახსარი უნდა გადახდენოდა ტყვის ჭირისუფალს. შემდეგ დამტყვევებელი რამ-ოდენიმე კაცით ტყვის ჭირისუფალთან მიღიოდა სახსრის მისაღებად. რამოდენი კაციც დამტყვევებელის მხრით ტყვის საზოგადოებაში მიღიოდა, იმოდენა მძევალი (ძავალ) ტყვეს ჭირისუფალს უნდა გამო-ეგზავნა მტრის საზოგადოებაში. როდესაც სახსარზე მორიგდებოდ-ნენ, მაშინ დამტყვევებელი თავის კაცებით სახლში ბრუნდებოდა და შემდეგ ერთგულობის ფიცისა, ათავისუფლებდა ტყვეს და მძევლე-ბსაც. ტყვეობა დიდ სამარცხვინო საქმედ მიაჩნია ხალხს. ამ სირ-ცხვილს ტყვე ძვირიდ-ლა შეირჩენდა. ერთ უმთავრესს მიზეზად მკვლელობისა სვანეთში კაცის დატყვევება იყო: მხოლოდ მოკვლა დამტყვევებლისა აღუდგენდა პატივს ტყვეს. ჩვეულების ძალით ბორკილებ და ხუნდ ნაყარი ტყვე ლირსება ჩამორთმეული კაცია, მას აქრძალული აქვს ნაკურთხ მიწაზე დაიმარხოს. თუ ვისმესთან ჩხუბი მოუვა, მოწინააღმდეგე შემდეგის სიტყვებით შეარცხვენს ყოფილს ტყვეს: „სი ტყვე, იმერ მარგადი მი!“! (შენ ტყვევ, რაღა პირით მელაპარაკები მე!). ეს იყო მიზეზი, რომ დამტყვევებელი ისე ექცეოდა მის მიერ დატყვევებულს, როგორც ბატონს ყმა; მუ-დამ ცდილობდა თავის სხვა-და-სხვანაირ სამსახურით, პატივის-ცემით ტყვეს გულიდამ ამოექარწყლა ის ხინჩი, რომელიც ყოველს ტყვეს გაჰყვებოდა განთავისუფლების შემდეგ...

მიწის ზომები

მომყავს სკანური ზომები და საწყაოები, რადგან იგინი ხშირად არიან ამ წერილში ნახსენები.

A) თავისუფალ სკანეთის ხუთს საზოგადოებაში — უშგულს, კალას, იფარს, მულახს და მესტიას იხმარებიან:

ა) „წორ“-ის „ნალჯომი“ უდრის ერთს ქცევას.

ბ) „ნაცვრიერი“-ის „ნალჯომი“ ორ ნახევარი შეადგენს — ქცევას.

გ) ლენჯერის და ლატალის ოთხი „ნალჯომი“ უდრის — ქცევას.

B) საბატონო სკანეთში:

დ) ეცრის საზოგადოების ცხვადიში — ქცევას.

ე) ბეჩოს, ფარის და ჩუბეხევის ოთხი ცხვადიში — ქცევას.

C) სადადიანო სკანეთში, სამივე საზოგადოებაში: ლაშეთის, ჩოლურის და ლენტეხისაში მიწის ზომად მიღებულია „ლადლიშ“ (დღიური), უდრის ერთს ქცევას.

კარგი სათიბები და ტყეებიც ნალჯომით და ცხვადიშით იზომებიან.

საწყაოები

ა) მარცვლის, ნამუშევრის; ენგურის ხეობაში მდებიარე სკანეთში:

„ლელვლიაქ“ (ცხვრის სალირალი) იწონის $1\frac{1}{2}$ ფუთს.

„ჩაბანალ“ = $1/6$ ლელვლიაქისას.

„ლახნისგ“ = $1/2$ ჩაბანალისას.

„ლაყვლა“ ან „კვიდოლ“ = 2 ფ.

„კვიდ“ = 4 ლაყვლას, ან კვიდოლს, ე. ი. 8 ფუთსა.

„ტურფად“ = $1/3$ კვიდოლს.

„კარვა“ ან „საჩფულ“ = ჩაბანალს.

б) ცხენის წყლის ხეობაში მდებიარე სკანეთში:

„ლახდილ“ = 2 ფუთს.

„ლალააშ“ = 1 ფ.

„კარვა“ = $1/6$ ლალააშისას.

სასმელების საწყავები



თავისუფალ სვანეთში		სამივე ესენი საწყავ დოქტრინის
„ლერქვაშ“		ხელებია, რომელშიაც ჩაღის ხუ-
საბატონოში „ზექა“		თი ვერმუტის ბოთლი და ლირან
სადადიანოში „ლაზემ“	1	მანათად.
„დახლაშ“ (თხის სალირალი)	ლირს 80 კ.	სარწყავ დოქტრინის
„ლახნისგ“ (მენახევრე)	50 კ.	სახელებია.
„მანჩაშ“	40 კ.	
„ჩაფლაშ“ (ქალამნის სალირალი)	20 კ.	

ნაქსოვის ზომად მიღებულია წყრთა, ტკაველი, ხელის დადება.

ფულის ანგარიში

„ჩაფლაშ“ — 20 კ.		
„ლერქვაშ“ — 1 მ. (ლერქვაშ პირ-და-პირ ნიშნავს ცალის ტანისამოსის სალირალს).		
„აცსიშ“ — 6 მ.		
„ფურეშ“ — 10 მ. (ფურეშ, ე. ი. ძროხის ფასი).		
„ტყვემიშ“ — 24 მ.		

1885 — 1886 წწ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სვანეთი. აგერ 15 ფეხერვალია და სოფლად კიდევ თოვლი არ მოსულა. ამითი სარგებლობს ხალხი და წვრილფეხი საქონელი— თხა-მცხვარი საბალახოზე დაჰყავს. სხვა გვარი სარგებლობა უთოვ-ლობას არაფერი მოაქვს; სარგებლობა კი არა და, როგორც ხალხი ამბობს, უთოვლობა სახნავ-ყანებისათვის მავნებელიც არისო. მუ-ლახში გაჩენილი სნეულობა, რომელზედაც ამას წინათაც მოგწერეთ, გადამდები აღმოჩნდა და მეორე საზოგადოებაში — ლენჯერისაშიც გადასულა. მულახის საზოგადოებაში ეს ავადობა გავრცელებუ-ლია მომეტებულად სოფ. არცხელსა და მურშკელს, ლენჯერისაში— კი სოფ. ნესგვინს, ლაშოხევრს და სოლს. ავადობა იწყობა სიცხით, შერე დაიწყობა ფალარათობა, გრძელდება 4—6 კვირა. როგორც მიამ-ბეს, ორს ზემოხსენებულს საზოგადოებაში ამ სენს 30 კაცამდე მოუკლავს. ხალხს ძლიერ ეშინიან ამ სნეულობისა. უფრო ვრცლად ავსწერდი ამ სნეულობის მსვლელობას, მაგრამ რისთვის და ვისთ-ვის? სვანების შემწე-მოწყალე არავინ მეგულება! სვანეთის ყველა სოფლებიდამ დიდ ძალი მუშა ხალხია წასული სამუშაოდ რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთ-სამეგრელოში, ყველაზე მომეტებული პროცენტი უშეგულის საზოგადოებას ხვდება. ამ უამაღ აქ, სადაც 500 სული მცხოვრებია, — მცირე-წლოვანთ გარდა — მამრობითის სქესიდამ მხოლოდ 54 მამა-კაცია შინ. ამ რიცხვში 18 კაცი მოხუცია, რომელ-თაც სამუშაოდ გასვლა არ შეუძლიანთ და მარტო შინაურობაში გამოდგებიან, 6 კაცი სოფლის მოხელე, რომელნიც საზოგადოებას ვერ მოსცილდებიან და ერთიც დიაკონი. მიზეზი დროებით თავის სოფლის მიტოვებისა უშეგულელებისაგან ის 20 ივლისის 1885 წლის

საშინელი სეტყვაა, რომელმაც ასე უსარჩო — უსაბადებლოდ
დააგდო ხალხი („დროება“ № 176, 1885 წ.). ხალხი წასულ-წამოსუ-
ლია ფულის საშოვრად, რომ მომავალს ივლისს, როცა საცხენობლად
იხსნება სვანეთისაკენ, ნაშოვარი ფულით რაჭა-ლეჩებუმში — სარჩა
შეიძინოს, იყიდოს. მაგრამ მთავარი ეს არის, რომ უშველელები
ვერც სამყოფ ფულს იშოვიან; რა ნაირად იშოვონ, როცა, როგორც
ნამდვილად ვიცი, დღიური ქირა მუშა სვანისა 15—20 კაცებია და
ექვს შაურს ძვირად ასცილდება. მეტს ქირას ვერ იღებს მუშა სვა-
ნი, იმიტომ, რომ მან — ასე ვთქოთ, უბრალო მუშაობა იცის მხო-
ლოდ, რომელსაც ნაკლები ფასი აქვს, თუმცა ჯაფა-ჭაპან-წყვეტა კი
სხვა გვარ მუშაობაზე მეტი თუ არა, ნაკლები არა სჭირდება, მაგ.,
თხრილების კეთება და ყორების შენება. მარტო ამ ორს მუშაო-
ბაში გამოდგება სვანი გაღმა. ახლა წარმოიდგინეთ, რომ თხრილში,
რომელსაც სიგრძე ერთი საუენი უნდა ჰქონდეს, სიგანე ხუთი ტკა-
ველი და სიღრმეც ოთხი ტკაველი მუშა სვანი იღებს ერთს შაურს.
თვით მუშებმა დამარწმუნეს, რომ მხოლოდ კარგს მუშას, — და
ისიც მაშინ — თუ სათხრელი მიწა ფხვიერია — შეუძლია დღეში ოთხი
ხსენებულის ზომის საუენი თხრილი გაიყვანოს; მომეტებულად კი
სამს საუენს უნდება მუშა დღეში, ე. ი. იღებს სამს შაურს! ეს რომ
მართალია, ამას ისიც ამტკიცებს, რომ მუშა სვანი თვიურად 4—5
მან. სჯერდება ქირად. საცოდაობა მეტი იქნება! ორას ვერსის სიშო-
რეზე გადის საბრალო სვანი სამუშაოდ; ითმენს სტიქიის სხვა-და-
სხვა ულმობელს რისხვას თოვლ-წვიმა-სიცივეს, უბინადრობას,
ილევს ჯან-ლონეს, იცვეთს ტანისამოსს და შემდეგ ამაებისა ბრუნ-
დება შინ ცარიელ-ტარიელი! ამას დაუმატეთ შემდეგიც: რამდენიმე
მაგალითი ვიცი, რომ სვანს თთვეობით უმუშავნია რომელსამე თავა-
დიშვილის ან აზნაურიშვილის მამულში; ვადამდი მუშა სვანს ან
გროშად არ-სალირალი გასაკეთებელი ვერ გაუთავებია, მაგ. თხრი-
ლი, ან ყორე ერთს ადგილას ისე სწორად ვერ გაუყვანია, როგორც
მის ბრძანებულს აღას ჰსურს, ან თითის დადება სიღრმე-სიგანე
აკლია თხრილს, ანა და არც პირველი მიზეზი ყოფილა და არც მეო-
რე, სულ ტყუილ-უბრალოდ გაუშვია სვანი უქორაოდ. რა ქნას აქ
სვანმა? იჩივლოს? რა იცის და სადა აქვს ამისი თავი, ან რა ხელს
მისცემს! ვინც იცის სვანეთის გზების უვარგისობა, სვანეთის სიშო-
რე გუბერნიის დანარჩენ ადგილებზე და სასამართლოს რთული და
სვანისათვის გაუგებარი პროცედურა ერთად მატყუარა მოწმებისა,
ის უეჭველია არ ურჩევს სვანს, რომ საჩივარი შეიტანოს სასამართ-
ლოში 4—5 მანეთზე, რომელიც დაბარების დროს საგძლადაც ვერ
ეყოფა. ამ გვარი რჩევა მივეცი მეც შარშან ზამთარს ხუთს სვანს,

რომელთაც შამომჩივლეს, რომ ამა და ამ თავადის შვილმა (ვინაობა მითხრეს) შვილი მანეთი ქირა დაგვაკლოო და რამეს მოგვეხმარეო. როდესაც გავიგე ვინაობა ამ მართლა და ქონებით მდიდარ გვამისა, ვურჩიე სვანებს ისევ თავი დაენებებინათ შვილის მახტოთ სათვის, რადგანაც ვერც ჩემის შემწეობით გავხდებოდით რასმეს. მაგ გვარი მაგალითები ბევრია.

ორიოდე სიტყვა კიდევ დასეტყვილ უშგულელებზე. უშგულში, როგორც ყველგან სვანეთში, ყოველს მოსახლეს წლიური სარჩო ორს თანასწორ ნაწილად აქვს გაყოფილი. ყოველს ოჯახს აქვს გამოწყული ერთი კიდობანი, რომელშიაც ინახავს ნახევარის წლის საყოფ ფქვილს. ოჯახი ამ კიდობანს ავსებს იანვარში და უნდა იმყოფინოს ამავე წლის ივლისამდე, როდესაც რიგი და გამოანგარიშებით ილევა. ივლისში ხელ-ახლად უნდა აავსოს ეს კიდობანი ფქვილით და ეს დაფქვილი უნდა იმყოფინოს ოჯახმა მომავალს იანვრამდე. წარსულს შემოდგომას უშგულელებმა დიდის წვალებით იშოვნეს რამოდენიმე ფული საქონლის გაყიდვით, მუშაობით თუ სხვა რამეთი. ფულით ლეჩეუმში სიმინდი იყიდეს, დაჰფქვეს და ჩვეულებრივ „საფქვილე“ კიდობანში (ლალფაქ კიბვდენ) ჩაჰყარეს, რომლის ზომა უკვე იციან. რასაკვირველია ყველამ არა, მავრამ რამოდენმამე ოჯახმა აავსო თავისი საფქვილე კიდობანი სიმინდის ფქვილით და იმედი ჰქონდა, რომ ნახევარს წელს ეყოფოდა. აღმოჩნდა რომ სიმინდის ფქვილი ისე მკვრივად არ იტკეპნება და იტენება, როგორც სხვა ნამუშევარის, მაგ. ქერისა და ამის გამო ბარაქაც ნაკლები აქვს. ამ ნაირად ნაყიდი სიმინდის დაფქული არა თუ ექვს თვეს — ოთხსაც ძლივს ასაზრდოებს ოჯახს და უშგულელებმა მაშინ უნდა შეივსონ დანაკლისი სარჩო, როდესაც სვანეთის მთებზე საცხენო გზა შეკრულია, ე. ი. ზურგით უნდა ეზიდონ. ადვილი წარმოსადგენია რა დიდი გასაჭირო მოელისთ უშგულელებს საცხენო გზის გახსნამდე და ისიც მაშინ თუ ფული არავინ მიაწვდინა სარჩოს ფასად. ბ-ნი ქუთაისის გუბერნატორი დასეტყვის შემდეგ თვითონ ბრძანდებოდა ადგილობრივ, ნახა უშგული, მისცა ხალხს 400 მან. და სხვა შემწეობაც დაჰპირდა მთავრობისაგან. ეს შემწეობა — შემწეობა ბარაქიანი — მიუცილებლად საჭიროა, რომ ხალხი სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეს. სამწუხაროდ ამ შემწეობაზე ჯერ-ჯერობით არაფერი ვიცით, თუმცა უშგულელები იმედს მაინც არ ჰქარგავენ.

სვანეთი. 20 მარტს. ამ წლის ფეხერვლის 24, 25 და 26-ს ერთი საცოდაობა მოხდა თავისუფალს სვანეთში: მგელმა — ალბად ცოფიანმა — შვილი კაცი დაკბინა. ერთი მათგანი უკვე მიიცვალა, ერ-

თიც სიკვდილზეა მიმდგარი და ხუთნი კი მორჩნენ და ჯერ-ჯერობით
არაფერს არა გრძნობენ. აი საქმე როგორ ყოფილა: 24-ს ფეხერვალს
ლატალის საზოგადოების სოფ. იფხის მწყემსებს თოხ-ფეხი საქო-
ნელი ჰყოლიათ მინდვრად. მახლობელი ტყიდამ გამოვარდნილა მგე-
ლი, სცემია წინიდამ ერთს მწყემსს პირ-და-პირ, სდომებია თავში
ჩატვრინებოდა პატარა მწყემსს, მაგრამ უკანასკნელი პირ-აღმა წაქ-
ცუულა, მგელი ზევიდამ გადაპფენია და მწყემსის თავის მაგიერ
პირში ქუდი შერჩენია. პატარა მწყემსს 12—13 წ. ქვემოდამ ხანგა-
ლი უჩხვლეტია მგლისათვის, მგელმა ალბად ეს იგრძნო და თავისი
მსხვერპლი მიატოვა თურმე. ამის შემდეგ იმავე დღეს და იმავე სა-
ზოგადოების მეორე სოფ. ენაშის მწყემსებს დასცემია მგელი, ჩატვ-
რენია ყელში ერთს 10-11 წლის პატარა მწყემსს — სახელდობრ-
ბიაზრუყ წერედიანის ვაჟს, გადუგდია კისერზე და გასდგომია გზას.
წერედიანის პატარა ამხანაგებმა, ეს რომ დაინახეს, მორთეს ყვირი-
ლი და დაკბენილი წერედიანი დაატოვებინეს მგელს. ყელში ნაკბენი
ღრმა აღმოჩნდა და რამდენსამე დღის შემდეგ წერედიანი საშინელის
წვალებით მოკვდა. მეორე დღეს 25 ფეხერვალს ეგვევი მგელი გამოჩნ-
და სხვა საზოგადოებაში იფარისაში სოფ. წვირმის, საღამოს უამს მგე-
ლი შეპარულა ერთს მოსახლის, სახელდობრ გიგლემიანის გალავან-
შემოვლებულ ეზოში. ვახშმობის წინად გიგლემიანის რძალი —
თამარი სახლიდამ გამოსულა. დაღარაჯებული მგელი დასცემია
ქალს სულ-ერთიანათ დაუკბენია. თავი, ყურები, პირის სახე, ასე
რომ, როგორც მიამბო მნახველმა, საზარელი სანახავია თურმე ეს
საბრალო თამარი გიგლემიანისაო; არაფერი იმედი მორჩენისა აო
არის, 26 ფეხერვალს ეს საოცარი მგელი მესამე საზოგადოებაში —
კალას გადასულა. აქ სოფ. იფრარს მცხოვრების მექა მარგველანის
ძალის დასცემია ზედ სახლის კარებთან დილა-ალიონზე. ოჯახს ლო-
გინში გაუგია ძალისა და მგლის ბრძოლა. საცვალის ამარა ამდგარა
მექა მარგველანი ლოგინიდამ და ძალის საშველად გავარდნილა.
ძალი და მგელი ისეთ ნაირად ყოფილან ერთი-ერთმანეთზე გადაწ-
ლართული, რომ მექას, რომელსაც ჰსურვებია ძალის დახსნა მგლი-
საგან და სახლში შეთრევა, ძალის მაგიერ წაუვლია შეცდომით
ხელი მგლის ფეხისათვის, შეუთრევია სახლში და კარები ჩაუკეტ-
ნია. მგელი მაშინვე მივარდნია ცხვირ-პირში მექას, იმ ნაირად, რომ
მექას ნიკაბი მგელს პირში ჩაუგდია და ორივე ყბები გარედამ კბი-
ლებით შეუხვრეტია. ამ საშიშარ სცენისთვის შეუხედავთ დანარ-
ჩენს ოჯახის წევრებს: მექას ძმას — ბიჭიას, უკანასკნელის შვილს —
ბესოს, ბეჭასა და ბიჭიას ცოლებს — თინოსა და სანდუხს, სდომე-
ბიათ ბეჭას გამოხსნა მძვინვარე მგლის პირიდამ, მაგრამ ამ დროს

მგელს ბეჭასთვის თავი დაუნებებია, დარევია სხვებს და არც ერთი უქბენად არ გადარჩენია: ზოგისთვის მკლავში უქბენია, ზოგისთვის ბეჭში. გაოცებული დაქბენილები ისე დაბნეულან, რომ თავში არავის მოსვლია მგლის მოკვლა. შეუქნიათ ერთი ამბავი, ყვირილი, რომელიც მეზობლებს გაუგონიათ; მოცვივნულან უკანასკნელნი და როგორც კი სახლის კარი გაულიათ, მგელი მაშინვე გავარდნილა სახლიდამ და მეზობლებს ხელში შერჩენიათ დაკენილები. ამ უამაღ ნაკბენები ყველას მორჩენიათ და არც რაიმე ტკივილს ჰგრძნობენ, მაგრამ ამ უბედურებს, უეჭველია, შემდეგში მოელისთ სიკვდილი, რადგანაც ცოფი, როგორც ამტკიცებს გამოჩენილი მეცნიერი პასტერი, 40-60 დღის შემდეგ გამოაჩნდეპა დაკბენილსაო. შესანიშნავია ეს შემთხვევა იმითაც, რომ სვანეთში არავის ახსოვს, რომ ცოფიანი მგელი გაჩენილიყოს და კაცი დაეკბინოს.

სვანეთი, 20 ივლისს. მოსავალს წლეულს კარგი პირი უჩანს სვანეთის ორთავე ხეობაში. სადაციანო სვანეთში მკა და თიბვა უკვე დაწყებულია და ხალხიც მადლიერია ჭირნახულისა. ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთშიაც ზოგან დაიწყეს და ზოგან კიდევ მალე დაიწყებენ მკასა და თიბვას, გარდა სამი-ოთხის საზოგადოებისა, რომელთაც უფრო მთა ადგილი უჭირავთ. ასეთი მთა ადგილი უჭირავს, მაგალითად, უშესულის საზოგადოებას, რომელიც შარშანდელმა სეტყვამ უმწვერვალესს გაჭირვებაში ჩააგდო. აქ ჯერ-ჯერობით ნამუშევარს გულიც არა აქვს შემაგრებული და კარგი იქნება თუ 15 აგვისტომდე ნამგალი შევიდა ყანაში. მიზეზი მკის დაგვიანებისა ის არის, რომ აქ მთელი ზაფხული არა თუ გრილა, ცივა კიდეცა. თუ ივლისის დანარჩენმა დღეებმა და აგვისტომ დარებიან დაიჭირეს, შესაძლებელია, რომ უშესული კიდევ დაიმშეს, რადგანაც 20-ს აგვისტოდამ აქ ხშირად თოვლი მოდის ხოლმე და ნამუშევარს ანედლებს და აფუჭებს. ღმერთმა ნუ ჰქმნას ესა, თორემ უშესული ჯერ დღესაც ისეთს სილარიბეშია ჩაგარდნილი შარშანდელის სეტყვის წყალობით, რომ, ვგონებთ, შიმშილით ამოსწყდეს ხალხი. ლეჩეუმში სარჩოს ყიდვას ხალხი საქონელიდამ ცარიელზე დაუსვამს და იქიდამ ზიდვას კიდევ ფერ-ხორცი და განი წაურთმევია. ის სნეულება, რომელზედაც ჯერ ისევ ზამთარში გწერდით, ახლაც არის აქა-იქ. საკვირველია, რომ ყურადღებას არავინ აქცევს. ამ ამბავს გაიგებდნენ მაინც, რა სნეულებაა ეს სნეულება. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ამ უამაღ აქ მოსულან ეჭიმები: ერთია დანიშნული ლეჩეუმის მაზრაში, რომელსაც სვანეთიც აბარია და მეორე კიდევ უფროსი ეჭიმია გუბერნიისა, მაგრამ მთავარი ეს არის, რომ ეს დალოცვილები უფრო სამარეში ჩასულთა სინჯავენ, ე. ი. იმათ, ვინც

წარსულს ზამთარს მოუკლავთ სვანეთში, და ცოცხალ ავალ-მყოფთ
კი ყურადღებას არ აქცევენ. ამ დღეებში შეუდგებიან კამელარიანი
აღწერას სვანეთში. ამ დღეებშივე მოკვდა ერთი მოგზაური შესტრი-
ელი კავკასიის დიდს ქედის უღელ-ტეხილზე: საცოდავი ჩრდილოეთ
კავკასიაში ყოფილა, თერგის ქვეყანაში, სხვა ამხანაგებითურთ. ოო-
დესაც მგზავრები მწვერვალზე ასულან, ძლიერ დაღალულან და აქ
დაუსვერიათ; დაოფლიანებულთ ცუდი ამინდი დასდგომიათ და ერთს
მჯდომარსავე ამოსვლია სული.

14 აგვისტო. აგვისტო დარით დაგვეწყო და ათამდე გასტანა
კარგმა დარებმა. ცოტა არ იყოს ამ ცოტა ხნის გვალვამაც ჭირი არ
დააყარა ნათესას. სახელდობრ, სადადიანო სვანეთში სიმინდს და
თავისუფალ-სვანეთში კიდევ სხვა ნამუშევარს. საბატონო სვანეთის
ორს საზოგადოებაში, სახელდობრ, ჩუბეხევისა და ეცრისაში თურ-
ჭული გაჩნდა. ეს სნეულობა გადმოუტანიათ ჩრდილოეთ-კავკასიი-
დამ. ხვალ, 15 აგვისტოს ათავებენ კამელარიის აღწერას სვანეთში.
საჭირო ცნობებს კამელარიის აღწერისას შემდეგში მოგწერავთ.

უცხო ქვეყნელი მოგზაურები წრეულს სვანეთში ცოტანი იყვ-
ნენ. ველოდით რამდენსამეს, არავინ კი არ მოვიდა. მაგალითად,
ცნობილი ვენგრიელი გეოგრაფი ბ-ნი დრეიჩ 4-ს ივლისს უნდა მოსუ-
ლიყო სვანეთში ჩრდილოეთ კავკასიიდამ, მაგრამ ჯერეც არსადა
სჩანს. ამ უამად აქ არის ქუთ. გიმნაზიის აღმზრდელი მხატვარი ბ-ნი
ევ. პოსპოლიტოვი, რომელსაც 25 სურათი გადუღია თუ შესანიშ-
ნავის მთებისა, თუ ყინულებისა, სოფლებისა, ეკკლესიებისა და სხვა-
ნი. მაგალითად, მან გვაჩვენა ჩვენ მთა უშბისა, თვეთ-ნალდაშისა,
სოფელ მესტიისა, წმ. კვირიკეს მონასტერის ნახატები. ჩვენის თანა
დასწრებით დახატა სამ ადგილიდამ ენგურის სათავე თავის ყინუ-
ლედითა (ледник) და გარშემო მთებითა.

1886 წ.

ზოგიერთი საყვარელო თავავრცელები სვანეთში

(შეკრებილი თავისუფალ სვანეთში)

I ნახულშ ლისკვნე. რამოდენიმე ყმაწვილი ორს თანასწორ დასადგანიყოფება, მაგალითად, ოთხი ყმაწვილი, ექვსი, რვა, ათი, თორმეტი და სხვა... დანიშნავენ ადგილს, საიდამაც ერთმა დასმა უნდა დაიწყოს გახტომა (ლისკვნე). გახტომის დაწყებამდე ორი შემდეგი ცერემონია უნდა ასრულდეს: „ლილკჰე“ (არჩევანი) და „ლიცხრე“ (ჩხირის აგდება, ე. ი. კენჭის ყრა). ორი ყმაწვილი დადგება განზე და მთაბლენენ არჩევანს ამ ნაირად: თამაშის მსურველი ყმაწვილები ორ-ორი დგანან ხოლმე ერთად. ერთი ამათგანი დაირქმევს „მზეს“ (მიუ), მეორე „მთვარეს“ (დოშდულ). მივლენ ზემოდ ნახსენებს ორს ამომრჩეველს ყმაწვილთან და ეტყვიან: „მზე გინდა, თუ მთვარეო?“ ერთი ამომრჩეველთაგანი დაასახელებს ან მზეს, ან მთვარეს და ამ ნაირად ერთი ერთ ამომრჩევლისაკენ წავა და მეორე — მეორეს დარჩება. ამ ჩიგად განაგრძობენ ბოლომდინ, სანამ ყველა ყმაწვილები არ იქმნებიან ამორჩეულნი.

ახლა რომელმა დასმა უნდა დაიწყოს პირველად გახტომა, ამაზე დაიწყებენ ლაპარაკს და გაათავებენ იმითი, რომ ჩეირს, ან რგვალს და პრტყელს პატარა ქვას აისვრიან ზევით. ჩეირის ან ქვის შხარეები თვითვეულს დასს დანიშნული აქვს. რომელი დასის დანიშნული გვერდი ანასროლის ჩეირისა ან ქვისა ბინაზე ზემოღამ მოექცევა, დაწყებაც იმ დასის ხვედრია. ერთი ამ პარტიის ყმაწვილი დანიშნულის აღგილიდამ (გარდ) დაიწყებს და შეუსვენებლად გააკეთებს ორს ნახტომს. სადაც ეს გაჩერდება, იქიდამ განაგრძობს ამავე რიგად ხტომას მისი ამხანაგი და ამ ნაირად, სანამ ეს დასი არ გაათავებს. იმ აღგილს, სადაც მიაღწია დამწყებმა დასმა, დანიშვნენ.

ამის შემდეგ მეორე დასი დაიწყებს გახტომას. თუ პირველის დასის ნახტომს — (სიგრძით) გასცილდა, მაშინ ეს დასი არის ნაჯობნი, თუ ვერ მიაღწია, — მაშინ წაგებულია. წაგებულს მხარეს მიაღება შემდეგი დასჯა: ნაჯობნი დასის ერთი ყმაწვილთაგანი, თითქმის ყოველთვის სხვებზე უფრო ღონიერი — პირდაღმა დაწვება მიწაზე, აქედ-იქით იღლიებში ამოიდებს თითო ფეხს ორის წაგებულის ბავშვისასა. ამ დროს ერთი ნაჯობნი ყმაწვილთაგანი მივა ფეხებით დაკავებულ ყმაწვილებთან, თავის ხელს მათს ხელზე დაარტყამს ისე, რომ არ დაიჭირონ, და შემდეგ გასწევს, რაც შეუძლია პირ-უკულმა, ე. ი. ზურგისკენ გაიქცევა.

ამ დროს ფეხებ-დაჭერილი ორი ყმაწვილი ცდილობს მალე გაუსხლტნენ დამჭერს, რომ დროზე დაეწიონ უკუ-გაქცეულს ყმაწვილს. მწოლარე ყმაწვილი კი თავის-თავად ყოველს ღონეს ხმარობს ეს ორი ყმაწვილი ხანგრძლივად შეაკავოს, რომ ამითი დრო მისცეს უკუ-მქცევს თავის დასის ყმაწვილს. შემდეგ რამდენიმე ნნის მითრევ-მოთრევის და მიხოხ-მოხოხებისა მიწაზე, ან თოვლზე მწოლარე ყმაწვილი იღლება და მას იღლიებიდამ უსხლტებიან ორი ყმაწვილი, რომელნიც გარბიან უკუ-მქცევისკენ დასაჭერად. იმ ადგილიდამ, სადაც ეს ორი ყმაწვილი დაეწევიან უკუ-მქცევს, წაგებულმა დასმა უნდა აიკიდოს ზურგზე ნაჯობნი პარტია და წამოილოს იმ ადგილამდე, საიდგანაც ხტომა დაიწყო.

II კილი კაჩხუშ ლისკვნე. ოთხ-ხუთ გოჭის სიგრძე ჩხირს წვერს გაუწვეტიანებენ. ამ ჩხირს ერთი ყმაწვილი ხელში დაიკავებს; დანიშნავენ ხტომის დასაწყობს ადგილს, რომელსაც „გარდს“ ეძახიან, როგორც ზემოდაც არის ნახსენები; შორიდამ ჩხირიანი ყმაწვილი გამოექანება „გარდისკენ“; აქ ცალს ფეხს დაპჰრავს და რაც შეუძლიან ცალივე ფეხით გადახტება. მეორე ფეხი უკან გადაღუნული უნდა ჰქონდეს ყმაწვილს და მიწას არ უნდა მიაკაროს. „გარდთან“, სადაც ფეხი დაპჰრა ყმაწვილმა ხტომის დროს, უნდა ჩადგას ცალი ფეხი და გაწვდენილის ხელით დაასვას მიწაზე, ან თოვლზე ჩხირი იქ, საღამდინაც მკლავი გასწვდება. შემდეგ ამავე სახით და რიგით მოპყვებიან დანარჩენი ყმაწვილებიც და ვინც გარდიდამ ყველაზე უფრო შორს დაასობს ჩხირს, ნაჯობნი ის ყმაწვილი იქნება.

III ლიბუდარალ. ორს თანასწორ გუნდად გაიყოფა ბავშების გროვა, დადგებიან მწკრივად, ჩაპკიდებენ ერთმანერთს სარტყლებში, ხელებს. ერთი გუნდი ერთის მხრით იწევს და იწევა, ეზიდება მეორეს, მეორე კი წინააღმდეგ მხრისკენ ეწევა და ცდილობს მიითრიოს პირველი გუნდი თავისკენ. მომრევი ნაჯობნია.

IV ლიჩირხალ. ჩარხი არის პატარა მარხილი, რომელიც მცი-
რე განსხვავების გარდა, ჰგავს რუსულს „санка“-ს. ყველა ყმაწ-
ვილს აქვს თავისი „ჩარხი“. ახალ-წლიდამ დამოკიდებული იმავე
წლის დიდ-მარხვამდინ, ყმაწვილები სოსიალობენ (კათასე) ჩარ-
ხებით დატკეპნილს თოვლზე. სასოსიალოდ, რასაკვირველია, ირჩე-
ვენ მოფერდობო ადგილს, სადაც ჩარხი ჩქარა დაექანება დაღმართ-
ში. ეს თამაშობა ძლიერ უყვართ ყმაწვილებს.

V ლიმხუვანალ. თანასწორად გაიყოფა ბავშების გროვა, რო-
მელნიც პატარა ნიჩებით არიან დაიარალებულნი. დადგებიან თოვ-
ლიანს მინდორში ერთი მეორის პირდაპირ და აყრიან ერთმანეთს
თოვლს ტანზე, ცხვირ-პირში. გამქცევი პარტია ნაჯობნია.

VI ლიმურყვამალ. გაშლილს ადგილს, სადაც თოვლი სქლადა
სქვეს, ყმაწვილები ამოიყვანენ თოვლის ზეინს, შაქრის თავის მსგავ-
სად. ორი ყმაწვილი თავიდგანვე შეუდგება მოგროვილის თოვლის
ტკეპნას; დანარჩენი ყმაწვილები ირგვლივ აყრიან თოვლს, რომ თოვ-
ლის ზეინი აამალლონ. სიმსხო სიმალლე თოვლის ზეინისა, ან პირ-
დაპირ რომ გადმოვსთარგმნოთ „კოშკისა“ (მურყვამ) ყმაწვილების
სიმრავლეზე, ღონეზე და თოვლის ბლომად ქონებაზეა დამოკიდე-
ბული. როდესაც თოვლის კოშკი იმოდენად ამალლდება, რომ ყმაწ-
ვილები ძირიდგან ველარ წვდებიან თავამდე თოვლს, მაშინ ორი
მტკეპნელი ძირს ჩამოვა; თოვლის კოშკს დაამრგვალებენ, გვერდებს
შეუსწორებენ. ამ კოშკს ხან ასე დასტოვებენ, ხან კი გულს გამოაც-
ლიან და შიგ ოთახს გამოსჭრიან დილეგად და სხვადასხვა.

VII ლიდშნალ. ყოველს ყმაწვილს 12 წლამდინ აქვს ხის ლე-
კური (დაშნა), რომელსაც იგი ინახავს წლიდამ-წლამდე, სანამ და-
ნიშნულს ხნოვანობას არ გადასცილდება. ნათლის ღების მომყოლ
ორშაბათს ღამით ბავშები ერთის სოფლისა დაიკიდებენ ამ დაშ-
ნებს და თავს მოიყრიან სოფლის ერთს უკაცურს სახლში. დილით
ადრე დგებიან, ჩამოივლიან სოფელს და ყოველს მოსახლისას მი-
დიან ერთად. სახლში შესვლისთანავე ყმაწვილები ამოიღებენ თა-
ვისებურს ქარქაშებისაგან დაშნებს და ურტყამენ სხვა-და-სხვა ავე-
ჭეულობას ოჯახისას, რომელიც კი ოჯახში ჩამოკიდებულია, — ერ-
თის სიტყვით მოქმედობენ ისე ჩქარა და აღელვებული, თითქო
ოჯახს იერეშით იღებენო. ხშირად ოჯახი იძულებულია ძალით გარე-
კოს კარში პატარა „მეორმარნი“, თუმცა ისიც ახსოვს, რომ ჩვეულე-
ბას პატივი უნდა სცეს.

VIII ლიფშვდანალ. ყმაწვილები დასდგამენ სამი-ოთხის საუენის
შიშორეზე რაიმე ნიშანს: ჩხირს, ქვას... თვითოეულად ყველანი ეს-

ვრიან ამ ნიშანს „მუჭუროს*“ თითოვერ. ვინც ყველაზე მეტს დააკი-
ლებს ნიშანს, მან უნდა დაუდგას დანარჩენს ყმაწვილებს, ნიშნად-
რაიმე საკუთარი ნივთი: დანა, ქუდი, მასრი და სხვა... ჩამორიგებით
ყველანი ესვრიან ამ ნიშანს, ვინც ამასაც სხვაზე მეტს დააკილებს,
მან უნდა დადგას საკუთარი ნიშანი. ამ ნაირად გრძელდება თამა-
შობა, სანამ არ მოეწყინებათ. ნიშნად დადგმული ნივთები ძვირად-
ლა დაუბრუნდება პატრონს მთლიანად: დანები დაიმტვრევიან, ქუ-
ლებს გახევს მუჭუროს წვერი და სხვა. მანძილი ნიშნის დადგმისა-
სხვა-და-სხვაა, კარგს დანას უფრო შორს დასდგამს პატრონი, მიწევ
მდარე დანას, ქულებსაც. ამგვარად ეს თამაში ყმაწვილს უვარჯიშებს-
მხედველობას ერთის წერტილისადმი და აგრეთვე იმ ხელს, რომლი-
თაც მუჭუროს ისვრის. ეს ვარჯიშობა პირველი ბიჯია შვილდისრი-
სა და შემდეგ თოფის სროლის შესასწავლად. ამ თამაშს მოზრდი-
ლებიც შეექცევიან ხშირად.

IX მურამულდი ქელა. რამოდენიმე ყმაწვილი ერთი მეორეს-
ჩაჰკიდებს ხელს ბეჭებში და ირგვლივ დადგებიან. ამათ ბეჭებზე-
დაადგება იმდენივე ყმაწვილი, რამდენიც ქვეით დგანან და ეგენიც
ერთი მეორეს ხელებს ჩასჭიდებენ ბეჭებში. ქვეშ მდგომნი დაიწყე-
ბენ აქეთ-იქით ნძრევა-სიარულს, მიხვევ-მოხვევას და სიმღერას.
სიმღერაში ემუქრებიან ზეით მდგომ ყმაწვილებს, რომ მათ ძირს
დაახეთქებენ; ზეითურები უშიშრობას უცხადებენ სიმღერითვე. ამ
დროს ქვედაურები იმ გვარად უხელთვენ ზედაურებს, რომ თუ ეს
უკანასკნელნი მარჯვედ არ არიან, გაითხლარშებიან მიწაზე. ეს და-
მოკიდებულია ქვედაურების მოხერხებაზე და ზედაურების სი-
მარდეზე.

X ლიხუნბუცალ. ვაკე ადგილს ყმაწვილები გამწკრივდებიან
რიგზედ და ამასთანავე წამოიხრებიან წინ ისე, რომ მათი ხელები
თავ-თავიანთ მუხლებზე იყოს დაყრდნობილი. თავში მდგომი ყმაწ-
ვილი დაიწყებს თავიდამ და ყველა დალუნულს ყმაწვილს თითო-
ეულად გადაახტება; ამას მოჰყვება უკან მისი მომდევარი, მას კი-
დევ სხვა და ასე ამ ნაირად ბოლომდე. როდესაც ყმაწვილი სხვას
გადაახტება, ვალდებულია დადგეს დალუნული იქ, საღაც ყმაწვა-
ლების წყება თავდება, რომ მასაც გადაახტენ სხვები. წინ მოხრილი
ყმაწვილები ერთი მეორისაგან უნდა იდგნენ არა უშორეს ერთის
ბიჯისა.

* „მუჭურო“ ერთ ნაირი რეინა-წამოცმული ჭოხია. რეინა ბოლოში წვეტიანიც
და ოთხ-კუთხედია, თავში ჭოხის ჩასარჭობი ადგილი აქვს. სიგრძით რეინა 6—14
გორია.

XI ლილჩე. ერთი ყმაწვილი დაჯდება მიწაზე და ფეხს მოირთხას, მოიკეცავს; მეორე — თავზე ერთ-ერთ ხელს დაადგებს და ისე დაადგება მცველად; დანარჩენი ყმაწვილები, რამდენიც უნდა იყვნენ, გარს შემოხვევიან და ცდილობენ მჯდომს ყმაწვილს დაარტყას ხელი. მცველი ყმაწვილი თვალებ გაფაციცებული უყურებს ყველას, ტლინკავს, ფეხებს იქნევს უკან, განზე, ედევნება ყმაწვილს, რომელიც უახლოვდება დასარტყმელად მჯდომს ყმაწვილს და ციბრუტივითა ტრიალებს, რომ ყმაწვილი დარტყმისაგან დაიცვას. დამცველის მოვალეობაა, შემოხვეულ ყმაწვილებთაგანს ვისმეს შემოჰკრას ფეხი იმ პირობით კი, რომ ხელი უთუოდ მჯდომ ყმაწვილის თავზე ჰქონდეს დაბჯენილი, დადებული და წიხლი მოარტყას ვისმე წელს ქვეით, წელს ზეით არ შეიწყნარება.

რომელ ყმაწვილსაც ამ გვარად მოხვდება მცველის ფეხი, ის ყმაწვილი უნდა დაჯდეს და მისი მცველობა უნდა იყისროს აქამდი მჯდომა ყმაწვილმა. ასე რიგად განაგრძობენ თამაშს, სანამ არ მოეწყინებათ. ეს თამაშობა ძლიერ გახშირებულია.

XII ლიყანსგუნალ. გამოსჭრიან ხოლმე თითქმის ერთ არშინის სიგრძე ჯოხს. ბოლოში ჯოხს გვერდზე მტკაველის სიგრძეს შემოალიან. ამ ჯოხს ეძახიან „ყარ“-ს. ამ ჯოხის სიმსხოს, სიგრძით სამა გოგიანს გამოსჭრიან კიდევ მეორე ჯოხსა, რომელსაც „ყანსგვ“-ს (აქედამ სახელწოდება „ლიყანსგუნალ“) უწოდებენ. ყმაწვილები ორ თანასწორ ჯგუფად გაიყოფებიან. დაწყების შესახებ კენჭის იყრიან, როგორც ნაჩვენებია ზემოღ I თამაშში. დამწყების ჯგუფის ერთ-ერთი ყმაწვილი „ყარს“ მარჯვენა ხელში (თუ ყმაწვილი მემარცხენეა — მარცხენაში) დაიჭირს, „ყანსგვს“ მარცხენაში, პირველს შემოჰკრავს ოონივრად მეორეს და გაისვრის შორს, რამდენსაც შეიძლებს. შემდეგ „ყარ“-ს მიაყუდებს კედელს, მოზრდილ ქვას, კუნძს, ან სხვა ამ გვარ რასმეს. მეორე ჯგუფი ამ დროს უყურებს საით მიდის „ყანსგვ“-ი და ცდილობს როგორმე დაიჭიროს. თუ ვერ დაიჭირეს, მაშინ „ყანსგვი“ უნდა ესროლოს „ყარს“; თუ მოახვედრა, ყმაწვილმა თავისი რიგი გაათავა, ესე იგი თამაშობას, სროლას თავი უნდა დაანებოს და სხვას, თავის ამხანაგს გარდასცეს. რამდენ სროლასაც მოასწრებს, ე. ი. ყანსგვის გასროლას, იმდენი რიცხვი (შელდ) ჰმართებს, ვალად აძევს მეორე ჯგუფსა. თუ მსროლელის ყანსგვი მოწინააღმდეგე ჯგუფმა დაიჭირა, მაშინ ყველა მისი ნასროლი უქმად ჩაიგლის, ე. ი. თითქმის სულ არ ესროლოს ყმაწვილს. როცა ყმაწვილი სროლას გაათავებს, მაშინ მეორე მისი ამხანაგი დაიწყებს, მერე მესამე... და ასე სულ ბოლომზინ. თითოეულ ყმაწვილის ნასროლს ერთი მეორეს უმატებენ და

ამ ნაირად შესდგება საზოგადო ჯამი ერთის ჯგუფის მსროლელ ყმაწვილებისა. ვსოდევათ დამწყებმა ჯგუფმა ასჯერ გაისროლა „ყანსგვი“-ი. მაშინ ამბობენ, რომ მეორე ჯგუფს ჰმართებს პირველისა „ყანსგვი“-ო. ახლა უნდა დაიწყოს სროლა მეორე ჯგუფმა. თუ ამ უკანასკნელმა ვალი გადიხადა, ე. ი. მოასწრო ასჯერ ყანსგვის სროლა და კიდევ გადამეტა, მაშინ ეს ჯგუფი მჯობნია და პირველმა უნდა შეისვას ზურგზე და დანიშნულს მანძილზე უნდა ატაროს; თუ ვერ გაისტუმრა ვალი, ე. ი. ასი სროლა ვერ მოასწრო, მაშინ ეს უკანასკნელია მოვალე პირველი ჯგუფი ატაროს ზურგით.

XIII ლიჭლოვი. აიღებენ ორს ჯოხს; ერთს წინ დააგდებს ყმაწვილი გარდი-გარდმო, მეორეს ხელში დაიჭერს. ერთის ხელის სალოკ თითს ჯოხის თავს დააბჯენს, მეორე ხელით შუაში ჩაეჭიდება ჯოხს და დაატრიალებს ერთჯელ ან რამდენჯელმე, მანამ ხელში დაჭერილ ჯოხს დაგდებულ ჯოხს არ მოარტყავს და წინ არ გადაისვრის. მერე ამ ჯოხს გაისვრიან და რა ადგილამდიც ეს ნასროლი ჯოხი გასრიალდება, იმ ადგილს უნდა წაიღონ დაგდებული ჯოხიც. ასე მეორეთ, მესამეთ და სულ, სანამ მსროლელი ჯოხებს ერთმანეთს არ დააცილებს. მსროლელი კი სულ ერთს ადგილს უნდა იდგეს წინ უწეველად, სანამ თამაშს არ გაათავებს. შემდეგ განაგრძობს თამაშს დამწყების ჯგუფის მეორე ყმაწვილი იმ ადგილიდამ, სანამდიც მან ე. ი. პირველმა მიიტანა ჯოხი სრიალით: დასადგომი მანძილი — კი ყველა ბავშებისათვის ერთი და იგივეა, რაც უნდა ჯოხი შორს გასრიალდეს. როდესაც ერთის ჯგუფის ბავშები გამოილევიან, მაშინ დაიწყებს მეორე ჯგუფი. რომელი ჯგუფიც უფრო შორს გაასრიალებს ჯოხს, მჯობნიც ის არის. სასჯელი ზურგზე აკიდებაა მჯობნელთა და მათი ტარება.

XIV ლიგარბზუნალ. იმ მანძილზე, სადამდინაც ყმაწვილს თავი-სუფლად შეუძლიან მოდიდო რიყის ქვა მიუწიოს ერთის ხელით, დასდგმენ ერთის მეორეს პირდაპირ ორს ბრტყელს ქვას. ბავშების ერთი ჯგუფი მეორისას ესვრის ქვას და უნდა მოარტყას ნიშნად დასმულს ქვას. მეორე ჯგუფიც ამ ნაირად უხდის მაგიერობას. რომელ ჯგუფის ქვასაც მომეტებული რიცხვი ქვებისა მოჰკვდება, იგი წაგებულია და ნაჯობნი ჯგუფი უნდა ატაროს ზურგით.

XV ლიბულთალ. ბურთს აკეთებენ ყმაწვილები პირუტყვის ბალნისაგან. თუმცა ბურთის თამაში უყვარდათ აქ, მაგრამ ისე კი არა, როგორც მაგალითად იმერეთში. დიდებში სულ არ არის შემოღბული ბურთის თამაში. ამის მიზეზი, ჩემის აზრით, ადგილის უსწორ-მასწორობა უნდა იყოს. გაშლილს ვაკეებს მარტო აქა-იქა შეჰვდებით სვანეთის სოფლებში.

XVI ლიჩირჯიკალ. „ჩირჯიკი“ (ბზრიალა, ვოლცოკ) საყვარელი სა-
თამაშოა სვანების უმაწვილებისა. გაზაფხულის და განსაკუთრებულ
შემოღვომის ყინვები წყლების ნაპირად ძლიერ ხელს უწყობნა. ყმაწვი-
ვილებს ამ თამაშობაში.

XVII ფაყვა ლიკედ. დაბალ ქუდს დააგდებენ მიწაზე, მოვა ყმაწ-
ვილი, ხელებს ზურგზე დაიწყობს და მაგრად ერთმანეთს ჩასჭიდებს.
ყმაწვილი ქუდის ახლო დადგება, ცალ ფეხს ასწევს და ცალ ფეხზე
მდგომი დაიღუნება წინ ქუდის ასაღებად კბილებით. ვინც ამ ნაი-
რად ქუდს აიღებს, მარჯვე ყმაწვილად ითვლება.

XVIII. ყმაწვილი დაჭდება მიწაზე ისე, რომ მუხლები და ფე-
ხები ერთი მეორეზე ჰქონდეს მჭიდროდ მიდებული. ორივე ხელებს
წვივებთან შემოახვევს მუხლებს. ხელის თითებს ერთმანეთში გაუყ-
რის. მუხლებ ქვეშ ყმაწვილს ჭოხს გაუყრიან გარდი-გარდმო, ხელები,
ე. ი. მელავები ჭოხ ქვეშ ამოექცევა ყმაწვილს და მუხლები ზემოთ.
ხელების ცერებს ერთი მეორეზე მიუკვრენ ბაწრით, თასმით ან
სხვა რითიმე. თუ ესრედ ხელ-ფეხ შებოჭვილი ყმაწვილი რამოდენ-
სამე ბიჯს გადასდგამს, სიმარჯვედ ჩაეთვლება. ძნელი ასასრულე-
ბელი კია ეს თამაშობა.

1886 წ.

სვანერი ლეგენდები ანუ სვანების ამაოღ—მორჩეულებანი

I

ქვეყნის გეპანა

უწინარეს ყოვლისა ქვეყნიერობა წყლით იყო მოცული. ღმერთი—შემქმნელი (მუფლეგენი — მსახველი) ქვეყნისა იმ ღროს იმყოფებოდა „სამყაროს“ კლდეში (სამყაროა კოჯ.). ერთს დღეს იგი გამოხტა სამყაროს კლდითგან და ჩატანა წყალში; წყალში მას შესცივდა, შეკრთა და ორი ცრემლი გადმოუვარდა თვალთაგან. ეს ცრემლები გადაიქცნენ მიქელ-გაბრიელ მთავარ-ანგელოზებად, რომელთაგან პირველი მუდამ მარჯვნით უდგას ღმერთსა და მეორე — მარცხნით. ღმერთი ძირსა და ძირს მიღიოდა წყალში და ირჩვებოდა ამ ღროს მიქელ-გაბრიელ მთავარ-ანგელოზები იღლიებში ამოუდგნენ და ღმერთი ზევით ასწიეს. სამთავე ამათ წყალი როგორმე უნდა მოესპონ და ხმელეთი აღმოეჩინათ. მათ ეს ხერხი იხმარეს: უბერეს წყალს სამთავემა და როგორც იყო, ზღვის უფსკრულს ჩავიდნენ და აქ სილაზე ფეხი მოიკიდეს. იქვე ვიღაცას ნავალი, კვალი ნახეს. ღმერთმა ბრძანა: მოდი ამ კვალს მივსდიოთ, ვნახოთ სად წაგვიყვანს და ვისიაო. ანგელოზები დათანხმდნენ გაჰყვნენ ამ კვალს, რომელმაც „ლურჯი“-ს ქვის ქვეშ მიიყვანა (ირუ ბაჩ). ასწიეს ქვა; ქვეიდამ გამოხტა სამოელი¹ (საამალ), ეცა ღმერთს ყელში და დარჩობას უპირებდა. ღმერთი შეწუხდა, ანგელოზებს შველა სთხოვა, მაგრამ სამოელს ვერც ამათ გააშვებინეს ღმერთი. მეტი გზა აღარ იყო, ღმერთმა ასე სთხოვა სამოელს:

¹ სამოელი — ერთი მთავარი ეშმაკთაგანია.

— ოღონდ გამიშვი და რაც გინდა მთხოვეო.
სამოელმა მიუგო:

— სხვა არაფერი მინდა, მხოლოდ მიძმეო.

ღმერთი ყაბულს გახდა, სამოელმა ხელი უშვა და თაგის გზაზე
გასწია. ღმერთი და ორი ანგელოზი აქ დარჩენენ. შეუდგნენ წყლისა
და ხმელეთის ერთის მეორისაგან გაყოფას, მაგრამ ვერაფერი გააწ-
ყეს. აშენებდნენ კედელს წყალსა და ხმელეთს შუა, წყალი მოაწვე-
ბოდა კედელს, დანგრევდა და ხელ-ახლად მოედებოდა ხმელეთს.
შეწუხდნენ სამნივე, ხედავდნენ, შრომა ფუჭად მიდიოდა; არ იცოდ-
ნენ, რა ექნათ. მიქელ-მთავარ-ანგელოზმა უთხრა ღმერთს:

— წავალ შენს ძმა სამოელთან, — ეგებ იმან რაიმე ხერხი გვას-
წავლოსო. ღმერთი ნებას დაჰყვა; ანგელოზმა სამოელთან გასწია
და უამბო მისვლის მიზეზი. სამოელმა მართლა ასწავლა ნამდვილი
ხერხი:

— გარდაცი ჩემს ძმა ღმერთსაო, — უთხრა სამოელმა მთავარ-
ანგელოზს, — რომ რამდენიც შეიძლოთ იმდენი ჰთალეთ ქვა სამ-
თავემ, აშენეთ კედლები და მერმე ისევ ანგრიეთ. ეს კედლების შე-
ხება-ნგრევა გაიმორეთ ბევრჯერ და როცა ეს მოგბეზრდეთ, ორი
საყვირი გაჭედეთ, ერთი-მეორეს მიაბჯინეთ და თქვენ ორმა ანგე-
ლოზებმა ჰპერეთ შიგ სული, რაც შეიძლოთ. როდესაც თქვენ ორნი
საყვირის ბერვით დაიღალოთ, მაშინ თვით ღმერთმა, რაც ძალი და
ღონე ჰქონდეს, ისე დაიყვიროს მაღლა ხმითა. ამის შემდეგ ხმელეთი
წყლისაგან განთავისუფლდება: ხმელეთი თავისთვის დარჩება და
წყალი თავის ადგილს დაიჭერს.

მიქელ მთავარ-ანგელოზმა ხერხის სწავლებისათვის მაღლობა
გადაუხადა სამოელს და დაბრუნდა ღმერთთან, რომელსაც ყოველი-
ვე უამბო, რაც სამოელმა უთხრა. ამათ ყოველივე ასრულეს, რაც-კი
სამოელმა სთქვა, ე. ი. შეუდგნენ ქვის თლას, კედლების რამდენ-
ჯერმე შენება-ნგრევას; ორი საყვირი გაჭედეს, უბერეს სული, ნა-
ნამ შეიძლეს; უკანასკნელად ღმერთმა ხმა-მაღლა დაიყვირა და
შემდეგ ყველა ამისა წყალი თავისთვის წავიდა და ხმელეთი გამოჩ-
ნდა. შემდეგ წყლისა და ხმელეთის გაყოფისა, ღმერთმა შვიდის-
დღის განმავლობაში გააჩინა ყველა ცხოველი კაცითურთ. პირველი
კაცები იყვნენ ევა და ადამი. ღმერთმა მიწა ამოიღო, ჩაბერა სული
და გაჩნდნენ ევა და ადამი ორივე ბრძანი. მიქელ-მთავარ-ანგელოზმა
დაუნიშნა მათ სამყოფი ალაგი და დაუბარა, რომ სანამ მე არ მოვი-
დე, მანამ არავის არაფერი გაუგონოთ და გასწია თავისთვის. ევა
და ადამი მარტო დარჩენენ. ამ დროს მოვიდა მათთან სამოელი თხის
სახით და უთხრა: რას გაჩერებულხართ, აი თქვენს ახლო ვაშლის-

ხეა, აცოცდით მასზე, სჭამეთ მისი ნაყოფი და თვალ-ხილულნა იქმნებოთ. ეგამ დაუჯერა, აცოცდა ხეზე, მოსწყვიტა ვაშლი, ჩაკბიჩა და მერმე აღამს გარდასცა. ორთავეს თვალები აეხილა და—დაინახეს რა თავისი სიტიტვლე — შერცხვათ. რამდენისამე ხნის შემდეგ მოვიდა მიქელ-მთავარ-ანგელოზი, დაუძახა ევას და აღამს, მაგრამ იგინი ვერ ეჩვენენ, რადგანაც ტიტველ-შიშველნი იყვნენ. ანგელოზი მიხვდა, რაში იყო საქმე; უთხრა, მოგეცადნათ თქვენთვის სჯობდაო და თავი დაანება. მას შემდეგ გამრავლდა ევა-აღამის ნათესავი იმ ფერად და სახით, როგორადაც ეხლა ვხედავთ. აღამსა და ევას რომ სამოელისათვის არ გაეგონათ და ვაშლის ჭამა არ დაეწყოთ, მათი შთამომავლობა ბეღნიერი იქნებოდა; სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა უშრომლად ექმნებოდა (სვანებს ძლიერ მოსწონთ მზა-მზარეული სმა-ჭამა); დედაკაცს შვილის შობა სრულიად არ გაუჭირდებოდა. შემდეგ ამ ამბისა სამოელმა ღმერთთან გასწია და როგორც ძმამ წილი სთხოვა. ღმერთმა უარი უთხრა.

მაშ რად მიძმეო, უთხრა სამოელმა ღმერთს: სხვას თუ არას მომცემ, „საფიცარი“ მაინც მომეციო.

ეს „საფიცარი“ ისეთი რამ იყო, რომ რასაც კაცი ღმერთს შესწირავდა, ან მიცალებულს უკურთხებდა, ყველა მას მოუვიდოდა, ეინც საფიცარის პატრონი იქმნებოდა. ღმერთმა საფიცარი მისცა სამოელს; უკანასკნელმა იგი ჩაჰყლაპა და ჭოჭოხეთს გასწია. გავიდა დიდი ხანი, დაიბადა ქრისტე.

რაც ქვეყნად სულდგმული იყო კაციდგან მოკიდებული ქვეშარ-მავალამდე, ყველა თან იახლა და ჭოჭოხეთს წავიდა. იქ სამოელი დაუხვდა. ქრისტე დანახვისთანავე ეცა სამოელს ყელში, ხელი წაუჭირა და „საფიცარი“ პირიდგან ამოაგდებინა. სამოელს ეს ეწყინა და რომ სამაგიერო გარდუხადოს ქრისტეს, ისე დააბნელა ჭოჭოხეთი, რომ ქრისტემ და მისმა მხლებლებმა ორი თთვე ჭოჭოხეთიდამ გამოსასვლელს გზას ვერ მიაგნეს. შეწუხდა ქრისტე, მიუბრუნდა თავის მხლებელთ და სთხოვა ყველას — ეგება ვინმემ კარს მიაგნოთო. ვაბოჩნდა ერთი კაცი, რომელსაც ჭოჭოხეთში შესვლისას თავისი ვირი კარებთან დაება. ეს ვირი პატრონის ხმას ყოველთვის იცნობდა და მის ძახილზე ხმას გამოსცემდა ხოლმე. ამ კაცმა უთხრა ქრისტეს, მე გაგიყვან ჭოჭოხეთიდგან, თუ კარგს საჩუქარს მომცემო. ქრისტე თავის წონა ოქროს დაპირდა გაყვანის შემდეგ. კაცმა თავის ვირს გასძახა, მან ხმა გამოსცა; კაცი ვირის ხმას მიჰყვა, უკან ქრისტე და მისი მხლებელნი მისდევდნენ და ამ ნაირად ყველანი გამოვიდნენ ჭოჭოხეთიდგან.

ქრისტე მიუბრუნდა ამ კაცს და უთხრა: აბა შენი საჩუქარი მიიღო—
ლეო. ჩემ წონა ოქროს არა გთხოვო და ეს ამისრულეო: უბიძამ
გამოიღო კაცის გული, მიწაზე დააგდო და სთხოვა ქრისტეს: ეს
გული დამიფარე ოქროთი და მეტი მე არაფერი მინდაო. ქრისტემ
გულზე უანგარიშო ოქრო დააყარა, მაგრამ გული მაინც ვერ დაპფა-
რა: რამდენსაც მეტს იქროს დააყრიდა ქრისტე, იმდენჯერ გული
ზევით ხტებოდა. ქრისტეს მხლებელთაც თითო-თითო მუჭი იქრო
დააყარეს, მაგრამ მაინც ვერ დაპფარეს გული. ამ დროს გამოვიდა
ერთი კაცი, აიღო ერთი მუჭა მიწა და გულს დააყარა. გული მაშინ-
ვე მოკვდა და გაჩერდა. მას აქეთ გაჩნდა კაცის სიკვდილი და კიდე-
ვაც იმიტომაა ნათქვამი: „კაცის გულს შავი მიწის მეტი ვერაფერი
გააძლობსო“ (მარემი გვის მეშხა ვერსერ დესამა აბზე). ქრისტესა და
მის მხლებელთ ჯოჯონხეთიდამ გამოსვლის დროს სხვათა-შორის
თავს გამოჰქონდა წმ. პურის თაველი ანუ თავ-თავი. გზაზე თავს
კატა დაეწია და ერთი მეოთხედი ნაწილი წააგლიჭა თაველს; დაე-
წია მეორედ — მეორე მეოთხედი წააგლიჭა, მესამედ—მესამე და
მეოთხედ რომ უნდა დაპწევნოდა, ეცა კატას ძალლი და იქვე წაარ-
ჩო. წმ. პურის თაველი რომ კატას მთლად გამოეტანა, კაცს მუ-
დამ ბლომად ექმნებოდა წმ. პური. ამ დანაშაულობისათვის კატას
წმ. პური არ ეჭმევა, აკრძალული აქვს, ძალლს კი ეჭმევაო. ეს
ჩვეულება დღემდე შენახულა სვანეთში.

II

ვ ა რ ი ა ნ გ ი

ღმერთმან შექმნა პირველად ცა. ცას აწვიმა ექვსი დღე; რამდე-
ნი ცვარიც ჩამოვარდა ციდამ ექვსის დღის განმავლობაში, იმდენი
ანგელოზები გაჩნდნენ, რომელნიც ცაზე აიყვანა. ცისა და ანგელო-
ზების შემდეგ ღმერთმა შექმნა ქვეყანა და ბოლოს ევა და ადამი.
ესენი ღმერთმა ერთს კიდობანში ჩასვა და უბრძანა, რომ მის მოს-
ვლამდე არავისთვის არაფერი გაეგონათ; დარაჯად მგელი დაუყენა
და თვითონ ცად ავიდა. მას თვისი შექმნილი ანგელოზები არ მიე-
კარნენ; ეწყინა მათი ურჩობა, ყველანი მიწაზე ჩამოყარა და ეშმაკე-
ბად აქცია. ერთი ამათგანი გველს შეუძვრა მუცელში და შეაცდინა
ევა და ადამი. ადამი და ევა რომ არ შემცდარიყვნენ, ღმერთი უპირებ-
და ამ გვარად დალოცვას: სასმელ-საჭმელი ყველ გვარ გემოვნებისა
კაცს ციდამ უნდა მოსვლოდა; დედა-კაცს შვილი იღლიიდამ უნდა
ეშობა და ისე ადვილად, რომ დედა შვილის ყოლას მარტო იმითი

გაიგებდა, რომ მეორე დღეს ახალ-შობილი ძუძუს მოსწოვდა. ადამი
და ევას და მათს შთამომავლობას კიდევ ეშველებოდათ რამე, რომ
მეორედაც არ განერისხებინათ ღმერთი. სახელდობრ, როდესაც ეფა
დაორსულდა, ლოგინობის დროს ძალიანა სწუხდა და ტიროდა. ევას
ამ გვარ მდგომარეობამ ადამი ერთობ შეაწუხა და ნატრულობდა:
ნეტავი ევას ამ მწუხარებისაგან ვინმე იხსნიდეს და რასაც ვინა
მთხოვს, ავუსრულებო. ამ დროს იქვე გაჩნდა სამოელი და უთხრა
ადამს: პირობა მომეცი, რომ სანამ „უბადებელი“ არ დაიბადოს და
„უკვდავი“ არ მოკვდეს (ოდუთვა დო ანთანენს, უდგარა დო ად-
განს), მანამ შენი შთამომავლობა ჩემ ხელთ იყოსო. ადამმა ამისი
პირობა მისცა. ამ ნაირად ევა-ადამის ნათესავი სამოელის ხელში
ჩავარდა. ეს ამბავი ღმერთმა გაიგო და ეწყინა. დაუძახა თავის ან-
გელოზებს, თათბირი ჰქნეს და გარდასწყვიტეს ქრისტეს დაბადება,
როგორც „უბადებელისა“ და „უკვდავისა“. დაიბადა ქრისტე და
ეშმაკის ბატონობა დაირღვა. ქრისტე სცხოვრობდა ქვეყანაზე თორ-
მეტი წელიწადი.

III

ს ა მ თ ე ლ ი

ღმერთი, მიქელ და გაბრიელ მთავარ-ანგელოზები ქვეყნად და-
ლიოდნენ. მიწის კანი მაშინ ისეთი ფუმფე და რბილი იყო, რომ მუ-
ხლებამდი მიწაში იფლებოდნენ, თუმცა სამთავეს თხილამურები
ჰქონდათ ფეხებზე. დედა-მიწაზე სიარულის დროს ამათ წინ რგვალი
ქვა მიუძლოდათ. ღმერთმა სთქვა, — გაგვიჭირა საქმე ამ ქვამ, მოდი
გავხეოთქ. ანგელოზებმა დაუშალეს ნუ, თორემ ვინანთო. ღმერთმა
ამათ არ გაუგონა, ჰქირა ქვას ფეხი და გახეოთქა. ქვითგან სამოელი
გამოვარდა, ღმერთს ყელში ეცა და დარჩიბას ლამობდა. ღმერთი
შეწუხდა, ოღონდ გამიშვი და რაც გინდა მთხოვეო. სამოელმა უთხ-
რა: ან საწუთო სოფელი მომეცი, ან საუკუნოო. ღმერთმა საუკუ-
ნო სოფელი დაუთმო. სამოელმა ხელი უშვა და წავიდა. ანგელოზებ-
მა უთხრეს ღმერთს—ცუდი საქმე მოვიქმედეთ, ამიერიდგან ყო-
ველის კაცის სული მაგის ხელში იქმნება; რასაც მიცვალებულს
უკურთხებენ, ყველა სამოელს მიუვა და რაკი ეს კაცებს ეცოდინე-
ბათ, ჩვენ ვინდა გვადიდებს და ან რისოვისაო? მოდი — სთქვეს
ანგელოზებმა — დავეწევით და ვეტყვით, — როცა ღმერთს შვილი
ეყოლოს, მაშინ საუკუნო სოფელიც მას დაუთმეო.
ღმერთს მოეწონა ეს რჩევა. ანგელოზები სამოელს გამოეკიდნენ,
დაწინენ და დაუძახეს:

— სამოელ! როცა ღმერთს შვილი ეყოლოს, საუკუნო სოფელი ისევ მას დაუბრუნე.

— ჰმ! თუ კი ღმერთი შვილის ყოლის იქადრებს, მაშინ საუკუნო სოფელი ღმერთმა მიუგო სამოელმა.

ანგელოზები ისევ ღმერთთან დაბრუნდნენ და თავიანთ გზაზე გასწიეს. გზაზე წყარო შეხვდათ, რომელზედაც „მარიამი“ (ღვთის მშობელი) რაღაცას პრეცედა. მთავარ-ანგელოზმა უთხრა ღმერთს: მოდი ჩემს მუჭში შენი სული ჩაპბერე, მე წავალ და მარიამს ჩავუგუბავ პირშით. ღმერთმა დაუჯერა. ანგელოზმა ღვთის სული მუჭით მიიტანა მარიამთან და პირში ჩაუგუბა. მარიამმა მაშინვე დაორსულება იგრძნო; მოვიდა შინ, დედას შესჩივლა. დედამ ამბავი გამოჰკითხა და, როცა საქმე გაიგო, მარიამს უთხრა: ფრთხილად იყავიო. მარიამი ორსული გამოდგა და შვა ქრისტე. როდესაც ქრისტე გაიზარდა, ხალხში სიარული დაიწყო. ხალხს ქრისტეს მოკვლა უნდოდა, რადგან უიმისოდ, ე. ი. თუ ქრისტეს არ მოჰკლავდნენ, ყოველი კაცი წაწყმედილი იქმნებოდა. ხალხს მოკვლა უნდოდა და მხოლოდ ის უშლიდა ხელსა, რომ ქრისტეს ვერავინ ვერ გამოიცნობდა ხოლმე, რადგანაც მუდამ სხვა-და-სხვა ტანისამოსს იცვამდა. ერთმა კაცმა, რომელიც დაძმის შვილი იყო, სთქვა, ქრისტეს მე გამოვიცნობო. სოფლობაზე მე ღვინოს ჩამოვარივებო. და როცა ქრისტეს მივუტან, არ გამომართმევს, რადგანაც მე ცოდვის შვილი ვარო და ამითი ვიცნობთო. ასეც მოიქცა. როდესაც ქრისტეს ღვინო მიუტანა, არ გამოართო. ამით იცნეს ქრისტე, დაიჭირეს და ჯვარს აცვეს. ჯვარზე მისაჭედავად ლურსმები შეუკვეთეს მჭედელს; მჭედელმა ორი ლურსმანი მეტი მოჭედა და ამიტომაც ყველა მჭედლის სული წაწყმედილია. სიკვდილის შემდეგ ქრისტე ჯოჯოხეთს მივიდა სამოელთან და ყველა სული გამოიყვანა იქიდგან, გარდა „მაქას“¹ სულისა.

სამოელმა გააშენა სვანეთი. ქრისტე მიდიოდა სვანეთში ვენახის გასაშენებლად, მაგრამ სამოელმა მიასწრო იქ მისვლა და როცა იქიდამ უკან მოდიოდა, შეჰქვდა ადგილს „აშარას“, რომელიც მდებარეობს 10 ვერსის სიშორეზე სოფ. ცაგერიდამ. აქ, ცხენის წყლის პირად, ზედ გზაზე გდია დიდი და ბრტყელი ქვა. ქვაზე, — თითქოს განგებ ამოკრილიათ, — ამჩნევია კაცისა და ჯორის ფეხი. ყველა სვანი დარწმუნებულია, რომ ეს სახე კაცისა და ჯორის ფეხისა სწო-

¹ როდესაც შეკრებილებაში ვინმე უცებ განქრება, მიიმალება სადმე, ან ვისმე ამბავს დიდს ხანს ვერავინ შეიტყობს, მაშინ სვანები ამბობენ: „ხამა მაქა ქვინ აშ ათგაფ“ (დაიკარგა, როგორც მაქას სული). მაქა ქართულად — მაკა, ქალის სახელია.

რედ ქრისტესი და იმის ჯორის ნაკვალევია. გავლა-გამოვლის დროს მოგზაური სვანი აქ პირ-ჯვარს იწერს ხოლმე. სვანების რწმუნებით, სვანეთს მიმავალი ქრისტე და იქიდგან დაბრუნებული სამოელი სწორედ ამ ადგილას შეჰვდნენ ერთმანერთს. ქრისტემ აქამდე მოსვლის ნიშნად ფეხი დაარტყა ქვაზე და ჯორისაც უბრძანა, ქვას ფეხი დაჰკარიო. სამოელმა დააჭერა ქრისტე, რომ სვანეთში ვენახი მე გავაშენეო და აჩვენა კიდეც კვაწახური: აი, ამ გვარი ვენახი გავაშენეო.

— ამაზე უფრო წითელი ვენახი არც მე გამიშენებიაო, სთქვა ქრისტემ და დაბრუნდა უკან; მაგრამ გულმა ვერ მოუთმინა, პირი სვანეთისაკენა ჰქინა და სული დაჰბერა იქითკენ; ამ სულმა სოფ-ლენტეხამდე მიაღწია და ლენტეხში კიდეც იმიტომ ხეირობს ვენახი.

ამ ნაირად სვანეთი მოაკლდა ვენახს სამოელის წყალობით. როცა კაცი წაწყმედას შეუთვლის სამოელს, ცხონებად მიუვათურმე, როცა ცხონებას — წაწყმედად. სამოელის სამყოფი აღგილი უფრო განათლებულია, ვიდრე ქრისტესი და ამიტომაც მომეტებული ნაწილი კაცთა სულებისა სამოელთან მიისწრაფება, მასთან ურჩევნიათ. უკანასკნელ დრომდე, როდესაც პაპებმა გავლენა და მნიშვნელობა დაჰკარგეს ხალხში და მთავრობამ აუკრძალა თავისებური ღვთის-მსახურება, ხალხი აღდგომა დილას ორს კაცს ამოირჩევდა ხოლმე. ერთს ამათგანს ეკვლესიის ბანითგან საჯაროდ უნდა ედალადნა ქრისტეს აღდგომა, მეორეს კი, რომელიც უნდა ყოფილი ეშმაკი, ცულლუტი, მოხერხებული — სამოელობა უნდა გაეწია; პირველი ამათგანი ავიდოდა ეკვლესიის ბანზე, და გაჭიანურებით-ხმა-მაღლა წარმოსთქვამდა რამდენჯერმე შემდეგს:

დიდება (შენდა) დამბადებელო, დიდება!
ქრისტე ალსდგა მკვდრეთითა,
გესმოდეთ, ცველამ გეიგონე(თ)
კაცთა ადამიანთა,
კათხნამ-კუთხნამ (ოთხთა-კუთხეთა) ქვეყნისათა.
ფრინეველი (ფრინველნო) ცისანო,
ნადირი (ნადირნო) მკლდისანო,
თემზნი (თევზნო) ზღვისანო,
ტყეთა და ველთა (გესმოდეთ),
ჭეჭთა (ჭეჭილი) და მოყანათაო,
პირუტყვთა და პირ-მეტყველთაო!

შეორე სამოელის მაგიერი პაპის და ხალხის შესვლამდე ეკალე-
სიაში შევიდოდა და შიგნითგან კარს მოაწვებოდა, პაპი და ხალხი
გარედგან მიაწვებოდნენ კარს და ძალით შეაღებდნენ სამოელის
წარმომადგენელი ამ დროს ტრაპესში გაიქცეოდა და თუ ვინმე
შესვლამდე მოასწრებდა, უნდა ჭილი ჩაერტყა, ეს მოთხოვნილება
იყო ჩვეულებისა.

IV

მზე და მოვარე

მზეზე უწინ ქვეყანას სხვა რამ ანათებდა. ეს მნათობი ქვეყნად
იყო, რომელიც ერთხელ ღმერთმა ზეცას დაიბარა. ამ დროს ქვეყანა
დარჩა ბძელაში. უველა ცხოველი შესწუხდა. რამდენისამე ხნის
შემდეგ ცაზე გამოჩნდა ეს მნათობი, რომელსაც მზეს (მიუ) ვეძახით.
მიწიერი მნათობი სინათლე და სიობო ვერა ჰყოფნიდა ქვეყანას და
ამისათვის გაჩნდა მზე და მთვარე. მზე და მთვარე მამით ერთნი
არიან, დედით სხვა-და-სხვა, ხნით მთვარე უმცროსია მზეზე. ერთ-
ხელ ღმერთმა გამოუცხადა მზისა და მთვარის დედებს, რომ მათ
შვილებში ერთი დღის მნათობი, ე. ი. მზე უნდა ყოფილიყო და მე-
ორე ღამისა. მზედ ყოფნა უფრო კარგი იყო. ერთს დანიშნულს
დილას რომელი ძმაც მოასწრობდა ადრე ადგომას,—ის იქმნებოდა
მზე, მეორე მთვარე. დედებს გამოცხადებული ჰქონდათ ესა და აფ-
რეთვე ისიც, რომ მათ შვილების გაღვიძებაში არაფერი მონაწილე-
ობა არ უნდა მიეღოთ. დედებმა ეს შვილებს გარდასცეს. ორივენი,
ე. ი. მომავალი მზე და მთვარე ცდილობდნენ მზედ გამხდარიყვნენ.
იმიტომ რომ მე ავასწრობ ჩემს უფროსს ძმას დილა ადრიან ადგო-
მასაო, მთვარემ ეკალ-ჭინჭარი დაიგო ლოგინად და გვიანობამდე არ
დაუძინია. გათენებისას მთვარეს ძილი მოერია და ჩასთვლიმა. მზე
საღამოსვე დაწვა დასაძინებლად, გამოიძინა და დილას ადრე გამოე-
ლვიძა. მაშინვე გასწია ქვეყნის გასანათებლად. მზის დედას ძლიერ
გაუხარდა ეს ამბავი. მთვარეს იმ დრომდე ეძინა, როდესაც მისი დედა
საღილისათვის ცომსა ჰქელდა. მთვარემ რომ გამოილვიძა, მზე უკვე
ანათებდა ქვეყანას. დედას თავის მძინარე შვილზე გული მოუვიდა
და ცომიანი (ზოგან ამბობენ ზეთიანიო) ხელი ჩაჰურა ცხვირ-პირში.
მთვარეზე რომ დღესაც შავს ლაქებს (пятна) ვხედავთ — ეს
დედის ცომიანის ხელის ჩარტყმის შედეგია, ამბობს ლეგენდა. მზე
ღამე ზღვაში ჩადის, ზღვითივე მიემგზავრება აღმოსავლეთისაკენ და

დილას ცაზე ადის¹. საღამოს ზღვაში ჩასვენების დროს მზე იქნოდა აბნევს (აბლინდე). ამ დროს სამჯერ მზის სხივის „წაკრას“ (ნათხაპ) უძლებს მარტო კვერნა. თუ კაცმა ამ დროს კვერნის ტყავი ზღვაში ჩადგა, ტყავი ოქროთი დაიფარება. მთვარეს ერთი მხარე შავი აქვს, მეორე ბრწყინვალე. პირველს მხარეს დღითი გვაჩვენებს, მეორეს ღამე. მთვარის ჭკევა (ლიმხე—განახლება) ნამდვილად არავინ იცის. კალმახი ჰქედავს პირველს მთვარეს (ეშხვი მახ), ბაყაყი— მეორეს, კაცი — მესამეს. მზეს და მთვარეს მაღლი (ფერ) აქვთ.

V

სეტყვა, ქახილი, ნეიხა და თოვლი

სეტყვა² ბრმა არის. წინამდლოლად მას ეშმაკი ჰყავს მიჩენილი და დროგამოშვებით მოისურვებს ქვეყნად (სეტყვას ბინა ცაზე აქვს) გასეირნებას. სეტყვის საყვარელი სასეირნო ადგილები მთებია და ტელე-ღულები. როდესაც იგი ვამოუცხადებს თავის წინამდლოლ ეშმაკს, რომ გასეირნება მსურს, ეშმაკი კლდე-ყინულითგან აიტანს ზეცას აუარებელს რგვალსა და ბრტყელს ყინულის ნატეხებს (სეტყვა). წასვლის წინად სეტყვა სთხოვს ეშმაკს, სოფლების ახლო და ნამეტნავად ყანებზე არსად გამატაროვო; თვითონ სეტყვას როდი სურს, რომ ხალხს ნამუშევარი დაუსეტყვოს, მაგრამ ეშმაკი ატყუებს: განგებ გაუძღვება დათესილ ყანებში. ეშმაკი სეტყვას ჭერ მთა-ღელებში არონიებს და ბოლოს უთუოდ სოფელზე გაატარებს, რომ ნამუშევარი წაახდინოს. სეტყვას კი არწმუნებს, რომ მთა-ღელებში დავდივართ და ხალხს არავითარს ზიანს არ ვაძლევთო. სეტყვის მოლოდინის დროს ზოგიერთ სოფლებში შემდეგს შელოცვა-სიმღერას მმბობენ, რომ სეტყვა ავიცილოთო.

¹ ღამის ბინის შესახებ სვანური ზღაპრები არ ეთანხმებიან აქ მოყვანილს დაეგენდას. ზღაპრების სიტყვით, მზეს ზეცასა აქვს საკუთარი სპილენძის სახლი, რომელშიაც ითევს ღმენს. თვით მზე წარმოდგენილია, როგორც ცოცხალი არსება, რომელსაც აქვს ცაზე სხვათა შორის ბალები. ყოველ-დღე შეადლისას სადიღს მიართმევს. საღილი დანიშნულს დროს ყოველ-დღე მგელს მოაქვს. მზე თვითონ კი არ ანათებს, ანათებს მისი ტანისამოსი. საღამოს რომ შინ დაბრუნდება, ამ ტანისამოსს გაიხდის, დაკვეცავს და შეინახავს დილამდე. დილას ჩაიცვას და ქვეყანას გაანათებს. ზღაპრებისავე სიტყვით, კაცებს მზესთან მსვლელობა ცეკვნდათ და რასაცა სთხოვდნენ, მზე უსრულებდა.

² მე წარმოდგენილი აქვთ როგორც ცოცხალი არსება.

„კვარცვალო (9) ბედნიერო! ღელე-ღულე იარეო;
კოხის წინამძღომელო გვიშველე;
დამბადებელო გვიშველე,
გვიშველე შენის მაღლისათვის,
მთავარ-აზგელოზო გვიშველე“ და სხვა-და-სხვა.

ზოგიერთის აზრით: როცა ქუხილია, მაშინ ცაზე ღევები ჩხუბის დროს ერთმანეთს ეჯახებიან ხოლმე და მეხი კი ამ ღევების თოფიაო. ზოგს კი ისა ჰყონიათ, რომ ეშმაკები აგორებენ ცაზე სპილენძის ქვაბს და იმისაგან არის ქუხილიო.

აი თოვლი როგორ გაჩენილა:

სამი „შდავალი“ ყოფილა: ერთი სულ თეთრი, მეორე თეთრ-მუცელა და მესამე მთლად შავი. იმ ადგილებსა და ქვეყნებში, საითკენაც თეთრი „შდავალი“ გაფრენილა, თოვლი ძევს მუდამა და თუ მუდამ არა, დიდ-ხანს მაინც; რა ადგილებშიაც თეთრ-მუცელა „შდავალი“ გაფრენილა, იმ ადგილებში თოვლი მარტო ზამთრობით მოდის. საითაც შავი შდავალი — იქ კი თოვლი სულ არ იცის. თოვლი მუდამ ცაზე ძევს და რამდენიც უნდა ითოვოს, არ გამოილევა. ცაზეა აგრეთვე ტბები, საიდანაც წვიმა ჩნდება.

VI

ყვავილი და ნითელა

ყვავილი და წითელა ძმები არიან. დედა ცოცხალი ჰყავთ და სცხოვრობს ერთს მიუდგომელის და მაღალის კლდის თავზე, ზღვის პირად. დედა ღრო გამოშვებით ჰეზავნის თავის შვილებს ხალხში. ყვავილ-წითელას ადგილ-სამყოფი ძველის ძველად უნახავს ერთს კაცს. ძველად ერთი ოჯახი ზღვაში მოგზაურობდა თურმე ხომალდით. ზღვა აღელდა და ხომალდი დაიღუბა. დაიღუპნენ ისინიც, ვინც ხომალდში იყო, ერთის კაცის გარდა, რომელიც ზღვის ტალღამ კლდის ძირას მიაგდო და სიკვდილს გადაარჩინა. კაცი აჰყვა ამ კლდეს და როგორც იყო დიდის გაჭირებით ავიდა კლდეზედ. კლდის თავზე გაშლილი მინდორი დახვდა; იქვე გამოდიოდა მოზრდილი და ანკარა წყაროზე ტიტველი ქალი იდგა და სარეცხსა რეცხავდა, ეს

¹ „შდავალი“ ჩიტია, მერცხალზე უფრო პატარა ფრინველი. სვანეთში ზაფ-ზულობით მოდის და მერცხალივით თიხისაგან საბუღრებს იკეთებს კოშკების ყურებში. ეს ფრინველი იმერეთში არ მინახავს. ამ ჩიტს „შდავალ“ ჰქვიან და თოვას სვანურად „შდუვა“.

ქალი თოვლივით თეთრი იყო; ძუძუები უკან, ბეჭებზედა ჰქონდა გადაგდებული. მიეპარა ეს კაცი ქალს და ძუძუებზე კბილი დაზღვის (იდედა). ქალი შეკრთა, გაჰკვირდა; უთხრა კაცს, აქ რამ მთვისუბანაო; შენსას ჩემი შვილები გამოვგზავნე, — ხომ იყვნენო. კაცმა თავის აქ მოსვლის ამბავი უთხრა და სთხოვა: შენი სახლი მაჩვენეო. ქალმა ეს კაცი სახლში მიიყვანა. სახლის შუა-გულს სვეტი იდგა, ეს სვეტი ირგვლივ კაცის თვალებით იყო მოჭედილი. კაცმა ამ სვეტის ამბავი ჰქითხა ქალს. ქალმა მიუგო, რომ რამდენ კაცსაც ჩემი შვილი— ყვავილი თვალს გაუფუჭებს, ყველა აქ მოაქვს და ამ სვეტზე ვაჭდევთო. კაცს მაშინ უფუჭებს ჩემი შვილი თვალს, როდესაც ყვავილით ავადყოფიბის დროს სახლს ამტვერებენ და ცეცხლზე წყალს ასხმენ (ხალხი ძალიან უფრთხილდება ამაებს). ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ყვავილი და წითელაც დაბრუნდნენ. დედამ ყვავილს შეახვეწა ეს კაცი და სთხოვა, შინ უვნებლად მიიყვანეო. ყვავილმა უპასუხა: ეს-ეს არის ეხლა ღმერთთან ვიყავი, ხვალ ამ კაცის მეზობლისას უამსა ჰგზავნის და ამ კაცსაც იმას გავატანო. ამ კლდის თავზე ყვავილსა და წითელს გარდა სხვა სნეულებათაც ჰქონდათ ბინა. მიწიდამ რამდენსამე ადგილას ალი და კვამლი ამოდიოდა. ყვავილისა და წითელს დედამ თვითონეულად დაუსახელა სტუმარს კაცს სნეულებათა ბინა, სხვათა შორის, აჩვენა უამის ბინაც, სახელდობრ, ის ადგილი, საიდამაც შავი კვამლი ამოდიოდა. აქ მარტო „სურდოს“² არა აქვს სამუდამოდ მიჩენილი ადგილიო, უთქვამს ქალს. დამე ეს კაცი უამს ჩააბარეს და უამმაც მეორე დღეს მშვიდობით მიიყვანა შინა.

VII

თ უ შ ე ბ ი

თავისუფალ სვანეთში, უშკულის საზოგადოებაში არის ერთი ადგილი, სოფლის მახლობლად, რომელსაც დღემდე ორი სახელი აქვს: „თუშრენამზიგვ“ (თუშების ნამოსახლარი), ან „თუშრე ზუგვარ“ (თუშების გორები). აქ ძველად თუშები ცხოვრიბდნენ თურმე და ყველანი ერთ თემს (გვარეულობას) შეადგენდენ. ეს თემი ისეთი უკულმართი და კუმატიანი ყოფილა, რომ სოფლელებისათვის თავი მოუბეზრებია. უშკულს განუზრახავს მათა ღალატი, ამოწყვე-

¹ ნიშნად დანათესავებისა. ეს ჩეეულება დღესაც მოქმედობს სვანეთში და ნშირიც არის.

² სურდო სვანურად „მეეზი“ ნიშნავს: მიმავალი, მგზავრი.

ტა. ამ გვარი განზრახვა უშეულელებისა თუშების ნათესავ ქალს
გაუგია და შეუტყობინებია მათვის. თუშებს შეშინებიათ ამოწყვე-
ტისა. აბარგებულან ერთს ღამეს ქალიან-ბავშიანად და საქართვე-
ლოს კეისართან¹ მისულან, რომლისათვისაც სამოსახლო ადგილი
უთხოვნიათ. საქართველოს კეისარს რომ დაუნახავს მამაცნი და მო-
სულის ტანის თუშინი, სიამოვნებით მიუღია მათი თხოვნა და დაუსახ-
ლებია თავის საკეისროს იმ კუთხეში, საითგანაც მტრების შემოსე-
ვის შიში ჰქონდა ხოლმე, ე. ი. იქ, სადაც დღეს არიან დაბინავებულ-
ნი; ახალ სამშობლოში თუშები გამრავლებულან და კეისრის საყ-
ვარელნი და უძლეველნი მეომარნი გამხდარან.

VIII

თამარ-ღელოფალი

თამარ-ღელოფლის მამას ორი შვილი ჰყავდა: თამარი და მისი
ძმა. ძმა ავადმყოფი იყო და მოკვდა. სიკვდილის შემდეგ მამამ
შვილი გააჭრევინა სნეულების გასაგებად. აღმოჩნდა, რომ ავად-
მყოფი ჭიას (ლვასკ) მოეკლა. გამოიღეს ეს ჭია, ბევრს სცადეს, მაგ-
რამ ვერაფრით ვერ მოჰქლეს. ბოლოს მოვიდა ერთი კაცი, ჭიას პირ-
ში ნიორის წყალი ჩაასხა და ჭია მოკვდა. თამარის მამას ეს ეწყინა,
რატომ სიცოცხლეშივე არ დაალევინე ჩემს შვილს ეს წამალიო და
ეს კაცი უკულმა დაკირვინა. მოკვდა თამარის მამა; დარჩა ბაგრა-
ტის (ბაგრატიოვანის) შთამომავლად მარტო თამარი. თამარს ღმერთ-
სავით მადლი ჰქონდა და გათხოვებას არა კადრულობდა. მაშინ მის-
მა საკეისრომ მოიყარა თავი, დაუჩიქეს თამარს და გათხოვება სთხო-
ვეს, რომ ბაგრატის გვარი არ გადაშენებულიყო. მთელი საკეისრო
დააყენეს მის წინ და საქმროს ამორჩევა სთხოვეს. კრებაში ერთი
თათარი მოვიდა, თამარს მოეწონა და ის ამოირჩია საქმროდ.. თამარ-
მა ოთხჯერ გაჰვზავნა თავისი ქმარი საომრად; სამჯერ გაიმარჯვა და
მეოთხედ ზღვაში დაირჩო. თამარს ეს ისე ეწყინა, რომ ოთხს თოვეს

¹ სვანებს ახსოვთ კეისრობა. სახელშოლება „ხელმწიფე“, „მეფე“ (ხელმწიფ)
სვანეთში შემოვიდა უკანასკნელს ხანებში. სვანურს ძეველს ზღაპრებში ხელმწი-
ფის სახელს ვერსად შეხვდება კაცი. იყო ერთი კეისარიო, ჰყავდა სამი შვილი.
აგრეთვე სახელმწიფოს მაგიერ ხმარობენ „საკეისრო“, ხელმწიფობის მაგიერ
კეისრობას და სხვა. საქართველოს მეფეებსაც, გარდა თამარ ღელოფლისა,
კეისრებს უწოდებენ. მაგ., საქართველოს კეისარი ირაკლიო, იმერეთის კეისარი
მოლომონიო და სხვა.

მზეს არ დაენახვა. ქმრისგან თამარს დარჩა ქალი — შვილი რუსულანი არც რუსულანს უნდოდა გათხოვება (ამისი კი რა მოგახსენოთ!). მაშინ ანგელოზმა უთხრა რუსულანს, გათხოვდი, თორემ სირცევილს ნახავო; მაინც არ დაუჭერა. რუსულანი უქმროდ დაორსულდა და არ იცოდა, რა ექნა. მუცლის წახდენა უნდოდა; ანგელოზმა ნება არ მისცა, ბაგრატის გვარი ამოწყდებათ. რუსულანი ტყეში წავიდა, იქა შვა შვილი და თვითონ სახლში დაბრუნდა. ბავშვს ანგელოზმა ძუ-ირემი მიუჩინა ძიძად, რომელმაც გაზარდა და სვანეთს წამოიყვანა. რა იქმნა შემდეგ ეს რუსულანის შვილი, ლეგენდა სდუმებს.

IX

კ მ ი რ ა ნ ი

ერთს უდაბურს ტყეში, რომლის ხის წვეროები ცასა სწვდებოდნენ, ამართული იყო წვრილი, მაგრამ ძლიერ მაღალი კლდე. ამ ტყის მახლობლად სცხოვრობდა ერთი მონადირე, რომელიც დრო-გამო-შვებით ნადირობდა ხოლმე ამ ტყეში. ერთს დღეს, ბევრი სიარულის შემდეგ, მონადირე მივიდა იმ კლდის ძირს. კლდიდგან რაღაც ხმა მოესმა, რომელიც ქალის კივილსა ჰგავდა. ამ კივილმა მონადირის ყურადღება მიიცია, ახედა კლდეს და ისეთი მაღალი აღმოჩნდა, რომ თვალი ვერ სწვდებოდა. ასვლა მოინდომა კლდის წვერზე, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა. მონადირე მაშინვე შინ დაბრუნდა. შინ ჸავდა ცოლი ძლიერ ანხელი და ამასთანავე კოჭლი. ცოლს უთხრა ხვალისთვინ საგზალი გამოეცხო და თვითონ მჟედელთან გასწია, რომელსაც ერთი გუდა სატეხი და ერთი რკინის ხველი შეუკვეთა. ღილისათვის ცოლმა საგზალი მოამზადა, მჟედელმა სატეხი და ხვედი¹. ადგა მონადირე და კლდისაკენ წავიდა. მივიდა ძირში. მოდგა და დაიწყო სატეხის მიჟედვა კლდეზე; რამდენ სატეხსაც მიაჭედდა, იმდენს საფეხურს იკეთებდა და ზევით და ზევით იწევდა. როდესაც ერთი გუდა სატეხიც გამოელია და ხვედიც გაუცვდა, — კლდის თავზე ააღწია. კლდის თავზე კარის მინაგვარი შესავალი ნახა; შევიდა, შიგნით გამოქვაბული იყო და ამ გამოქვაბულში დალი² იწვა. დალი გასაოცარის სილამაზისა იყო, ოქროს ნაწნავები ჰქონდა. შეხედეს თუ არა დალმა და მონადირემ³ ერთმანეთს მაშინვე ერთ-

¹ რაჭაში ხვედს კვეშოს ეძახიან, სვანურად „ყვამა“ ჰქვიან.

² ვინ არის „დალ“-ი, ამაზე ნახე წერილი: „ივერია“ 1886 წ.

³ მონადირეს სახელად „დარჯელანი“ ერქვა.

მანერთი შეუყვარდათ; გადაეხვივნენ ერთმანერთს და რამდენიმე ხანკ უგრინობლად იყვნენ. ამ ღამეს მონადირე აქ დარჩა, დალთან დაწ-
ვა: თუმცა დალი სიტყვით ერთად დაწოლის წინააღმდეგი იყო, მაგრამ სიყვარულმა სძლია და ვერაფერი გააწყო. მეორე დილას დაღამა მონადირეს უთხრა დაბრუნებულიყო შინ, მაგრამ მონადირე არ დათანხმდა. მეორე ღამესაც ერთად იყვნენ. ახლა-კი დალმა უკრო მკაცრად ურჩია მონადირეს სახლში წასვლა: — წადი შინ, — ეუბნებოდა დალი — თორემ შენი ცოლი „მეცარია“ (გულთმეცარი), იგი ყოველს საღამოს მიჩვეულია შენს სახლში დაბრუნებას; რომ აღარ მიუხვალ ამდენ ხანს, იფიქრებს რამეს, გამოჰყება შენს კვალს, მოვა და რაიმე ხითათს გადაგვიდებს. — „შენც არ მომიკვდე, მიუგო მონადირემ, — ჩემი ცოლი კოჭლია, სახლშიც ძლივს დათორთხავს და აქ რა მოიყვანსო“. ამ ღამესაც მონადირე დალთან დარჩა.

მონადირის ცოლს მართლა უკვირდა, რომ მისი ქმარი ეს მესამე დღეა, სახლში არ დაბრუნებულა, ორი ღამე მოიცადა, მესამე დღი-
სათვის დამზადა საგზალი, გამოუდგა ქმრის კვალსა, რომელმაც კლდის ძირში მიიყვანა; აჟყვა კლდეს, თავზე ავიდა და შევიდა იმ გამოქვეაბულში, სადაც მონადირე და დალი ერთად იწვნენ და ეძი-
ნათ. მონადირის ცოლმა დალის ოქროს მაკრატელი მონახა, დალი
ოქროს ნაწნავები წააჭრა, ნაწნავები და მაკრატელი თან დაიკავა და დაბრუნდა სახლში. მეორე დილას მონადირესა და დალს გამოედვი-
დათ. დალმა ასწია თავი, მჩალტეთ მოეჩვენა, მოისვა ხელი, — ნაწნა-
უები არა აქვს, ადგა უცებ მაკრატელის სანახავად, არსად იყო. შეწუხ-
და, მიუბრუნდა მონადირეს და უთხრა: ჩემი ცოდვა გქონდეს, ხომ
გითხარი, რომ შენი ცოლი ამას გვიზამდა; ეხლა ჩემი სიცოცხლე აღა-
რა ღირს, აიღე ჩემი ჯაყვა, გამჭერი მუცელზე, რადგანაც მე შენს
ხელში დავვორსულდი და გამოიღო შვილი. ვაჟი თუ აღმოჩნდეს
ჩემი შვილი — სახელად ამირანი დაარქვი, თუ ქალი იყოს, რაც
გინდა ის დაარქვი; ჩემი შვილი „ჭაბუკი“ (გმირი) გამოვა; მას რომ
ჩემს მუცელში დასცლოდა დრომდე, ისეთი იქნებოდა, რომ თვით
ღმერთს შეებმებოდა, ეხლა-კი ნაკლები იქმნება; შენ მაინც აასრუ-
ლე, რაც მე დაგიბარო. როცა ჩემ მუცელიდგან გამოიღო შვილი;
სამი თოვე დეკეულის ფაშვში შეინახე, შემდეგ სამი თოვე კიღევ
რუს ფაშვში, რომ რაც დედის მუცელში დააკლდა, ის შეივსოს
და გამოიშუშოს; შემდეგ აკვანში ჩააწვინე, აკვნიანად წაიღე და
იაპანის (კაცის სახელია) წყაროზე დადგი; იქ გამოივლის მისი მომ-
ნათლავი და მონათვლის შემდეგ ის ეტყვის ყველაფერს, რაც მის-
თვის საჭირო იქნება. მონადირე შეწუხდა, გაჭრაზე უარი სოქვა,

მაგრამ დალი არ მოეშვა, და ძალაუნებურად უნდა დათანხმებული-
 ყო; ხელების კანკალით გაუჭრა დალს მუცელი, რომლიდგანაც გა-
 მოვარდა მზის მსგავსი ვაჟი. დალის დაბარებული ყველა ასრულა:—
 მიიტანა აკვნით იამანის წყაროზე და იქ დადგა, თვითონ-კი სახლში
 დაბრუნდა. იამანის წყაროზე გამვლელ-გამომვლელი მოდიოდა,
 ხედავდნენ აკვანს, რომელშიაც ყმაწვილი იწვა, და ეკითხებოდნენ:—
 ვინ არის შენი დედ-მამა ან შენი მომნათლავიო. — დედ-მამა არ
 ვიცი ვინ არის, მომნათლავი-კი ჩემი ბატონი ანგელოზია¹, უპასუ-
 ხებდა ყმაწვილი. ამ დროს ჩამოიარა ანგელოზმა, ჰკითხა ყმაწვილს
 ისავე, რასაცა სხვები ეკითხებოდენ. ყმაწვილმა იგივე პასუხი გას-
 ცა ანგელოზსა, რომელმაც სამჯერ მისცა კითხვა. მაშინ ანგელოზმა
 გააგებინა თავისი ვინაობა, მონათლა, სახელად „ამირანი“ დაარქვა,
 მისცა ხან გარი, დაუბარა ის პაიჭში შეენახა და სანამ ჰლიერ
 არ გასჭირებოდა, არსად ეხმარა. შემდეგ ანგელოზმა დალოცა ამი-
 რანი და უთხრა, რომ ქვეყანაზე (დედამიწაზე) შენი მომრევი არავინ
 იქნებაო, და დასტოვა. წყაროზე იამანის მეწყლები (მულცა) მოვიდ-
 ნენ, ამირანს აკვანში მწოლარეს დაცინვა დაუწყეს; ამირანს ეს
 ეწყინა, ადგა აკვნიდამ, თავები ერთმანეთს მიურახუნა, წყლის ჭურ-
 ჭლები დაუმტვრია და ისე გაუშვა დამცინვინი. როდესაც ესენი
 უწყლოდ და ჭურჭელ-დამტვრეული სახლში დაბრუნდნენ, იამანს
 უამბეს, რაც წყაროზე შეემთხვათ. იამანს ამ ამბავზე გული მოუვიღა,
 ადგა და თვითონ წავიდა წყაროზე. აქ მან ნახა აკვანში მწოლარე
 ყმაწვილი, გაეხარდა, თქვა — ეს ჩემი შვილების უსიბისა და ბადრის
 ძმად გამოდგებაო; აიღო აკვნით ყმაწვილი და შინ მიიტანა. იამანის
 ცოლს გაეხარდა ყმაწვილის მოყვანა, — უსიბისა და ბადრის მომრ-
 წევად (მუჰანე) გამომადგებაო. დღეს არაფერი, მეორე დილას
 იამანის ცოლი ძროხების მოსაწველად წავიდა; უსიბი და ბადრი
 აკვნებში ჩაწვინა, ამირანი შუაში ჩაუჭდინა; დაუბარა აკვნები ერ-
 წია კარგად, რომ მის შვილებს არ ეტირნათ და თუ რასაც მე გულ-
 ნები — დაუმატა იამანის ცოლმა — კარგად არ აგისრულებია, ვად
 შენს ყოფასაო. როდესაც დედა შვილებს გასცილდა, გულმოსულ
 ამირანმა უსიბის აკვანში სადგისი ნახა, აიღო და ერთი უსიბს
 სჩევლიტა და მეორე ბადრის, ბავშებმა ტირილი მორთეს. დედას
 გული მოუვიდა და დაუყვირა ამირანს: — ყველაფერი გამიწყდეს
 (მაგუვ ამშდახა), კარგად თუ არ გირწევია ჩემი შვილები, არ მო-
 ვიდე და შავი დღე არ დაგაყენო, ამას ჩემს შვილებს შენ კი არა,
 დალის შვილი ამირანი ვერ გაუბედავსო, ამირანმა დაბალის ხმით

¹ მუპრასდე მიშვევილი, მიშვევი ფუსშ ქრისლე (სვანურად).

წაიდუდუნა: ეჰ! ეხლა არა ვარ, თორემ ისე-კი დალის შვილი აში
 რანი ვარო. იამანის ცოლმა რომ ეს გაიგონა, ძროხების წველას თა-
 ვი დაანება. გახარებული მივარდა ამირანს და დაპკოცნა; მაშინვე
 რძეში დაბანა და „ქანთხის“¹ ნაჭერში გახვია. ამ ღლის შემდე ისე
 უვლიდა ამირანსაც, როგორც თავის საკუთარს შვილებს. იამანი და
 მისი ცოლი სიხარულით აღარ არიან, რომ ღმერთმა ამისთანა (ამი-
 რანისთანა) ძმა გამოუგზავნა მათს შვილებს. სამნივე ყმაწვილები
 წამოიზარდნენ; ჭაბუკობის (გმირობის) ჰასაკში მოვიდნენ. ყოველ
 ცისმარა დღეს გავლენ მინდვრად — ვისაც შეხვდებიან ზემოთ (ალ-
 ბოსავლეთით) მიმავალს ან ქვემოთ (დასავლეთით) (ლექა ი ლექვა
 მეზი), ყველას ლახვენ და ისე უშობენ. გალახულები ახლოდამ ვერ
 უბედავენ და შორიდამ-კი შემოსძახებენ: — თქვენ თუ კარგი ჭაბუ-
 კები (გმირები) ხართ და კარგი ჭაბუკობა იცით, ჩვენ-კი ნუ გვლა-
 ხავთ, მამი თქვენის, იამანის თვალს რა დაემართა, ის გაიგოთ. რო-
 დესაც ეს პირველად გაიგონეს, სამნივე იამანის ცოლთან მიიქცნენ
 და სთხოვეს ეთქვა მათთვის, თუ რა დაემართა იამანის თვალს. დედა
 პირველად არ უმუღავნებდა შვილებს და ამირანს იამანის თვალის
 ამბავს და პირველს დაკითხვაზე ასე მიუგო: იამანს ყვავილი სჭირდა
 და იმან გაუფუჭა თვალი; სხვა, თქვენც არ მომიკვდეთ, იამანის
 თვალს არაფერი დამართოდესო. ორჯერ ამ ნაირი პასუხი მისცა
 დედამ, და მესამედ-კი, რომ გამოეტეხათ იგი, ამირანმა, უსიბმა და
 ბადრიმ შემდეგი ხერხი იხმარეს: მინდვრიდგან გულმოსულად დაბ-
 რუნებულთა იამანის ცოლს უთხრეს, ცხელ-ცხელი ხაჭაპურები გა-
 ძოეცხო სამივესათვის. დედა ყაბულს გახდა. როდესაც დედამ პუ-
 რები ნაღვერდალში ჩაყარა, ამირანმა და უსიბმა გამოიღეს ორი
 ცხელი პური, ერთი ერთს ძუძუზე მიაღვეს იამანის ცოლს და შეო-
 რე — მეორეზე და უთხრეს: ან ვკითხარი იამანის თვალის ამბავი
 ნამდვილად, ანა და ძუძუებს დაგწვავთო. მეტი ღონე აღარ იყო, ია-
 მანის ცოლმა როგორც იყო საქმე, ისე მოუყვა. იამანს ერთი დე-
 ვი (დავ) ჩაემტერა, — დაიწყო ქალმა — ბეგარა დაადგა. როდესაც
 უსიბი და ბადრი დაგვებადა, მოვიდა ეს დევი და ერთ-ერთი, ან
 უსიბი ან ბადრი ითხოვა; თუ ამათ ვერ შეელევითო, მაშინ იამანის
 მარჯვენა თვალი მინდაო. იამანმა შვილი ვეღარ გაიმეტა, მის მაგიერ
 თვალის მოთხრა არჩია და კიდევაც მისცა დევსო.

შვილებმა და ამირანმა, რომ ეს ამბავი გაიგეს, მაშინვე შეუდგ-
 ნენ მომზადებას დევთან საბრძოლველად. იამანს სთხოვეს რკინის
 შვილდ-ისარი ეშოვნა მათთვის. იამანმა უპოვნა. გასინჯეს, მოიწიეს

¹ ქანთხი რაღაც წმიდა და სათუთა ქსოვილია.

(ანგუზებ), ამირანს ვერ გაუძლო და გაუტყდა. მაშინ ამირანმა ცხრა ოყა იშოვნა. თავის ხელით წაიღო მჭედელთან და გააჭედვინა. მეტრუ ლლეს სამნივე წავიდნენ დევთან საბრძოლველად. იარეს იარეს, შორს მინდორში ერთს დევს შეხვდენ; მას მშვენიერი სავაშლე ადგილი (ლაუსგვ) აქვს და ვაშლის ხეების ქვეშ ჭოგი უწევს. დევმა რომ ესენი დაინახა, შესძახა: კარგი ჭაბუკები მაშინ იქმნებით, თუ ჩემს ვაშლის ხეებს ერთს ვაშლს ჩამოაგდებინებთ და მეორეს შეესვრითო. უსიბი და ბაღრი ბევრს ეცადნენ, მაგრამ ერთი ვაშლი ვერ ჩამოაგდებინეს; ესროლა ამირანმა თავისი შვილ-ისარი, ერთის მხრივ ვაშლი სულ ჩამოყარა (ოხრუხნე), მეორეს მხრით შეაყარა. დევმა მეორეთ უთხრა: — თქვენ თუ კარგი ჭაბუკები ხართ, აბა სცადეთ, თუ ჩემის ჭოგიღგან ერთი ცხვარი ააყენოთ და მეორე დააწვინოთ თქვენს ნებაზე. უსიბმა და ბაღრიმ ვერც ერთი ვერ შეიძლეს; ამირანმა კი ჯერ ააყენა მთელი ცხვრის ჭოგი და მერმე ისე მაგრად დასცა მიწას, რომ კინალამ მთელი ჭოგი ამოწყვიტა. დევს ამაზე გული მოუვიდა, მოსდვა ჭოგს ხელი, ამირანიც შიგ მოიტანია და თავის სახლში შეყარა. კარები შიგნიდამ გამოხურა, უსიბი და ბაღრი გარეთ დატოვა. ვახშმად დევმა ოთხი ცხვარი მოიტარშა; წორცს თითონა სჭამდა; ძვლებს კი ზურგს უკან კუთხეში ჰყრიდა, სადაც დაბმული ჰყავდა რკინის ჯაჭვით თავისი და. დაწოლის დროს დევმა თქვა, ამაღამის ვახშამი ეს იყოს, ხვალ ჩემი საუზმე ამირანი იქნებაო და კიდევაც დაწვა.

როცა დევმა დაიძინა, ამირანი დევის დაბმულ დასთან მივიდა, სთხოვა რაიმე ხერხი მასწავლეო, რომ დევი მოვკლაო. დევის დაშუთხრა, ჩემს ძმას სხვა არაფერი მოჰკლავს, თუ არ მისივე ხმალი, რომელიც ზეთში აქვს დალბობილი. ხმალი ისე მაგრად არის ჩადებული ზეთში, რომ მარტო შენ იმისი ამოძრობა არ შეგიძლია, მაგრამ ჩემს ძმას აქვს „წემაშ“-ი¹; ჯერ შენ ის „წემაშ“-ი მომიტანე, ურთი მისი წვერი ხმალს მოაბი მაგრად, მეორე წვერზე მე მომაკიდინე ხელი, ორივე წამოვსწევთ და ხმალსაც ამოვიღებთ. როდესაც ხმალი ხელში გექმნება, მიღი ჩემს ძმასთან, მაგრამ არამც და არამც არ დაპკრა ხმალი, მხოლოდ დაადევი კისერზე და თვითონ მოსჭრის კისერსა. ამასთანავე დევის დამ ქრისტე სთხოვა თავდებად (ქრის-თე თასღვებ)² ამირანს, რომ როცა დევს მოჰკლავდა, იგი ე. ი. და

¹ წემაშ — ჯამბარა, თასმა მსხვილად გრეხილი.

² ქრისტე თასღვებს იგეთივე მნიშვნელობა აქვს სეანეთში, როგორც პატიოსან სიტყვას აქ. როგორც პატიოსანი კაცი პატიოსანს სიტყვას არ გადუდგება, ისე სვანი „ქრისდე თასღვებ“-ს.

აუშვა და არაფერი ევნო. ამირანმა მისცა ქრისტე თავდებად, მონახა
წემაში, მოაბა ხმალს, მეორე წვერი დევის დას მისცა ხელში, წამოს-
წიეს ორთავემ და დიდის გაჭირებით ამოაძრეს ხმალი ზეთიდგან;
ამოძრობის დროს ხმალმა ისეთი ხმა გამოიღო, რომ დევს გამოელვი-
და, მაგრამ ისევე ჩაეძინა, ამირანმა ხმალი დევის კისერთან მიიტანა,
დაადგა, ხმალმა უქნევლად დაუწყო კისერს ჭრა. შუამდი რომ ჩავი-
და, მარტო მაშინ იგრძნო დევმა, დაიწყო ფართხალი, მაგრამ ვერა-
ფერი გააწყო. ამ ნაირად ამირანმა დევი მოჰკულა. დამ განთავისუფ-
ლება სთხოვა ამირანს. განთავისუფლების მაგიერ მან კისერი მოსჭ-
რა და ამ ნაირად გასტეხა ქრისტეს თავდებობა;

ამის შემდეგ დევის ყოფა-მოსახლობა (ლირდე-ლიზე) ამირანს
და მის ამხანაგებს დარჩათ. რისიც წალება შეიძლებოდა — წაიღეს,
რისიც არა — დასტოვეს და თვითონ გზად გასწიეს. იარეს, იარეს,
ერთ ნაძგნარში შევიდნენ. აქ ერთი კლდეა, თავში დევი ზის და
შატყლსა რთავს. ჩერიათ (თოთისტარად) ნაძვის ხე აქვს, ჯარაიათ—
დოლებ-შირა (წისქვილის ქვა). ამ დევს წაელო იამანის თვალი. დევ-
მა რომ ამირანი და მისი ამხანაგები დაინახა, დაუძახა: ვიღაც აქ
სამი ბუზი მოდიხართ, უკან დაბრუნდით, თორემ თქვენს რბილსაც;
(ხორცს) შევსჭამ და ძვალსაც დავხრავო. ამირანმა მიუგო — შე
ვილწო, ჯერ სცადე ჩვენი შეჭმა და მერე დაიქადნეო. დევს გული
მოუვიდა, რთვის თავი დაანება და კლდის ძირს ჩამოვიდა ამათთან-
საბრძოლველად. იბრძოლეს დიდხანს შვილდ-ისრით. ამირანი ერთს
რსარს თავის წილად ახვედრებს დევს და ორს უსიბისა და ბადრის-
მაგიერ. ბოლოს ორივე მხრით დაიღალნენ. დევი¹ ამირანს მიუახლო-
ვდა, დააღო პირი და გადაყლაპა. უსიბი და ბადრი აქ მიატოვა; თვი-
თონ თავის სახლში შევიდა. ეზოებში შესვლის დროს ბადრი დევს
დაეწია და კუდი მოსჭრა. დევს სახლში შესვლისთანავე მუცელი
ეტკინა; ვად მე, დედა, მუცელი მტკივა, ეუბნება დედას, მივარდება
სვეტს, უხახუნებს მუცელს, უნდა ამითი გაიქარვოს მუცლის ტკივი-
ლი, მაგრამ სვეტზე ვერ მაგრდება, რადგანაც კუდი მოჭრილი აქვს.
და ძირს ბრაგვანი გააქვს. დედა რომ შვილის ამ გვარ წვალებას.
ხედავს, ეკითხება, ხომ არავინ გინახავს დღესაო. დევმა მიუგო, რომ
სამი ბუზი ვნახე, ერთი კიდევაც ჩავყლაპეო. — ვად შენს დედას,
ოუ სადმე დალის შვილი, ამირანი გადაგეყლაპოსო.

ამასობაში ბადრი და უსიბი დევის სახლის სარქმელს მოსდგო-
მოან და დევის ლაპარაკი ყველაფერი ესმისთ. ამათ შემოსახეს-
ამირანს:

¹ ვარიანტი: — გველ-ვეშაპი.

ამირან ილაშ ჩალაშსა
მუხლსა ჩევედე ხანგარი;
ავს ალაგს დასძინებული (ხარ)
დიდს მუცელს გველიარშაპისა;



„შენ რომ პაიჭში ხანგარი გაქვს ჩარჭობილი, ამოიღე და უცხუნე (ლოცცუხვინ) დევს გვერდებში იქით-აქეთ“.

ამირანმა ეს გაიგონა, თქვა თავის გულში, მართალი არ არის? ამაზე უარესი გაჭირება როდის მომადგებაო; ამოიძრო ხანგარი და უცხუნა ფერდოებში დევს. დევმა ყვირილი მორთო, ოღონდ ნუ მომკლავ და გერჩიოს პირიდამ ამოგიშობ, გერჩიოს უკანიდამო. ამირანმა გაჭავრებით მიუგო, შე პილწო! ან შენი ამორწყეული თავი რად ჰანდა ანა და უკნით გასულიო. აპა — უთხრა დევმა — გამოიღეორი ძვალი გვერდისა და იქიდამ გამოდიო. ამირანმა მთელი გვერდი გამოულო და გამოვიდა; ერთი თვალი აკლდა. ეხლავე გამიკეთე თვალი, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო, უთხრა ამირანმა. დევმა უთხრა, ცოტა ლვიძლს მომჭერი, ცოტა ფილტვებს, მოისვი თვალის ადგილას და უკეთესიც მოგებმება უწინდელზე. ამირანმა ბლომად (დიდარდ) ლვიძლს მოსჭრა, ბლომად ფილტვებსა, მოისვა თვალზე და მთელი თვალი დაუბრუნდა. შემდეგ დევმა სთხოვა გვერდი ისევ გაეკეთებინა. ამირანმა გვერდის მაგიერ ხის ჩელტი (ჰაბარ) შიუყენა¹. ამას რომ მორჩინენ, ამირანმა დევს იამანის თვალი მოსთხოვა. დევს შეეზარა, მაგრამ უარი ვერ გაუბედა; უჩვენა სახლის სვეტი (ბოძი) და უთხრა, რომ მაგ სვეტში კოლოფი დგას, კოლოფში — კოლოფი და იმაშია შენახული იამანის თვალით. ამირანმა მონახა თვალი. დევი აქ მიატოვეს და თვითონ სახლში დაბრუნდენ. იამანს თვალი შეუყენეს და რამდენიმე ხანი დაისვენეს აქ.

გავიდა ხანი. ამირანს ჭაბუკობა (გმირობა) მოუნდა. იამანს სთხოვა თავისი შვილები უსიბი და ბაღრი სახლში დაეკავა, რადგანაც გაჭირების დროს იგინი უფრო ხელს მიშლიან, მინამ მეხმარებიანო. უსიბმა და ბაღრიმ რომ ეს გაიგეს, ძლიერ შეწუხდნენ, შეეხვეწნენ ამირანს, იგინიც წაეყვანა საჭაბუკოდ; უშენოდ ცხოვრება ჩვენ არ შეგვიძლიანო. დათანხმდა ამირანი და სამივე წავიდნენ საჭაბუკოდ. იარეს ბევრი. ერთს მინდორში სამი დევი შეხვდათ. მათ მოაძახეს, რა კორგი ჭაბუკები იქმნებით, რომ ერთი თქვენთა-

¹ ამირანს რომ ჩელტი არ მიეყენა, ქვეყანა დაიღუპებოდა: როცა მზე ბნელდება დევი (გველვეშაპი) ჰყლაბავს. მზე ხის გვერდს მალე სწეავს და ისევ გამოდის ქვეყნის სანათებლად, ასე იმბობს ხალხი.

განი „კეკლუცა კეისრის ქალიშვილს „ქეთუ“ ნათბიანს იშოვნილესთა
მისი შერთვა ბევრმა ჭაბუქმა მოინდომა, მაგრამ ვერავინ ვერ შეს-
ძლოვო. ამირანმა ჰკითხა, თუ სად არის ეს კეისარი, ან ქალიშვილი
ქეთუ სადა ჰყავს. დევებმა უჩვენეს კეკლუცას საკეისრო და ფთხერეს,
რომ ქალიშვილი ქეთუ ჰყავს კოშკში, რომელიც ცაზეა ჩამოკიდე-
ბული ჯაჭვით. მიატოვეს დევები და გასწიეს კეკლუცას საკეისრო-
სკენ. გზაზე ზღვას მიადგნენ. ერთობ დიდი იყო და გასვლა არ შეეძ-
ლოთ. აქვე ნახეს ერთი დევი — ქალი. ამირანმა ჰკითხა დევს, ეგებ
სხვა გზა იცოდეთ კეკლუცას საკეისროშიო. მან მიუვო, რომ სხვა
გზა არსად არ არის და თუ შემიამხანაგებთ, ზღვაზე მე წაგიყვანო.
ამირანმა ქრისტე მისცა თავდებად. ქალმა მოიჭრა ერთი ნაწნავი და
ზღვაზე გადვა ჭოლოვად. ამ ნაწნევზე გავიდნენ ჯერ უსიბი და ბად-
რი, შემდეგ ამირანი და ბოლოს დევი უნდა გამოსულიყო. შუა ზღვა-
ში რომ მოაღწია, ჰკირა ამირანმა ხანგარი ნაწნევს და გასწყვიტა; დე-
ვი ზღვაში ჩავარდა. აქ ამირანი მეორედ გადუდგა ქრისტეს თავდე-
ბობას. ხმელეთზე ბევრი იარეს.

ერთს მინდორში ამირანი და მისი ამხანაგები შეხვდნენ კაცს,
რომელსაც „ანდრერობ“-ი ერქვა სახელად. ანდრერობი ისეთი დი-
დი რამ იყო, რომ ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ება ურემს, რომელშიაც
იწვა, აუარებელი ხალხი ეხმარებოდა, მაინც ძლივს მიჰქონდათ. ან-
დრერობი მიჰყავდათ სამარხავად, რადგანაც სიკვდილის შემდეგ სიმ-
ძიმის გამო საფლავამდე ვერავინ მიიტანდა და დაუმარხავი დარ-
ჩებოდა. ურმიდამ ანდრერობს ერთი ფეხი გაღმოვარდნოდა და მიწა-
ზე მიათრევდა. მისი სიმძიმე გუთანსავით თხრილს სტოვებდა მიწა-
ზე. ამდენს ხალხს ვერ შეეძლო ფეხი ურემშივე შეედვა. ამირანმა
რომ ყველა ეს ამბავი გაიგო, მოდვა ანდრერობის ფეხს შვილდის
„გოზა“ (კემდი გოზა) და ფეხი ურემში შეაგდო. ანდრერობს გაუკ-
ვირდა, ვინ გამოჩნდა ასეთი ღონიერი, რომ ჩემი ფეხი ასე ადვი-
ლად შემოაგდო ურემშიო. ხალხმა ამირანზე მიუშვირა ხელი. ანდრე-
რობმა ამირანს ხელი სთხოვა, უკანასკნელს შეეშინ-
და, ვად თუ ამისთანა ღონიერმა კაცმა მაგრა მომიჭიროს და ხელი და-
მამტვრიოსო; აიღო და ხელის მაგიერ ფიქალი ქვა (ჩერხა) მისცა. ანდრე-
რობმა ქრისტე მოუჭირა ფიქალს და წვენი გააშვებინა. ანდრერობმა
კიდევ სთხოვა ამირანს რომ ხელი მიეცა. მისცა ამირანმა. ანდრე-
რობმა ქრისტე დააფიცა ამირანს, რომ მისი შვილი ეძმო და არაოდეს
ელალატნა. ამირანმა ქრისტე დაუყენა თავდებად. ანდრერობი თავის
გზაზე წაიღეს, მისი შვილი ამირანმა თან წაიყვანა, სადაც მიდიოდა.

იარეს ბევრი. ამირანს ძილი მოეკიდა და დაიძინა. იმის ძილში ანდრერობის შვილმა ორი ირემი¹ დაიჭირა ხელით და იქვე ჩამოჰკიდა ხის შტოზე. ამირანმა რომ გაიღვიძა, შეხედა ირმებს და ცირი ხა ამბავი. როცა გაიგო, რომ ანდრერობის შვილს დაუჭერია, ეწყინა. ჯერ ყმაწვილია, ამას ჩადის, რომ დაუაუკაცდება მე მაჯობებსო, სთქვა და განიზრახა მოპკვლა და კიდევაც აასრულა. ამნაირად ამირანმა მესამედ გატეხა ქრისტეს თავდებობა. მოკლული ანდრერობის შვილი აქ დასტოვეს და თვითონ გასწიეს კეკლულა კეისართან. იარეს ბევრი და ბოლოს მივიღნენ იმ კოშკთან, რომელშიაც კეკლულას ქალიშვილი ქეთუ იყო ცაზე ჯაჭვით ჩამოკიდებული. ამირანმა უთხრა უსიბს, შეხტი, ეგებ ჯაჭვს მისწვდე და ხმლით მოსწყვიტოვო უსიბმა სინჯა, მაგრამ ახლოს ვერ მიეკარა. ესევე სინჯა ბადრიმაც, მაგრამ ამაოდ. ბოლოს თვითონ ახტა, მისწვდა ჯაჭვს, ჰერა თავისი ხანგარი, გასწყვიტა და ცაზე ჩამოკიდებული კოშკი მიწაზე ჩამოვარდა. სამნივე კოშკში შევიღნენ.

ამირანმა და ქეთუმ დანახვისთანავე გაგიუბით შეიყვარეს ერთი ერთმანეთი. შეიტყო ქეთუს მამამ კეკლულამ ეს ამბავი, შეპყარა თავის საკეისრო და სამ კეცად შემოარტყა კოშკს. ამირანმა, რომ შემორტყმულს ჯარს შეხედა, ცუდ გუნდებაზედ დადგა; უთხრა უსიბს გასულიყო და ეომნა ჯართან. გავიდა უსიბი, ერთი კეცი ჯარი მოსწყვიტა, ბოლოს კეკლულასთან მიაღწია; ამან სული შეუბერა უსიბს და მაშინვე დაახჩი. მეორედ გაგზავნა ბადრი; ამანაც ერთი წყობა ჯარი დახოცა, ბოლოს კეკლულასთან მივიღა, კეკლულამ შეუბერა სული და ეგეც დაახჩი. შეწუხდა ამირანი. თვითონ უნდა წასულიყო სამრად. მაშინ ქეთუმ შემდეგი დარიგება მისცა ამირანს: მამა ჩემს თავზე დოლებ-შირა ახურავს, რომელიც უკანიდამ ზედ კისერთან მობმულია ოქროს „განთხით“ (ძარღვი); როდესაც მამა ჩემთან მიხვიდე საბრძოლველად, ეცადე ეს განთხი როგორმე შეაჭრა, მაშინ დოლებ-შირას სიმძიმე წინ წასძლევს, თავს დაალუნებინებს, კისერი გამოუჩნდება, იქ ჰერა ხანგარი და მაშინვე თავს მოსჭრიო. თუ არ ასე, სხვებრ მამა ჩემს შენ ვერაფრით ვერ მოჰკლო.

ამირანმა ქეთუს დარიგება დაიმახსოვნა. გავიდა ჯარში, ერთი კეცი ჯარი, რომელიც უსიბსა და ბადრის გადურჩა, დახოცა, ბოლოს კეკლულასთან მივიღა. კეკლულამ ჩვეულებრივ შეუბერა, ამირანი ჩოქებზე დაეცა. მარდად მოიმართა ამირანმა, მოუქნია ხანგარი და კეკლულას ოქროს განთხი მიაჭრა. დოლებ-შირამ წინ წასძლია, კისერი გამოუჩნდა, შეუბრუნა ამირანმა მეორედ ხანგარი, ჰერა კი-

¹ ვარიანტი: ორი მწევარი მაღალის ღმერთისა.

სერზე და თავი წააგდებინა. შემდეგ შევიდა კოშკი ქეთუსთან და
მწერალება დაიწყო, რომ უსიბი და ბადრი ორივე დახოცილები
არიან, უმათოდ ჩემი შინ წასვლა შეუძლებელია, რა უნდა ვუთხრა
იმათ მოხუც დედ-მამას, რომ არც ერთ შვილს შინ არ მივუყვანო.
ქეთუმ ჰქითხა, გამოიცნობ თუ ვერა იმათ დახოცილ კაცებშით. ამი-
რანმა — კიო; რაღანაც უსიბს ბეჭებშუა მზეს მსგავსი ნიშანი აქვს
და ბადრის — მთვარეს მსგავსიო. ჩაერთენ ამირანი და ქეთუ მკვდ-
რებს, დაუწყეს ძებნა უსიბსა და ბადრის; როგორც იყო ნახეს,
ქეთუმ თავისი პირსახოცი გამონახა წაუსვა ჯერ უსიბს, მერე ბადრის
და ორივენი გაცოცხლდნენ. გაეხარდა ამირანს, რომ ქეთუ ცოლად
იშოვნა და უსიბი და ბადრი ცოცხალი მიჰყავს სახლში. მოსდევეს
ხელი კეკლუცას ქონებას, თან წამოილეს და გახარებულნი წამოვიდ-
ნენ იამანთან. იამანსაც ძლიერ გაუხარდა, რომ ამირანი და მისი
შეილები მშვიდობით და გამარჯვებულნი მოუვიდნენ სახლში. ამი-
რანმა გადაჭრით უთხრა იამანს, რომ ამიერიდგან მის შეილებს არ-
სად წაიყვანს, რაღანაც იგინი ვერ უწევენ ჭაბუკობას. ამირანი
ამის შემდეგ ცალკე ჭაბუკობდა. მისი შემბმე და გამდლე არავინ
ვაჩნდა ქვეყანაზე. ერთს დროს იქამდის მიიყვანა საქმე, რომ დედა
მიწაზე მარტო სამი დევი, სამი ველური ღორი (კალენქარ) გაუშვა
და სამი მუხა (ჭიპრი) დატოვა. თავის სიცოცხლეში ამირანმა ღმერთ-
საც ბევრი აწყენინა, მაგალითად, სამჯერ უარპყო ქრისტეს თავდე-
ბობა და სხვა. ამ გვარის ქცევისათვის ღმერთმა დასაჭა იგი; შეაბა
რკინის დიდი ჭაჭვი და რკინისავე პალოს (წამ) მიაბა (ლეგენდა არ
უჩვენებს ადგილს, სადაც ამირანი დაბმულია). ამირანთან დააბა
ღმერთმა აგრეთვე „ყურშაც“ (ძალლის სახელია), რომელსაც ბევრი
ღვთის საყვარელი ჭიხვი გაეწყვიტა. წლის განმავლობაში ამირანი და
ყურშა ყოველ დღე სჭიმავენ რკინის ჭაჭვს და პალოს ზევით და ზე-
ვით სწევენ. იქამდი მიიყვანებენ პალოს, რომ ესეც არის ამოძრება
მიწიდამო, მაგრამ ამ დროს ღთის განგებით ჩიტი მოფრინდება და
პალოზე დაჭდება. გულ-მოსული ამირანი მოუქნევს ჩიტს რკინის
კვეუოს, ჩიტი აფრენას მოასწრობს, კვეუო პალოს მოხვდება და
ისევ ძირამდი ჩაარჭობს. ასე იმეორება ყოველს წელს.

ყურშა ორბის ლეკვია. ორბს სვანების სიტყვით სხვა ბარტყთა
შორის ერთი ლეკვი ეყიდება ხოლმე. დედა ორბი ამ ლეკვს გა-
მოჩეკისთანავე იყვანს ძლიერ მაღლა, მაღლიდგან ჩამოუშვებს და
მიწაზე დაახეთქებს, რომ კაცმა არ ჩაიგდოს ხელში და არ გაზარ-
დოს. ხსენებული ყურშა ჩამოვდების დროს უშოვნია ერთს მონადი-
რეს და კიდევაც გაუზრდი. მას ბეჭებზე ორბის ფრთები აქვს. ისე-
თი გამოდგა თურმე, რომ ორს ნახტომზე ჭიხვს დაეწეოდა, მესამე

ხტომას სათაკილოდ სთვლიდა. რაკი ბევრი ჭიხვი გააწყალა, ამისა-
თვის, როგორც ნათქვამია, ღმერთმა დააბა იგი ამირანთან. ამ ყურ-
შაზე შემდეგი ლექსია დარჩენილი ხალხში, რომელშიაც სხვათა
შორის გამოხატულია მისის პატრონის, მონადირის გლოვა, როდე-
საც ყურშა დაჰკარგვია.

ყურშაო, ჩემო ყურშაო!
ყურშა გამქარვა (გამიქრა) გამქარვა,
შუა-ლამითა, ლამითა
ვაა თუ გეკადროს, გეკადროს,
ღვაჭარს (ვაჭარს) მიჰყავდე, მიჰყავდე!
ვაა თუ გეკადროს, გეკადროს,
ქაჭმა მომპარა, მომპარა! (მოგიპარა)
ყურშას ყურ-ტუჩი, ყურ-ტუჩი.
ოქროს გასხია, გასხია.
ყურშას თვალები, თვალები
თვარესა ჰევდი, თვარესა,
ყურშას ყიფილი, ყიფილი (ყეფა)
რუხუნსა ჰევდა ცისასა.
ყურშას ტოტები, ტოტები
კალოს ვედენი, ვედენი (ოდენა)
ყურშას ნახტომი, ნახტომი
დიდი მინდორი, მინდორი.
ყურშას საჭმელი — საჭმელი,
პურის ქაბაბი — ქაბაბი.
ვაა თუ გეკადროს, გეკადროს,
ქერის ნაბურჯი (?) ნაბურჯი!
ყურშას სასმელი — სასმელი
ღვინო ბაღაგი — ბაღაგი.
ვაა თუ გეკადროს, გეკადროს
ღვიარი წყალი — ღვიარი (მღვრია)
ყურშას ლოგინი — ლოგინი
საბან ბუმბული — ბუმბული.
ვაა თუ გეკადროს, გეკადროს
ბურდის ნაძომი — ნაძომი!
ყურშაო, ჩემო ყურშაო!
აღმა ლომიხარ, ლომიხარ,
ჩალმა კაკაფი — კაკაფი (კაკაბი).

ხმელეთს ფალვანდი — ფალვანდი.

ძუღას (ზღვაში) ქვალმანდი — ქვალმანდი
(ხომალდი)

ჩემო ყურშაო, ყურშაო!

ყურშა ჭიტირე — ვიტირე,

ყურშა ვიგლოვე — ვიგლოვე,

ერთს წელიწადს — ერთს წელიწადს.

X

როსტომ ჭაბუკი (გმირი)

როსტომი იყო თურანელი; სცხოვრობდა ქექევაზ . კეისრის საბრძანებელში — ადგილსა „ყარაიას“. თავისი სიცოცხლე როსტომმა დევ-მხეცების და ველურ ღორების ბრძოლაში გაატარა . როსტომს ორი ქმა ჰყავდა — გივი და გურგენი — და ერთიც ქმისწული ბეჟანი¹, გივის შვილი. ქექევაზ კეისარი დიდს პატივსა სცემდა როსტომს, რადგანაც ის რომ არა, ქექევაზის საკეისროს დევ-მხეცები აიკლებდნენ . გაჩნდებოდნენ დრო-გამოშვებით დევები, მოედებოდნენ საკეისროს და შვილებს, აკვანში მწოლარეს, ართმევდნენ მცხოვრებლებს . ამ დროს ქექევაზი შეხევეწებოდა როსტომს; ეს უკანასკნელი მოჰყვებოდა ერთი კიდიდგან და მეორე კიდემდე სულ გააწყალებდა მხეცებს, და ამ ნაირად გასწმენდდა სამეფოს . როდესაც როსტომი მოხუცებაში შევიდა, ქექევაზ კეისარმა თავისი ქვეშევრდომნი შეჰყარა და გამოუცხადა: ხომ ჰევდავთ, როსტომი მოგვიხუცდა, ის რომ მოკვდება, ჩვენ დევ-მხეცები დაგვეპატრონებიან, ვეცადოთ და მოვახერხოთ, რომ როსტომი უშვილოდ არ გადავიშენდეს . თუ მას შვილი დარჩა, მამას ემსგავსება და მამის საქმეს განაგრძობსო . საქმე იმაში იყო, როსტომი, როგორც ჭაბუკი (გმირი), ქალს არ ეკარებოდა . ყრილობაში ერთი ქალი ერია . მან დაიჩემა, რომ როსტომს მე შევუჩნდები და ჩემთან დავაწვენო . ქექევაზ კეისარი დიდ ჯილდოს დაპირდა ამ ქალს, თუ იგი დაპირებას აასრულებდა . ხალხი დაიშალა . ამ ქალმა როსტომი დაპატიჟა ვახშმად . კარგი ვახშამი აჭამა და ნავახშმევს სთხოვა, ამაღამ მისას მოესვენა . როსტომი პირველად უარზე დადგა, მაგრამ, როცა ქალმა ბევრი სთხოვა, ყაბულს გახდა . ქალმა სამს ადგილს დააგო ლოგინი . უჩვენა ერთი ლოგინი როსტომს და მოასვენა . უცადა და როცა შეატყო, რომ როსტომს

¹ ზოგან ბეჟანასაც როსტომის ქმად სთვლიან.

დაეძინაო, ადგა ეს ქალი და მიუწვა. როსტომმა ეს იწყინა და უთხრა: „შე ბოროტო (გვეფ) დედაკაცო, როგორ გაბედე ჩემთან მოსვლა და დაწოლა, ხომ იცი, რომ ჩემის გვარის კაცი ქალთან არა წევბა რადგანაც ოვთისაგან მოცემული გვაქვს ჭაბუკობა (გმირობა) და არა ქალების არშიყობა. ადგა როსტომი, ეს ლოგინი მიატოვა, მეორეში ჩაწვა. როდესაც აქაც დაეძინა, ქალი კიდევ მივიდა და მიუწვა. უარესად გაჭავრებული როსტომი აქაც ადგა და მესამე ლოგინში ჩაწვა. აქაც მივიდა ქალი. როსტომი ადგომას და სახლილგან წასვლას პაირებდა, მაგრამ ქალმა ხელი სტაცა და უთხრა: მე არ ვიცოდი, თუ შენ, ამისთანა ჭაბუქს მამა-კაცობა არა გქონდა, თორემ არ მოგიწვებოდით. „ფუ! დაგწყევლა ღმერთმა, ქალი ყოველთვის ეშმაკია“. შერცხვა ქალის სიტყვებზე და დაწვა მასთან. მეორე დღეს. აღრე ადგა. ქალს დააბარა: შენ ორსული გამოდგები; ვაჟი თუ გეყოლოს ზურაბი დაარქვი. როდესაც წამოიზარდოს და ჭაბუკობა მოინდომოს, ერთი „შარნი“¹ ყელზე მოაბი, ჰეშმა კაბის (ახალუხის) ჭიბაში ჩაუდევი და მუზარადი უნაგირის ტახტზე დააკერე. ვინიცობაა ერთმანეთს საღმე შევხვდით, ამითი ვიცნობ ჩემს შვილს. შენ კი სანამ ძლიერ არ გაგიჭირდეს, ნუ გაუმედავნებ, რომ იგი ჩემი შვილია. ქალი თუ გეყოლოს შენია და რაც გინდა ის დაარქვი და როგორც გინდა, ისე გამოზარდე. უთხრა ეს როსტომმა და გასწია თავის გზაზე. ქალი მართლა ორსული გამოდგა; როდესაც ვადა გაუვიდა, ეყოლა ვაჟი და დაარქვა ზურაბი. ზურაბი ისეთი მშვენიერი რამ იყო, რომ ვარსკვლავს ჰგავდა. მალე წამოიზარდა, დღე ტკაველს იმატებდა, ღამე — ოთხ თითხს. ცოტა ხანში ვაჟ-კაცი შეიქმნა; დაიწყო მინდვრად სიარული. ვისაც შეხვდება გავლელ-გამომვლელს, ყველასა ლახავს, არ ზოგავს არც ქექევაზ კეისრის შვილებს. ერთ დღეს ქექევაზის შვილებმა წამოსახეს ზურაბს: შენ თუ კარგი ჭაბუკი ხარ, მამაშენი მოძიე, კაცმა არ იცის, დევ-მხეცებმა შეგიჭამეს, თუ ველურ ღორებმაო. ზურაბმა რომ ეს გაიგონა, მაშინვე შინ დაბრუნდა. დედას ჰქითხა — მითხარი; ვინ იყო მამა ჩემით და რა იქმნაო. დედა ჯერ-ჯერობით არ უმედავნებდა მამის ვინაობას, მაგრამ ზურაბმა ძალა დაატანა და დედაც გაუტყდა. დედამ უწერა როსტომი და მისი განთქმული ჭაბუკობა. ზურაბმა მაშინვე გაიჭედა რკინის შვილდ-ისარი. შეიკმაზა ცხენი და გზას გაუდგა. ამ დროს დედამ, როგორც დაბარებული ჰქონდა როსტომისაგან, ყელს შარნი შეაბა, ჭიბას ჰქმა ჩაუდვა და მუზარადი უნაგრის ტახტზე დაუკრა. ზურაბი შემოაჯდა ცხენს და გასწია ყარაიასაკენ. გზაზე ზურაბს ქაჯი შეხვდა

¹ ერთნაირ მძივს ეძახიან.

ქალის სახით და დაუძახა: ოჭ! რა კარგი ჭაბუკი (გმირი) ხარ, რომ ყელს ქალის საბმელი (ლეგბ) არ გებას, ჯიბას ქალის სამკაული არ გედვას და უნაგრის ტახტზე მუზარადი არ გეკრას. ზურაბმა ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო გზა. ეს ქაში სხვა ნაირად ჩაცმული ისევ წინ დაუხვდა და იგივე გაუმეორა, რაც პირველ შეხვედრაზე. ზურაბმა მიაფურთხა და უთხრა: ფუ! ქალი ქაშისა ხარ, დავლახვრა ლმერთმა, გამშორდი იქითო, და ისევ გასწია. ქაში მესამედ შეხვდა კიდევ სხვა გვარად ჩაცმული და ისევ ის სიტყვები გაიმეორა. ზურაბს გული მოუვიდა, შარნი ყელზე შემოიწყვიტა, ჯიბაში ჩაიდვა, მუზარადი შემოიხსნა და უნაგირ ქვეშ დამალა. იარა ზურაბმა და ყარაიას მიაწია. ყარაია როსტომის სანადიროა და მუდამ ბევრი ნადირია.

ზურაბმა დილით მოაღწია აქ; მოჰყვა ერთის ნაპირიდამ ამ ვრცელს მინდოოს და მეორე ნაპირს მისვლამდე იმდენი ნადირი დახოცა, რომ სალამოს ძვლებისაგან კარავი გააკეთა, ყავრით გადახურა და ლამის სათენად შიგ შევიდა. როსტომმა რომ ეს ამბავი გაიგო, შეკრთა, თავის გულში თქვა — ამაზე უკეთესი ნადირობა არც მე მიქნია როდისმეო. ამ ღამეს არაფერი. მეორე დილას აღრე მივიდა ზურაბის კარავში. ახედ-დახედა ზურაბს, მაგრამ ვერც შარნი უნახა ყელზე მობმული და ვერც მუზარადი უნაგრის ტახტზე დაკრული. როსტომმა ზურაბი საჭიდაოთ გამოითხოვა. ზურაბმა უარი არ უთხრა, ეცნენ ერთმანეთს და ისე ჭიდაობდენ რომ იქაურობას სულ მტვერი აადინეს. მოიქნია როსტომმა ზურაბი, მუხლებამდი მიწაში ჩაფლა, მოიქნია ზურაბმა — წელამდი ჩაფლა როსტომი. როსტომმა უთხრა ზურაბს — ჭაბუკებს ჩვეულება აქვთ, რომ სამჯერ იჭიდავებენ ხოლმე; დღეს ამიშვი, ხვალ და ზეგ კიდევ ვიჭიდაოთ და თუ მესამედაც დამცემ, მაშინ რაც გინდოდეს, ის მიქენიო. ზურაბმა აუშვა როსტომი. მეორე დღეს იჭიდავეს, ისევ ზურაბმა დასცა როსტომი. ძლიერ შეწუხდა როსტომი. ამდენ დევებთან უჭიდავნია, ვერავის წაუქცევია და ეს ზურაბი ვინდა გამოჩნდა ამისთანა, რომ მოერია. გადასწყვიტა თავის გულში ზურაბი მოეკლა. მივიდა მჭედელთან და ორი შუბი შეუკვეთა. მესამე დღეს როსტომმა ეს შუბები პაიჭებში ჩაიტანა, წვერები ზეით უქნა და ზურაბთან საჭიდაოდ გამოვიდა. შეიჭიდნენ, ზურაბმა დასცა; ამ ღროს როსტომმა ჭვეიდამ ამოჰკრა შუბები და მუცელში შესცა ზურაბს. ზურაბმა დაიკივლა: ოხ! შე ბოროტო, ჩემი მოკვლა შენ არ შეგრჩება, მამაჩემი როსტომი ყველგან მოგძებნის, — კლდეში შეხვალ, ჯიხვად გადიჭევა, ზღვაში—კალმახად და მიწაში — თაგვად.

როსტომს თავს ზარი დაეცა, სწორედ ჩემი შვილი მოკალიო, და
შესძახა ზურაბს:

— შენ ბიჭო (ბუშო), ბოზის ნაგდებო, ვინ არის მამაშენი?

— როსტომს აქებენ ჭაბუქსა, ის არის მამაჩემი.

— შენ თუ როსტომის შვილი ხარ, სადა გაქვს შარნი, ეშმა და
მუშარადი?

ზურაბმა ყველა ესენი აჩვენა და მათი დამალვის ამბავი უამბო. ახლა დარწმუნდა როსტომი, რომ თავისი შვილი ზურაბი მოპკლა. მწუხარებისაგან კინაღამ მოკვდა. ზურაბს მოვლა დაუწყო, მაგრამ მას ბევრ ხანს არ უცოცხლია და როსტომს ხელში შემოაკვდა. შეწუ-
ხებულმა როსტომმა ზურაბი ხელებზე დაიდგა, დაიჩოქა და ქვეყნის
პატრონს (ლმერთს) შეეხვეწა: შვილი შემომაკვდა, ახლა ამასა გთხოვ
თორმეტი წელიწადი ორმოში ჩავალ, მზეს არ დავენახვები და ჩე-
მი ზურაბი გამიცოცხლე. როსტომმა ასე ქმნა, გაითხარა 12 მხარის
სილრმე ორმო, ჩავიდა შიგ და ჩაიტანა ზურაბიც და იყო შიგ უსმელ
უჭმელი ღვთის ხვეწნაში. ამავე დროს როსტომმა დაიბარა ქექევაზ
კეისრის დიაკონი, სთხოვა წასულიყო ქექევაზთან და ზურაბისათვის
უკვდავების წამალი (ანუ წყალი) მოეტანა. დიაკონი მიეგზავნა ქექე-
ვაზთან და გადასცა როსტომის დანაბარები. ქექევაზმა უარი ვერ გა-
ბედა, ჩასხა უკვდავების წამალი თასში და მისცა დიაკონს; ამას-
თანავე დააბარა, რომ როდესაც როსტომთან მიახლებულ იყო,
ფეხი-ფეხზე დაედგა, დაცემულ იყო და წამალი წაექცია, თორემო,
სთქვა ქექევაზმა, როსტომს თუ თავის შვილიც თან ეყოლა ცოცხა-
ლი, ჩვენ კეისრობას წაგვართმევსო. ეშმაქმა დიაკონმა აასრულა, რაც
ქექევაზმა დააბარა: როცა მიუახლოვდა როსტომს, ფეხი-ფეხზე და-
აბიჯა, თასი ხელიდამ გაუშვა და წამალი წაექცია. როსტომი მიხვდა
დიაკონის ეშმაქმაბას და ამოაძახა: თუ ამ ორმოდამ ამოსვლა მელირ-
სა მაგიერს გადაგიხდი შენც და შენს კეისარსაც, რომელსაც, მე
რომ არა, ასჯერ შესჭამდენ აქამდი დევ-მხეცებიო.

როსტომი ორმოში დარჩა ათი წელიწადი. ზურაბი მუხლებზე
უწევს და მოელის ღვთისაგან მისს გაცოცხლებას. ამ დროს განმავ-
ლობაში წვერი ისე გაეზარდა, რომ ფეხებამდი სწვდებოდა. წვერის
თმიდამ სიმები დასკვნა, ზურაბს მკლავებზე მოაბა და ჭიანური გაი-
კეთა. ამ ჭიანურზე დასტირის ჰოველ დღე თავის თავგადასავალს
და უკანასკნელს უბედურებას — შვილის მოკვლას.

ათის წლის განმავლობაში ქექევაზის სამეფოს ისე მოედვა დევ-
მხეცი და ველური ღორი, რომ მცხოვრებლებს სახლში უვარდებიან
და აკვებიდან სტაცებენ ბავშებს. შეწუხდა ქექევაზი, არ იცის, რი-
თი უშველოს თავს. მართალია როსტომის ორი ძმა — გივი და გურგენი

შასთან არიან, მარა რა! გურგენი გლახაკია, რაღაც ჩანჩურაა; ვივი
სხვები კარგი და ჰქვიანია, მაგრამ ჭაბუკობა არ შეუძლია; მაგრა
ზირადა ჰყავს ქექევაზ კეისარს. გივს შვილი ჰყავს — ბეჟანი; ბეჟან
ნი ყმაშვილია და ჯერ-ჯერობით იმედი არა აქვთ, რომ ჭაბუკობა შე-
იძლოს. მეტი ლონე არ იყო; ქექევაზმა გივს სოხოვა, თავისი შვილი
გაეგზავნა დევ-მხეცების მოსახოცად. გივმა დაუჯერა ქექევაზს.
გივმა თავის ძმა გურგენს დაუძახა და სოხოვა, ბეჟანს გაჰყოლოდა
საჭაბუკობ; ბეჟანი — სოქვა გივმა — პირველად მიდის საჭაბუკობ,
გამოუცდელია, გზა და კვალი არ იცის, შენ სხვებრ არაფრად გამო-
ადგები ბეჟანს, მაგრამ გზას მაინც აჩვენებო. გურგენს შეეზარა
წასვლა, მაგრამ უარი ვერ გაუბედა გივს. ბეჟანმა შვილდ-ისარი
მოიმარავა, გურგენს საგზალი დააკავებინა და გასწია მინდვრად. გაი-
ხედა ბეჟანმა, შეხედა, რომ მინდორი ველურის ლორით არის სავსე.
მიპყვა ერთი კიდიდამ მეორე კიდემდი, სულ ამოსწყვიტა ველური
ლორის ჭოვი. დახოცილი ლორები იმდენი გამოდგნენ, რომ ეშვები
რომ ააცალეს, ასი ურემი დაჭვირთა. გურგენი ამ დროს შიშით ხე-
ზე იყო და სეირს უყურებდა. ლორების დახოცვის შემდეგ-კი ხილამ
ჩამოვიდა და ეშვების ამოლებას ეხმარებოდა ბეჟანს. როდესაც სახ-
ლში წამოსვლა დააპირეს, გურგენმა უთხრა ბეჟანს — გეტუობა
ჭაბუკობაში ბიძაშენს — როსტომს არ ჩამოვუარდები, დიდი ჭაბუ-
კი (გმირი) იქმნები. რომ შენისთანა არვინ იყოს, სულ ერთს რამეს
გირჩევ: ერანელთ კეისარს — აფროსუანს — მზეთუნახავი ჰყავს,
წადი და ის როგორმე იშოვნე, სახელად მზეთუნახავს „მარუჯანი“
ჰქვია.

გურგენმა კარგად იცის, რომ თურანელები და ერანელები მოსის-
ხლე მტრები არიან ერთმანეთისა და უნდა ბეჟანი გაგზავნოს აქ; ბე-
ჟანს მოპელავენ და დღევანდელს ველურს ლორებს მე დავიჩემებო.

ბეჟანმა არ იცოდა გურგენის ამ ნაირი ეშმაკობა, უთხრა ლორე-
ბის ეშვები ქექევაზისათვის. მიეტანა და ეამბნა, თუ როგორ დახო-
ცა მან, ბეჟანმა, ლორები. გურგენს ეს გაუხარდა. ასი ურემი ლორე-
ბის ეშვები ქექევაზს მიართვა და უთხრა, რომ უკელა მე დავხოცეო.
როდესაც ჰყითხეს — ბეჟანი რა იქნაო, გურგენმა დაცინვით მიუგო:
ბეჟანი რას იზამდა, როგორც კი დაინახა ველური ლორების ჭოვი,
შეეშინდა, უკან გამოიქცა, დაეწია ერთი ლორი, ამოპერა ეშვი და
გამოპეტრაო. ქექევაზს ძლიერ ეწყინა ბეჟანის ასე უდროოდ და-
ლუპვა; გურგენის ასეთი ყოჩალობა კი ძლიერ გაუკვირდა და ამის
შემდეგ დიდის პატივისცემით აცხოვრა. ბეჟანმა იარა, იარა და რო-
ცა იყო მივიდა აფროსუან კეისრის სამეფოში. აფროსუანს თავისი
ქალიშვილი, მარუჯანი, კოშკში ჰყავს. ბეჟანი კოშკის ძირში მივიდა

გამოიხედა მარუჯანმა, შეხედა ბეჟანს, ბეჟანმაც შეხედა. ძლიერ
შეუყვარდათ ერთმანეთი. მარუჯანმა უთხრა თავის მოახლეს, როგორმე
ის კაცი (ბეჟანი) საღამოს შემოეყვანა კოშკი. ბეჟანმა
მთელი დღე საღამომდი კოშკს უარა ირგვლივ. საღამოს მარუჯანის
მოახლემ ნახა და შეიყვანა კოშკში. შეხედვისთანავე ბეჟანი და მარუ-
ჯანი ერთმანეთს გადაეხვივნენ და რამოდენიმე ხანი უგონოდ (ბაჟურ)
იყვნენ სიყვარულისაგან. მეორე დღეს აფროსუანი გაიგებს, რომ
მის ქალიშვილთან ვიღაც შესულა. შეპქრებს თავის ჯარს და გარს
ახვევს კოშკს. გამოდის ბეჟანი კოშკიდგან, შეებრძოლება აფროსუ-
ანის ჯარს და ანახევრებს, იმოდენს ჰერცი. ვეზირნი ურჩევენ აფრო-
სუანს თავი დაანებოს ბეჟანთან ბრძოლას, ნება მისცეს ქალიშვილის
შერთვისა და შემდეგ რაიმე ხერხით, მოტყუებით მოჰკლას ბეჟანი.
აფროსუანი უგონებს ვეზირებს. ეუბნება ბეჟანს, რომ შეირთოს
მარუჯანი. ბეჟანს და მარუჯანს უხარიანთ. იხდიან ქორწილს. ღამე,
როცა ბეჟანსა და მარუჯანს ერთად სძინავთ, ბეჟანს რეინის ბორკი-
ლებს უყრიან. დილას ბეჟანი იღვიძებს, ამჩნევს, რომ ბორკილები
უყრია ფეხებში, მისწევ-მოსწევს ფეხებს და ბორკილებს ისე
სწყვეტს, როგორც წვრილს ბაწარს. კეისარი და მისი მხლებლები
გაკვირდნენ ბეჟანის ორნეზე. იფიქრეს და ამას დაადგნენ: — ბეჟა-
ნიდამვე უნდა შეეტყოთ, თუ რითი შეიძლებოდა მისი დაბორკვა.
შეაცდინეს ერთი მოახლე, რომელმაც გაიგო ბეჟანისაგან, რომ ბორ-
კილად მას გაუძლებს მხლოდ მისი შვილდის ძუის ბაწარი. მოახ-
ლემ ეს აფროსუანს გარდასცა. ძილში ბეჟანს ხელებს თეძოებზე
უკრავენ. დილას იღვიძებს და ჰერდავს, რომ თავის შვილდის ბაწრით
არის შეკრული და ვერაფერს ჰშველის თავს. აფროსუანი და მისი
მხლებლები თავზე ადგიან ბეჟანს და უხარიანთ, რომ დაიმორჩილეს.
ამ დროს ბეჟანი ეუბნება აფროსუანს:

— ნეტავი ხელი ხელთა მქონდეს,
მძიმე ლახტი ხელში მქონდეს,
ერანელთან ჩამარია;
ერთ კაკალი გაგარჩინო,
თურანელში შერცხვენილ ვაჩ.

აფროსუანი მიუგებს:

— შეხედეთ ბრიყვას, რეგვენსა,
ხელთა მყავს, გულთა ქადულობს.

აფროსუანს ბეჟანის მოქვლა უნდა; მას ჰყავს ერთი ვეზირი, სახელდობრ შევლოხა, რომელიც თურანელი იყო და იცნობდა ტაქტიკას ტომ ჭაბუქსა და მის ძმებს. მან უთხრა აფროსუანს:

— ნუ მოჰკლავთ გმირსა ბეჟანსა,
სამი ნაწილი (თურანელების) მოკალით,
ფერი არა გაქვს (შიშით) არც ერთსა.

შევლოხამ ურჩია აფროსუანს, ბეჟანი ჩავსვათ ორმოშიო. თავისი ქალიშვილი მარუჯანო დაავალოს ყოველ დღე ჩაუგდოს ბეჟანს პური, რომელიც თავის-თავად უნდა იშოგნოს, რითაც იქმნება. ეს სასჯელი ეყოფაო, დააბოლოვა ვეზირმა. აფროსუანმა დაუჯერა. მის ქალაქს, რომელსაც „ნართის“¹ ქალაქი ჰქვიოდა, აათხრევინა ორმო და ბეჟანი შიგ ჩასვა და ზემოდამ ქვა დაახურა...

გავიდა ათი წელიწადი მას აქედ, რაც როსტომი ორმოში ზის და ზურაბის გაცოცხლებას ეხვეწება ღმერთს. ამ ხნის განმავლობაში დევ-მხეცი ისევ გამრავლდა ქექევაზის საკეისროში. შეწუხებულმა ქექევაზმა დიაკონი დაიბარა და უთხრა — წადი როსტომთან, ეგებ როგორმე მოუხერხო და ორმოდამ ამოიყვანოო. დიაკონი წავიდა როსტომთან, დადგა იმ ქვაზე, რომელიც როსტომის სამყოფ ორმოს ეხურა, დააბრაგუნა და მწყრალის ხმით ჩასძახა როსტომს — ამოდი, შე ბებერო, თორემ დევ-მხეცმა შეგვჭამაო. როსტომმა იუკადრისა დიაკონის ამ გვარი საქციელი, ისეთი გული მოუვიდა, რომ მუხლებზე მდებარე ზურაბი, რომელსაც სიცოცხლის ნიშნები ეტყობოდა, გადააგდო და მაშინვე სული დალია. ამოვიდა ორმოდამ. დიაკონს უთხრა სამართებელი მოეტანა წვერის მოსაპარსად და ერთი ტყვიით დატვირთული ვირი მოეყვანა. დიაკონმა ასე ქმნა. როსტომმა წვერი მოიპარსა და შემდეგ დიაკონს უთხრა ვირ ქვეშ დაწოლილიყო. დიაკონი ნება-უნებურად დაწვა. როსტომმა აიღო თავის ხმალი და თქვა: თუ ვე მართ ლებოდე ამ დიაკონს, ერთის მოქნევით ეს ტყვიით დატვირთული ვირიც გაუჭრია ჩემს ხმალს და დიაკონიც, თუ არა — არა.

მოინია ხმალი, გასჭრა ვირი, დიაკონი და 12 მხარი. ეს შენ გქონდეს, სთვა როსტომმა, რადგანაც მეორედ მომაჯვლევინე ჩემი ზურაბიო. შემდეგ როსტომი წავიდა ქექევაზთან. ქექევაზი ორის შვილით გამოეგება როსტომს. როსტომმა ორივე შვილებს თავები ერთმანეთს მიურახუნა და გაუჭყლიტა მამის წინ; ეს იმიტომ, რომ შენც იგრძნო, თუ რამდენად საამოა შვილის მოკვლაო, უთხრა როს-

¹ ნართის ქალაქი ეხლაც არისო, მითხრა ამის მოამბემ.

ტომმა ქექევაზს. როსტომის გვარეულობას ჰქონდათ „საწუთრის უამნი“. როდესაც იმაში ჩაიხედავდნენ, ქვეყნიერობას ხედავდნენ, ჩაიხედა როსტომმა, დაინახა, თავისი ძმისწული ბეჟანი ორმოში ზის ნართის ქალაქის ახლო. შეწუხდა როსტომი, გადასწყვიტა ბეჟანის განთავისუფლება. იშოვნა ექვსი ჭორი, 12 ჭაბუკი, რომელიც ტომრებში ჩასვა და ისე აჰკიდა ჭორებს. მივიღდა ნართის ქალაქს. აქ ბეჟანის ცოლი შეხვდა როსტომს, ქმარს გარდასცა, რომ დღეს ერთი კაცი მოვიდა ჩვენს ქალაქში, შენ ძლიერა გგავსო. ბეჟანმა უთხრა — სთხოვე ჩემ მაგიერ, რომ არამე ნიშანი გამომიგზავნოსო. ქალმა, ბეჟანის ცოლმა, უთხრა როსტომს, არაც მის ქმარმა დააბარა. როსტომი, როცა დარწმუნდა, რომ ქალი ბეჟანის ცოლია, ატანს ბეჟანთან საცერს (ცერის ბეჭედს), წერილს და ერთს ქათამს. ბეჟანი იცნობს მის ბიძა როსტომს, რომელიც წერილით ჰპირდებოდა, რომ ამაღამ მოვალ 12 ჭაბუკით და გაგათავისუფლებო. ბეჟანის ცოლი, როსტომის ჩვენებით, ცეცხლს ანთებს ორმოს ახლო, რომელშიაც ბეჟანია ჩამწყვდეული. დაღამებულს როსტომი მიღის ბეჟანთან და მიჰყავს 12 ჭაბუკი. ამათ უნდა ახალონ ორმოს ქვა, რომელიც ახურავს ბეჟანს. მოჰკიდეს ხელს ქვას, გაისცრის აფროსუანის კოშკისაკენ, ქვა კოშკს ტკიდება, თავსა უტეხს, მერმე კლდეს ხვდება, უკან ბრუნდება და შუა გულ ნართის ქალაქს ანგრევს. ბეჟანი ორმოდამ ამოჰყავთ და მიღიან სახლში. აფროსუანი იგებს ამას, ედევნება უკან თავის ჯარით; დაეწია როსტომს და ბეჟანს, რომელთაც აფროსუანმა შესძახა, დამნებდით, თორემ ამოგხოცავთო. როსტომმა ბეჟანს და 12 ჭაბუკს უოხრა განეგრძოთ გზა, აფროსუანს მარტო მე დაუხვდებით; ამავე დროს; როგორც პატარა წენელი, ისე ამოთხარა ნაძვი; წვერიდამ ხელი გადაუსვა ნაძვს და ერთი შტო არ შეარჩინა. ეს ნაძვი ესროლა ცხენზე მჯდომ აფროსუანს. ნაძვმა უნაგირ ქვეშ გაიარა, დაიტანა აფროსუანის კალთები, ერთის ბოლოთი მიწას დაესვა და აფროსუანი ცხენიანად მიაკრა მიწას. მისი ჯარი დაესია აფროსუანს და უნდათ ახსნან მიწიდამ. ამასობაში როსტომი და მასთან მყოფნი კარგს მანძილს გადიან. აფროსუანი თავის ჯარით სახლში ბრუნდება. როსტომი და ბეჟანი მოაღწევენ ქექევაზ კეისართან. ბეჟანი გულ მოსულია თავის ბიძა გურგენზე, რომლის გამოისამითაც იგი ერანელთ ჩაუვარდა. ხელში; როსტომს უთხრა — ბიძა ჩემო, გურგენი უნდა მოვკლაო. როსტომმა არ მოუწონა, როგორ გირჩევ ჩემის ძმის მოკვლასო. როსტომი და ბეჟანი ნახულობენ ქექევაზ კეისარს, გივს და გურგენს, რომელიც ძლიერ მოხუცებულან, ეთხოვებიან მათ და მიღიან ყარაიას მინდორში საცხოვრებლად. როსტომი მოხუცდა; ჭაბუ-

კობს მარტო ბეჟანი. როსტომი დღეც კარავშია და ლამეც. დევებს
გაუგიათ ეს, რომ როსტომი მოხუცდაო. ერთი დევი მოდის ჭუჭულ
ტომის კარავთან და უძახის — აბა გამოდი როსტომ საჭირაოთი
როსტომს ეწყინა, რომ დევი მის კარზე მოდის და საჭირაოთ ითხოვს.
მაგრამ რას იზამს, უარს ვერ ეტყვის, თორემ უარესი სირცხვილია.
ეჭიდება როსტომი დევს, — დევი ამარცებს. როსტომმა სთხოვა
ხვალ კიდევ მობრუნებულიყო საჭირაოდ და თუ ხვალაც წამაქციე,
მაშინ რაც გინდა, ის მიქენიო. საღამოს ბეჟანი მოდის ნაღირობიდ-
გან; როსტომი ეტყვის დღევანდელს შემთხვევას დევისა და მის
შორის და სთხოვს ხვალ სახლში მოიცადოს და დევს შეეჭიდოს. ბე-
ჟანი რჩება სახლში. დევი მოდის დანიშნულს დროზე და უძახის როს-
ტომს — გამოდი დამეჭიდეო. როსტომის ტანისამოსში დევთან გადის
ბეჟანი. ეჭიდა დევს — დასცა ბეჟანმა. შემოხედა დევმა ბეჟანს—
შენ როსტომი არ უნდა იყოო. ბეჟანმა მიუგო — ჩვენ ისეთი გვარისა
ვართ, რომ დღეს რომ მოხუცებული ვართ, ხვალ ვყმაწვილდებითო,
გუშინ ბებერი ვიყავ, დღეს ხომ ხედავ ყმაწვილი ვარო. დევი იმიტომ
არის დევი, რომ დაიჯერა და წავიდა. ამიერიდგან როსტომი აღარ
ჭაბუკობს. ის განუშორებლივ სცხოვრობს მის ძმისწულ ბეჟანთან¹.

1887 წ.

¹ ლეგენდა არ უჩვენებს როსტომის სიკედილსა. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ-
რანისა და როსტომის ამბავს არაელაც ამბობენ და ზღაპრადაც.

მღამით ხალხის მუსიკობრივი სახეობი

(პატარა ფელეტონი)

ჩემდა სამწუხაროდ ეს წერილი სრულს ცნობებს ვერ მისცემა
 ცნობის მოყვარე გვითხველს. სვანების მკურნალობაზე, თუმცა ცდა
 არ დამიკლია მის შეტყობისათვის. ვერც ნათესაურმა დამოკიდებუ-
 ლებამ, ვერც ნაცნობობამ ექიმებთან და ვერც სხვა ღონისძიებამ
 ვერ გასჭრეს და ვერ გაამჟღავნებინეს ჩემთან სვანების ექიმებს
 თავიანთის ხელობის ყოველივე საიდუმლო. მოგეხსენებათ, მაგის-
 თანა ხალხში, როგორიც არიან სვანები, ექიმობა ლუკმის მომ-
 ცემი ხელობაა. ამ ხელობას, ე. ი. მდაბიო ხალხის მკურნალო-
 ბას, ერთი ზე სჭირს: თუ იგი სხვამ გაიგო, ესეც მალე ისწავ-
 ლის ამ ხელობას, როგორც ადვილს და მარტივს საქმესა, და ამ
 ნაირად ართმევს ლუკმას პირველს მცოდნეს. ეს არის მიზეზი, რომ
 ექიმობის ცოდნა მარტო ერთს ოჯახში, ერთს თემში ტრიალებს რა-
 მოდენიმე ათი და ასი წელიწადი. ექიმი მამა შვილს უანდერძებს თა-
 ვის ხელობას, როგორც სამკვიდრებელს და თუ შვილი არა ჰყავს —
 ცოლს. იშვიათია, რომ ძმამ ძმას განუზიაროს ექიმობის ცოდნა. ცხადია ამის გამო, რა ძნელია გარეშე კაცისათვის ექიმობის დაწვრი-
 ლებით შეტყობა. ასეა, მაგრამ სულ არაობას მაინც ვარჩიე, ის
 განვუზიარო მკითხველებს, რის შეტყობაც მოვახერხე.

სვანეთში ექიმობაში ძალიან განთქმული არიან „გვიჭიანები“, რომელიც სცხოვრობენ თავისუფალ სვანეთს, ლატალის საზოგა-
 დოებაში, სოფელ იფხს. აი რა მიამბო ბექმურზა გვიჭიანმა, რომე-
 ლიც პირველ ექიმად ითვლება სვანეთში, თავიანთ ექიმობის სწავ-
 ლის შესახებ.

ძველის-ძველად — სთქვა ბექმურზამ, ერთი ჩვენი წინაპარი
 ყორეზე მჯდარა; ახლო გველს გამოუვლია, გვიჭიანს ქვა დაუცია

და გველი ზედ შუაზედ გაუწყვეტია. შუად გაწყვეტილის გვეღის ნახევარი (თავისკენ) ახლო ბალახებში შეცოცილა, მოუჭრია რაღაც ბალახი, წამოულია იქ, სადაც თავისი მეორე ნახევარი ეფლო, ბალახი გაწყვეტილ ადგილზე მიუტკებებია, მერე აბრუნებულა და ბოლო მიუდგია ბალახისათვის. ამ ნაირად ეს ბალახი ორად გაწყვეტილ ნახევრების შუა მოუტანებია. რამდენისამე ხნის შემდეგ გველის ნაჭრები ერთმანეთს შეჰქორცებია და გამთელებული გველი თავის გზაზე წასულა. გვიჭიანს ამისათვის თვალყური უდევნებია. გველი ისევ მოუკლავს და მოუძებნია იმ გვარი ბალახი, რომელიც მარტო ჩვენ ვიცით და რომელიც უებარი წამალი გამოდგა ჭრილობისათვისათ.

როდესაც ვკითხე, რატომ ამ ბალახს სხვებს არ უმეღავნებთ-მეთქი, ბეჭმურზამ გაიცინა და მითხრა: „ჩვენ რომ ეს ბალახი სხვას გაუმეღავნოთ, ჩვენ რიღასი მაქნისი ვიქმნებითო“.

მართლა და გასაოცრად მალე და უებრად არჩენენ გვიჭიანები შეიმე ჭრილობას ამ ბალახით. იქ, სადაც მეცნიერებით აღჭურვილი ექიმი დანას და ხერხს იხმარებს, რომ მძიმედ დაჭრილს დაშავებული ასო მოჰკვეთოს, გვიჭიანები ამ შესანიშნავის ბალახით რამდენ-სამე კვირას და თთვეს არჩენენ. მაგალითი ვიცით, რომ ქუთაისის სამკურნალოში ერთი ფეხ-მომსხვრეული სვანი შეიყვანეს და ექი-მებმა გარდასწყვიტეს, ფეხი უნდა მოვჭრათო. სვანი არ დათანხმდა, გასწია გვიჭიანთან, რომლის წყალობითაც დღეს ამ სვანს ერთის მაგიერ ორივე ფეხები აბია.

ამ ბალახის გარდა ყველა სვანეთის ექიმები თითქმის ერთს წა-მალს ხმარობენ: ბალახეულობას, თუ სხვას. სვანის ექიმი, მართალი: რომ ვსთქვათ, დოსტაქარია და არა-რა სხვა. შიგნით ავალ-მყოფობი-სა ან არაფერი იცის, და ან სულ ცოტა. გადამდებ სნეულებათა-წამლობა ხომ თავშიაც არავის მოუვა სვანეთში, რადგან, სვანის აზ-რით, ამ გვარი სენი ღვთის მოვლენილია (ღერმეთი მეფშდვე) და ღმერთს თუ უნდა მოარჩენს ავადმყოფს, თუ არა და მოჰკლავს, წინ ვერავინ ვერ დაუდგება.

იარის, ჭრილობის მოსარჩენად სვანის ექიმები ხმარობენ: ერთ ნაირ საფხექ თეთრს ქვას, ნაძვის ფისს (ორივე ესენი ჭრილობას აწმენდენ, დალპობას უშლიან ხორცი), მარგი მუშქს, რომლის თვისება, ალბად, ყველას ეცოდინება; „კირბილ“-ს (Порошოქ) ე. ი. ბალახების ფოთლებს, რომელთაც გახმობის შემდეგ ფშხვნიან და ფქვილად გადაქცეულს წყლულზე აყრიან. „კირბილ“-ი სამ ნაირი იციან: ერთი ჭრილობას, წყლულებსა სწმენდს, ასუფთავებს, მეორე აშჩობს და მესამე არჩენს; „ჭილ“-ს, ე. ი. სხვა-და-სხვა ბა-

ლახების ძირებს; იციან ხუთ ნაირი „ჭილ“-ი: ერთს ხმარობენ მაშინ, როდესაც ტანზე ნატკენი აღგილი დაუმწიფდება და ბალამი დაუწყებს დენას; მეორე ნაირი „ჭილ“-ი (მაგალითებრ, წამთვრი ძირ) ამწიფებს გასიებულს აღგილს; მესამე — ბალლამის გამოსასვლელს მიღს აფართოვებს და ასუფთავებს; დანარჩენი ორ ნაირი „ჭილ“-ი იარას, ჭრილობას არჩენს.

იციან მალამო. აიღებენ ღორისა და თხის ქონს, ფისს, წმ. სანთელს, კვერცხის გულს; შიგ გაურჩევენ სხვა-და-სხვა ბალახების ფშხვნილს, ყველა ამაებს ერთმანეთში მოადუღებენ და აკეთებენ სვანურ მალამოს. ჭიის წამლად ხმარობენ „ნაყშდელ“-ის (ბალახია) ძირს. ეს წამალი აგად-მყოფს ასაქმებს წინ და უკან. ნაღრძობისა და გატეხილის უებარ წამლად მიაჩნიათ „მელენი“-ს (ბალახია) ძირი. ამ ბალახის ძირს ამოაძრობენ რა მიწიდგან, გაჰთხეკენ, ნაფხეკს ჭინჭე წააცხებენ და მიადებენ მოღრძობილ-მოტეხილს აღგილს. ეს წამალი აქრობს აგრეთვე სიმსივნეს; ამასვე ხმარობენ გულის ტკივილის დროს სასმელად, ამასაც ფურშუქსავით აკეთებენ.

იციან ხავიწიც. იარის პირის შესაყრავად ხმარობენ საქონლის ძარღვების ნაფხეკს; თავის ძვლების შესამთელებლად ხმარობენ სპილენძის ნაფხეკს, ბალახებში გარეულს. სვანის ექიმებმა იციან ნაღველების ხმარებაც წამლად; იციან სისხლის გაღებაც.

ყველა ბალახებს, რომლების ფოთლებს, ან ძირებს წამლად ხმარობენ ექიმები, ჰკრეფენ 15 აგვისტომდე, ე. ი. სანამ ნორჩი არის. სვანი ექიმები კარგად არჩენენ დურბელს, სიქაჩლეს და მჭამელასა. არიან ექიმები, რომელნიც ცველნების მორჩენასაც ხელსა ჰკიდებენ. მაგალითად, მულახის საზოგადოებაში სორეს დაღუანი. ექიმები და ამათგან მორჩენილებიც გვარწმუნებენ, რომ ეს სნეულება ნამდვილად ჰრჩებაო. რას ხმარობენ წამლად — არავის უმულავნებენ. დარწმუნებით ამბობენ ხალხში, რომ ზოგან უშვილოსნობის წამალიც იციანო, ე. ი. ამ წამალს რომ ქალი მიიღებს, შვილი აღარ ეყოლებაო. წამლად სთვლიან ერთ ბალახის ძირს, რომელსაც ისეთი სახე აქვს, როგორც ხელს ხუთივე თითოთ. როგორც ეს ბალახი, ისე მისი მცოდნე და მხმარებელი — ექიმი დიდს საიდუმლოს შეადგენს ხალხისოთვის. მგონი რომ ეს უშვილოსნობის წამლობა ტყუილად მოგონილი ამბავი არ უნდა იყოს. ამის დამწერს ხშირად გაუგონია მომჩივან ქმრისაგან, რომ რა-კი არც ცოლს და არც მის დედ-მამას არ უყვარვარ, ამისათვის ცოლმა ვიღაცას შვილოსნობა „მოაჭრევინა“ მოასპობინაო (ლიგზელი ათქვიცნე). ამბობენ აგრეთვე, რომ ამა და ამ ქალს ვიღაცამ „შვილოსნობა ამოაშობინა“ (ლიგზელი ახფიშდვნე). როგორც უშვილოსნობის, ისე მცვედნობის

წამალი, ხალხის აზრით, ვითომ ქალების ხელისაგან გამოდის. ჩა-
ღიან ამას, რასაკვირველია, იდუმალ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ
ბოროტების ჩამდენს დედაკაცებს ხალხი უთუოდ ჩაპერლავდა.

სამწუხაროდ, სვანეთში მოწამვლაც იციან. სხვათა შორის, ერთი
საწამლავი რკინის ნაფხვია, რომელსაც სასმელში აურევენ და ისე
ასმევენ, ვისი მოწამლვაც უნდათ. ეს საწამლავი რამდენისამე წლის
შემდეგ ჰქონდა კაცს.

ექიმის გასამრჯელო ცოტა იციან. პირველ მოწვევაზე ექიმს ეძ-
ლევა ერთი „ლერქვაში“ (1 მან.), რომელსაც „ხეჭივ“-ს ეძახიან.
ექიმი ავადმყოფთან უნდა იყოს და ამის ხარჯზე სცხოვრობდეს აქა.
თუ ისე მოხდა, რომ მოსარჩენი ექიმისას არის, მაშინ ეს იღებს თა-
ვის და ავად-მყოფის როჭის. ექიმს ეძლევა მსუბუქ ჭრილობისა-
თვის 3—8 მანეთამდე; ხანჭლით დაჭრილისაგან, თუ ძვლებამდე არ
არის ჭრილობა დასული, — 10 მან., თუ დაჭრილს ასო გაუხმა —
30 მან., თოფით დაჭრილისაგან, თუ ტყვია ასოშია გასული, ერთი
ხარი; დურბლისა და მჭამელის მორჩენაში — 60 მანეთამდე. მორ-
ჩენის შემდეგ ექიმს საჩუქარი უნდა მიერთოს და თუ რა საჩუქარი
იქნება, კაცზეა დამოკიდებული. თუ დაჭრილობა ისევ განუახლდა —
ექიმმა უსასყიდლოდ უნდა უექიმოს. ექიმს ხალხში დიდი პატივი
აქვს და ყველასია. თუ მტერმა მიიწვია, უარს ვერ ეტყვის ექიმი.
„აქიმ, პაპ ი მუშკილ-ჩიმიშ ლი“ (ექიმი, პაპი და მჭედელი ყველა-
სიაო), — ამბობს ხალხი. თავის შეგირდისაგან ექიმი იღებს სწავლე-
ბისათვის: ძროხას, ხარს, ცხენს და მეტსაც. ნუ დავივიწყებთ, რომ
ჯარვი ექიმი მარტო მცირედ რამეებს განუზიარებს შეგირდს და არა
მოელს თავის ცოდნას.

საზამთრო გზები სვანეთში

ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთს, რომლის საზამთრო გზებსაც ამ წერილში გავაცნობთ მკითხველებს, ჩრდილოეთით უძევს კავკასიონის დიდი ქედი. ამ ქედზე ზაფხულობით ოთხს აღილას გადის გზა ჩრდილოეთ კავკასიაში: მულაბის საზოგადოებიდგან (თავისუფალ სვანეთშია), ჩეგემის (თერგის ქვეყანაში) საზოგადოებაში, მესტიიდგან, ბეჩოდგან და ჩუბეხევიდგან ბახსანის ან ურუბიევის საზოგადოებაში (ყუბანის ქვეყანაში). პირველის სექტემბრიდგან ამ ქედზე ჩიგით თოვლი უნდა მოვიდეს და ამისათვის 15 სექტემბრიდგან, იშვიათის შემთხვევის გარდა, აღამიანის მისვლა-მოსვლა ისპობა მომავლის წლის 15 ივლისამდე. ამ სახით ჩრდილოეთის მხრით სვანეთის საზამთრო გზები გამოუყენებელია.

სამხრეთით სვანეთს ჩამოსდევს ესრედ წოდებული სვანეოის ქედი, რომელიც განზიდულია სამეგრელოს დავაკებამდე. ამ ქედზე, სახელდობრ ლატფარის უღელტეხილზე, მიდის საზაფხულო საცხენო გზა: 15 სექტემბრიდგან 15 ივლისამდე ამ უღელტეხილზე-დაც თუ არ ისპობა, ძლიერ ძნელდება სიარული: ან თოვლი მოდის და მაშინ ნამდვილად ზვავის შიშია, ან არა და გზა იყინება და ცხენს ფეხის მოკიდება უჭირს. ქვეითის კაცის სასიარულოდ კი ეს მთა მგზავრს ხელს არ აძლევს, რაღგანაც სხვებთან შედარებით გრძელი გზაა. დაგვრჩა სვანეთიდგან გამოსასვლელ გზებად ენგურის წყლის ჩამოყოლება ლენხერა-სამეგრელოსკენ, ენგურის ხათავედგან ცხენის წყლის ხეობაზე საღადიანო სვანეთისკენ და მუშურის უღელტეხილი, რომელზედაც წარსულს თებერვალს ზვავმა ცხრა მგზავრი იმსხვერპლა.

შევადაროთ ეს გზები და ვნახოთ, რომელი უფრო მარჯვეა და მოხერხებული. ავილოთ შუა-გული საზოგადოება ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთისა — მესტია. ვთქვათ, სვანეთიდგან კაცი ქუ-

თაისს უნდა ჩავიდეს. მესტიიდგან გამოსულმა მგზავრმა უნდა გაი-
არის ქვემო სვანეთი: ლენჯერი, ლატალი, ბეჩო, ცეცირი, ფარი და
ლახამულა, რომლის შემდეგაც იწყობა ესრედ წოდებული „ლენ-
ხერა“ სამეგრელომდე; სამეგრელოდამ მგზავრმა უნდა აუხვიოს და
ქუთაისს მოვიდეს. ხსენებულის გზის გავლას ქვეითი კაცი უნდება
რვა დღეს; ამ რვა დღეში 2—3 ღამე ცის ქვეშ უნდა გაატაროს ლენ-
ხერაში. ამ გზაზე ზვავის შიში არ არის; მხოლოდ გზა, ან უკედ
ვოქვათ, ბილიკი ვიწროა და გამოდერეფნული თოვლი ან ფეხებ
ქვეშ უმტყუნებს მგზავრს და ან ზემოდამ დაეცემა თავზე და ორი-
ვე შემთხვევაში — კი მგზავრი დაიღუპება. როდესაც ამ გზაზე ღი-
დი თოვლი ძევს, საჭიროა 8—10 მგზავრმა ერთად მოიყაროს თავი,
რომ თოვლის გაკვალვაში ერთი მეორეს ენაცვლებოდეს. ამ გზაზე
სიარული სვანებს არ უყვართ და თავისუფალ სვანეთიდგან ასში
ერთი თუ წავა, რადგანაც ერიდებიან ლენხერაში ღამის თევასა და
მეგრელებსაც არაფრად უქებენ მგზავრის მიღება-პატივსა; ხოლო ეს
მიღება და პატივი ზურგით საგძლის მიმქონ მგზავრ სვანისათვის
დიდი რამ არის. ამ გზაზე მოლრუბლული დღე ვერ დაკავებს
მგზავრ-სვანს. მესტიიდამ იგივე მგზავრი ენგურის სათავედამ ქუ-
თაისს მიმავალი გაივლის ზემო სვანეთის შემდეგს სხვა-და-სხვა სა-
ზოგადოებას: მულახს, იფარს, კალას და უშგულს. უშგულიდამ
შეხვდება „ნაკ-ზაგარის“ ულელტეხილი, რომელიც შეუძლვება ცხე-
ნის წყლის ხეობაში. მანძილი ნაკ-ზაგარის ულელტეხილზე 15 ვერს-
ზე მომეტებული არ იქნება; მაგრამ მგზავრი მაინც დალამებამდე
უნდება ღამის სათევზ ბინამდე. მგზავრობა არ შეიძლება არც მოლ-
რუბლულს დღეში და არც მაშინ, როცა თოვს: გზას დაპკარგავს და
საღმე ხეობაში ჩაიჩეხება. ზვავის შიში სრულიად არ არის. არც
დიდს თოვლს შეუძლიან მგზავრების დაბრკოლება, თუ ისინი ბევრ-
ნი არიან. ცხენის წყლის ხეობაში ერთი ღამე დარჩებიან, შემდეგ
შემოვლენ სადაღიანო სვანეთში, აქედამ ლეჩხუმს და ბოლოს ქუ-
თაისს. მგზავრი ამ გზით რვა დღეს უნდება ქუთაისში ჩამოსვლას.
ამ გზის უპირატესობა „ლენხერას“ გზასთან შედარებით ის არის,
რომ ეს გზა უფრო მომეტებულის ხალხით დასახლებულს ადგილზე
მიდის, სადაც სვანებს ნაცნობები ან, როგორც თითონ ეძახიან, კერ-
ძი. კაცები ჰყავთ და თბილი ბინა და ვახშამი მზადა აქვთ.

დაგვრჩა სვანეთიდგან გამოსასვლელი მესამე გზა — მუშურის
ულელტეხილზე გადმომავალი იმავე მესტიიდგან. ამ გზაზე წამო-
სული მგზავრი ქუთაისს ჩამოდის მეხუთე დღეს; მაშასაღამე, სამის
დღით აღრე, მინამ ლენხერითა და ნაკ-ზაგარით. აი ეს გზის სიმოქ-
ლე და სიმარჯვე ახარბებს მგზავრს სვანს. ავიწყებინებს ქართულს

ანდაზას — „შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიონ“, და აბედვინებს მუშურზე წასკლას, თუმცა დარწმუნებული არასოდეს არ არის, რომ მუშურის გზას ცოცხალი გადურჩება. „მუშურზე მი- მავალს მგზავრს ზიარება პირში უნდა ედვასო“, ამბობს ხალხი მუ- შურზე უბედურს შემთხვევისაგან დაშინებული.

ავსტრერ მუშურის უღელტეხილს და ამ გზით სიარულს. ხსენე- ბული უღელტეხილი სძევს სვანეთის ქედზე, ლატფარის დასავლე- თით 10—15 ვერსის სიშორეზე; მუშური ლატფარზე მაღალია. ჩრდი- ლოეთით მუშურის ძირში კალის საზოგადოების (თავისუფალ სვა- ნეთში) სოფ. დავბერი სძევს; სამხრეთით ჩოლურის (საღადიანო სვანეთი) სოფ. მაამი. სოფ. დავბერში დაბინავებული მგზავრი გა- დააბიჯებს თუ არა ენგურის მარცხენა ნაპირას, მაშინვე შევა მუშუ- რის ღელები (მუშვრა ტვიბ). მგზავრი მიჰყება ამ ღელებევს, რო- მელიც ძირში, სოფლის მახლობლად, ვიწროა და აქეთ-იქით ფერ- დოები არყის ტყით დაფარული აქვს. ამ ნაირად გაივლის დაახლო- ებით ორს ვერსს და მივა ცოტაოდენს დავაკებამდე, რომლის ზე- შოდაც ტყე არსად ხარობს და წინ დევს უტყეო ფერდოები და მუ- შურის დიდი აღმართი. აქ მცხოვრებლები შემდეგს თავდარიგს იჭე- რენ: აღმართს უნდა შეუდგნენ ჭიქურ, პირ-და-პირ, განზე განვევა არ შეიძლება; სადაც წინამდოლი ფეხს დააბიჯებს, უთუოდ უკან მიმყოლებმაც იმ ადგილას უნდა დაადგან ფეხი; უნდა იარონ კენტ- კენტად გამწრივებულებმა, კაკალ-კაკალ, ე. ი. ერთი მეორისაგან 5—6 საუენის სიშორეზე უნდა იყოს დაცილებული; ხმა მაღლა და საზოგადო ლაპარაკი აკრძალულია. ყველა ეს სიფრთხილე პმარ- თებთ მგზავრებს, თორემ ზვავი ჩამოვაო, ამბობენ სვანები. ადვილი წარმოსადგნია, თუ რა სათრთხილო ყოფილა მუშურზე სიარული როდესაც ლაპარაკიც კი ზვავს იწვევს, ე. ი. ლაპარაკის გამო შენ- ძრეული ჰაერი თოვლს ხვდება და ზვავს აჩენს (ეს ფიზიკური კანო- ნი სვანებმა, რასაკვირველია, არ იციან). ამ სიფრთხილით აღიან მუშურის მწვერვალზე, რომელსაც „უიბე კილოთარნს“ ეძახიან. სიტყვა „კილოთ“ ქართულად ნიშნავს წვეტიანს კლდეს, ქვას და ან ნაირად „უიბე კილოთარნი“ ქართულად იქმნება „ზემო წვეტია- ნი კლდები“, რომელნიც მუშურის მწვერვალზე რამდენიმეა. მწვერვალი მუშურისა სიფართოით ძლიერ მცირეა. აქ მოსული მგზავრი ნახევრად გახარებულია, რადგანაც ჩრდილოეთის მხრით გადარჩა ზვავსა, მაგრამ ზვავის შიში მუშურის სამხრეთის ფერ- დოებზედაც ნაკლები არ არის. რამდენისამე ფეხის გადადგმაზე მწვერვალიდგან სამხრეთისკენ, ე. ი. დაღმართზე იწყება ისეთი ვიწ- რო გზა, რომ მგზავრის ფეხი ძლივსა თავსდება. სივიწროვის გამო

ამ ბილიკისათვის სვანებს „დახლა სვიკვ“-ი (თხის ზურგი) დაურქმევიათ. აღმოსავლეთ-დასავლეთით „დახლა სვიკვ“-ს ხრამები აქვთ. თუ მგზავრს რომელისამე მხრისკენ ფეხი გადუცილდა, დაიღუპება, ზვავს მოსწყვეტს და შიგ ჩაიფლობა ზაფხულამდე, ე. ი. თოვლის დადნობამდე.

„დახლა სვიკვ“-ს ქვემოდ იწყება „კიჩილდ“-ი (პატარა კიბე), კლდე, რომელზედაც ისე უნდა ჩაიაროს კაცმა, როგორც ნამდვილს კიბის საფეხურებზე; კიდევ ნახევარი ვერსი საშიში გზა და მგზავრი მიაღწევს ტყის თავს, საღაც არაფრის შიში აღარ არის. მარტო აქ შეუძლიან მგზავრს თავისუფლად ამოისუნთქოს. ჩათავებს ტყეს და კადევაც შედის ჩოლურის საზოგადოებაში. მუშურზე გაზაფხულის პირადაც დაიარებიან. ამ დროს მზე დღისით თოვლის ზედაკანს ათბობს, ლამე-კი იმდენად ჰყინავს, რომ კაცს იმაგრებს და მგზავრი ისე დაღის თოვლზე, როგორც ფიცრის იატაზე. მხოლოდ საჭიროა მგზავრმა მუშურზე გასვლა-გამოსვლა მზის მაღლა ამოსვლამდე მოასწროს, თორემ თოვლი ჩაუტყდება გზაზე და ზვავს გააჩენს. ეს რომ არ მოხდეს, გაზაფხულის მგზავრი ყოველთვის ღმერთობას.

1887 6.

სპანების საიმპი

(ეტნოგრაფიული წერილი)

საქონი სვანების თავისებურადა აქვსთ წარმოდგენილი; იგი ვრცელი მინდორია, დაფარული მწვანე და მუღამ ნორჩის ბალახით. ზემოდამ ცა აფარია, აქვს ერთი კარი სულების შესასვლელი. ცხონებულნიც და წაწყმენდილნიც, ანუ, სვანურიდამ რომ პირდაპირ გადმოვთარგმნოთ, კარგის სულისა და ცუდის სულის კაცები (ხორა იხოლა ლაქვნა მაარე) ამ კარში შედიან. იქ — კი ცხონებული კარგს „ლაქუნთესკენ“ (სულის ადგილი, ან სასულეთი) უხვევს, წაწყმენდილი — კი — გლახა „ლაქუნთესკენ“. კარგი სასულეთი, ან ქართულად სამოთხე, ამ ნაირად არის მოწყობილი: როგორც ნათქვამია, გამლილია ტრიალი მინდორი; შუაში ბრძანდება ქრისტე, რომელსაც წინ უდგას გრძელი და მუღამ აულებელი ტაბაკი, სხვა-და-სხვა სანოვაგით სავსე. იქაურობას მზე ანათებს; სადაც ქრისტე ბრძანდება, იქ უფრო გაბრწყინვებულია მზით და ამიტომაც ხალხი ეძახის „მ უარს“ (მზიანი). ქრისტეზე დამორჩებული ადგილები სამოთხისა მკრთალად არის განათებული, თითქო იქ მზე ორუბლებიდამ იყურებოდეს და ამიტომ იმ ადგილს ჰქვია „მულიირ რიჰაარ“ (მკრთალი სინათლე). ხორაგით სავსე ტაბაკს შუაზე ქრისტე უზის, აქეთიქით ცხონებულნი. როგორც ქრისტე, ისე სულნი მიცვალებულთა ჰქმაყოფილდებიან ყურებით, ხორაგის დასუნვით, რადგანაც აქ სმა-ჭამა არ შეიძლება. თვითონეულს სულს მიცვალებულისას რომელიც ლირსი გამხდარა ქრისტეს ტაბაკის მონაწილეობისა (ქრისტე ტაბაგდუფ ჭიგად), წინ უწყვია სააქაოს იმის ჭირისუფალთაგან, ან თავისის სიცოცხლეშივე თავისის ხელით დამზადებული საკურთხი; ეს სრული მისი საკუთრებაა; მიზიარ-მოზიარება საკურთხისა, ან ნაკურთხ სანოვაგისა აქ იშვიათია, თუმცა ახლო ნათესავებში არც

უმისობა არის. ეს-კია, რომ თვით გაჭირებული სული უფროხის
სახვის სამადლო საკურთხეს, რაღანაც ერთი, რომ თავმომწონე სუ-
ლისათვის ეს, ცოტა არ იყოს, სასირცვილოა და მეორეც საყვედული
გამოიწვევს იმისაგან, ვინც თავის წილს საკურთხეს უზიარებს:

მიცვალებულთა სულნი, წაწყმენდილნიცა და ცხონებულნიც,
სკანებს წარმოდგენილი აქვთ, როგორც ლანდები. იმათ ის ტანისა-
მოსი აცვიათ, რომელიც ჩაჰვათ საფლავში და ან ის, რაც შემდეგ-
ში ეკურთხათ, თუ-კი ეს უმჯობესია. თუ მიცვალებულს რამდენ-
ჯერმე ეკურთხა ახალ-ახალი ტანისამოსი, მაშინ ამ ახალს თვითონ
ჩაიცვამს და გამონაცვალს უჭირისუფლო, გაჭირებულს სულს გარ-
დასცემს „მადლი გულა“ (მადლის გულისათვის). ორი წყვილი
ტანისამოსი მიცვალებულისათვის საჭიროა და ჭირისუფლებისა-
თვის სავალდებულო: ერთი, როგორც ნათქვამია, საფლავში უნდა
ჩაჰვათ და მეორე შემდეგში ეკურთხება, თუ კაცმა თავისს სი-
ცოცხლეშივე არ იქურთხა ეს მეორე წყვილი ტანისამოსი. რაც
ამაზე მეტი იქნება, ის სასიამოვნოა მიცვალებულისათვის და სარგო
ჭირისუფლებისა, რადგანაც მადლიერი სული მაგიერს სიკეთეს
გარდაუხდის ჭირისუფალს, რაც ქვემოდ იქნება ნაჩვენები. მამა-
კაცს საიქიოსაც, რასაკვირველია, თან ახლავს ყველა იარაღი, დედა-
კაცს — თავის სამკაული. მიცვალებულთა სულები სასულეთში, ამ
ტრიალს მინდორში, როცა უნდათ დასეირნობენ, როცა უნდათ ტა-
ბაკს უსხედან და ქრისტეს „ყურებით სძლებიან“ (ქრისტე ლისგდინ
იბზინ) და ეს შეადგენს იმათს ნეტარებას. ერთმანეთში მუსაიფო-
ბენ დაბალის ხმით, ერიდებიან ყოველს გვარს ხმაურობას. ხმირად
აქვსთ მუსაიფი თვით ქრისტესთანაც. ეს გახლავს სვანების სამოთხე,
სადაც განისვენებენ „სულნი მართალთანი“, საღმრთო წერილის
სიტყვით.

კარგის სასულეთის მოშორებით არის ერთი კუნჭული, საღაც გა-
ნუწყვეტლივ წყვიდიადი ჰსუფევს (მუშვირ უტკვინ). აქ არის სხვა-
თა შორის ფისის ტბა (ფისემიგვიბ). ეს არის გლახა სასულეთი, ანუ
ჩვენებურად ჯოჯოხეთი (ხოლა ლაქუნ). ეს არის სამყოფი წაწყმე-
დილ სულებისა; იგინი ვერა ჰქედავენ ვერც ქრისტეს, ვერც იმის
ნათელსა და ტაბაკს. ისე ბნელა, რომ ერთი მეორეს ვერ არჩევს.
ზოგის აზრით, საკურთხი ამათაც მოსდით, მაგრამ ყველაფერი უშნო
და უგემურია, რადგანაც სიბნელეში უნდა მოიხმარონ (სვანს დიდ
სირცევილად მიაჩნია ამ ქვეყნადაც სიბნელეში. სმა-ჭამა). ზოგის
აზრით, ამათთვის დამზადებული საკურთხი ქრისტეს განკარგულე-
ბით ურიგდებათ იმ ცხონებულს სულებს, რომელთაც ამ ქვეყნად
ჭირისუფალი არავინ დარჩენიათ, რომ საკურთხი დაუმზადოს თავის

დროზე. სვანებს სხვათა შორის ისიცა სწამთ, რომ, თუ ჭირისუფალ-
ბა საკურთხი გაუხშირა წაწყმედილს სულს¹, უკანასკნელს ქრისტე-
შეუნდობს ცოდვებს და სამოთხეში გადიყვანს. ესევე შესაძლებე-
ლია, თუ ცხონებულმა სულებმა შესთხოვეს ქრისტეს, რომ რომე-
ლიმე წაწყმედილს სულს შეუნდობს ცოდვები (ქრისტე ლოხხევაშ-
ნი, ლახსარვინი). ფისის ტბაში ჩაცვივნულნი არიან მირონის გამ-
ტეხნი.

მკითხველი პხედავს, რომ სვანების ჭოჭოხეთი ან სასულეთი ისე-
თი საშინელება არ არის, როგორადაც იმას აგვიწერს ხოლმე ჩვე-
ნი სარწმუნოება, ე. ი. სვანეთის სასულეთში არ არის „ცეცხლი გე-
ხისა“ და დაუშრეტელი კუპრის ტბამდინარეები, ქაჯ-ეშმაკთა ლე-
გონი, გველ-ვეშაპნი და სხვანი მრავალნი. სვანების კარგი სასულე-
თიც, ან სამოთხე ბევრად ჩამოუვარდება ქრისტეს სასუფეველსა.
შესანიშნავია, რომ სვანების სამოთხეში მამა ღმერთს ადგილი არა
აქვს და სული-წმიდის ხსენება სულ არ არის. სვანი არასოდეს არ
გაურევს ღვთის მსხვერპლს მიცვალებულის საკურთხს. პირველს
ეძახის „სალირბათ“ (საღმრთო) და მეორეს „საქუნ“ (სულის სა-
კურთხი).

არასოდეს სვანი მამა ღმერთს არ შესთხოვს მიცვალებულის
სულის ცხოვნებას, ეს თითქმის იმისი საქმე სულ არ არის.

სვანების აზრით, მომაკვდინებელი ცოდვა არის მარტო ერთი
მირონის გატეხა (დასთან, დედასთან და დახახლოვებულს ნათესავთან
შეცოდება სვანეთში არავის გაუგონია და ამიტომაც საიქიოს იმის
სასჯელზე ლაპარაკი არსად არ არის), მარტო ამათვის არის გან-
მზადებული ფისის ტბა. ამ ცოდვის ჩამდენი საუკუნოდ უნდა
იტანჯებოლნენ ფისის ტბაში და ვერაფერი საკურთხი იქიდამ ვერ
იხსნის იმათ. დიდი ცოდვა არის კაცის კვლა და ადგილის საზღვრის
სხვის ადგილში შეწევა. პირველის ცოდვის ჩამდენი საიქიოს ისჯება
იმითი, რომ მოკლულის სული მუდამ უკან დასდევს მკვლელს, დაპ-
ბლავის და ამითი უწუხებს სულს. მკვლელი სცდილობს დაემალოს
სადმე, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგანაც ეს ქრისტეს ბრძანებაა.
სხვის ადგილების საზღვრების მიმთვისებელი, მომპარავი ამნაირად
ისჯება: იმას მუდამ ჰქიდია მიწით სავსე გოდორი და გაუჩერებლივ
უნდა ირბინოს. საზღვრის პატრონის გარდა ყოველის მიცვალებუ-
ლის სული მოვალეა დაარტყას მიწით სავსე გოდორს ჭოხი, რომ

¹ წაწყმედილ სულად ესთარგმნი სვანურ: „ქვინი ლითვეფ“-ს, თუმცა პირდა-
პირ „ქვინი ლითვეფ“ ვნიშნავს სულის დაკარგვას. გაშასადამე, წაწყმედილი
სული იგივე დაკარგული სულია.

მიწა გამოაცვივნოს. ამ ცოდვის ჩამდენმა სულმა სულ უნდა ირბანოს, რომ სადმე არ შეჩერდეს; სხვები ერეკებიან, რომ არ შეისცენოს. ამ ცოდვისაგან ხსნა ადვილი საქმეა. საჭიროა სული ან სიზმარში, ან ცხადლივ (რის მაგალითებიც ბევრი გაგვივონია) გამოეცხადოს ჭირისუფალს, ან გარეშეს ვისმე და გაავებინოს თავისი ცოდვა. ჭირისუფალი მაშინვე უსწორებს საზღვარს იმ კაცს, რომლის მიწაც მთივისა მიცვალებულმა. ამით იმისი სული დაიხსნება ტანჯვისაგან. ცოდვად ითვლება ქურდობა, მრუშობა, ცილის წამება, პირუტყვის ცემა-დამშევინება, ნამუშევრის წახდენა, უქმე დღეებში მუშაობა, უმწეო აღამიანის დაჩაგვრა და გაჭირების ღროს არ-შველა, დიდ-მარხვის გატეხა და სხვა... სასჯელი ამა და ამათ მგზავსის ცოდვებისათვის ისეთი მსუბუქია, რომ სვანებს აღარ აშინებს. მოხსენებულ ცოდვების ჩამდენი კაცი საიქიოს იმითი ისჯება, რომ ქრისტესთან ახლო მისვლა და იმის აუღებელ ტაბაკთან ჯდომა არ შეუძლიან, საკურთხი—კი მოუდისთ და სასულეთის განაპირას სადგურობენ.

.საიქიოს არ არის სმა-ჭამა. თუმცა სვანი იმის მონათესავე ღარიბს და კარგის არ დამხსოვნეს ხშირად უსაყვედურებს შემდეგის სიტყვებით: იმდენი ღმერთები შენ გაგიწყრეს, რამდენი შენიანი ცოცხალი და მკვდარი მე გამიძლიაო, მაგრამ აქ მკვდრების გაძლომა მაყვედრებელის მხრით სხვა არა არის-რა, გარდა რაიმე საკურთხისა. არც ხორციელი ცოლ-ქმრობა და მუშაობა არის საიქიოს. დანარჩენი თითქმის იგივე ცხოვრებაა, რაც ამ ქვეყანაში, იგივე მხიარულება და მწუხარება, იგივე ნათესაობა და მოყვრობა და ნახევრად იგივე მტრობა გულში, თუმცა ჩეუბი არ შეიძლება. იქ ცოლი ქმარის იცნობს, ქმარი — ცოლს, შვილი — დედ-მამას, ძმა — ძმას, საზოგადოდ ყველა ნათესავებს. ნათესავები ერთმანეთს შველიან. ეს შველა მაშინვე იწყება, როდესაც მომაკვდავს კიდევ აქვს ღრო ამ ქვეყანად ცხოვრებისა. ამ ღროს საიქიოდან მოდიან მომაკვდავის ნათესავები და უჩინრად გარს ახვევიან მომაკვდავს, უცდიან იმის სულისა და ხორცის გაყრას, რომ საიქიოს გაუძლვნენ და იქ უწინამდლვრონ. მომეტებულ ნაწილად მომაკვდავი უკანასკნელს წამებში ჰბოდავს. ამ ბოდვაში ხშირად გამოურევს ხოლმე ნათესავშიცვალებულთა სახელებს. ჭირისუფალი ამ ღროს დარწმუნებულია, რომ მომაკვდავის სულის წასაყვანად უკვე მოსულიან საიქიოდან და ამისათვის, თითქო თვალით ჰქედავდესო, საყვედურს ეუბნება დაუპატიუებელს სტუმრებს (მიცვალებულთა სულებს): „რა იქნებოდა, ჩენთვის დაგეტოვებიათ ესა-და-ეს მომაკვდავი; როცა იქნებოდა, ხომ მაინც თქვენთან უნდა მოსულიყო და განა ვერ მოესწრებოდით ამის ნახვას. თუ კი თქვენ გინდათ იმისი ნახვა, განა ჩვენ—კი ერთი-

ათად უფრო არ უნდა ვწუხდეთ, რომ გვტოვებს?... რაკი თქვენ არ მოიშალეთ, იქ მაინც ნურაფერს გაუჭირებთ, თორემ ჩორცა ჩვენც განდ მოვალთ, უსიამოვნობა მოგვივაო“. ამას გარდა ბევრს ამ გვა რებს ეუბნება ჭირისუფალი საიქიოდამ მოსულს სულებს რაღან სვანს საიქიო ცხოვრება ამ ქვეყნიურ ცხოვრებასავითა აქვს წარ- მოდგენილი. ამისათვის სიტყვით მაინც თითქო სიკვდილი არც-კი ეზარება, ნამეტურ თუ სვანს საყვარელი ვინმე მოუკვდა, რომლის განშორებაც ძლიერ დიდს მწუხარებაში აგდებს. მაგალითად, სა- ყვარელ შვილის დამკარგავი დედა ეხვეწება ქრისტეს, მალე მიი- ბარე ჩემი სულიო, რომ ვეღირსო სანატრელ მიცვალებულის „ლინ- ზორალს“ (შეყრას). როდესაც სვანს უნდა, რომ თავისი მობაასე დაარწმუნოს, შემდეგს ფიცსა პემარობს: „თუ ეს ასე არ იყოს, ჩე- მის სიხარულის (მიცვალებულის) შეყრამც მომსპობიაო!“ (მიშგვა ხიადი ლინზორალუკ ამშდახა).

ყოველს წელიწადს სულები საიქიოდამ (ზოგის სიტყვით, საფ- ლავებიდამ) სააქაოს მოვლენ, ჭირისუფალთ ესტუმრებიან. ეს მოხ- დება ხოლმე ხუთს იანვარს, რომელსაც ხალხი „აღგომ“-ს ეძახის (აღდგომა მკვდართა). ხუთს იანვრიდამ იმის მომყოლ ორშაბათამდე ჭირისუფალი საღილ-ვახშმად საკურთხს უკეთებს მიცვალებულთა და ამიტომაც ამ დროს ეძახიან „ლიფანალ“-ს (ფან-იჯრა); თვით ორ- შაბათს, როდესაც „ლიფანალ“-ი თავდება, ეწოდება „ლისგვგინალ“-ი (წაბრძანება სულთა). სვანი არაფერსა ზოგავს, ორონდ კარგად და- უხვდეს საიქიოდამ მოსულს სტუმრებს; ამას ავალებს ერთის მხრივ პატივისცემა იმის წინაპართ სულებისაღმი და მეორეს მხრივ შიში, რაღანაც სვანი დარწმუნებულია, რომ თუ იმან მომღურავი გაუ- შვა მიცვალებულთა სულები, უკანასკნელი სასტიკად დასჯიან: მოუვლენენ სნეულებას, მოუკვლენ ოჯახის წევრს, წაუხდენენ ნახ- ნავ-ნათესს, ამოუწყვეტენ პირუტყვს და სხვა მრავალს უბედურებას გადაჰქიდებენ. ამ ნაირად სვანის გულში პატივისცემა და შიში ერთ- მანეთშია არეული და ცხადია, რომ ეს შესაძლებელს ყველაფერს მოაქმედინებს სვანსა. სვანიც ასე იქცევა. ამ დროს იმისი სახლი არა ჩვეულებრივ სუფთავდება, ოჯახის ჭურჭელ-ავეჯეულობა ხელ- ახლად იწმინდება და ირეცხება; ჰყავს მომზადებული, ამ დროისა- თვის მიჩნილი და გასუქებული, საკლავი, არაყი, ყველი და სხვა ხორავი, რაც სვანეთში საუკეთესოთ მიაჩნიათ და იშოვება. რაც უნდა ღარიბი იყოს სვანი, ამ წესს თავიდამ ვერ აიცილებს; იგი რჩეობს მთელი წელიწადი შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწეურვა- ლი იაროს, მინამ „ლიფანალ“-ში რამე დაკლოს სულებას და რომ დაკლოს, განა ჩვეულება და სოფლელნი ამას გააბედვინებენ! ნაკ-

ლებად მომზადებულს სვანს თავიანთ მიცვალებულთა მისალებად სოფელი არა თუ უსაყვედურებს, ძალასაც იხმარს, რომ კარგი საკურთხი (ლეჯგრი-ლეფანე) გაამზადოს. გულ-ნაკლული სულები მეზობლებს გამოუცხადებენ ძილში თუ ცხადლივ სამდურავს და მეზობელი მამინვე მიუვარდება ხოლმე უმაღლეს სვანს და ბრძანების კილოთი ეუბნება — სული ამოიძროს და იმის წინაპართა სულები-კი მომდურავი არ გაუშვას. რა სჯის მეზობელს, რომ ძალას ატანს, რომ იმისმა მეზობელმა თავისი მიცვალებულთა სულები მომდურავი არ გაუშვას? ერთი ისა, რომ სვანის აზრით მომდურავი სულები უპატივცემულო ჭირისუფალს დასჯიან, ვთქვათ, სნეულებით და ეს სნეულება მეზობლისაგან შეიძლება მეზობელს გადაედოს და ამ ნაირად მეზობლის წყალობით ესეც დაისჯება; მეორე ისა, რომ თუ საიქიოს ვინე მშიერია, იმისი მახლობელნი, მაგალითად, მეზობლები, იძულებულნი არიან თავიანთ საკურთხიდამ რამე უზიარონ და, მაშასადამე, უნდა დააკლონ თავიანთ მკვდრების სულებს. სვანს — კი ისა სურს, რომ რასაც თავის მიცვალებულებს უკუროხებს, იმათვე ჰქონდეთ, ორერემ შეიძლება მშიერ-მწყურვალნი დარჩნენ. ხშირად გესმის კაცს საყვედური მეზობლისა მეზობლისადმი. შენ ასეთო და ისეთო, არ იცი, რომ შენი მშიერი მიცვალებულები სულს უწუხებენ ჩვენს მიცვალებულებს და არაფერს არგუნებენ (დემის ხამლოვიხ)? ვსოდეთ, სვანი გადაშენდა, იმისი ქონება ფასით თუ ნათესაობით სხვის ხელში გადავიდა. მთელი სოფელი, საზოგადოება თვალ-ყურს ადგვნებს, რომ პარტანის ეხლანდელმა პატრონმა გადაშენებულ ოჯახის მიცვალებულთ არაფერი საკურთხი არ დააკლოს, თორემ სოფელი ჩაერევა ამ საქმეში და ძალა-უნებურად გააკეთებინებს შესაფერს საკურთხს ამოწყვეტილის ოჯახის ქონების ახალს პატრონს. ამას სჩადის სოფელი ისევ იმისთვის, რომ გაჯავრებული მიცვალებული იმის ადგილ-მამულის არა პატივის-მცემელს მექონეს დასჯის და შეიძლება ამ დასჯამ სოფელსაც ავნოს რამეო.

როდესაც პარტანი სოფელს რჩება, მაშინ ყოველი მოსახლე ვალდებულია თავის მიცვალებულებთან გაუკეთოს იმას საკურთხი. ერთის სიტყვით, ცოცხლებსა და მიცვალებულებს შუა დადებულია შეუშლელი პირობა, რომლის ასრულებას მიცვალებული არა თუ თხოულობს, ბრძანებს კიდევაც. თუმცა მიცვალებულს სრული ნება აქვს უბრძანოს ცოცხლებს, მაგრამ ჭირისუფალი საქმეს აქამდი არასოდეს არ მიიყვანს. არ მიიყვანს იმიტომ, რომ სვანის რწმუნებით, იმისი სიკვდილ-სიცოცხლე, ბედი და უბედობა თავის მიცვალებულთა ხელშია. ამ შემთხვევაში სვანს თვით ღმერთისა ისე არ ეშინიან, როგორადაც თავის მიცვალებულებისა. უბედურია ის

მიცვალებული, რომელსაც ამ სოფლად მემკვიდრე-მონათესავე და ქონება არ დარჩენია. საიქიოს იმისი ცხოვრება უნუგეშოა შე- წუხებულია. იმას ერთი ნუგეში-ლა დარჩენია: შეიძლება — შემწევა შემბრალე ვინმე გამოუჩნდეს და ხან-და-ხან თავისის საკურთხეიდამ მცირეოდენი რამ უზიაროს უპატრონო სულსა. ეს სურათი საიქიო ცხოვრებისა ძლიერ სტანჯავს უთვის-ტომო სვანს და ამის გამო ამ სოფლად ძლიერ სწუხს, თუ იმას მემკვიდრე-ნათესაობა არ დარჩა და ამასთანავე თავისი ქონებაც სიცოცხლეშივე გაფლანგა. მემკვიდ- რედ საკურთხივ საჭიროა ვაჟიშვილი, ქალიშვილი ამ შემთხვევაში მაგიერობას ვერ გასწევს. მართალია, ქალიშვილიც თავისის ქმრის ოჯახში დროგამოშვებით მოიხსენიებს თავისს უძეოდ გარდაშენე- ბულს მშობელთ და თვით იმისი ქმარი საჭირო დროს არ დაივიწ- ყებს სიდედრ-სიმარის სულებს, მაგრამ მოიხსენიებს ბოლოს, რო- დესაც თავისის ოჯახის მიცვალებულთა ხსენებას გაათავებს და მა- შინაც აცრულებულად: „თუ რამე გემეტებოდეთ (ეუბნება თავისს მი- ცვალებულებს) ჩემს სიდედრ-სიმარისაც უზიარეთ რამე თქვენის საკურთხეიდამ; ეს თქვენთვინაც სამადლო იქნება (მადილ ჯერიხ) და არც ჩემზე იქმნებიან გულ-ნაკლულნი“—ო, ხოლო ამგვარი მოხსენება საკმარისი არ არის თავმოყვარე სვანის სულისათვის. უმემკვიდროდ სვანი სიცოცხლეშივე სცდილობს, რაც შეიძლება, მეტი საკურთხე გაიკეთოს და ეს მაინც გაიყოლიოს (ალა ეში ამყა) საიქიოს, რომ სიკვდილის შემდეგ სულ უარარაოდ არ დარჩეს.

როგორც ნახსენებია, „ლიფანალ“—ში სვანს ფაქიზადა აქვს შე- ნახული თავისი სახლი. სადილ-ვახშმად ამზადებს კარგს საჭმელ- სასმელს. სანამ ჭალაბი ჭამად დასხდებოდეს, სდგამს ტაბაკებს კე- რიას ირგვლივ, სადაც სვანის ოჯახი ზის ხოლმე ჭამის დროს. ტა- ბაკებს სკამები აქვთ მოდგმული უკანიღგან; ტაბაკებზე აწყვია სხვა-და-სხვა ხორაგეულობა, ხორაგეულობაზე ანთებენ წმ. სანთლის ჩხირებს; ხორაგეულსავე გადააყრიან უთუოდ მარილს¹.

თუ რა და რა ხორაგი და რა ფორმის პურებია ამ დროს ტაბა- კებზე საკურთხად დამზადებული, არც ამაზე და არც ზოგიერთ სხვა

¹ სვანების აზრით მარილი მიუცილებელი საჭიროებაა აგრეთვე მსხვერპლის შეწირვის დროსაც; მარილს უთუოდ გაურევენ ფქვილში, რომლიდამაც ღვთის შესაწირავი, შესალოცავი პური (ლემზირ) უნდა გმოცხვეს. ეს უკანასკნელი გა- საოცრად ჰეგვა ძევლის რომაელებისაგან ამავე აზრით და მნიშვნელობით მარი- ლის ხმარებას. აი რასა წერს ერთი მკვლევარი რომაელების ძევლის ყოფა-ცხოვ- რებისა: соль употреблялась римлянами не только для приправы пищи, но имела священное значение, смешиваясь с мукою в жертвоприношениях (molasalsa). т. სვანი.

წვრილმან ცერემონიებზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან
ესენი ავწერეთ 1883 წ. გაზ. „შრომაში“. საღილ-ვახშმობის წინად
ხორაგეულობით სავსე ტაბაკები დადგმულია მიცვალებულ მამა
ჭაცებისათვის ცალკე და დედაკაცებისათვის ცალკე. ამ დროს ჭალა ბი
ბი ამ ადგილას შორდება, სკამ-ტაბაკების უკან მოშორებით დგე-
ბა, დამზადებულს სუფრას დროებით მიცვალებულთ სულებს უთ-
მობს, რომელნიც ამ დროს უხილავად შემოდიან სახლში და უსხდე-
ბიან ხორაგეულობას. ოჯახის უფროსი სხვაზე უფრო ახლო დგას
საკურთხ სუფრასთან, ქუდ-მოხდილი, ჩუმის ხმით ჩამოსთვლის სა-
ხელებს ოჯახის ძველისა და ახალის მიცვალებულებისას და თვითოე-
ულად შენდობას უთვლის. ამასვე სჩადიან თავის გულში, ხმის ამო-
ულებლივ ოჯახის დანარჩენი წევრნიცა. ამ დროს დიდი სიჩუმე
სუფევს ოჯახში, რადგან ხმაურობა სულებსა სწყინთ. ოჯახის უფ-
როსი თავისას განაგრძობს. იმან ჩამოთვალა ყველას მიცვალებუ-
ლები, ვინც—კი ახსოვდა, მაგრამ ის პფიქრობს, რომ ყველა ძვე-
ლები ახლა არ გაახსენდება და შეიძლება გულმავიწყრობით ახალიც
ვინმე გამორჩა. ამისათვის იგი უმატებს: „რომელ მიცვალებულის სა-
ხელიც მე არ ვიცოდე, ვერ გავიხსენო და ვინც ამ ოჯახიდამ მახ-
ლობელი თუ შორებული შენდობას ინუკვიდეთ (შენდობას ხინკვევ-
დედ), ქრისტემ ყველას შეგინდოთ (გაცხოვნოთ), კარგი ფეხი შა-
მოიტანეთ ოჯახში, კარგი დატოვეთ, თუ რამ თქვენი მოთხოვნილე-
ბა ვერ ავასრულოთ, ნუ გაგვიჩავრდებით და ნუ დაგვსჯით. წარმო-
იდგინეთ ჩვენი სილარიბე; თუ რამე ამ ოჯახში იქმნება, ყველაფე-
რი თქვენია და ვინ რას დაიშურებს თქვენთვის; თქვენის სულის
მოსახსენებლად დასტოვეთ ეს ოჯახი მშვიდობით, თქვენის საკურ-
თხის განკარგებას და მომატებას არაფერს ვარჩევთ, ჩვენ მოვი-
კლებთ და თქვენ—კი ვეცდებით საკურთხი არ მოგაკლოთ. გეხვე-
წებით და შემიხვეწიეთ, გაისამღრომდი ჩემს ოჯახს ნურას ავნებთ“,
და მრავალს რამებს სხვასაც იტყვის. გაათავებს ამას ოჯახის უფ-
როსი, რომელსაც ამ დროს „მუშუნდობ“-ს (შენდობის მთქმელი)
ეძახიან, დაიჩიქებს იქვე, როგორც ის, აგრეთვე ოჯახის წევრებიცა,
ატრიალდებიან წალმა და ხორაგთან მივლენ. „მუშუნდობი“ ტა-
ბაკზე არაყის კათხას აიღებს, იქვე თავს წაუქცევს, ერთ ფიჩხა
ხორცს, ყველს და პურს მოჰვევს და იქვე ძირს დააგდებს. სვა-
ნების აზრით, მიცვალებულებმა ამ დროს თავისი სერი გაა-
თვეს და კარში გადიან. ხორაგს ალაგებენ, ხელ-ახლა ტაბაკებს
დაიდგამენ (უმისობა არ ვარგა, რადგან მიცვალებულის ნაჯდომ
სუფრას ცოცხალი არ უნდა მიუდგეს) და ჩამოირიგებენ ულუფასა.

სად არიან მიცვალებულნი სხვა დროს, ე. ი. სადილ-ვახშმობის დროს გარდა, როცა იგინი საკურთხეს მისაღებად დაიარებიან თავ-თავიანთ ოჯახებში? სვანების აზრით, მიცვალებულთა სულები ამ დროს ერთს ადგილას არიან და თავისი ყრილობა აქვთ (ლუდგარი ლახორ). რაკი ოჯახიდამ გავლენ, ამ ყრილობაში მიღის ყოველი ული. იქ იმან დაწვრილებით უნდა უამბოს ყრილობას, თუ როგორ დაუხვდა მას იმისი ჭირისუფალი, ე. ი. კარგის თუ ცუდის საკურთხით დაუხვდა. დამალვა არ შეიძლება. ეს საჭიროა მერმისისათვის: ყრილობა ღირსებისამებრ ან დასჭის, ან არა, ასე თუ ისე მიცვალებულის მიმღებ ოჯახს. ასე გრძელდება ეს ამბავი ხუთს იანვრიდამ იმის მომყოლ ორშაბათამდე. ოჯახმა ეს დღეები მშვიდობისანად, უჩხუბრად და უაყალმაყალოდ უნდა გაატაროს, დილიდამ დაწოლამდე სულ ზღაპრების თქმაში უნდა იყოს ოჯახი; ზღაპრები ძლიერ სასიმოვნოა სულებისათვის. თუ ოჯახში კარგი ზღაპრები არავინ იცის, მაშინ გარეშე მეზობელს მოიპატიუებენ, თუ კარგი ზღაპრები იცის, რომ იმან სთქვას რამდენიმე ზღაპარი. „იმათ (სულებმა) ხელიმც მოგიმართოს, თუ ერთი ორი ზღაპარი ჩვენს ოჯახში თქვა“, ეუბნება დამპატიუებელი ზღაპრების მცოდნე გარეშე კაცს. ეს დღეები სწორეთ რომ ზღაპრების სეზონია სვანეთში. რომელ ოჯახშიაც არ შეხვალთ, ყველგან ზღაპრები გესმისთ. მოვიდა ორშაბათიც, მიცვალებულების წაბრძანების დღე (ლისგვინალ). ამ ღამეს ერთის წლით ისტუმრებს სვანი მიცვალებულს და შედარებით უფრო კარგს საკურთხეს აწყობს იმ რიგით და სახით, როგორც აწერილია ზემოთ. დაიდგა ტაბაკები ხორავით სავსე, გააღდეს სახლის კარები. მოწმინდ-მიწმინდეს ეზო, კარ-მიღამო, მოასწორეს სახლის ახლო თოვლი, რომ მიცვალებული არაფერს „ლაცხიდეენს“ (არაფერი აითვალწუნოს). ოჯახის უფროსი „მუშუნდობი“ პირველად სახლში შეუთვლის შენდობას; შემდეგ აიღებს რგვალს ტაბაკს (ფიჩქ), ხორავით სავსეს, და ქუდ-მოხდილი ნელის ბიჭით გაიტანს კარში. იქ დასდგამს, მოიხსენიებს მიცვალებულებს და შემდეგ სახლში დაბრუნდება. ოჯახი—კი ამ დროს სულგანაბული სდგას სკამებსა და დამზადებულს ტაბაკებს უკან. მუშუნდობი ტაბაკით სახლში დაბრუნდა, მიცვალებულები თავიანთ გზაზე წავიდნენ ყრილობაში. ოჯახი ვახშმად ჯდება. მიცვალებულთა ყრილობა ამ ღამეს საბოლოოდ სწყვეტს, დაისაჭოს თუ არა რომელიმე ოჯახი და როგორ დაისაჭოს. ამ ყრილობის განაჩენს ყოველი ოჯახი გაიგებს წლის განმავლობაში. თუ ოჯახს მეორე „ლითანალამდე“ არაფერი უბედურება არა

აწვევია, ეს იმასა პნიშნავს, რომ თავის მიცვალებულთ კარგად
დახვედრია; თუ რომ ეწვია უბედურება და ეს ხომ იმისი ცხადი
ნიშანია, რომ ჯეროვანის პატივით ვერ დახვედრია მიცვალებულთ;
ხალხის ფანტაზია იქამდის მიღის ამ დღეებში, რომ ღამე არ გაივ-
ლის, ოჯახის წევრმა ესა და ეს მიცვალებული არა ნახოს ცხადლივ.
ძილში ხომ, რაღა თქმა უნდა, ცოცხლები მკვდრებში არიან გარე-
ულნი. ბავშვებს დაღამებისას გარეთ არ უშვებენ, ვისიმე მშიერა-
მიცვალებულის სული აგეკოწიალებაო. სასაფლაოსკენ გამბედავი
სვანიც ვერ მიღის ღამე, თუმცა ხანდისხან ამ გამბედაობისათვის
ჯილდოსაც იძლევიან.

1888 წ.

სურათები სვანების ცხოვრების

ენგურის სათავეზე მობმულია უშგულის საზოგადოების საბალახო ადგილი, სახელდობრ „შხარი“. მთელს სვანეთში არსად ისე არა სუქდება პირუტყვი, როგორც აქ და ამისათვის არა თუ უშგული, არამედ სვანეთის სხვა საზოგადოებანიც იქ გაპრეკავენ ხოლმე საქონელს გასასუქებლად. შხარს სიგრძე ექნება ხუთი ვერსი, სიგანე—კი ნაკლები. აქეთ-იქით მაღალი სერები მისდევს. ვრცელი ფერდობები ამ სერებისა შემოსილია ხშირისა და ნოყიერის ბალახით. შხარს შუაში ჩამოუდის მდ. ენგური, რომელსაც ნაპირებზე ცოტად თუ ბეკრად გაშლილი და ვაკე ადგილები აქვს. ამ დაგაკებაში მრავალი მაღნეული წყლებია, ზოგი კაცის სასმელი და მარე და ზოგიც პირუტყვისა. წრეულს შხარში 200-მდე საკლავი სასუქი პირუტყვია, უმეტესი ნაწილი უშგულიდგან, დანარჩენი სხვა საზოგადოებიდგან. ასზე მეტი თავი პირუტყვისა დანიშნულია დასაკლავად მიცვალებულთა სულის მოსახლეებლად. ამ სამის წლის განმაცლობაში უშგულს არც ერთხელ ამდენი საკლავი პირუტყვა არ გაურეკია გასასუქებლად. მიზეზი ის არის, რომ ამ ბოლოს დროს გადამდებმა სნეულებამ — სნებამ (თუ) ბეკრი იმსხვერპლა და მიცვალებულის სულს, როგორც მყითხველმაც იცის, სვანეთში ბეკრი „საკურთხი“ უნდა და ამასთანავე შარშანდელის წლის კარგი მოსავალი ხელს უწყობს უშგულელს, რომ დროით აიცილოს მიუცილებელი წესი მიცვალებულისა — „ლაგვან“-ი.

სასუქ-საკლავ საქონელს, რასაკვირველია, თვით მათი პატრონები მწყემსავენ. სამ-სამი მოსახლე შეთაბუნდება ერთად და რიგრიგად ხან ერთი თაბუნი დარაჯობს დღე და ღამ და ხან მეორე. ასე იქცევიან უშგულელები. გარეშე სოფლები—კი სამწყემსურს იხდიან, პირუტყვზე ექვსის აბაზის სალირალს. ამ სამწყემსურს უშგულის მწყემსები აგროვებენ, ინახავენ დანიშნულს დრომდე და, რო-

ცა ერთიანად შეაგროვებენ, ჰყიდულობენ საკლავსა, არაყს და შხარში მიდიან მსხვერპლის შესაწირავად. იქვე სჭამენ სადილს. საჭირო უველს და პურისათვის დაფქულს თავიანთის სახლებიდგან წაიღებენ ხოლმე. ამ გვარი სადილი უშგულის საკლავ საქონლის პატრონებმა შხარში გამართეს 23-ს წარსულს ივლისს. მეც გახლდით იქ, როგორც ერთი მონაწილე ამ ნადიმისა.

22-ს ივლისს ოთხი ამორჩეული კაცი კარ-და-კარ დადიოდნენ დაფქვილისა და ყველის მოსაბოჭავად იმ მოსახლეთაგან, რომელთაც საკლავები ჰყავდათ შხარში. ორი დიდი ჯამი დაედგათ საზომად; მოსახლეს ერთი ჯამი წმინდა დაფქული უნდა მიეცა და მეორე ყველი. დაფქულს და ყველს ცალკ-ცალკე გოდრებში აგროვებდნენ. დალამებამდე მოუნდნენ ამ საქმეს. მეორე დღეს ამავე ამორჩეულმა კაცებმა ერთი უღელი ხარი მარხილს შეუბეს, ზედ მოგროვილი ფევილი, ყველი და მთაში მათ მოსამზადებლად საჭირო ჭურჭელი დააწყეს და ისე გაუდგნენ გზას შხარში. საკლავად ხარი ჰყავდათ ნაყიდი. ეს ხარი და იმისს მოსახარშავად საარაყე ქვაბი მეორე რიგმა კაცებმა წაილეს; მესამე რიგი კაცებისა არაყის ყიდვას შეუდგა, იყიდა ათის მანეთის არაყი და ესეც შხარისკენ გააქანეს.

'აათის ათზე მე, მრევლის მღვდელი და რამდენიმე სხვა კაცი გაუდექით გზას მთისკენ სასაღილოდ. როდესაც ჩვენ მივაღწიეთ მწყემსების ქვაბთან, სადაც სადილი უნდა გამართულიყო, ხარი დაქლული და ნახევრად გატყავებული დაგვხვდა. სამი კაცი ექაჩებოდა საკლავს, სხვები გარს შემოჰქვეწოდნენ. და მისტერებოდნენ, უნდოდათ მალე შეეტყოთ: სუქანია თუ არა დღევანდელი ჩვენი საკლავიო. ორი ხანში შესული ქალი, პურების გამოსაცხობად მოწვეული, დიდს ფაცა-ფუცში იყვნენ და შესაძლებელის სიჩქარით აცხობდნენ ყველ-ჩართულს პურებს მწყემსების ქვაბში; იმათ წინდაწინვე იცოდნენ მოსაღილეთა რიცხვი და იმდენი პური უნდა გამოეცხოთ, რაც შეიძლებოდა უმეტ-ნაკლებოდ, რადგანაც ხორავი ყველას თანასწორად უნდა რგებოდა. ორს რიყის ქვაზე ფილაქანა გადაებოგირებინათ, ქვეშიდამ გაგანია ცეცხლი ენთო; ჯერ გახურებულს ფილაქანზე დააცხობდნენ პურებს, მერე ჩამოიღებდნენ და ნაღვერდალში ჩაჰყრიდნენ, რომ კარგა გამომცხვარიყო.

ქალების შორი-ახლო ერთი გოდორი ყველი ხელ-უხლებლივ იდგა. ეს ყველი საღილობის ღროს უნდა მოეხარშათ და ისე ჩამოერიგებინათ აქ დამსწრეთათვის. აქვე სამს ქვაზე იდგა საარაყე ქვაბი, რომელშიაც სამი კაცი სიჩქარით ასხამდნენ წყალს ხორცის მოსახარშავად. ცოტა ხნის შემდეგ სიმღერა მოგვესმა. ეს სიმღერა იყო არაყის მომტანთა, რომელთაც სამს ჭურჭელში ჩაესხათ ათი დოქი-

არაყი, დოქები ბეჭზე დაედგათ და რამდენიმე ხელ-ცარიელი იმათი
ამხანაგი ამ სვანებს „ნექტარს“ უგალობდნენ. მოიტანეს არაყიც;
ხარი გაატყავეს, ხორცს ქვაბში ადგამენ მსხვილ ასო-ასო აჭრილად
ქალები კვლავ კიდევ აცხობენ და აცხობენ პურებს. ამ დროს
მღვდელსა და ხალხს შუა ცოტა ლაპარაკი მოხდა. ძველის ჩვეუ-
ლების ძალით მღვდელს დაკლულის ხარის ღვიძლი უნდა წაელო
ესრედ წოდებულ წმ. გიორგის ქვასთან (ჯირაგი ბაჩ), რომელიც
ჩვენგან ორის ვერსის სიშორეზე იქნებოდა, მახლობლად ენგურის
სათავეში მდებარე მყინვარისა; აქ უნდა ეწირა და ეს ღვიძლიც
უნდა შეეწირა „მთის“ წმ. გიორგისათვის (ლახვა ჯირაგ). ნაწირევს
მღვდელი აქვე უნდა დაბრუნებულიყო საღილად და ღვიძლიც თან
უნდა წაელო, როგორც იმისი საჯუთრება, კერძი. მღვდელმა ხალხი-
საგან ნაჩვენებ ქვასთან წასვლის უარი სთქვა, რადგანაც იქ წირვა
შეუძლებელია. ეს ხალხს არ ეჭაშნიკა და მკვახე სიტყვები გაა-
გონა მღვდელს. მაშ საღილს უშენოდაც შევჭამდითო და, თუ არ
გვიწირავ, არც საკლავის ღვიძლს მოგცემთო; შეხვეწით ჩვენც-კი
შევეხვეწებით „მთის“ წმ. გიორგის და ვთომო შენს სიტყვებს რად
უფრო იპრიანებს ჩვენს ლოცვაზეო და სხვა ამ გვარები. ზოგმა
ოხუნჯობა დაიწყო მღვდლის შესახებ და ყურშიაც—კი გააგონეს და-
საცინი სიტყვები. ამბობდნენ, უთუოდ ჩავაცივდეთ, რომ მღვდელი
წმ. გიორგის ქვასთან წავიდეს და მერე თუნდ ნუ გვიწირავს, სადი-
ლად მარტო იქ წასვლა ღირს ამ სიცხეშიო. აქ მეც გავერიე, რასა-
კვირველია, მღვდლის მხარე დავიჭირე, ვუთხარი ხალხს, რომ წირვა
ქვასთან შეუძლებელია და ლოცვა—კი შეიძლება აქაც გადაიხადოს
და ღვიძლი წმინდა გიორგის შეალოცოს, ღმერთი ლოცვას ყველგან
გაიგონებს-მეთქი. ხალხი როგორც იყო ამაზე დავიყოლიე, მაგრამ
მღვდელმა აქ ლოცვაზედაც ყოყმანი დაიწყო. იმისის ახრით, არც
ლოცვა შეიძლებოდა აქ. ცხადია, აქ მღვდელი სცდებოდა და სამ-
ღვთო წერილის შემწეობით კიდეც ავუხსენი, რომ ლოცვა ყველ-
გან და ყველასთან შეიძლება, რომ მანდ ლოცვის გარდახდა, თუ
გინდ პარაკლისისა, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ქრისტეს
სჯულსა-მეთქი. მღვდელმა დამიჯერა. ამასობაში ხორცი მოიხარშა,
პურების ცხობა გათავდა, ყველი მოსახარშავად ჩამოჰკიდეს. კიდევ
რამდენიმე ხანი და ხორაგეულობა მწყემსების ქვაბის წინ მწვანე
მინდორზე ერთად დააგროვეს. ერთს ადგილას მოხარშულის ხარის
ხორცი ეწყო, მეორეს — პურები და ყველი, იქვე ახლო არაყით
სავსე დოქები იდგა. მღვდელი ლოცვას შეუდგა, ხალხმა ქუდები
მოიხადა და წრფელის გულით ეხვეწებოდა „მთის“ წმ. გიორგის,
რომ სასუქი საქონელი დაეცვა კუმატისა, კლდეზე გადავარდნისა

და ნაღირისაგან. გათავდა ლოცვა. მზარეულებმა ხორცის განაწილებას მიჰყვეს ხელი, ქალებმა პურების გარიგებას; მწდეებმა არა ყი ჩაიბარეს. ხალხი მწკრივად დასხდა მინდორში. სულ ვიყავით 50 კაცი და ქალი. უცებ ჩამოარიგეს პურები, ყველი და ხორცი. ამას მოაყოლეს არაყი. შეიქმნა სმა-ჭამა. როდესაც მესამე მორიგი არაყის ქერახსი ჩამოარიგეს, ჭამა შესწყვიტეს და წმ. გიორგის საღიძებელი სიმღერა სთქვეს სამ წყებად. ამას მოჰყვა სხვა-და-სხვა სიმღერები. ხალხი გამხიარულდა. საღილი გათავდა; მხო-ლოდ ერთს ღოჯში მწდეს არაყი შეერჩინა; ეს გაიგო მეორემ და რაღგანაც არაყი ყველს უნდა რგებოდა, დაიწყო, რომ დანარჩენი არაყიც ღოჯილამ გადმოასხი და ყველს დაალევინეო. მწდე ჭიუ-ტობს, ამბობს, რომ ეს არაყი ამაღამისთვის მწყემსებს უნდა დავუტოვოთ; სხვები არ თანხმდებიან, მისცვივდებიან მწდეს და ღოჯის წართმევა უნდათ. მწდე მაგრად ეჭიდება დოქს. ის-ის იყო კინაღამ ღოჯი დაამსხვრიეს. ამ დროს მღვდელი შევარდება, გასწევს იქით-აქეთ ხალხს, ართმევს მწდეს არაყს და იქვე ასხავს ჭურჭლებში, რომ სხვებს გარდასცეს. დასამტკიცებლად იმისა, რომ ღოჯში არაყი არ არის, უკანასკნელს თავ-დაღმა ამხობს მიწაზე. საღამოა, მოიღ-რუბლა. წვიმისა გვეშინიან. სახლისაკენ გავუჟექით გზას. ცამ წვი-გა დაუშვე. აჩქარებით მივდივართ. გზაზე დამთვრალი ხალხი მღე-რის რაც შეუძლიან. ერთი ნაწილი ხალხისა უკან ჩამოკვრჩა. ადათ გზაზე ლაპარაკი მოსვლოდათ; ლაპარაკს მოჰყოლოდა ჭოხების ქნევა-რტყმა. იარაღი არავის ეხმარა. საღამოს ათს სათზე ყველანი თავ-თავიანთს სახლებში ვიყავით.

სპანები გაჩარ

კვანოლ ლაქმათე ამჩედლი, ტუფ ეჩე ათსადა —
კვერნა საშოვარზე წასულა, ტყავი იქ დარჩენია.

სვანური ანდაზა.

სოფ. უნის ახლო თავისუფალ სვანეთში აშენებულია პატარა საყდარი; გარს ასამდე არყის ხეები არტყია, ზოგი დაბერებული და ზოგიც ახალ-გაზღა. ხეების შტოები საყდრის კედლებსა და სახურავს მიჰმაგენია, ასე რომ სახურავი იქა-აქ აშლილ-დაშლილია. ზოგი ხე წამოლუნულა გვერდზე და სხვა ხეს გადასწოლია, ზოგიც მიწაზე გათხლაშულა და ნახევრად დამპალა. ხეების ძირში მაღალი და გაყვითლებული ბალახი ამოსულა. ყოველს წელს დაბერებულ ხეებიდგან შტო-ფოთოლი ცვივა და ბალახს ძლიერა სჩაგრავს. ვერც ხეებს და ვერც ჩამოყრილ შტოებს ხალხი ხელს ვერ ახლებს და ვერ სარგებლობს; ეს ხეები ხალხს ისეთივე წმიდათ და ხელუხლებლად მიაჩნიათ, როგორც თვით საყდარი და მისი ხატ-ჯვარი. საყდარი ქვისაა; შიგნით ათი კაცი ძლიერს დაეტევა. შესანიშნავი ამ საყდარში არის მრავალი ძველი ისარი იმ დროისა, როდესაც ხალხს თოფი არა ჰქონია, და ურიცხვი მძივები. საყდრის სამხრეთის კედელთან „ჯიხვირ“-ი დგას. ჯიხვირიც ქვის შენობაა, ოთხ კუთხიანი, სიმაღლით ორ არშინამდე და კედლის სიგანე არშინი. ორი მხრით არის დახურული; ერთს მხარეს ჰქონავს ერთი ბრტყელი ქვა და მეორეს — მეორე. დასავლეთის კედელში პატარა სარკმელი აქვს, ასე რომ მოზრდილი ხელი ძლიერს შეეტევა. შიგნით რომ ჩაიხდოთ, დაინახავთ, რომ ეს პატარა შენობა გამოტენილია მძივებით, ფარებით, ჭიქეულობის ნამტვრევებით და სხვა ამგვარი წვრილმანებით. რა-

საკვირველია, ხალხი ამ ჯიხვირსაც წმიდათ უყურებს. არყის ტყეს
 ირგვლივ სათიბი შემოუყვება. ამ სათიბს ყოველ წელს პთიბავს ერ-
 თი და იგივე მოსახლე თავისთვინ, რომელიც საყდრის მოქამდებრე-
 რედ (კალსვან)¹ ითვლება. სამაგიეროდ ამ მოსახლემ საყდარს
 თვალ-უზრი უნდა უგდოს; უნდა ჩამოთოვოს ზამთარში, გააღოს
 საყდრის კარი, როდესაც პაპი სამწირველოდ მივა ანა და ხალხი ფი-
 ცის მისაღებად და მსხვერპლის შესაწირავად. ამ მოსახლემ უნდა
 მისცეს მძივი ყოველს სოფლელს, რომელსაც შვილი დაებადება. ამ
 მძივს ახლად შობილი ქალი იქმნება თუ ვაჟი ყელზე ატარებს 4—5
 წლამდე და შემდეგ მშობლები ისევე საყდარში აბრუნებენ. ახალ-
 შობილის მამა, როგორც მძივის გამოტანის დროს, ისე უკან დაბრუ-
 ნებისას, საყდარზე მიიტანს სამს წმ. ფქვილისაგან გამომცხვაოს
 პურს და პატარა დოქით ან კვახით არაყს. შელოცვის შემდეგ ამ
 არაყსა და პურებს იქვე დალევენ და შესჭამენ ყმაწვილის მამა და
 საყდრის მოსამსახურე. 1867 წ. საღამოს ამ საყდრის კართან რვა
 კარგად ჩაცმული და შეთოფ-იარაღებული სვანი იდგა. ექვსი ამათ-
 განი მედიატორები იყვნენ და ორი მომჩივან-მოპასუხე. ყმაწვილე-
 ბის გროვამ, რომელიც საყდრის ახლო მინდორში ვთამაშობდით,
 შევხედეთ ამ კაცებს და მივუახლოვდით. საყდრის დირეზე პაპი იდ-
 გა ხატით ხელში. პირდაპირ ქუდ-მოხდილი მედიატორები და მომ-
 ჩივან-მოპასუხე უდგა. ერთი ხმაურობა და ყაყანი იყო. მახსოვს, იმ
 დროს პაპი გაჯავრდა და დაიძახა: „—მალე გაათავეთ, ხატს მორიდე-
 ბა უნდა, ამდენს ხანს ვერ ვაყურყუტებ ხელში!“ — კაცები დაჩუმ-
 დნენ. ცოტა სიჩუმის შემდეგ მედიატორებ თავისი სთქვა, მომჩივან-
 მა თავისი და მოპასუხემაც თავისი. ყველამ სთქვეს ის, რაც სათქ-
 მელად მიღებულია ფიცის მიღების დროს მოჩხუბართა შორის.
 მოპასუხებ ასე გაათავა თავისი „გარცამ“-ი (გარდაცემა): „თუ ამიერ-
 რიდგან გაუმ (მომჩივანის სახელი) მტრობა გამოიჩინოს ჩემსა და
 ჩემის შვილიშვილების შესახებ, მაშინ, უფალო, შენ იყავ იმისი მტე-
 რი და მწყრომელი“. ამითი გათავდა ფიცი. ყველანი სახლებში წა-
 ვიდენ... ამ სამი წლის წინათ ერთს უქმე-დღეს ჩემთან მოვიდა ეს
 მოპასუხე გიერგი და თან მოიყვანა თავისი შვილი, რომელსაც თვა-
 ლები სტკიოდა. მამა-შვილი ლარიბად იყვნენ ჩაცმულნი. ეტყობო-
 დათ სიღარიბე სტუმრებიათ. ვიცოდი კი, რომ ერთს დროს ეს გიერ-
 გი შეძლებული მოსახლე იყო და კარგად ჩაცმული გამოდიოდა
 სოფელ-ქვეყანაში. გიერგმა შაქრის ნატეხი მთხოვა შვილის თვა-
 ლების წამლად. მის შვილს შაქრის ნატეხი მივეცი, რასაკვირველია,

¹ კალსვან — ხელოსანი.

არა თვალების წამლად და შემდეგ დავეკითხე, თუ რამ დაალარბა
იგი და რა იყო ის ფიცი, რომელიც მან მიიღო 1867 წ. ზემოთ
ჩვენ მიერ აღწერილს საყდრის ეზოში? ამაზე გიერგმა გრძელად —
სუხი მომცა და კიდევაც მოვიყვან აქ. — ჰაი, ჰაი, დაიწყო გიერგმებ,
რა კარგი იქმნება, რომ თავიდამ მომაყოლებდე ჩემს თავ-გადასავალს
და მომისმენდე. თუმცა ამითი ჩემს საქმეს ვერას ვუშველი, მაგრამ
სხვა არა იყოს რა გულს მაინც მიეცემა შაღავათი. იმდონე ლხინი
გამოიარე, რამდენი გაჭირებაც მე გამომივლია; ნათქვამია: „კაცი
უწეროთ არ მოკვდებაო“. თორემ მე აქამდინ ათვერ უნდა მოკვდა-
რვიყავი. მამა ჩემი, — შეენდოს მის სულს, ქრისტეს ტაბაკზედამც
ჰქონდეს მონაწილეობა¹ — ბევრი ნამგზავრი კაცი იყო და მეც მირ-
ჩევდა მოგზაურობას. მგზავრობის დროს — მეუბნებოდა ხშირად
მამა, — ჩემო სიხარულო! სხვა არა იყოს რა ქართულს შეისწავ-
ლი და კარგია; ვისაც სხვა ქვეყნებში არ უვლია და მუდამ სახლშია,
ის რა კაცია, ნაცარ-ქექიაა, მეტი არაფერი. ჯერ ისევ მამის სიცოცხ-
ლეშივე მქონდა დავლილი რაჭა-ლეჩხუმი. ყოველთვის, როდესაც
მგზავრობიდგან დავბრუნდებოდი, მამა პაპს აწირვინებდა და ერთ
ცხვარს დაუკლავდა მგზავრის შემწე წმ. გიორგის, რომ სხომისაც
მშეიდობით დამაბრუნოს მგზავრობიდგანო. მომიკვდა მამა. მგზავ-
რობა მაინც არ მოვიშალე. ჰაი შენის სიცოცხლით, მარჯვენა მომტე-
ხოდა და არ მოვსწრებოდი იმ უბედურებას, რომელიც მგზავრობა-
ში გამოვიარე მამის სიკვდილის შემდეგ. იმდონე სალხინოთ გარო-
ნიოს ღმერთმა, რამდენიც შენს გიერგს უნებურათ უარია. რაჭა-
ლეჩხუმს სიარულმა შემაგულიანა და გადავსწყვიტე ქუთაისს
წასვლა, ამ დასაწვავ ქალაქს. ისე შორს მარტო მე ვერ გავბედავ-
დი წასვლას და რამდენიმე ჩემი სოფლელი შევიამხანავე. პირველად
ქუთაისს წასვლაზე ყველამ უარი მითხრა, მაგრამ იმდენი ვეჩიჩინე,
რომ ბოლოს ყველანი დავიყოლიე. აპა, ქაჯ-ეშმაკი რომ შეაცდენს
კაცს, თორემ რა მსჯიდა, რას ჩაგაცივდი! ის კი რა ვიცოდი მე საბ-
რალომ, რომ ბევრს უბედურებას გადამკიდებდა მათი ამხანაგობა.
მერე როდის დავაპირე ქუთაისს წასვლა? „ქვახში“ (იანვარში).
ღმერთი რომ შეაცდენს ადამიანს, ჩემო სიკეთევ, თორემ იმ დროს
როგორ უნდა გადადგას ფეხი სახლიდგან ჩვენებურმა? ერთი კვი-
რის წინ გავუტყდი ჩემს სახლეულობას, რომ მე ქუთაისს უნდა
წაგსულიყავი. ეს საჭირო იყო, რომ იმ კვირის განმავლობაში ოჯახო-
ბა ფრთხილად ყოფილიყო, დედათა წესში მყოფი ქალი სახლში არ
დაეყენათ, არც სხვის ამ გვარ ქალს მიჰკარებოდენ, საციქველი არ

¹ შეენდბა მიჩა ლაქუნს, ქრისლევ ტაბაგდუვ ხოგად.

გაეცათ სახლიდგან იმ დღეს, როდესაც ჩვენ სახლიდგან წავიდოდით და სხვა. ამაების არ ასრულება, შენც გეცოდინება, მგზავროვანი სათვის საშიშია. მთვარეც იმდონისა ავირჩიე, რამდენისაც სფეროულობა მგზავრისათვის. ჰე, ნეტავი მაგვარი მიზეზი რამე მქონოდეს, თორებ ან ღმერთს რად დავემდურები და ან კაცს. სამშაბათს საღამოს, (მგზავრისათვის ოთხშაბათი დღეა კარგი წასასვლელად) ცოლს საგზლის ცხობა ვუთხარი. ასევე ექმნათ ჩემ ამხანაგებსაც. ნავახშმევს, როცა ჯალაბი დაწვა, რადგან ჯალაბთან აპარება არ ჯობს, საგზალი პურები გუდაში ჩავიწყვე; იქვე ჩავდევი სამიოდე თომის გრეხილი, გზაში ღამჭირდებოდა და ერთი წყვილი ჯიხვის ფეხების ტყავისაგან (კვიცრახაგრარ) გაკეთებული ქალამნები; ვინიცობაა, ერთი წყვილი ქალამანი დამიცოდებოდა, მაშინ ამათ ჩავიცვამდი. კვეპაბედი ქისაში ჩავიწყვე, ქალამნები, პაიჭები და „სამუხლეები“¹ სკამზე დავიწყვე და დავსწევი. ცოლს ვუთხარი, ვინიცობაა, მე ვერ შევიტყობდი, მამლის ყივილის დროს გავეღვიძე, თვითონაც ამდგარიყო და ცეცხლი დაენთო. როგორც კი იყივლა დილას მამალმა, მაშინვე ავაყენე ცოლი ცეცხლის დასანთებად და მეც ავდექი. საჩქაროთ შევუდექი ჩაცმა-დახურვას. ამ დროს ჩემი თანამოგზაურნიც მოვიდენ ჩემთან. შემოვიდენ შინ; სანამ მე ჩაცმას მოვუნდებოდი, იგინი ჩამოსხდენ სკამზე და თუთუნს დაუწყეს წევა. ბარგი არც ერთს არ ჩამოუხსნია. მოვრჩი აპარებას. ცოლმა ნუგუზალი აილო. წავიდა კარებთან, მარჯვნით დადგა, მოკიდებული ნუგუზალი ძირს დააგდო, რომელზედაც ჩვენ უნდა დაგვებიჯა; როცა გაცუარეთ, მგზავრობა დაგვილოცა და გზას გავუდექით. ჩემთან იყო ექვსი ამხანაგი: გაუ, თაისავი, ლომი, ბადრი, გუგა და ნაგუ. არც ერთს მათგანს არსად არ ევლოთ. დაიკუპროს ის დღე, რა დღესაც მათი წაყვანა მე გამახსენდა! იგინი მოდიოდენ ჩემის იმედით; ვეუბნებოდი, რომ ქუთაისს ფულს ვიშოვით მეთქი, ფულით ფართლეულობას, მარილს, ტყვია-გოგირდს ვიყიდით და ეს შეძენაათქო ოჯახისათვის. ასე შენი ჭირიმე; ჩვენ მივდიოდით ქუთაისს სამუშაოთ. მე სავაჭროცა მქონდა: ორი კვერნის ტყავი, ერთი მელის, ოთხი შავი კრაველი, რამდენიმე შოლტი ხარის ტყავისა და სამი ხარის ნაღველი, რომელსაც ბარის კაცებს დათვის ნაღველად ვატყუებთ ხოლმე. ღმერთს რომ არ გავემეტე რა მიჭირდა! ქუთაისს რომ უზანთულიც ვერ მეშოვა, რა დამიშავდებოდა, განა რაცა მქონ-

¹ სამუხლარ — იგივე შალის პაიჭებია, იცვამენ პაიჭეს გარეთ მუხლის ძირიდგან ბარძაყისაკენ, სადაც სამუხლეს ბოლო პაიჭეს უერთდება, იქ იჭერენ ლეკვერთხს, რომ პაიჭ-სამუხლემ ძირს არ დაიწიოს.

და იმითი ვერ დავიქმაყოფილებდი ჩემს საჭიროებას? მაგრამ ღმერ-
თი იყო ჩემზე მრისხანე და ყველა კარგი ავად შემიცვალა. სოფელი
ჩუმად გავიარეთ, მგზავრისთვის კარგი არა, როცა მსა წასვლის
სოფელი შეიტყობს. როგორც კი გავცილდით სოფელს, მაშინვე
თხილამურები გავიქეთეთ. სოფლად რვა ტკაველი თოვლი იდვა,
მთაზე, რასაკვირველია; ორი ამოდენა. გათენდა, მაგრამ ისეთი მოლ-
რუბლული იყო ცა, რომ დღე დღეს არა ჰგავდა. თოვა კი არ დაეწყო,
თუმცა. მალე მოსალოდნელი იყო. ჩვენ თუ ამისთანა ტაროსა არ
შევუშინდით, ეს იმიტომ, რომ ჩვენ მივდიოდით ნაკ-ზაგარის ულელ-
ტეხილით, სადაც ზვავის შიში არ არის და არც გზის შეშლისა, თუ
ნამეტანი ბური არ არის. არც ნამქერი იცის ამ ულელ-ტეხილზე.
როგორც იცი, ჩვენ ვიყავით შვიდი კაცი და ყველას რიგ-რიგით
უნდა გვეკვლია თოვლი; უკანა მავალნი წინ მიმავალის კაცის ფეხე-
ბის ნადგამში ვადგამდით ფეხებს; ეს გვიადვილებდა სიარულს. მო-
ლალდებოდა წინა მსვლელი, ვინმე ჩვენთაგანი გამოეცვლებოდა.
კარგი მანძილი რომ გავიარეთ, თოვა დაიწყო, ცისთვინ რომ შეგვ-
ხდა ამდროს, იტყოდი: ცა და დედა-მიწა ერთმანეთს შესღულე-
ბიათ. რაც მთას ვუახლოვდებოდით, მით მეტი დიდი თოვლი გვხვ-
დებოდა, თოვლი გამაგრებული არ იყო და ამიტომ ხშირად თხილა-
მურებიც ვერას გვშველოდენ, წელამდე ვვარდებოდით თოვლში.
რამდენსამე საუენს რომ გავივლიდით, დავისვენებდით, თუთუნს
მოვსწევდით. ნაკ-ზაგარზე რომ მივედით, პური მოგვინდა. პური
ამოვილეთ გუდებიდგან, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ წყალს ვერ
ვიშოვიდით. სადაც ჩვენ დავისვენეთ, იქ დიდი წყალი ჩამოდის ხევ-
ში, მაგრამ თოვლს ისე დაეფარა, რომ ვერსად ვერ ამოვაჩინეთ,
თუმცა გრძელი ჯოხებით ბევრს ადგილას ვსცადეთ მონახვა. პურები
საჩქაროდ შევსჭამეთ და გავსწიეთ. აქედამ გზა დაღმართს მიჰყვება
და ეს სიარულს გვიადვილებდა. დალამებამდე როგორც იყო ცენას
ხეობაში მივედით. სულ გავივლიდით ამ დღეს 15 ვერს. აქ ლამე
უნდა გავათიოთ, მაგრამ ბინის მონახვა არ გინდა? აქ მოგზაურებია-
თვის ორი ქვაბია სადგურად, ორივე ისე დაეფარა თოვლს, რომ რა არ
ვეცადეთ, ვერცეი მოვიმხარით, სად იყვნენ ის ქვაბები. გადავსწყ-
ვიტეთ ტრიალს თოვლიანს მინდორში დადგომა. აქვე მახლობლად
მაღალი ტყე იყო, მაგრამ ხეებს თოვლისგან მარტო წვერები უჩან-
დენ. ჩვენთვის ამაღამ-ყველაზე უფრო საჭირო იყო კარგი ცეცხლი
და შეშა. შეშათ ხეები უნდა მოგვეჭრა. ხანჯლები კარგი გვქონდა
და უშეშობის ფიქრი არა გვქონდა. მივსცვივდით ყველა ტყეს და
საჩქაროთ ბლომა შეშა მოგვჩერთ. გაუმ ცეცხლი დაკვეთა.
მოკიდებული აბედი ჭინჭებსა და ხმელს თომში გამოხვია,

რომელიც სახლიდგან გვქონდა წამოღებული. რამდენიმე ხელი წვრილი შტოები ვიშოვეთ. გაუმ თომ-ჭინჭებში გამოხვეული ცეცხლ-მოკიდებული აბელი ჰაერში გააქან-გამოაქანა და ალი გაუჩინა. უცებ ხმელი ფიჩხები მიაყარა, მაზე არყის ხის კანი, ზედ შეშა და გავაჩინეთ თოვლზე ცეცხლი. თან და თან უმატებდით შეშას და ბოლოს გაგანია ცეცხლი გაჩნდა. ბარგები ერთად დავაწყვეთ და ჩვენ თოვლზე დანთებულს ცეცხლს შემოვუსხედით ირგვლივ. სიცივისაგან დაქრუჩხული ტანის ნაწილები გავითბეთ. ცეცხლი თან და თან ღუზდებოდა. მოვემზადეთ ვახშმის საჭმელად. მართალი უნდა გითხრა, სვანურ პირობაზე კარგი ვახშამი გვქონდა. ბადრის რგვლად მოხარშული სუქანი ბურაკი წამოელო, ლომის ერთი მოზრდილი კვახი ნათაველი არაყი, ნაგუს ხაჭაპურები, მეტი რა უნდა მგზავრს! ვახშმის გარიგებაში ცეცხლი ძლიერ გაძლიერდა. რამდენადაც ძლიერდებოდა, იმდენათ ცეცხლი ძირს იწევდა. აბა როგორ იქმნებოდა! თოვლი და ცეცხლი ერთად როგორ მოთავსდებოდენ. გაჩალებულს ცეცხლს ის ადგილი, რომელიც მას უჭირა თოვლზე, ძირს მიჰქონდა; იწია ცეცხლმა ძირს, იწია და ბოლოს მიწამდი მიაღწია. ჩვენკი ზევით დავრჩით თოვლის ნაპირებზე და თავზე დავსცქეროდით ცეცხლის ალს, რომელიც ამ დროს ჩვენთვის სულ უსარგებლო იყო. უნდა გამოგიტყდე, რომ იმ დროს ჩვენ საცოდავიც ვიყავით და სასაცილოც. დავრჩით ტრიალ თოვლის მინდორზე, ბუქი თოვლს ცხვირ-პირში გვაყრიდა. ჩვენი ნაჯაფ-ნასეტყვი ცეცხლი კი დედა-მიწის ზურგიდამ გვიცქეროდა, თითქმ დასცინდა ჩვენს მიუხდომლობას. შირს ჩასულმა ცეცხლმა თავისი სამყოფი ადგილი გააფართოვა, თოვლის კედლები მოალლო, ასე რომ ცოტახანს იქით გვარიანი ადგილი დასტოვა თავის გარშემო. ამ დროს აიწია ნაგუმ და ჩახტა თოვლის ორმოში. ამოგვძახა, რომ იგი მოკიდებულ ნიგუზლებს ამოკყრის ზევით და ჩვენ ისევ თოვლის ზედაპირზე უნდა დაგვენთო. ყველანი დავთანხმდით. მუგუზლები სულ ამოვალაგეთ და ერთს ნაპირზე დავანთეთ. ნაგუმ ძირს ნაკვერცხლები ორმოს ერთს კუთხეში მიხვეტა და მერე შემოვგვახა ჩვენც ჩავსულიყავით ძირს და ბარგიც ჩაგვეტანა. ჩასაკვირველია, ასე მოვიქეცით და რამდენსამე წამში ჩვენ, ბარგიანად თოვლის ორმოს ძირში ვისხედით; ცეცხლი კი ეხლა თავზე გვანათებდა ზემოდამ. ამ ჩვენს ახირებულს ბინაში ჩასვლისთანავე შედარებით სითბო ვიგრძენით. თოვლის კედლები ირგვლივ გვერტყა და ზევითა ბუქი ჩვენ ვერ მოგვიდგებოდა და ვერას დაგვაკლებდა. ამასობაში ცეცხლი თან და თან გვიახლოვდებოდა, რადგან ძალზე აღნობდა მის ქვეშე მდებარე თოვლს. კიდევ ცოტახანი და ცეცხლმა ჩვენს ორმოს

გვერდში ამოჰყო თავი. ეხლა კი სწორედ კარგად იყო ჩვენი საქმე, უცებ შეცუდეგით ვახშამს და მადიანადაც შევეჭეცით. ნავახშეცეს თოვლისაგან დასველებული ქალამნები და პაიჭები გავაშრეთ ცეცხლზე. ზოგიერთის თხილამურებს ბაწრები გასწყვეტოდათ და ას გამოუცვალეს და შემდეგ დავიძინეთ. დაძინებისას ცეცხლზე ბლომად დავაყარეთ შეშა. ისე ტკბილად და თბილად გვეძინა, რომ მეორე დილამდე ფეხი არავის გაგვინძრევია. მეორე დღეს როგორდაც ლმერთმა იპრიანა და დარი გამოდგა. ჩვენი თოვლის ორმოს კედლები ისეთი მაღალი იყო, რომ ამოსვლის დროს ერთი მეორის მოხმარება დაგვჭირდა. პირველად ავაგდეთ ზევით გუვა, შემდეგ იგი ზევიდამ ხელს გვაძლევდა და ისე აგვიყვანა ყველანი. თოვლი დღესაც სამკვლევი გვქონდა. ვიარეთ ნელ-ნელა და სადილობისას მდ. ზესხურთან მივეღით. ყველა მდინარე ზამთრობით ჩვენში გაყინულია; ასე დამართოდა ზესხურსაც. გაყინვის შემდეგ ზედ დიდი თოვლი დასდებოდა, ასე რომ მდინარე არსად სჩანდა. საუბედუროთ ყველანი ერთს დროს დავადეჭით ამ მდინარეს; თურმე ზემოთ დაყრილს თოვლს ყინვა მოელბო, ჩვენმა სიმძიმემ იმდენა ძალა დაატანა ყინულს, რომ ჩატყდა. დავფაცურდით, ზოგი ერთს ნაპირას გადავხტით, ზოგი მეორეს. ყველანი გადავრჩით გაუს გარდა, რომელსაც უცებ გადუტრიალდა ყინულის კევრი და წყალში ჩავარდა წელამდი. ვეცით იქეთ-აქედამ და როგორც იყო გაუ გამოვიყვანეთ. იქვე ცეცხლი გავაჩინეთ და გაუ შესაწვავ ბატქანივით მიუშვირეთ; დასველებული ტანისმოსი გაუშრეთ, ქალამნებში მშრალი თომი ჩაიტენა და ისევ გავუდეჭით გზას. სალამოს, ბევრი ლოლიალის შემდეგ, როგორც იყო მივატანეთ სოფ. მახაშს, რომელიც ლაშეთის საზოგადოების თავშა ძევს. აქ ყველას თავ-თავისი ნაცნობები გვყავდა და იმათსა მივედით ლამის გასათევად. თურმე ამ სოფელში ლომის მტერი ჰყავს. მის ბაბუას ვიღაც მახაშელი გაელახა ოდესმე და კმაყოფილება არ მიეცა. იმ მახაშელის ოჯახს როგორდაც გაეგო, რომ მისი გამლახველის შვილისშვილი აქ მოსულა. დაწოლას ვაპირებდი ჩემს მასპინძლისას, როდესაც სოფელში ერთი ალიაქოთი ასტყდა. ლომის მტრები მისდგომოდენ მის მასპინძელს და ჩხუბი აეტეხათ, — როგორ გაბედე და როგორ მიიღო სტუმრად ჩვენი მტერიო. მასპინძელს, რასაკვირველია, ლომისთან მტერი არ მიეშვა, ეს ხომ თავს-ლაფის დასხმა იქნებოდა მისთვის, და ეს ორი მოსახლე მას მერმე ისე გადაემტერენ თურმე ერთმანეთს, რომ ბოლოს დროს, როგორც გავიგე, საქმე მკვლელობამდე მისულა. მეორე დილას პაემანი ერთ ადგილას გვქონდა დანიშნული. ყველამ აქ მოვიყარეთ თავი, ლომის აქამდე თავისი მასპინძელი გამოჰყა, რომ მის სტუმარს

პუნქტერმა უსიამოვნება არა მიაყენოს რა. ვიარეთ იმ დღეს და ლენტეხნიკის საზოგადოებაში მივედით. აქ ერთი წისქვილი მოვნახეთ, და იქ დავბინავდით. მართალია, ლენტეხში მე ნაცნობი მყავდა, მაგრამ იმისას არ მივსულვარ, ამხანაგები მარტო ვერ მივატოვე. ესეც რომ არ იყოს, ლენტეხლები ერთობ პურშავი კაცები არიან. იგინი ხშირად დაიარებიან ბარად; უნახავთ ქალაქები და იმისი ბრალი უნდა იყოს, რომ ასე გაღუნწებულან. სასმელ-საჭმელი წონით მოაქვთ სტუმართან; სულ იმის ფიქრში არიან, ვაი თუ მეტი ხარჯი მოგვივიდესო. აბა შენ მითხარი, რა გემო აქვს იქ სმა-ჭამას, სადაც კაცს ლუქმას გითვლიან! წისქვილში ცუდი სამყოფი გვქონდა; ას წილად უფრო მოხერხებული იყო ჩვენი ცენის თოვლის ორმო. როგორც იყო გავათენეთ. მეორე დღეს გათენებული არ იყო, რომ გზას გავუდექით. აქედამ ლეჩხუმაძე ნამკვლევი გზა დაგვეცდა, რადგან ლენტეხლები ლეჩხუმში მისვლა-მოსვლას არაოდეს არ შესწყვეტენ ხოლმე. ვიარეთ და საღამო-აღრიან ლეჩხუმს მივაღწიეთ. აი აქედამ იწყება ჩვენი გაწა-მაწია. ლეჩხუმში ნაცნობი არც მე მყავდა. გარეთ დაღვომა არ შეგვეძლო, ამიტომ რომ შეშას სოფლად ვერ ვიშოვიდით. ვიფიქრე, წავალ მოსახლესთან, ქირათ ერთ საქალამნეს მივსცემ და უკაცურს სახლში დაგვაყენებს. ეს ჩემი აზრი ამხანაგებსაც ვუთხარი. კარგიო, მითხრეს და გავსწიე სოფელში. ამხანაგებს დაცუბარე, რომ ჩემს მოსვლამდე აქ მოეცადნათ. აქ ისიც უნდა კითხრა, რომ ჩემს ამხანაგებში არც ერთმა ქართული არ იცოდა. გზაში თუ რაიმე საქმე შეგვედებოდა, მე უნდა ვყოფილიყავი ყოველთვის თალმაჩად ქართულად მოლაპარაკესა და ჩემს ამხანაგებ-შუა. ამხანაგები იმიტომ არ წავიყვანე სოფლად, რომ — რაღაც ეშმაკად — ბარის კაცებს სვანები ტყუილ-უბრალოდ ვსძულვართ; ერთად რომ დაგვინახავდენ შვიდს სვანს — სახლში არავინ შეგვიშობდა: სვანები სისხლის მსმელები ხართო, სვანები ურჯულოები ხართო და ბევრს ამისთანა რამეებს გვეტყოდენ. აი ამიტომ წავედი მარტო სოფელში. მივადექი ერთს მოსახლეს, დავუძახე, კარზე გამოდვა უქალამნო, ფეხშიშველა ლეჩხუმელი. ქალამანი შევაძლიე სახლის ქირათ. ლეჩხუმელს გაუხარდა, რომ ქალამანი იშოვნა და მაშინვე მიჩვენა უკაცური ხის ჭარვალი; აი იმაში დადექითო. მაშინვე დავბრუნდი ჩემ ამხანაგებთან წამოსაყვანად, მაგრამ სადღა ვნახე ისინი! „ფუ ღალევ ახცხულანა ქაჯ-პაშმას“ (ფრთა დაეწვას ქაჯ-ეშმაკ-სვანური წყევლა). უბედურება ყველგან უკან დაგვდევდა და აქაც ვერ ავსტილდით ხიფათს. თურმე იმ ადგილის ახლო, საღაც ამხანაგები დავსტოვე, სახლობდა ვიღაც „აზნავირ“ (აზნაური — ამ სიტყვას ისე ვსწერ, როგორც სვანები ამბობენ). რაღაც საუბედუროდ ამ

აზნაურს იმ დროს მისი ყმა გაელახა. ყმას ყვირილი შეექნა, ამხა-
ნაგებს ეს გაეგონათ და ახლო მისულიყვნენ. შეეხედათ, რომ გა-
ტონს ყმისათვის უკრა ხელი და თავის ოდის ხარიხიდამ კისრით
გაღმოეგდო ძირს. ყმას ცხვირ-პირი სულ თოვლში ჩაფლოდა. ჩეტის
ამხანაგებს ჰგონოდათ, რომ აქ სწორედ სვანური ჩხუბი გაიმარტე-
ბოდა, იარაღით ერთმანეთს დახოცვენ მაჩხუბარნიო და რომ დროზე
არ გავაზავოთ, ცოდვა იქმნებაო და მიცვივდნენ ხარიხის ახლო. სა-
დაური ჩხუბი! ყმას თოვლში ამოსვრილი ცხვირ-პირი გაერეკა და
თავ-ჩალუნული გაუდგა თურმე თავის გზას. ეჭ! ჩაუმატა აქ გიერ-
გმა, ამბობენ აქაურ კაცს ღმერთი სწამსო. და ისევ განაგრძო. ბა-
ტონმა ისევ დაუძახა თავის ყმას ხარიხაზე. ელაპარაკა გულ-მოსუ-
ლათ ცოტა ხანს და ისევ გაღმოაგდო ხარიხიდამ პალურის კვრით.
ჩემს ამხანაგებს ძლიერ უკვირდათ, რომ ორი კაცი ჩხუბობს, ერთი
სცემს მეორეს და მეორეს კი გულზე ხელი დაუკრებია და სამაგიე-
როს არ უხდის. აქ ვეღარ მოითმინეს და მივიდენ გალახულ კაცთან.
ახედეს, დახედეს, არ აკლია თვალი, არ აკლია ხელ-ფეხი და უკ-
ვირთ, რატომ თავის გამლახველს ხელი არ შეუძრუნა? ღომის
თურმე გულმა ვეღარ მოუთმინა, იძრო თავისი ხანგალი, ხელში
მისცა გალახულს ყმას, პირი ბატონისკენ აქნევინა და მუნჯურავ
აჩვენა: წადი და ეს ხანგალი დაპკარი შენს გამლახველსო. ხარიხაზე
მდგომმა ბატონმა ამას თვალი მოჰკრა, დაინახა ექვსივე ჩემი ამ-
ხანაგები მის ეზოში, პირველად — ცოტა არ იყოს — შეეშინა, მაგ-
რამ გაჭავრებულმა თავი ვეღარ შეიკავა, დაუყვირა სახლში მყოფ
რამდენსამე ყმას, რომ კეტებით ეცემათ ურჩულო სვანებისათვის,
რომელნიც მის ეზოში შემოსულან. ყმებმა კეტები ნახეს, ერთი
თვითონ ბატონმა აილო და გამოექანენ სვანებისკენ. ჩემმა ამხანაგებ-
მა იფიქრეს, სწორედ ჩვენც თავის ყმასავით გალახვას გვიპირებს
და ერთი მეორეს უთხრეს თურმე, მარჯვეთ დავხვდეთ, არ დაგვიძ-
რიყოს ამ კაცმა, თორებ სადღა უნდა გამოვჩნდეთ მაგისი
გალახული; თუ მართლა გასალახავად მოვიდეს, იმდენი ვსცემოთ.
რომ ნალველი წამოვარწყევინოთ. მოვიდენ ბატონ-ყმები კეტებით
და პირის-პირ დაუდგნენ სვანებს; ამათ ხანგლები იშიშვლეს და
დგანან გაჩერებული; ვერც ერთი მხარე ვერ ჰპედავს პირველად
ჩხუბის დაწყებას. ამ დროს ლომიმ ვეღარ მოითმინა, გადახტა წინ
და ხანგლით თავი გაუბო ბატონს და ნიშიც უგო, — ეს შენა გქონ-
დეს იმის მაგიერ, რომ ვიღაც კაცი ორჯერ გალახე ჩვენ წინო. დაჭ-
რილი ბატონი იქვე დაეცა, დაჭრილ თავიდამ წყაროსავით გაღმო-
დიოდა სისხლი. ყმები მაშინვე ბატონს მისცვინდნენ, შინ შეიყვანეს.
ყმებმა ჩემს ამხანაგებს თავი დაანებეს. ამ დროს მეც მივაგენი ა-

ხანაგებს. ეს ამბავი მთელს სოფელს უცებ მოედვა; ჰარიქა, სვანება გვლაშერიან, ვინ ხარ კაცი, გამოდით! გაისმის ამნაირი ძახილი სოფელში. შეიქნა ერთი წივილ-კივილი სოფელში. მთელი სოფელი მოწყდა. წარმოიდგინეთ ქალებსაც კი კეტები აეღოთ, გეგონებოდათ, ხალხი მგელს დასტევნებიაო. ამასობაში თაისავ ერთ მოსახლისას შევარდნილიყო, სდომებოდა თოფის შოვნა და კიდევაც ეშოვნა, მაგრამ რათ გინდა! გამოდგა, რომ თოფი დაუანგულია და უკაუო. გატენა და სროლა მოუხერხებელი იყო და — როგორც არაფრად სახმარი — თაისავმა ეს თოფი თოვლში გადისროლა. დაღამდა. ჩვენ სოფლიდამ საჩქაროთ გამოვიქეცით. სოფლელების ყაყანი გვესმის, მაგრამ უკან გამოკიდებას ამ ღამე ვერავინ ვერ ბედავს. რასაკვირველია, იმ სოფელში ჩვენი დადგომა შეუძლებელი იყო და ღამე უნდა განგვეგრძო ჩვენი მგზავრობა. როდესაც სოფელს გვარიანს მანძილზე მოშორდით, ასე რომ შიში აღარაფრისა გვქონდა, მაშინ ჩემი ამხანაგები მე მომცვივდნენ და ათას ნაირი მუქარა დამიწყეს. საღ წაიღებ ჩვენს სიკვდილს! თუ ამისთანა ოხერ ქვეყანაში ყოფნა შეგვეცდებოდა, რად არ გავვიტყდი სახლში და ჩვენს სახლებში დავრჩებოდით! დავბრუნდებით შინ და მაშინ ჩვენ ვიცით და შენ, იქ გავსწორდებით. ასე მემუქრებოდენ ჩემი ამხანაგები. მე სიტყვა ველარ შევუბრუნე, ყველაფერს ვთმენდი. ვიარეთ ამ ზამთრის ღამეში, სანამ დაღალულობით არ დავიქანცეთ და ბოლოს შარა გზამდე მივალწიეთ. აქ უნდა გავვეთენა ღამე. გზის იქით-აქეთ ნაპირებზე რამდენიმე წაქცეული ხეები ვნახეთ და შეშათ ვიპ-მარეთ. რას ვითიქრებდი, რომ ჩვენი აქ დადგომა ვისთვისმე საწყენი იქმნებოდა. დავეყარეთ უვახშმოთ თოვლში და ცოტა გამოვიძინეთ. მალე გათენდა; ესეცაა ვებარებით და ამ ღრის ერთი ცხენოსანი წაგვადგა თავზე. „ას, ოქვე ურჯულო სვანებო! — დაიყვირა ცხენოსანმა — ვერ მოგსწრებიათ კარგი დღე, როგორ გაბედეთ ჩემს აღილში ჩემი შეშის დაწვა? ეხლავე დაგიჭერ ყველას და ტყავს გაგაძრობ და სხვა-და-სხვა“. ვატყობდი, აქაც უსიამოვნება შეგვიღ-გებოდა და ამის ასაცილებლად ხევწნით დავუშვე ლაპარაკი ცხენოსანს. ვუთხარი, რომ რაც შეშაში ერგება მივართმევ და ვსთხოვე ხმა მაღლა და გულ-მოსული ლაპარაკი არ განეგრძო; ეს იმიტომ მსურდა, რომ ჩემი ამხანაგები, რომელიც უიმისოდაც სიკვდილის გუნებაზე იყვნენ, საჩხუბრად არ გამოეწვია, თორებ არც მაგ ცხენოსანს დააყრიდენ ხეირს. რას მომცემო. მითხა ცხენოსანმა? ჩემი შეშა ამ თოვლ-სიცივეში ერთი თუმანი ღირსო; ამბობენ აქაურ კაცს ღმერთი სწამსო. თუმანს საიდგან მიცსცემდი, ავიღე, კვერნის ტყავი დავუტოვე. რასაკვირველია, შეშის ფასად ათვერ მეტი მი-

ვეცი, ჩემი კვერნის ტყავი ხუთი მანეთი ღირდა, მაგრამ რას ვიზავდი! ჩემმა ამხანაგებმა კი მაშინვე მკითხეს, რათ უწყალობელი კვერნის ტყავიო. — ეს კაცი ცხონებული მამი ჩემის ნაცრობია მეტაქი და იმიტომ მივეცი. ავდექით და გავსწიეთ. გზაზე, სადაც დუქანი ჟეგვედა, ყველგან არაყი დავალევიე ჩემს ამხანაგებს. არაუში საჟალამნეს ვაძლევდით. იმ ღამეს ნამახვანს¹ მივედით. აქ მედუქნეს ვიცნობდი, ოტია ერქვა სახელად და იმისას შევუხვიე. ვსთხოვე სადგომი უქირაოთ მოეცა და სხვას რასაც დავხარჯავდით, იმაში გავუსწორდებოდით. ოტიამ სადგომი ტყუილად არ დაგვითმო; ახლა ზამთარიაო, ახლა თუ სადგომში ქირა არ ავიღე, აბა ავვისტოში ხომ სულ ვერაფერს ავიღებო. აქეთ მე, იქეთ ის და კაცზე შაურ ნაკლებ არ დათანხმდა. მეტი ღონე არ იყო, უნდა მიმეცა. დაგვინთო პატარა ცეცხლი გაცივებული დუქნის ერთ კუთხეში. ვახშმად პური ვსთხოვეთ, არა ჰქონდა, მჭადი — არც ის. სიმინდის ფაფის მეტს ამაღამ ვერაფერს გიშოვიო, გვითხრა ოტიამ. დაგვიმზადა ერთი კარდალა ფაფა ვახშმად და მოგვიტანა. ერთი ბოთლი არაყი მოვითხოვეთ. არაყი გაცივებულს გულზე გვიამა, მოვითხოვეთ მეორე ბოთლიც. არაუმა შეგვახურა, სიცივეს სულ ვერა ვგრძნობდით. მეორე დილაბ ადრე ავდექით და მედუქნეს გავუსწორდით. ჩვენზე იანგარიშა სადგომ-ნახარჯიანად სამი მანეთი. ავიღე და მელას ტყავი და ერთი ხარის შოლტი იმას დავუტოვე. განსწიეთ და ქუთაისს ადრე ჩავედით. ქუთაისის თავში რომ ბალია² იქ დავისვენეთ. ქალამნები გამოვიცვალეთ; ბარგიდამ კრაველები და ხარის ნალველები ამოვიღეთ. ამხანაგებს ვასწავლე, რომ როცა ვინმე ვაჭრობას დაუწყებდათ ნალველს, ასე ეთქვათ: „დათვის ნალველი“. რომ მყიდველი უფრო დაგვეჭრებია, გაუს დათვის ქურქიდამ ბალანი მოვგლიჯეთ და ნალველებს გარედამ როგორლაც მივაწებეთ. ამ ხერხმა გასჭრა, ხარის ნალველი უველამ დათვის ნალველად მიიღო და თვითოში ორ-ორ აბაზს ვიღებდით. ქალაქი პირველად ენახათ ჩემს ამხანაგებს და, რასაკვირველია, ძლიერ მოეწონათ, მხოლოდ ერთობ შორს ეჩვენათ და წამ და უწუმ იმეორებდენ, როდის იქმნება შინ მშვიდობით დავბრუნდეთო, როგორც გითხარი ქუთაისს სამუშაოდ წამოვედით. ვეძიეთ სამუშაო, შეგვეცდა ვიღაც ღვთის მიერ წყეული კაცი და აბაზად გაგვირიგდა დღეში კაცის სულზე. ის ქუთაისის ბოლოში სახლობდა, ყორე ჰქონდა ასაშენებელი. ქირას კვირის ბოლოს მოგცემო, გვითხრა მან. ხარჯი ჩვენი იყო. სამ კაპეიკიან მჭადს სადილად ვყიდულობდით და

¹ ნამახვანას დუქნები ქუთაისს შორავს 20 ვერსით.

² ფერმა.

სამ კაპეიკიანს ვახშმად. ღამე ჩვენს ალასთან ვსდგებოდით. სამი დღე ვიმუშავეთ ყორე; მეოთხე დღეს, რაოდაც საუბედუროდ უქმდ იყო და ამხანაგებს მთელი ქალაქი დავარონიე. ვნახეთ ურიების ყაროლებული უბანი, საიდგანაც მწვირე რიონში ჩადიოდა. ლომიმ რომ ამ მწვირეს შეხედა, თავში ხელი შემოირტყა, ვა ჩვენი ცოდვა! მოვწამლულვართ და ეს არის, ეს სამი დღეა, რაც ამ წუმპლიანს წყალსა ვსვამთ; ჩვენ ნაჯურთხს მიწაში დამარხვის ლირსი არც კი ვართ. მონათლულმა კაცმა როგორ უნდა დალიოს რიონის წყალი ურიების უბანს ქვემოთ და კიდევაც დაიფიცა, რომ დღეიდგან რიონის წყალი ურიების ქვემოთ აღარ დალიოს. საღამომდი ქალაქის სხვა-და-სხვა უბნებში გხეტიალობდით და მერე ჩვენს ბინაზე მივედით. მეორე დღეს შევუდექით ყორეს შენებას. როდესაც ლომის წყალი ბოსტურდა, სოჭვა, რომ მე წყალზე მივდივარო ქალაქის თავში, დოქს თუ გვათხოვებს ჩვენი აღა, თქვენც მოგიტანთ წყალსო. ბევრი ვუშალე — არ წასულიყო, რადგან შორს იყო, მაგრამ ვინ გავვიგონა! აიღო დოქი და გასწია. ამ დროს აღაც მოვიდა ჩვენთან. დაგვთვალა, ერთი გვაკლდა. იკითხა: ერთი რა იქმნაო? მე ვუთხარი, ეხლავე მოვა მეთქი. ეს აღას ეწყინა, თქვე მ... როგორ მატყუებოთ, ფულები განა რიონში ყრია, რომ მუქთად გაძლიოთთ; თქვენ დასეირნობთ და მე შვიდი აბაზი უნდა ვიხადო დღეში; არ მინდა თქვენი მუშაობა, წადით, გამეცალეთ, თორემ ეხლავე დავაჭერინებ რუსებს თქვენს თავს და სულ ყველას ნავბახში შეგამწყვრევენო. მე ვუთხარი — სამი დღის ქირა მოგვეცი და წავალთ მეთქი, რას გვერჩი? ხომ ვიმუშავეთ სამს დღეს, რად ვინდა ჩვენი არამი, ასე შორს მოვსულ-ვართ ორი კაპეიკის საშოვრათ და რად ვინდა ჩვენი ნაცოდარი მეთქი. შენც არ მომიკვდე! არაფერი გაიგონა ჩემი; შეგვატყო, რომ ხამები ვიყავით. ამ დროს მოვიდა ლომიც. დოქით წყალი მოეტანა და ამხანაგებს მისცა, აბა ნახეთ, თუ ამას სხვა ნაირი გემო არა აქვსო. ამხანაგები ისე დაეწაფენ ამ წყალს, თითქო უკვდავების წყარო იყო. ისევ დავუწყე მუდარა აღას, რომ სამი დღის ქირა — ოთხი მანეთი და ერთი აბაზი მოეცა, მაგრამ არაფერი გამივიდა. ბოლოს სამუშაო იარაღები წაგვართვა, უბრძანა თავის მოსამსახურეს სახლში შეეტანა, აიღო ერთი მანეთი და მომცა, ესეც შენის ხათრით, თორემ ამ მხეცებს კაპეიკს არ მივსცემო. ჩემმა ამხანაგებმა რომ დაინახეს, იარაღი სახლში წაიღეს, იკითხეს, ეს რა ამბავიაო? მე ვუთხარი, რომ მუშაობა აღარ უნდა ამ კაცს მეთქი. მაშ ქირა სად არის სამი დღისაო? მე ვუთხარი, რომ ქირის მოცემას საღამოს დაგვპირდა, მოვალ და მე გამოვართმევ მეთქი. დამიჭერეს. საღამოს ჩუდად ორ მანეთად მელის ტყავი გავყიდე, თვითო მანეთად ორი შოლ-

ტი, მანეთიც აღამ მომცა, ესეც ხუთი მანეთი მაქვს. ავიღე აქიდამ და
სამ-სამი აბაზი დავურიგე ჩემს ამხანაგებს, ვითომ ალის მოცემუ-
ლი ფულია. აღამ ქირა არ მოგვცა მეთქი, ვეღარ გავუმხილე, რადგან
მაშინ ჩეუბს დაუწყებდნენ ჩემი ამხანაგები და ეს მე არ მინ-
დოდა. მეორე დღეს ბევრი ვეძიეთ სამუშაო, მაგრამ ვერაფერი ვი-
შოვეთ. ცუდმა სმა-ჭამამ, ბინამ ერთობ შეგვაწუხა და გადავსწყვი-
ტეთ შინ დაბრუნება. რაც რამე სავაჭროები მქონდა — გავყიდე და
ფულად ვიქონიე, ვიფიქრე გზაში დაგვჭირდება მეთქი. არაფერი
მიყიდია იმ მგზავრობას შილაიას გარდა ჩემი ცოლის საპერანგეთ და
ტყვია-გოგირდისა ჩემთვის. როდესაც მე ურიების დუქანში წავედი
შილაიას საყიდლად, ჩემი ამხანაგები სამიკიტნოს წინ დავტოვე.
სამიკიტნო გამოტენილი იყო სხვა-და-სხვა სასმელ-საჭმელებით.
მშრალად მოხარშული ცივი დედლები, შემწვარი და მოხარშული
ხორცი, პურები, ღომი, ერთი სიტყვით უველაფერი ბლომად იყო.
ჩემი ამხანაგები, რომელნიც — რაც სახლიდგან გადმოვიდენ —
ხეირიანათ ერთხელაც არ გამაძღარან, გაშტერებით უცქეროდენ ამ
საჭმელებს. მიკიტანმა შეამჩნია ეს და მიპატიუება დაუწყო სვანებს;
მობრძანდით, მიირთვით რაც გნებავთ, უველაფერი ბევრი მაქვს.
ჩემს ამხანაგებსაც ეს უნდოდათ. მაშინვე შევიდენ სამიკიტნოში და
რაცი არჩევა იმათი საქმე იყო, მოგეცა სიცოცხლე, იმათ სასმელ-
საჭმელი მოითხოვეს. როდესაც ღვინო თავში გაუჯდათ, დაიწყეს
ლოცვა მიკიტნისა. ერთი ამბობს, რომ სწორეთ ეს კაცი ვიღაც ღვთის
კაცი უნდა იყოს, თორებ ამდენს ხარჯს რათ გასწევდა ჩვენთვის, მეო-
რე — ალბათ ვინმე მაგისიანი სვანეთში ნამყოფია და იცის, რომ
სტუმარს პატივისცემა უნდა; მესამე — გავიგოთ კარგად მაგისი ვი-
ნაობა და თუ ღმერთმა მაგ, ან მაგისი ნათესავი ვინმე გვაჩვენა სვა-
ნეთში, გლახა კაცები ვიქმნებით, თუ მაგიერს პატივის ცემას ვერ
გადვუხდით და სხვა. როდესაც ჩემი ამხანაგები გაძლენ-გამოთვრენ,
წასვლა დააპირეს, მივიდენ იქვე მიკიტანთან და, რასაკიტელია,
სვანურად მადლობა გადაუხადეს. მიკიტანი კარებთან გადაელობა და
ანიშნა ხელით: ფულები ჩამითვალეთ ხელშიო. სწორედ ამ ღროს
მოვედი მეც. მოვარდა ჩემთან გაუ, რომელსაც სხვაზე მეტი უყვარ-
და გადაკვრა და მითხრა, — მადლობა გადუხადე ამ ღრვთის კაცს,
ძალიან კარგი მასპინძელი დაგვიხვდა, ეტყობა ამ კაცმა იცის, რომ
შორებელს პატივისცემა უნდა; ჩვენც როდისმე გადვუხდით, მთა
მთას შეხვდება, არათუ კაცი კაცს, ჩვენც კაცურად დუვუხდებით
თუ საღმე ხელში ჩავიგდეთ. მე მაშინვე მიკიტანს მივუბრუნდი, რა
გიქმნია მეთქი ეს? რათ მიგიტყუებია ესენი? გროში — კაპეივი არა
აქვთ და რა უნდა მოგცენ მეთქი. რას ლაპარაკობო, დაიყვირა მი-

კიტანმა, ამათ სვეს და შენ დათვერიო? ერთი ნამცეცი საჭმელი დუ-
ქანში არ დამიტოვეს და ფული კი არ უნდა მომცენ? დავბერილი მრავალ
კიტნათ, ბევრ ნაირი ჭურის ხალხი შემოსულა ჩემს საჭმეტნოში
და ამათთანა გაუმაძღარი ხალხის მნახველი არა ვარო. რაც ამათ
აქ შემიჭამეს, მაგას ერთ კვირას ვერ გავასალებდიო. მიკიტანი დგას
კარებში და მელაპარაკება. ამხანაგებმა მკითხეს, რას ვეზირობთ ამ-
დენ ხანსო. მე გადავეცი, ეს კაცი ფულს თხოულობს ნახარჯში, მი-
სი ანგარიშით შვიდი მანეთი ერგება. უჰ! წამოიძახეს ამხანაგებმა,
ღმერთი იმას უშველის, ჩვენ იმას შვიდი მანეთი მივსცეთ! ეს ჩვე-
ნი სასაცილოდ აგდებაა, თქვა გაუმ, არ დაგვიბრიყვოს ე ვილაკ
კაცმა, მარჯვეთ იყავით! წასძახა თავის ამხანაგებს და თვითონ ჩემსა-
და მიკიტანს შუა დადგა. მომკიდა ხელი და მეუბნება: ჰკითხე ამ
კაცს, აქ სტუმრობა იციან თუ არა? ჩვენ ხომ ძალით არ შევსულ-
ვართ მაგასთან, ილაგი არ მოგვცა სანამ არ მიგვიპატიუა და ეხლა
ფულსა გვთხოვს? როცა ეს მიკიტანს გადუთარებმნე, გაბრაზდა,
გულმოსულმა მიიწია გაუსთან და ხელი ზედ ცხვირთან მიიტანა,
ხომ არ გადარეულაო, სადაური სტუმარი, სადაური დაპატიუება,
ჩემთვის ვერ გამომიმეტებია კარგი საჭმელები და მე ამ სვავებს
ჩავუყრიდი მუცელშიო! გაუს ხელის ცხვირთან მიტანა ეწყინა, სტა-
ცა ხელში ხელი. და პანჩურით გამოაგდო კარში. ამხანაგებს დაუ-
ძახა, თუ ვინმემ რამე გაკაღროთ, მაშინვე ხანჯალს წაისცით ხელიო.
ამ აყალ-მაყალში რომ ვიყავით, სამიკიტნოს წინ ბაზრის ხალხი შეიკ-
რიბა. მიკიტანმა შველა სთხოვა იმათ. მათ სვანებს გზა შეუკრეს და
კარში არ უშობდენ. იძვრეს ამ დროს ამხანაგებმა ხანჯლები, ზოგი
დაზგაზე შეხტა, ზოგმა შუშაბანდი (ჭიქის კედელი) გამოამტვრია,
ზოგმა თაროებიდამ სასმელებით სავსე ბოთლები ჩამოყარა, ისეთი
ამბავი ატყდა სამიკიტნოში, რომ ჭოჭოხეთი გეგონებოდა. როდესაც
ჩემმა ამხანაგებმა დუქანში ყველაფერი მილეტ-მოლეტეს, კარში გა-
მოვიდენ. ბაზრის ხალხმა რომ ამოღებული ხანჯლები დაინახა, იქეთ-
აქეთ დაიფანტა. ამ დროს რუსებიც (პოლიციელები) მოვიდენ ჩვენ
დასაჭერად. ჩემი ამხანაგები ამათთანაც ჩხუბს აპირებდენ, მაგრამ
ვურჩიე ხელი არ ეხლოთ, თორებ სუყველას ციმბირში დაგვკარგენ
მეთქი. ციმბირის შეეშინდათ და დამორჩილდენ. მოგვხვიეს ხელი
და ერთს კოშკში შეგვიყვანეს (პოლიციის შენობა). მთელი ბაზარი
უკან მოგვდევდა. აქ ერთ ჩინიანი კაცი მოვიდა და წყრომა დაგვიწყო.
აქ მოვიდა ჩვენი მასპინძელიც. ის მუხლებზე დაეცა, ფეხებს ჰკოცნა-
და ჩინიანს კაცს და ისე განაცხადა ჩვენზე საჩივარი. ჩინიანმა ყველა-
ფერი გაიგო. მეც ვუთხარი, როგორც იყო საქმე და ბოლოს დავუმა-
ტე, რომ ამათ — ჩემს ამხანაგებს ერთი კაპეიკი არ აბადიათ და რას-

მისცემენ მიკიტანს. ღმერთმა გრძელი დღე მისცეს იმ ჩინიანს კაცს, იმან ჩვენი მხარე მიიღო, მედუქნეს უთხრა, რომ რატომ ვერ შეატყვავე, რომ ამათ ფული არ ექმნებოდათო და რაღა ძალით ეპატიურებოდათ გაუწყრა და კარში გააგდო. ჩვენ გვითხრა, რომ ხვალ ჩვენი სული აქ არ ენახა, თორემ დაგიჭერ და სულ ყველას ნავბახში შეგამწყვდეო. თავი დავუკარი და გმოვედით. იმ ღამეს ფურნეში დავდექით. მთელი ღამე ჩემს ყველრებაში იყვნენ ჩემი ამხანაგები: რას გვემართლებოდი, რა ჯინი გჭირდა ჩვენი, რომ აქ წამოგვიყანეო. აქ ვერაფერს გეტყვით და სახლში კი გაგისწორდებითო. ერთი სიტყვით სული შემიწუხეს. რომ თავი შემებრალებინა იმათვის ვუთხარი, რომ მე უარესად ვსწუხვარ იმათ აქ მოყვანას, რადგანაც გზაზე ცხენოსანს კაცს მათ მაგიერ შეშაში კვერნის ტყავი ჩემი საკუთრება მივეცი და ყორეს რომ ვაშენებდით, იმის მაგიერ ქირა მე მოგეცი თქვენ მეთქი. ამან ცოტათი მოარბილა ჩემი ამხანაგები. ლომი და თაისავი ღამე ამდგარიყვნენ, მისულიყვნენ თურმე ჩვენს ნაშენ ყორესთან და ძირიანად დაენგრიათ. ეს მარტო მაშინ მითხრეს, როდესაც მეორე დღეს ქუთაისს გამოვსცილდით. ამხანაგებს არ უნდოდათ იმ ცხენოსან კაცისთვინაც შეერჩინათ ტყუილად წალებული ჩემი კვერნის ტყავი, რომელიც შეშაში გამომართვა. ცხენოსან კაცის ადგილში რომ მივედით, მას ყანა შელობილი ჰქონდა. მისცვივდენ ამ ღობეს, ჯერ მიამტვრ-მოამტვრიეს და შემდეგ ცეცხლი მისცეს. ჩვენ კი გზაზე გავსწიეთ და, შეიძლება, ეხლაც არ იცის პატრონმა, ვინ დაუწვა იმას ღობე. ქუთაისიდან წამოსულები მეხუთე დღეს მოვედით ცენას ხეობაში, სწორედ იმ ადგილას, სადაც იქითობას თოვლის ორმოში ღამე გავატარეთ. ჩვენი ბინა თოვლს ამოევსო, მაგრამ დადგომა მაინც იქ მოვახერხეთ. რამდენი ლხინიც იქეთობას ვნახეთ გზაზე, იმდენი აქეთობას გამოვიარეთ, მაგრამ იმას დაწვრილებით არ აგიწერ, მეშინია თავი არ გატკინო. ერთ უბედურებაზე კი კიდევ უნდა გითხრა და ამასაც იმიტომ, რომ კარგად მიხვდე, თუ რამდენად ძნელია სვანებისათვის სხვა ქვეყნებში წასვლა და ყველას ის უგობინება, ჩვენ ისევ ჩვენ სახლებში ვიყოთ და არსად არ დავდიოდეთ. მეორე დღეს მთა ნაკ-ზაგარი უნდა გადაგვევლო. გათენდა თუ არა, მაშინვე მთას შევუდექით. ცა ლრუბლებით იყო გადაკრული. ბუქი იყო და ბნელოდა, ისე რომ თითს თვალში ვერ მიიტანდი. მარტო ბედნიერი კაცი უნდა, რომ ამ გვარს დღეში მთას გადააბიჯოს მშვიდობით. ჩვენ მეტი ღონე აღარ დაგვრჩენოდა, უნდა გაგვეგრძო გზა, ამიტომ რომ საგზალი არა გვეკონდა და გინდ სიმშილს მოვეკლით, გინდ ნამქერს დავერჩვეთ, სულ ერთი იყო. შემოვიკარით ფეხებზე თხილამურები და გავსწიეთ. ისეთი დიდი თოვლი გვქონდა

სამკვლევად, რომ ყანის სიფართოვე მანძილს რომ გავიცლიდით, მოვიღალებოდით და უნდა დაგვესვენა. ბუქმა სულ საქმე გაგვიჭირა. ამ წამს გაიღიმებს ცა, მოვიმზრობთ გზას, გავუდგებით, იმ წამს და ბნელდება, თოვლი და ქარი ერთმანეთში აირევა და ურთის ბიჯის სიშორეზე ერთმანეთს ვერა ვხედავთ. ამ ნაირ წვალებაში დავაღამეთ დღე და კიდევაც მივაღწიეთ მთის წვერზე. ჩვენ კი აზრად სოფლად მისვლა გვქონდა ამაღამ. მწვერვალზე ბუქმა უფრო გაშალა ფრთხები, ასტყდა კორიანთელი და სიცოცხლის იმედი დაგვიკარგა. ყველას თვალშინ გვედგა ოლსასრულის დღე. გამოვიტირეთ ცოცხლად ჩვენი თავი, ცოლ-შვილი, ოჯახობა. უნდა ვსოქვა, რომ ყველაზე გულ-გაუტეხლად იყო ამ დროს თაისავი. მარტო იმან არ დაჰკარგა სიცოცხლის იმედი. სხვები რომ იმედ-დაკარგულები ვართ, თაისავმა წამოიძახა: მოდით, დავიჩიქოთ ყველამ, მგზავრის გაჭირვებაში მშველელ წმ. გიორგის შევეხვეწოთ და ეგებ იმან გადაგვარჩინოს სიკვდილს; რათ ინებებს ის შეიდი ადამიანის დალუპვას. ყველანი ერთად მოვგროვდით, დავიჩიქოთ, შევსთხოვეთ წმ. გიორგის შველა და თუ გადაგვარჩენს სიკვდილს, ყველანი საოვითეულოდ დავპირდით, რომ — მივალთ თუ არა სახლში — თვითო უღელ ხარს მის სახელობაზე მთაში გავუშვებთ სასუქად და შემოდგომაზე მას დავუკლავთ მსხვერპლად. არც ერთს უარი არ გვითქვამს თაისავის რჩევაზე. როდესაც ამას მოვრჩით, თაისავმა გვირჩია ყველას თავისთვინ გაეთხარა თოვლის ორმო და შიგ ჩასულიყო; მე გამიგონიაო, რომ ამ ნაირ ორმოში სიცივე არ არის და კაცი არ მოკვდებაო და კიდევაც რომ მოვკვდეთ, განაგრძო თაისავმა, სხვა ქვეყანაში ხომ არა ვკვდებით, იმისთვისაც მაღლობელი ვიყოთ ღვთისა, რომ მან ჩვენი ძვლები სხვა ქვეყანაში არ დასტოვა, ვაი-და-ვაი ისაა, რომ გაზაფხულზე აღრე ვერ მოგვაგნებენ და, შეიძლება, ჩვენი მძორი ოჩებმა შესჭამონ, მაგრამ არც აქამდე მიიყვანს ჩვენს საქმეს წვ. გიორგი, გამაგრდით, გულს ნუ გაიტეხთ, ვაუკაცები ვართ, სხვა არა იყოს რა სირცხვილია და სხვა-და-სხვა. ერთი სიტყვით თაისავს რომ რუსთაველი სცოდნოდა — დავუმატებთ ჩვენ — მისის სიტყვებით გამოხატვდა თავის აზრს: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვით-კირსა... შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“. განვაგრძოთ ისევ სვანის ნაამბობი. გავითხარეთ ყველამ თოვლის საფლავი და შიგ ჩავედით. თოვლის ერთი კედელი გამოვთხარეთ და თავი იმაში შევდევით. თავის პირ-და-პირ ზემოთ ყველამ თავ-თავისი ჯოხი დავასვეთ, ეს იმიტომ, რომ ვინიცობაა ამაღამ აქ დავიხოცებოდით, თუ ცოტა ხანში ვინმე გამოიგლიდა, აქ ჯოხებს დაინახავდა და იმით მიხვდებოდა, რომ ჯოხს ქვეშ მისი პატრონი უსულოთა

ძევს. მოგვნახავდენ და მკვდარს მაინც დროით წაგვიღებდენ შინ. ეს ჩვეულება ახალი არ არის ჩვენში. ამას ჩადის ყველა ჩვენს სავით გაჭირებული. თოვდა ისე, რომ ქუდებსავით გვაყრიდა, და მალე დაგვფარა. რაც რამე მებადა სულ ყველა ფეხებზე შემოვიხვიე. საკვირველია, რომ რაც მეტი დაგვაყარა თოვლი, მით უფრო თბილოდა თოვლის თხრილში. ის კი არა და ჩემი პირის პირ-და-პირ, სადაც თოვლს პირიდამ ამოსული ორთქლი ეკარებოდა, თოვლი მოლბა და წვეთები გაჩნდა. ვართ ამნაირად მთელი ღამე. რითი გავიგოთ გათენება? დრო გამოშვებით ავიღებ ხანგალს, ვსჩევლეტ ჩემს თავზე მდებარე თოვლის სარქველს, მინდა გავხვრიტო, ეგება სინათლე დავინახო, მაგრამ სამჯერ ვერაფერი გავიგე. მეოთხედ კი დავრწმუნდი, რომ ახლა უთუოდ გათენებული უნდა იყოს მეთქი. ვხვრიტე ხანგლით თოვლის სარქველი, ვხვრიტე და კიდევაც დავინახე სინათლე. წარმოიდგინეთ — რა გამიხარდებოდა! დავუწყე თოვლს ხელებით პოტნა, ვსთხარე ზედა კანი და როგორც იყო ამოვედი. გავიხედე, ცა მოწმენდილია. ჩემი ამხანაგების ექვსი ჯოხი ყველანი გაჩერებული არიან და თოვლიდამ მარტო თავები უჩანან, იმდენი მოეტანა იმ ღამეს თოვლი. მივედი ერთ ჯოხთან, დავაჭირე ხელი, მოხვდა კაცის თავს, გაინძრ-გამოინძრა, ამოვიდა ლომი. მივედი მეორეს-თან, მესამესთან და ამ ნაირად ამოვიყვანე ყველანი, სამზღვარი არა ჰქონდა ჩვენს სიხარულს. სულ დაგვავიწყდა გამოვლილი გაჭირება და ტანჯვა. საღამოს ყველანი ჩვენს სახლებში ვიყავით. ყველას უკვირდა ჩვენი გადარჩენა. იმ წვალებამ და ტანჯვამ, რომელიც ჩვენ ამ დაწყევლილ მგზავრობაში გამოვიარეთ, შემდეგში გაგვისენა და ყველანი ლოგინად ჩავიარდით. ზოგი ერთ წელიწადს ვიყავით ავად, ზოგი ნახევარ წელიწადს, ასე რომ წლის განმავლობაში ჩვენს ოჯაბში სარჩენად გავხდით, ვერაფერი ვიმუშავეთ. ოთხმა ჩემმა ამხანაგმა, როგორც კი მოვრჩით, მაშინვე დავა დამიწყეს, რომ შენის გამოისობით გზაშიაც ბევრი წვალება გამოვიარეთ, ავადაც გავხდით და ერთის წლით სახლსაც მოვცდითო. ავიორჩიეთ ოთხერ მედიატორები, ოთხერ გაგვასამართლეს და ბოლოს სამი დღიური მიწა მიუსაჯეს ჩემგან. მედიატორების ხარჯი, იმათი გასამჯელოდ მისაცემი კიდევ სხვა იყო, ასე რომ უწინდელი შეძლებული მოსახლე დღეს დავლარიბდი. ორმა არ მიჩივლა, არ გამომიმეტეს, რადგან ჩემი სახლი-კაცები არიან, თორემ იმათაც რომ ეჩივლათ, სულ დავიღუპე-

ბოდი. შენ რომ ფიცი გახსოვს „უფლის“ ეზოში, აი ის ფიციც ამის
თაობაზე იყო. იმითი გავათავე დავა ყველა ჩემს ამხანაგებთან. რაც
მომივიდა, მომივიდა, ეხლა ვერაფერს ვუშველი. ჩემს შვილებს
კი იმას დაუუბარებ სიკვდილის დროს, რომ იგინი არასოდეს სხვა
ქვეყანაში სამუშაოდ არ წავიდენ, ისხდენ სახლში, რაც უნდა გა-
ჭირება ჰქონდეთ, მოითმინონ, რადგან მგზავრობამ მე დამღუპა და
არც სხვა ვისმე დააყრის ხეირს. ამითი გაათავა გიერგმა თავისი ამბა-
ვი და რაღაც კმაყოფილება იგრძნო, თითქო უნდა გაემართლებინა
შოთას სიტყვები:

„დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუნდებოდეს“.

1889 წ.

„ԸՆԹԱՀԱՅ“-Ո

სიტყვა „ლინთურალ“-ი ქართულად პნიშნავს ნაცნობობას, გაცნობას. ეს ნაცნობობა, შემდეგ ჩვეულებრივის ცერემონიის აღსრულებისა, ორსა ან რამდენსამე კაცს შეა ამყარებს სულიერს ნათესაურს დამოკიდებულებას. ლინთურალი მოხდება როგორც კაცსა და კაცს შეა, ისე დედაკაცებში, მაგრამ უფრო ხშირად-კი ახალგაზრდა ქალსა და ვაჟს შორის. რაში მდგომარეობს ცერემონია ლინთურალისა? ვსთქვათ, ახალგაზრდა ვაჟს უნდა დაუახლოვდეს ახალგაზრდასავე ქალიშვილს, ან გათხოვილს ქალს, რომელთანაც არაფერი ნათესაური კავშირი არა აქვს. ვაჟი ამ შემთხვევაში ან პირდაპირ და ან სხვისის პირით ატყობინებს ახალგაზრდა ქალს, რომ მას ჰსურს ქალის გაცნობა. ქალის ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული, სურს თუ არა ქალს „ლინთურალი“, თუმცა უარი ძლიერ იშვიათია, რადგანაც ეს ვაჟისთვის ცოტა არ იყოს შერცხვენა. ქალიშვილი ამ ამბავს დედ-მამას ეტყვის და ან ქმარს, თუ ქმარიანია და ჰოსაც და არასაც შეატყობინებს ვაჟს. როდესაც ვაჟი მიიღებს ქალისაგან ლინთურალის თანხმობას, იგი შოულობს არაყს ერთიდამ სამს დოქამდე, სთხოვს თავისს, ან ქალის კარგს ნაცნობს, რომ წაჰყვეს ლინთურალში, ჰეკილებს მას წასაღებს არაყს და მიდის ქალის სახლში საღამოს ვახშმობამდე. ქალის ოჯახმა ეს ამბავი იცის, და წინდაწინვე შეუდგებიან ვახშმის გაკეთებას, თავისის მხრით ჰშოულობენ არაყს, ჰელავენ საკლავს და სხვა.

ვაკი თავისის ამხანაგით მივიდა ჭალის სახლში. ოჯახის წევრები კარებშივე მიეგებენ, გამოართვეს არაყი, უთხრეს რამდენიმე თავაზიანი სიტყვა და საპატიო ადგილას დასვეს. ჭალაბი ამ დროს ვაჩშამს ამზადებს. დამზადდა ვახშამი. ოჯახის უფროსი თავში დაჭდა, გვერდით ვაკი მოუსვეს, მას მისი ამხანაგი და შემდეგ ჭალაბის წევ-

რები — მამაკაცები. დადგეს ტაბაკები, რომელზედაც დაწყება: პური, ყველი, ხორცი. მოიტანეს ვაჟისაგან მოტანილი და თავისი არა-ყი დოქებით. ორმა კაცმა არაყი შეალოცეს ღმერთს, რომელსაც სთხოვეს ბედნიერი ყოფილიყოს ქალ-ვაჟის ლინთურალი! შემდეგ არაყი გადმოასხეს კათხებში და თითო კათხა ხელში მისცეს სტუ-მარ-მასპინძელს. სავსე კათხები ხელში უჭირავთ ყველას, ჭამას არა-ვინ იწყებს. ამ დროს დგება ვაჟი (ხან ქალი), მიდის იმ ქალიშვილ-თან, რომელიც უნდა გაიცნოს, იჩოქებს მის წინ ერთს მუხლზე და ეუბნება: მე დაგადგა ძუძუზე კბილი, თუ შენა, ე. ი. შენ დამიდგე-ბი დედათ თუ მე მამადაო. ვსთქვათ, ქალს სურს დედობა. იხსნის პერანგის საკინძეს და გამოაჩენს მარჯვენა ძუძუს. ვაჟი ძუძუს თავ-ზე დანაყილს მარილს მოაყრის, შემდეგ მიუახლოვდება და დაადგამს კბილს ძუძუს წვერზე სამჯერ და სამჯერვე იტყვის „სი დი, მი გე-ზალ“ (შენ დედა, მე შვილი). როცა ამას მორჩება, ქალ-ვაჟი ერთმა-ნეთს აკოცებენ, სხვები ჰლოცავენ, რომ გამარჯვებული ყოფილი-ყოს იმათი ნაცნობობა. ვაჟი თავის ადგილას მიდის. დაიწყება ვახ-შამი.

ამ დღის შემდეგ ქალ-ვაჟი ისე არიან ერთმანეთში, როგორც მკვიდრი ნათესავები. იგინი არა თუ ერთად ატარებენ დროს, ხშირად ერთადაც წვებიან. არავის ფიქრად არ მოუგა, რომ ქალ-ვაჟი, რომელ-თაც ლინთურალი მოახდინეს, დაარღვევენ, შეაგინებენ ამ ჩვეულე-ბას. ასე იყო აქამდე და შემდეგში რა იქნება, ღმერთმა უწყის. მეორე დღეს ვაჟი სახლში მიდის, რომელსაც ქალმა უნდა აჩუქოს ცხვარი იქნება, ძროხა, თუ სხვა საქონელი.

ხალხის ამგვარს შეხედულობას ლინთურალზე შემდეგი შემთხვე-ვებიც ამტკიცებენ. ვსთქვათ, რომ ხმა გავარდა, რომ ეს-და-ეს ქალ-ვაჟი შეყვარებულნი არიანო. ცხადია თუ ქალიშვილი გაუთხოვა-რია, ეს ხმა იმის დედ-მამისა და ნათესავების საწყენია და ქმართან არის — ქმრისა. ერთად-ერთი წამალი, რომ ქალიშვილის დედ-მა-მის ან ქმრის გული დამშვიდდეს, ის არის, რომ საეჭვო ქალ-ვაჟმა ლინთურალი მოახდინონ. ეს სრულიად უღებს ჭორიკანობას ბო-ლოს. მეორე მაგალითი: ქალი და კაცი ნამდვილად შეყვარებულნი არიან, გაუმხილდათ, თავი დაანებეს ერთმანეთს, მაგრამ ხალხი, ქალის დედ-მამა და ქმარი მაინც ეჭვში არიან. ამ შემთხვევაშიაც ლინთურალია საჭირო.

აქ უნდა შევნიშნო, რომ შეყვარებულნი ძლიერ ხშირად ათავე-ბენ სიყვარულს ლინთურალით. ამას ნდომულობს როგორც ქალი, ისე კაცი, რომ ხორციელად წმინდად იყვნენ ერთმანეთში და წარ-სულის მოგონება მოთხრობაში გაატარონ სასიამოვნოდ დროება.

წინადელ შეყვარებულ და შემდეგში „დანათესავებულ“ ქალ-ვაჟი-
საგან გარეშე მაყურებლებთან ხანდისხან გაიგონებ ხოლმე ამ ნაირ
სიტყვებს.

— გახსოვს მანიჭო, ერთს ზამთრის ღამეს როგორ დამსაჯე, —
ეუბნება თავის უწინდელ საყვარელ მანიჭოს: — ნავაშმევიდამ დაწ-
ყებული დილის რიცრაუამდე ატუზული ვიყავი შენის სახლის კე-
დელთან. ყინვისაგან ძვლები მემტვრეოდა, შენის ქმრის შიშით
ვთროვოდი და შენ-კი კარი არ გამიღე და არ მიმიღე, თუმცა ჩემი
გაჭირება კარგად იცოდი. ყინვისაგან ფეხები დამწოდა და მთელი
ზამთარი გავწვალდი, კარში ვეღარ გამოვდიოდი, ისე წამიხდა ფე-
ხები...

— ის იმიტომ, მიუგებს მანიჭო, რომ იმ ხანებში შენ სხვა ქალზე
გეჭირა თვალი და ჩემი მოტყუება გინდოდა. მერე ხომ ისწავლე
ჰქუა...

ქალ-ვაჟი, რომელნიც ლინთურალით განათესავდნენ, სიყვდი-
ლამდე არ ივიწყებენ ერთმანეთს. ვაჟი დრო-გამოშვებით აძლევს
სხვა-და-სხვა წვრილმან და სხვილმან საჩუქრებს, ფეშქაშებს. ამითი-
ვე უხდის ქალიც თავისს მხრით შეძლების გვარად. თუ ვაჟის სახლ-
ში რაიმე ლხინია, ეპატიუება ყოველთვის და ისე ექცევა, როგორც
პატივსაცემი ნათესავი სტუმარს. ამასვე სჩადის ქალიც, როდესაც
მისას მაგ ნაირი შემთხვევა იქნება. ხშირად ქალი განგებ ინახავს
არაყს, რომ ძვირობის დროს დაუძახოს თავის „ნათვირ“ ვაჟს და
დაალევინოს და სხვა-და-სხვა. აქვე შევნიშნავ, რომ „ლინთურალს“
სხვანაირად კიდევ ეძახიან „ლიქრიბდ“-ს (ქრისტობა) და „ლიკერდ-
ლიარ“-ს. პირველს სიტყვას უფრო ხშირად ხმარობენ სადადიშქე-
ლიანო სვანეთში და მეორეს — ლიკერდლიარ (რაჭა-ლეჩესუმში
კერძ-კაცობა) სადადიანო სვანეთში. „ლიქრისდ“-ი იქიდამ წარ-
მოსდგა ალბად, რომ ლინთურალის დროს ერთ-ერთი ქალი ან
ვაჟი მეორეს წააცხებდა შუბლზე „მირონს“ (!), რომელსაც უწინ
პაპებისაგან შოულობდნენ. ნამდვილი მირონი ბოლოს დროს პაპებს
არა ჰქონდათ და მის მაგიერ ზეთს აძლევდნენ მირონის მნიშვნელო-
ბით. ეს მირონ-ცხება თანდათან ისპობა, რადგან მოისპონ პაპობა და
ეხლანდელი მღვდლები მირონს არ იძლევიან, თუმცა მთხოვნელი
სვანი ბევრია.

ბიბლიოგრაფიული ცნობა

ბ. ნიკარაძის „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების“ I ნაკვეთში გამოქვეყნებული ნაშრომების შესახებ

1. თავისუფალი სვანი. ქალების მოტაცება სვანეთში. გაზეთი „შრომა“ 1882, XII, 15, № 49.
2. თავისუფალი სვანი. სახალხო დღესასწაულები სვანეთში ზემთხობით. ა) შობა-ახალწელიწადი. გაზეთი „შრომა“ 1883, V, 26, № 20.
3. თავისუფალი სვანი. სახალხო დღესასწაულები სვანეთში. ბ) ლიფაანალ. გვ-ზეთი „შრომა“ 1883, VI, 9, № 22.
4. თავისუფალი სვანი. სახალხო დღესასწაულები სვანეთში. გ) ლიმპარი და ლიქ-ვრაში. გაზეთი „შრომა“ 1883, VI, 23, № 24.
5. (ხელმოუწერელი). სახალხო დღესასწაულები სვანეთში. დ) შემოდგომობით, გაზეთი „დროება“ 1884, X, 19, № 226.
6. თავისუფალი სვანი. სახალხო დღესასწაულები სვანეთში. გაზეთი „დროება“ 1884, X, 24 № 229.
7. თავისუფალი სვანი. კერძო ოჯახების მსხვერპლის შეწირვა სვანეთში (დასას-რული წერილისა „სახალხო დღესასწაულები სვანეთში“), გაზეთი „დროება“ 1884, XI, 10, № 244.
8. თავისუფალი სვანი. ცოლ-ქმრიბის წესები სვანეთში. გაზეთი „დროება“ 1885, IV, 16, № 79.
9. თავისუფალი სვანი. ცოლ-ქმრიბის წესები სვანეთში. გაზეთი „დროება“ 1885, IV, 18, № 80.
10. (ხელმოუწერელი). ჩეულებრივი უფლება სვანეთში საზოგადოდ და წყვე-რივ თავისუფალ სვანეთში. I. სახალხო ყრილობა და მისი უფლება. საერთო კავშირი ყველა საზოგადოებათა. გაზეთი „დროება“ 1885, IX, 14, № 198.


11. სვანი. დაბა და სოფელი. სვანეთი. გაზეთი „ივერია“ 1886, № 4.
12. სვანი. სასამართლოს წარმოება სვანეთში, გაზეთი „ივერია“, 1886, № 27.
13. სვანი. ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში. სასამართლოს წარმოება. თემა, ოჯახი. გაზეთი „ივერია“, 1886, № 49.
14. სვანი. ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში. სასამართლოს წარმოება. თემა, ოჯახი. გაზეთი „ივერია“, 1886, № 55.
15. სვანი. ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში. ცოლ-ქმრობა. გათხოვილის ქალიშვილის უფლება. გაყრა. მექვიდრეობა. მიწის მფლობელობა. საზოგადო, სასოფლო და საორმო აღგილები. დამნაშავისა და მტრას უფლებანი. გაზეთი „ივერია“ 1886, № 62.
16. ბეს. სვანი. ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში. საზოგადოების მოვალეობანი და მისი დამოკიდებულება სხვა საზოგადოებასთან. მისაცემი ძინისა, მცედლისა და სხვა მოჭამაგირეთა. საქონლის გაკვება. სხვა-და-სხვა დანაშაული და საზღაურის რაოდენობა მის კვალობაზე ზომები. საწყავები. გაზეთი „ივერია“ 1886, № 72.
17. ბეს. სვანი. ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში. გაზეთი „ივერია“. 1886, № 73.
18. სვანი. დაბა და სოფელი. გაზეთი „ივერია“ 1886, № 51.
19. სვანი. დაბა და სოფელი. გაზეთი „ივერია“ 1886, № 67.
20. თავისუფალი სვანი. დაბა და სოფელი. გაზეთი „ივერია“ 1886, № 187.
21. თავისუფალი სვანი. ზოგიერთი საყმაწვილო თამაშობანი სვანეთში. გაზეთი „ივერია“ 1886, № 149.
22. თავისუფალი სვანი. ზოგიერთი საყმაწვილო თამაშობანი სვანეთში. გაზეთი „ივერია“ 1886, № 152.
23. თავისუფალი სვანი. სვანური ლეგენდები ანუ სვანების ამაოდ მორწმუნებანი. გაზეთი „ივერია“, 1887, №№ 30, 33, 37, 51, 212, 213, 214.
24. თავისუფალი სვანი. მდაბით ხალხის მკურნალობა სვანეთში, გაზეთი „ივერია“ № 63.
25. თავისუფალი სვანი. საზამთრო გზები სვანეთში. გაზეთი „ივერია“ 1887, № 80.
26. თავისუფალი სვანი. სვანების საიქიო (ეტნოგრაფიული წერილი) გაზეთი „ივერია“ 1888, №№ 116, 118.
27. თავისუფალი სვანი. სურათები სვანების ცხოვრებიდან. გაზეთი „ივერია“ 1888, № 202.
28. თავისუფალი სვანი. სვანები ბარად. ჟურნალი „ცდა“ 1. ქუთაისი 1889.
29. თავისუფალი სვანი. „ლინთურალ“-ი (ნაცნობობა. ჩვეულება სვანეთში). გაზეთი „ივერია“ 1889, № 18*.

* ბესარიონ ნიკარაძის ნაშრომების სრული ბიბლიოგრაფია დაერთვის მისი „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების“ II ნაკვეთს.

ამ უკავშირის მიზანი არ იყო მიმდინარეობის ასახვის უზრუნველყოფა და მას მიზანი არ იყო მიმდინარეობის ასახვის უზრუნველყოფა.








საქონლი
საბურთო


უგაგა ულეგა
უდეა მომისა

3 წ 2006
1959 წ.






856533010 AB-80



Digitized by srujanika@gmail.com

ლავრენტი ნიშარაძის მიხე-სახლი


ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԿ-80



1 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 ս

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԿ-80


სამხრეთის ზასაღი




1 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 a

უკუღო, ჩადაში
დავრენო ნიურარაბის
მუნი-სახლი

ვ. წ. 1959 წ.











4036350

0182116653









იღუსატრაციების ცენტრი

1. ცენტრის ყორულდაშისკენ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის 1957 წ. სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალებიდან).
2. ლასილიდან უშგულისაკენ (იმავე მასალებიდან).
3. უშგული. სოფ. ჩაუაშის ერთერთი კუთხე (იმავე მასალებიდან).
4. უშგული. სოფ. ჩაუაშის საერთო ხედი (იმავე მასალებიდან).
5. უშგული. ლამარია (იმავე მასალებიდან).
6. უშგული. სოფ. ჩაუაში. ლავრენტი ნიუარაძის ციხე-სახლი, განაკვეთი AB-ზე;
7. იგივე, განაკვეთი CD-ზე;
8. იგივე, სამხრეთის ფასადი (იმავე მასალებიდან).
9. უშგული. სოფ. ჩაუაში (ექვთიმე თაყაიშვილის ფონდიდან).
10. უშგული. სოფ. ჩვაბიანი. ექვსშლურობანი კოშკი (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის 1957 წ. სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალებიდან).
11. კალა. ლაგურა — კვირიკეს და ივლიტეს სახელობის ეკლესია (ექვთიმე თაყაიშვილის ფონდიდან).
12. კალა. ლაგურას მცველები ძეველად (იმავე ფონდიდან).
13. შესტია. სოფ. ლეხთაგის ერთერთი კუთხე (იმავე ფონდიდან).
14. ლატალი. სოფ. მაცხვარიშ. ლაბავ—საზაფხულო საღვრო (იმავე ფონდიდან).
15. ლაშეთი. ძულარეშ — ქალაქოლ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის 1957 წ. სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალებიდან).
16. ლაშეთი. სოფ. ლეგის ერთერთი კუთხე (ექვთიმე თაყაიშვილის ფონდიდან).

შ 0 6 ა ა რ ს 0

ალ. რობაქიძე — ბესარიონ ნიუკარაძე	3
რ. ხარაძე, ივ. სურგულაძე — ბ. ნიუკარაძის ნარკვევები ჩვეულებითი სამართლის შესახებ სვანეთში	37
1. ქალების მოტაცება სვანეთში	49
(2) სახალხო დღესასწაულები სვანეთში	52
ზამთრობით	52
ა) შობა-ახალ-წელიწადი	52
ბ) „ლიფაანალ“	56
გ) ლიმბარი და ლიქერაში (ლამპრობა და უძღების კვირე)	58
დღესასწაულები გაზაფხულ-ზაფხულობით	62
დ) შემოდგომობით	65
კერძო ოგახების მსხვერპლის შეწირვა სვანეთში	72
3. ცოლ-ქმრობის წესები სვანეთში. საცოლეს დანიშვნა, ნაყდანური, ნაჭვ- ლაში, ქორწილი, გვარისწერა, მზითევი	77
4. ჩვეულებრივი უფლება სვანეთში საზოგადოდ და საკუთრივ თავისუფალ სვანეთში	85
სასოფლო ყრილობა და მისი უფლება. საერთო კავშირი ყველა საზოგადოებათა	85
დაბა და სოფელი	89
სასამართლოს წარმოება სვანეთში	94
ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში	98
სასამართლოს წარმოება	98
სასამართლოს წარმოება, თემი, ოჯახი	103
ცოლ-ქმრობა. გათხოვილის ქალიშვილის უფლება. გაყრა. მემკვიდ- რეობა. მიწის მფლობელობა. საზოგადო, სასოფლო და სათემო ადგილები. დამნაშავისა და მტრის უფლებანი	110
საზოგადოების მოვალეობანი და მისი დამოკიდებულება სხვა საზოგადოებასთან. მისაცემი ძიძისა, მჭედლისა და სხვა მოჯა- მაგირეთა. საქონლის გაკვება, სხვა-და-სხვა დანაშაული და საზ- ღაურის რაოდენობა მის კვალობაზე. ზომები. საწყავები	116
„სისხლი“ (წორ) თავისუფალ სვანეთში	117
5. დაბა და სოფელი	125
(3) ზოგიერთი საყმაწვილო თამაშობანი სვანეთში	131
7. სვანური ლეგენდები ანუ სვანების ამაოდ-მორწმუნებანი	138
I. ქვეყნის შექმნა	138
II. გვარიანტი	141
III. სამოელი	142

IV. მზე და მთვარე	145
V. სეტყვა, ქუხილი, წვიმა და თოვლი	146
VI. ყვავილი და წითელა	147
VII. თუშები	148
VIII. თამარ-დედოფალი	149
IX. ამირანი	150
X. როსტომ კაბუკი (გმირი)	161
8. მდაბიო ხალხის მკურნალობა სვანეთში	170
9. საზამთრო გზები სვანეთში	174
10. სვანების საიქო	178
11. სურათები სვანების ცხოვრებიდგან	188
12. სვანები ბარად	192
13. „ლინთურალ“-ი	210
14. ბიბლიოგრაფიული ცნობა	213
15. ილუსტრაციების სია	215



რედაქტორი ალ. რობაჭეძე

გამომცემლობის რედაქტორი მ. ინასარიძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ბერიძე
კორექტორი ვ. მალანიძე

გადაეცა წარმოებას 4/X-61 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/V-62 წ.
ანაზღაურის ზომა 6×10
ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 13,75
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახთა რაოდენობა 11,55

შეკვეთა № 1403

უ 02586

ტირაჟი 3 000

ფასი 1 მას. 90 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства Тбилисского университета,
Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 1.



Бесарион Шиоевич Нижарадзе

(Тависупали Свани)

Историко-этнографические статьи

(На грузинском языке)

Издательство ТГУ

Тбилиси — 1962



ଓଡ଼ିଶା ସାହିତ୍ୟ ଏକାଡେମୀ